გელა სულაძე

მარტოსული - სული ნათელი

ვუძღვნი საქართველოს დამოუკიდებლობისათვის
თავდადებულ მამულიშვილთა ნათელ ხსოვნას.

გამომცემლობა „გულანი“
თბილისი
2001

ИДК 947.422
Ს 926

ISBN 99923-0-329-0

წიგნში გადმოცემული ნააზრევი ფიქრია განსჯისათვის, ფიქრია სამშობლოს სიყვარულზე, ქართველთათვის უმთავრეს ღირებულებაზე - საქართველოს დამოუკიდებლობაზე. მასში საკუთრივ ავტორის და სხვათა სულის ნაწილია ჩადებული და მათივე განწყობაა გადმოცემული. ამავდროულად მთელი სიცხადითაა დაგმობილი ძალადობა და ნებისმიერი ფორმით გამოხატული ძალადობრივი აქტები როგორც ანტიჰუმანური და დანაშაულებრივი მოვლენა.

ავტორს არ აქვს პრეტენზია წარმოდგენილი თემის ორიგინალობაზე, მით უმეტეს მწერლობაზე და გამოხატავს მადლიერების გრძნობას მათ მიმართ, ვინც გამოთქვა საქმიანი შენიშვნები და წინადადებები და მხარი დაუჭირა წიგნის შექმნის იდეას.

წიგნი გათვლილია საკითხავად საზოგადოების ფართო ფენებისათვის და იმედია მათი და დაინტერესებულ მხარეთა აქტიური მხარდაჭერით დაფუძნდება გამოცემათა სერიალი - „საქართველოს უახლესი ისტორიის განსაიდუმლოებული მასალები.“

რედაქტორი - მაყვალა გონაშვილი

ა ზ მ ა ი ფ ა რ ი

გ ე ლ ა ს უ ლ ა ძ ი ს წ ი გ ნ ი ს ა

სიტყვა აღიძვრის გელა სულაძის ნაწარმოებზე, სახელწოდებით „მარტოსული - სული ნათელი". წიგნი, რომელიც გაუნელებელი ინტერესით იკითხება პირველ სტრიქონთაგან ფინალამდე.

წიგნი ეძღვნება აწ განსრულებული XX საუკუნის 70-იანი წლების კომუნისტური რეჟიმის პირობებში ერთი პროგრესული ქართველი კაცის ტანჯვა-წამებას. ამ თემაზე დიახაც ბევრი დაწერილა, ზედმეტნაკლებად მაღალოსტატურად, თუ ოდენ მთქნარების მომგვრელად.

გელა სულაძის წინამდებარე ნაწარმოები კი სწორედ რომ ნაწარმოები გახლავთ და არა ამავე თემაზე მრავლადაც ნაკალმართა მსგავსი „ნაწარმი".

ეს წიგნი მტკიცედ გვარწმუნებს, რომ მისი ახალგაზრდა ავტორი კვლავაც ახალ და ახალ მაღალაზროვან და ჭეშმარიტ მაღალხატოვან ნაწარმოებს შესძენს ქართულ მწერლობას.



10.V.2001

. . .

ვფიქრობ, ეს ნაშრომი უაღრესად საინტერესო მცდელობაა საქართველოს უახლოესი წარსულის მოვლენების გაშუქებისა სახელმწიფო უშიშროების ორგანოების გამოცდილი მუშაკის თვალთახედვიდან. მასალა მნიშვნელოვანია, გამოიწვევს ფართო საზოგადოებრიობის ინტერესს და საერთოდ ასეთი თემატიკის გაგრძელება მომავალში აუცილებელია.

პატივისცემით *ირაკლი ბათიაშვილი*

. . .

წინამდებარე წიგნი და მისი თემატიკა უაღრესად საინტერესოა და საჭიროა თანამედროვე მკითხველისათვის. ეს ჩვენი ისტორიაა, რომელიც მომავალმა თაობებმა უნდა იცოდნენ. მართალია ჩვენ არ ვეთანხმებით ავტორის პოზიციას იმის შესახებ, რომ რეპრესიების განმახორციელებლები არაფერში არიან დამნაშავენი, რადგან „დრო იყო ასეთი“ და „მათ სხვაგვარად არ შეეძლოთ“, მაგრამ ის კი უდაოდ მიგვაჩნია, რომ საქართველოს უახლესი ისტორიის გასაიდუმლოებული მასალების დღის სინათლეზე გამოტანა ხელს შეუწყობს საზოგადოებას სწორი ორიენტირების პოვნაში.

პატივისცემით *გელა ნიკოლაიშვილი*
ნანა კაკაბაძე -
ყოფილი პოლიტპატიმრები.

• • •

ხსოვნა და ფიქრი გელა სულაძის ნაშრომთან

ისტორიული სიმართლის თქმა აუცილებელია, თუმცა გამოჩნდებიან ისეთნიც, რომლებიც ამ სიმართლეს ვერ ან არ აღიქვამენ თავისებურად და შეეცდებიან, უმსგავსო ენით გასცენ პასუხი ავტორს, რათა ამით უფრო მეტად წარმოაჩინონ თავი - ვიდრე არიან.

დიახ! ღირს წარსულზე წერა, თუნდაც იმიტომ, რომ არ დაგვავიწყდეს ჩვენი ერის, ჩვენი ქვეყნის, საქართველოს, არც ახალი წარსული და არც ძველი ისტორია, ცუდიც და კარგიც - მხოლოდ მართალი! თორემ ისტორიის ურთულეს ლაბირინთებში დაიწყება ნამდვილი გმირების, ერის ღირსეული შვილების გინება და მათი მედროვეებად, ხოლო ქონდრის კაცებისა - გმირებად წარმოჩინება, ერიც სწორედ მაშინ დაკნინდება და გათახსირდება. ვლადიმერ ჟვანიას ტანჯული ცხოვრება და მისი ავბედითი დასასრული ჩვენი ქვეყნის ახლო ისტორიის „მონაპოვარია“, გვაქვს უარესი - შორეულშიც, ღმერთმა ქნას უახლესშიაც არ გაიმეოროთ იგივე შეცდომები.

ვგონებ - გელა სულაძის ნაშრომიც ამას ღაღადებს.

მადლობა მას!

პატივისცემით *ოთარ ხატიაშვილი,*

• • •

ბატონ გელა სულაძეს

გელა! ერთი ამოსუნთქვით წავიკითხე თქვენს მიერ საფუძვლიანად შესწავლილი ვლ. ჟვანიას ცხოვრება. სიმართლე გითხრა, არ მეგონა, თუ ასე სულით ხორცამდე შემძრავდა მისი ტანჯული სიცოცხლე. გელა, ცოდვაა ასეთი კაცის იმ დროს დაბადებაო, იტყვის ზოგი. მე კი მიმაჩნია, რომ ვლ. ჟვანია იმ ეპოქის შვილი იყო და ამიტომაც არის მაგალითის მიმცემი ყველა ჩვენთაგანისათვის

სამშობლოს სიყვარულში.

გელა! რატომღაც მგონია, შენ ამ საქმეს ხელი იმიტომ მოჰკიდე, რომ შინაგანად შენც ისეთივე ბუნების და სულის ხარ, როგორც ვლ. ჟვანია. დარწმუნებული ვარ შენს დაუოკებელ სწრაფვაში უსამართლობისა და განუკითხაობის წინააღმდეგ.

მიმაჩნია, რომ სამშობლოს სიღრმისეული სიყვარული კიდევ ბევრ საჭირო და სასიკეთო საქმეს გაგაკეთებინებს.

პატივისცემით *ანზორ მაისურაძე*

აღდგენა ისტორიისა - ერის
გამოცოცხლებაა, გამომხნევებაა,
აწმყოს გაგებაა და წარმართვაა,
მერმისის გამორკვევაა სიბნელისაგან

ილია ჭავჭავაძე

„ხმას ამოიღებ -
ვაია!
ჩუმად იქნები -
უი!
ვინც ლაპარაკობს, -
ხომ სტყუის!
ვინც სდუმს, -
ის უფრო სტყუის!“

მუხრან მაჭავარიანი

ავტორისაგან

სსრ კავშირის დაშლის შემდეგ, განსაკუთრებით 90-იანი წლების მეორე ნახევარში, რუსეთის საგამომცემლო ფირმებმა მკითხველებს შესთავაზეს პუბლიცისტური და მხატვრული ნაწარმოებები, რომლებიც ეხება ყოფილი სსრ კავშირის უშიშროების კომიტეტის საქმიანობას.

საგამომცემლო ფირმა „გეამ“ 1996 წლიდან, მსოფლიო პრაქტიკაში პირველად, დაიწყო სერიალის - „განსაიდუმლოებული ცხოვრება“ - გამოცემა. მისი ავტორები XX ასწლეულის საიდუმლო სამსახურების - ყოფილი და მოქმედი თანამშრომლები არიან. მკითხველებს მიეცათ უნიკალური შესაძლებლობა „შიგნიდან“, ზოგადად გაეცნონ გასაიდუმლოებული უწყებების საქმიანობის მექანიზმს, სტილსა და მეთოდებს. დღემდე გამოცემულია სამ ათეულზე მეტი მხატვრული და პუბლიცისტური ნაწარმოები, ისეთები, როგორებიცაა: „იუდა იასენევოდან“ (ბ. კონდაკოვი), „ოპერაცია თოვლი“ (ვ. პავლოვი), „რეზიდენტი ამოწმებს“ (ე. სინიცინი), "КГБ და ძალაუფლება“ (ფ. ბობკოვი), „დაზვერვა და კრემლი“ (პ. სუდოპლატოვი) და სხვა. აღნიშნულმა წიგნებმა იმთავითვე აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ერთნი

ფიქრობდნენ, რომ ისტორიაში ქექვა თანამედროვეობის ბევრ მანკიერ მხარეს წარმოაჩენდა, რაც განსაკუთრებით პოსტსაბჭოთა ქვეყნების საზოგადოებრიობის მიერ არცთუ ისე სწორად იქნებოდა აღქმული.

სულ ახლახანს, გასული წლის დასაწყისში, მოსკოვის „ცენტრპოლიგრაფმა" რუბრიკით „საიდუმლო საქაღალდე" დაიწყო ახალი სერიალის გამოცემა, რომელიც ასახავს ურთიერთდა-პირისპირებული სისტემების არსებობის პირობებში სპეციალური სამსახურების საქმიანობას.

მოკლე პერიოდის მიუხედავად, უკვე გამოცემულია და მკითხველის დიდ ინტერესს იწვევს ისეთი ნაწარმოებები, როგორებიცაა: „სუკ-ი - სადაზვერვო ოპერაციები ლენინიდან გორბაჩოვამდე" (ო. გორდიევსკი, კ. ენდრიუ); „შემდეგი გაჩერება - დახვრეტა" (ო. გორდიევსკი); „კონფლიქტი კრემლში" (ვ. ფალინი) და სხვ. ამ პერიოდის რჩეულ გამოცემად მკითხველები მიიჩნევენ 50-60-იანი წლების „ცივი ომის" პერიოდის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორის ალან დალესის წიგნს „ცრუ„ „კგბ" - ს წინააღმდეგ" - ჯაშუშობის ხელოვნება.

ყოფილ სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტს და შესაბამისად ახლადწარმოქმნილი დამოუკიდებელი ქვეყნების სპეციალურ უწყებებს, ამ სისტემის ყველაზე უფრო შაებნელი და ღრმად კონსპირირებული ლაბირინთების სამსჯავროზე გამოტანით, რა თქმა უნდა, ცუდი სამსახური გაუწია გარდაქმნისა და საჯაროობის ეპოქამ. თუმცა ამ შემთხვევაში შეუძლებელია არ დაეთანხმო კაცს - რომელიც 50-იან წლებში რეპრესირებული, ხოლო შემდგომ სრულად რეაბილიტირებული იქნა, საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის გენერალ-ლეიტენანტ პავლე სუდოპლატოვს. თავის წიგნში „დაზვერვა და კრემლი" იგი გულწრფელად მიანიშნებს:

„გვინდა ჩვენ თუ არა, გადის დრო და რაც გუშინ იყო დიდი სახელმწიფო საიდუმლო, ის ისტორიის ლაბირინთებში კარგავს თავის განსაკუთრებულობას და ხდება ყველასათვის ხელმისაწვდომი - ოღონდ იყოს სიმართლის გაგების სურვილი".*

დღეისათვის აღნიშნული ხასიათის ლიტერატურას ბევრი მკითხველი ჰყავს, რომელიც ინტერესით ეცნობა ერთ დროს უძლიერესი იმპერიის - საბჭოთა კავშირის სიძლიერის აქამდე გაუხმაურებელ დეტალებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მკითხველმა ყველაფერი სწორად გაიგო.

მას შემდეგ, რაც საქართველომ დაიბრუნა ნანატრი თავისუფლება

---

* П.Судоплатов - "Разведка и кремль", ТОО издательство "Гея", 1997 г.

და იქცა მსოფლიო თანამეგობრობის ღირსეულ წევრად, სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება საზოგადოებრიობისათვის ისტორიული სიმართლის მიწოდების აუცილებლობა.

სამწუხაროდ, პოსტტოტალიტარული საზოგადოება, მათ შორის საქართველო, ჯერ კიდევ ვერ აქტიურობს. ადამიანებს სისხლხორცეულად აქვთ გამჯდარი ძველი იდეოლოგიური შეხედულებები, დოგმატურია აზროვნებაც და ორგანიზაციული კულტურაც, საკმაოდ მძიმედ მიმდინარეობს საზოგადოებრივი აზრის ფორმირება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გაძნელებულია სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის პასუხისმგებლობათა გადანაწილება, რაც ქვეყნის პროგრესისა და დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობისათვის აუცილებელი პირობაა.

საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი, ისე როგორც სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო უშიშროების კომიტეტები, რეალურად წარმოადგენდა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის რეგიონულ სტრუქტურულ ერთეულს. მასში მსახურობდა ბევრი ღირსეული პიროვნება, რომლებსაც თავისი მამულიშვილური პოზიციით და ღრმა პროფესიონალიზმით არაერთი კარგი საქმე უკეთებიათ, მათ შორის საზღვარგარეთაც. არის ბევრი შავი ლაქებიც... თუმცა, ვფიქრობთ, მთლიანობაში მეტად საინტერესო იქნება წლების მანძილზე იქ მიმდინარე პროცესების წარმოჩენა და ფართო საზოგადოებისათვის შესაბამისად საინტერესო ოპერატიული და საგამოძიებო საქმიანობის დასაშვებ ფარგლებში მიწოდება.

სამწუხაროდ, თბილისის 1991-92 წლების დეკემბერ-იანვარის ცნობილი მოვლენების შედეგად სუკ-ის არქივების დიდი ნაწილი განადგურდა, ზოგი კი მანამდე იქნა გატანილი ქვეყნის გარეთ. აქედან გამომდინარე, მწირია საარქივო შესაძლებლობები. ჩვენი ერთადერთი იმედი იმ პერიოდში მოღვაწე პიროვნებები და მათი მოგონებებია. არადა წლები გადის და ისტორიისათვის ეს უნიკალური ოქროს ფონდიც დაილევა...

უკანასკნელ პერიოდში აქა-იქ პრესაში გამოჩნდა სახელმწიფო უშიშროების ორგანოების ყოფილ თანამშრომელთა ინტერვიუები სხვადასხვა საკითხზე, თუმცა ამ პროცესს სისტემური და მიზანმიმართული ხასიათი არ ჰქონია. ბოლო წლებში პრაქტიკულად არ მომხდარა ლიტერატურული თუ პუბლიცისტური ნაწარმოებების გამოცემა. თუ არ ჩავთვლით აწ-გარდაცვლილი, შესანიშნავი მამულიშვილის, ბატონ ვლადიმერ ზაქარაიას მცირე მოცულობის ისტორიოგრაფიულ ნაშრომს „დავით აღმაშენებლის სადაზვერვო სამსახური“ (გამომცემლობა „ზუგდიდის უნივერსიტეტი“ - 1994 წელი)

და ასევე შესანიშნავი პიროვნების და პროფესიონალი გამომძიებლის ბატონ გიორგი ზაალიშვილის წიგნს „უცნობი ქალი“ - КГБ-ს პოდპოლკოვნიკის ჩანაწერები“. აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს პერესტროიკამდელი პერიოდის საკმაოდ მოცულობითი რომანი - ქრონიკა „განწირულთა ხროვა“ (ავტორები: როლანდ ტყეშელაშვილი და ენვერ კალანდაძე, გამომცემლობა „მერანი“ 1987 წ.). რომანს საფუძვლად უდევს რეალური ფაქტები, რომლებიც ფარდას ხდის გერმანიის დაზვერვის მისწრაფებებს ამიერკავკასიაში რევოლუციამდელ და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდგომ პერიოდში. არადა სასაუბრო და მოსაყოლი ქართველ „ჩეკისტებს“ ბევრი აქვთ. არაერთი საინტერესო რამ არის სათქმელი 1956 წლის 9 მარტთან, 1989 წლის 9 აპრილთან, საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიასთან დაკავშირებით...

ბევრისათვის უცნობია ის ფაქტი, რომ საწყისი ინფორმაცია, რომლის რეალიზაციის საბოლოო შედეგები საფუძვლად დაედო 1984 წელს გამოქვეყნებულ იულიან სემიონოვის წიგნს „ტასი უფლებამოსილია განაცხადოს“, სწორედ ქართველი „ჩეკისტების“ მიერ იქნა მოპოვებული და დამუშავებული. არადა, გასაგები მიზეზების გამო, ეს ფაქტი არ ფიგურირებს არც რომანში და არც ანალოგიური სცენარით გადაღებულ მრავალსერიანიან სატელევიზიო მხატვრულ ფილმში. უნდა ითქვას და დაიწეროს ამაზეც...

ღირს წარსულზე წერა თუნდაც იმიტომ, რომ მკვეთრი სამართლებრივი და ზნეობრივი ზღვარი გავავლოთ დამოუკიდებელი საქართველოს სპეციალურ სამსახურებსა და იმ სადამსჯელო ორგანიზაციას (ЧК) შორის, რომლებიც უშუალოდ ახორციელებდნენ ძალადობის პოლიტიკას, პროლეტარიატის დიქტატურას და რომლებსაც ასეთ შეფასებას აძლევდა ვ.ი. ლენინი: „მასების გასანთავისუფლებლად სხვა გზა, გარდა ძალადობის გზით ექსპლუატატორთა დათრგუნვისა, არ არსებობს. სწორედ ამას ახორციელებენ საგანგებო კომისიები, ამაშია მათი დამსახურება პროლეტარიატის წინაშე“.*

ვფიქრობთ, „ჩეკისტური“ წარსული საქმიანობის სამსჯავროზე გამოტანა ხელს შეუწყობს საზოგადოების სწორ ორიენტაციას, მომავალი თაობის სულიერ და ზნეობრივ აღზრდას და პროფესიული კადრების ჩამოყალიბებას, საზოგადოებაში დამკვიდრებული სტერეოტიპების მსხვრევას. ჩვენი აზრით, ეს არათუ დაამძიმებს საზოგადოებას,

---

* Б.С. Асанов - "Верность Долгу"



არამედ პირიქით, მას ღირსეულ ელფერს შესძენს.

ზოგადად, მკითხველის სამსჯავროზე გამოტანილი ისტორიული ფაქტების ანალიზს ექნება ერთადერთი მიზანი - ვიფიქროთ აწმყოზე, მომავალზე, წარსულზე, რომელიც თითოეულ ჩვენთაგანს არასდროს უნდა დაგვავიწყდეს.

ჩვენი ჩანაფიქრის რეალიზება ამ ეტაპზე გვინდა დავიწყოთ მოკრძალებულად, თუმცა არც თუ ისე მარტივი და არახალი თემით.

ამოცანას ამ შემთხვევაში არ წარმოადგენს „დიეერსანტის" ცხოვრების წესის გაფეტიშება, ძალადობის იდეების პროპაგანდა და არამართლზომიერი ნაბიჯების გამართლება.

ჩვენი მიზანია: თავის ერზე და თავის ქვეყანაზე - საქართველოზე უზომოდ შეყვარებული ერთი ქართველი კაცის ტრაგიკული ისტორიის მაგალითზე, ტოტალიტარიზმის პირობებში, საზოგადოების და პიროვნების, სოციალურ-ბიოლოგიური ინდივიდის, ურთიერთდაპირისპირების ზოგადი და კერძო პრინციპების კვლევის მცდელობა, როდესაც კონფლიქტის უმთავრესი მიზეზი ხდება სისტემასთან, არსებულ რეჟიმთან პიროვნების შეუგუებლობა, რამაც გამოხატულება ჰპოვა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ფარულ, იმ პერიოდისათვის არაკანონიერ ბრძოლაში. შედეგი - პიროვნების უსასტიკესი დასჯა, სასიკვდილო განაჩენი, მისთვის ღმერთის მიერ ბოძებული სიცოცხლის წართმევა.

რაოდენ სწორია ჩვენი გადაწყვეტილება, საზოგადოებისათვის მიგვინდვია.

მაისი, 2000 წელი



„ყველაფერი დალპა,
ყველაფერი უნდა შეიცვალოს“

შევარდნაძე

ზოგი რამ ძალადობის შესახებ

ძალადობა - ზოგადად ეს არის ძალის დემონსტრაცია გავლენის მოპოვების ან განადგურების მიზნით. ძალადობა შეიძლება იყოს ფიზიკური, განხორციელებული ადამიანების მიმართ; ფსიქოლოგიური (მენტიციდი-მანიპულაციები ბოროტი განზრახვით); ორგანისტიკული (სხვა ცოცხალი ორგანიზმების მიმართ, სისასტიკე ცხოველების მიმართ); ეკოციდი (გარემოს მიმართ). ძალადობა ასევე შეიძლება განხორციელდეს სტრუქტურების, სისტემების, იდეოლოგიების, ღირსების, დამოუკიდებლობის წინააღმდეგ.

ძალადობის კლასიკური ნიმუშია ტოტალიტარიზმი, აბსოლუტური ძალაუფლების პოლიტიკური იდეოლოგია.

„ჩვენი საერთო უბედურებაა, რომ ძალაუფლებაზე მონოპოლიის პირობებში დიალოგი, როგორც პოლიტიკის საშუალება უკუაგდეს. ხელმძღვანელობის მეთაურულ-მბრძანებლური სტილი იგუებს მხოლოდ იერარქიის მონოლოგს. ტოტალიტარიზმი მოითხოვს აბსოლუტურში აყვანილი იდეების ღაღადებას და განსხვავებული შეხედულებების უმოწყალოდ შემუსვრას. უფრო იოლია ოპონენტს თავი გაუტეხო, ვიდრე დაამარცხო მის თავში დაბადებული იდეა. ეს იმდენად გაგვიჯდა ძვალსა და რბილში, რომ ერთმანეთთან ნორმალურად საუბარს გადავეჩვიეთ.“ *

„ტოტალიტარიზმის პირობებში პოლიტიკური ძალადობით მოხდა საზოგადოებრივი ცხოვრების სრული იდეოლოგიზაცია, საზოგადოება

---

* ე. შევარდნაძე - „ჩემი არჩევანი - დემოკრატიის და თავისუფლების დასაცავად“ - გამომცემლობა „განათლება“, თბილისი 1992 წ., გვ. 10.

შეკრული იყო პოლიტიკური ძალით და არა საყოველთაოდ გაზიარებული ღირებულებებით. პოსტტოტალიტარულ პერიოდში ქვეყანა საერთო ღირებულებათა სისტემის გარეშე დარჩა. შედეგად მივიღეთ საზოგადოების იდეური დეზინტეგრაცია, რომლის ერთ-ერთი მკაფიო გამოვლინება იყო ეთნიკური კონფლიქტები აფხაზეთსა და შიდა ქართლში და სამოქალაქო ომი, რომელიც დრამატულად იოლად მოეხვია თავს ქვეყანას.

ტოტალიტარიზმს პასუხისმგებლობა გადაჰქონდა სოციალური იერარქიის რაც შეიძლება მაღალ დონეზე. გარდა ამისა, მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალიზმის დევნისა და დამოუკიდებელი აზროვნების მკაცრ შეზღუდვათა ატმოსფეროში საზოგადოებას ჩამოუყალიბდა გაგება, რომ იგი არის მართვის ობიექტი და არ შეიძლება ჰქონდეს რაიმე ტიპის მომთხოვნელობა ხელისუფლების მიმართ, დამკვიდრდა კოლექტივიზმის „ჯოგური“ ფორმები.

მოხდა ზნეობის პოლიტიზაცია და საზოგადოებრივი, მათ შორის ეკონომიკური განვითარების კანონზომიერებათა დამორჩილება პოლიტიკური ინტერესებისადმი. საზოგადოების გადაკეთება, ბუნებაზე ძალადობა და სულიერების იგნორირება გახდა პოლიტიკური ნების საგანი, რამაც გამოიწვია დეჰუმანიზებული ტექნოკრატიული მენტალიტეტის ჩამოყალიბება“ - აღნიშნულია „საქართველოს სახელმწიფო მართვის სისტემის რეფორმის პროგრამაში.“ (1995 წ.)

ადამიანები ძალადობის მსხვერპლნი შემთხვევით ან შერჩევით ხდებიან.

ძალადობრივი ქმედების არაერთჯერად ფორმას წარმოადგენს ტერორიზმი. ყველასათვის ნათელია, რომ მე-20 საუკუნის დამდეგს ტერორიზმი იქცა თანამედროვეობის ერთ-ერთ მწვავე მოვლენად. გლობალური პროცესები, რომელთა არსებობაც განპირობებულია დღევანდელი ცივილიზაციის სპეციფიკურობით და განვითარების სხვადასხვა დონით, ეხება არა მარტო ცალკეული ადამიანების, სოციალური ჯგუფების, ერების, სხვადასხვა ფენების, რეგიონების, ქვეყნების და კონტინენტების, არამედ მთლიანობაში მთელი მსოფლიოს ინტერესებს.

სსრ კავშირის დაშლის შემდეგ მოვლენების განვითარებამ ნათლად დაგვანახა, რომ ისეთი ტიპის დანაშაული, როგორიცაა ტერორიზმი, ძალას იკრეფს არა მარტო საქართველოში, არამედ თანამეგობრობის ქვეყნებსა და შავი ზღვის რეგიონში.

სიტყვა ტერორი ლათინური წარმოშობისაა, ითარგმნება როგორც „შიში“, „საშინელება“. ზოგადად ნებისმიერი ძალადობის

აქტი, მკვლელობა, მძევლად აყვანა და სხვ. შეიძლება მიეკუთვნოს ტერორისტული აქტების კატეგორიას იმდენად, რამდენადაც ამ აქტის მიზანია პიროვნების დაშინება, შემუსვრა.

ძალადობის ფესვები გადგმულია ძალიან შორს. ის იწყება იმ პერიოდიდან, როდესაც მოხდა საზოგადოების დაყოფა კლასებად, როდესაც გაჩნდნენ სახელმწიფოები.

მონათმფლობელური წყობილებისათვის დამახასიათებელი ძალადური მეთოდებით პოლიტიკური მოწინააღმდეგის დათრგუნვამ, ფართო გამოყენება პოვა ფეოდალიზმის დროსაც და ბოლოს გაიფურჩქნა კაპიტალიზმისა და სოციალიზმის დაპირისპირების პერიოდში.

საფრანგეთის ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრის ქრისტიან ბონნეს აზრით, „ტერორიზმი - ეს არის ახალი მოვლენა ისტორიაში... დღევანდელი ტერორიზმი განსაზღვრული ინტელექტუალური ლოგიკისა და ძალადობის ფილოსოფიის შედეგია, რომელიც არ არსებობდა მე-19 საუკუნეში".*

როგორც ცნობილია, მარქსიზმ-ლენინიზმი ძირითადად ემყარებოდა კლასობრივი ბრძოლის პრინციპს, რომლის მიხედვითაც იდეოლოგია ყოველთვის კლასობრივია, პარტიულია, ე.ი. ემსახურება გარკვეული კლასის ინტერესებს. მარქსიზმ-ლენინიზმი თავიდანვე წარმოიშვა და განვითარდა როგორც ყველაზე რევოლუციური კლასის - პროლეტარიატის მსოფლმხედველობა. მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიული პრინციპებიდან გამომდინარე, მეცნიერულად დასაბუთებული იყო, რომ სსრკ-ში ძალადობას არ გააჩნდა სოციალური ბაზა და ის, როგორც პოლიტიკური მოვლენა საბჭოთა სინამდვილეში არ არსებობდა. თუმცა ის ფაქტი, რომ კანონმდებლობაში გათვალისწინებული იყო დანსჯადობა ტერორისტული საქმიანობისათვის, მიანიშნებდა ძალადობრივი ხასიათის გამოვლინებების მიმართ საბჭოთა ქვეყნის უარყოფით დამოკიდებულებაზე.

თანამედროვე მკვლევარები ტერორისტული საქმიანობის კლასიფიკაციისას გამოყოფენ სხვადასხვა ფორმებს, რომელთაგან აღსანიშნავია სუბვერსიული და რეპრესიული ტერორი. პირველი, როგორც წესი, მიმართულია ქვეყნის შიგნიდან ამა თუ იმ ხელისუფლების პოლიტიკური სისტემის დესტაბილიზაციისაკენ, რისთვისაც ფართოდ გამოიყენება ძალადობის სხვადასხვა ხერხები და მეთოდები (აფეთქება, მკვლელობა, მძევლად აყვანა და სხვა). რეპრესიული ტერორი, პირიქით, მიმართულია არსებული პოლიტიკური სისტემების,

---

* В. Замковой, М.Ильчиков - "Терроризм - глобальная проблема современности".

ძალაუფლების შენარჩუნებისაკენ და განმტკიცებისაკენ, რეალური და წარმოსახვითი მოწინააღმდეგის განადგურების ან იზოლაციისაკენ.

რეპრესიული ტერორის უმთავრესი გამოვლინება, თვლიან მკვლევარები, არის სახელმწიფო ტერორი, რომელიც თავის აპოგეას აღწევს ხელისუფლების (სისტემის) ტოტალიტარული მმართველობის პირობებში, როდესაც მოსახლეობაზე, იმისდამიუხედავად თუ რამდენად ლოიალური და კანონმორჩილია ის, ხორციელდება მიზანმიმართული და მასირებული ზემოქმედება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში არ იგულისხმება ხელისუფლების ის მოქმედებები, რასაც მთავრობა მიმართავს საკუთარი მოსახლეობის ქონებრივი და სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად, რაც ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური სტაბილურობის გარანტია.

სახელმწიფო ტერორი თავის გამოხატულებას ძირითადად პოვებს ფიზიკურ და სულიერ ტერორში. ფიზიკური ტერორი - ეს არის არსებულ ან წარმოსახვით (შეთხზულ) მოწინააღმდეგეზე სხვადასხვა უმძიმესი და სასტიკი მეთოდებით პირდაპირი ფიზიკური ზემოქმედება.

სულიერი ტერორი პრაქტიკულად ფიზიკური ტერორის დამატებაა. ორივე ეს ფორმა ერთმანეთთან განუყოფლადაა დაკავშირებული და ემსახურება ერთიდაიგივე მიზანს - საკუთარი მსხვერპლის ფიზიკურ და მორალურ თავბრუდახვევას. აღსანიშნავია, რომ სულიერი ტერორი გამოირჩევა გარკვეული სპეციფიურობით და წარმოადგენს ტოტალიტარული რეჟიმის ფსიქოლოგიური კლიმატის შემქმნელ საშუალებას.

სულიერი ტერორი უპირველეს ყოვლისა გამოიხატება სხვაგვარად მოაზროვნეთა დევნაში, შიშის დანერგვაში, თავისუფლებისა და ცხოვრების შეზღუდვაში, „ხალხის მტრებად" გამოცხადებაში, ნორმალური ადამიანური ფსიქიკის დეფორმაციაში.

სულიერი ტერორის საბოლოო მიზანი ახალი ტიპის - ადამიანი-კომფორმისტის, ცხოვრებაგალაღებული ზომბის შექმნაა.

აღსანიშნავია ისიც, რომ სოციალური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ფაქტორების გარდა, რომლებიც წარმოადგენს ძალადობის აქტების საფუძველს, მიუხედავად მათი გამოხატვის ფორმისა, არსებობს წმინდა ბიოლოგიური ფაქტორები, რომლებიც უკავშირდება პიროვნების როგორც სოციალ-ბიოლოგიური ინდივიდის თავისებურებებს.

როგორც თანამედროვე რუსი მეცნიერ-ფსიქოლოგი მ. ბუიანოვი მიანიშნებს: „ყოვლისშემძლე სახელმწიფო მრისხანედ უსწორდებოდა ყველას, ვინც მისით არ იყო აღფრთოვანებული, კეთილგანწყობის

მთელი ისტორიის მანძილზე საკუთარი ხალხის წინააღმდეგ ტოტალიტარული რეჟიმის არნახულმა რეპრესიებმა გამოიწვია ადამიანების პარალიზება. მათ გამოუმუშავდათ შიშის, საკუთარი არასრულფასოვნებისა და ურწმენოების გრძნობა. ამ ადამიანებს გაუჩნდათ რეჟიმის წინაშე დანაშაულის მყარი შეგრძნება, თუმცა იყვნენ ერთეულები, რომლებსაც ეჭვი ეპარებოდათ რეჟიმისა და მათი ბელადების სიმართლეში." *

„ყოველ პიროვნებასთან მიმართებაში ჩემი პოზიცია ჩემს თავთან შინაგან ბრძოლაში ყალიბდებოდა. შესაძლოა სწორედ ამ შინაგანი ბრძოლის შედეგად მივედი იქამდე, სადამდეც მივედი და რამაც გარდაქმნის აქტიურ მომხრედ მაქცია. ამ ბრძოლამ ისევე როგორც ქვეყნის მდგომარეობის შესახებ სიმართლის ცოდნამ, მიმიყვანა იმ დასკვნამდე, რომ არსებულ ბოროტებათა ფესვები ცალკეულ ადამიანებში კი არ არის, არამედ სისტემაშია და ადამიანები ამ სისტემისადმი იმიტომ არიან მტრულად განწყობილნი, რომ ის ულმობელია ადამიანის პიროვნებისადმი, რომ ტოტალიტარიზმის პირობებში შეუძლებელია ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის უზრუნველყოფა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ შეუძლებელია ქვეყნის ნორმალური განვითარების უზრუნველყოფა.

„ყველაფერი დალპა, ყველაფერი უნდა შეიცვალოს", - მე ეს ნამდვილად ვუთხარი გორბაჩოვს ბიჭვინთაში 1984 წლის ზამთრის ერთ საღამოს და ამ სიტყვებზე არც დღეს ვამბობ უარს." **

---

* Буянов М. "Ленин, Сталин и психиатрия. М. 1993, с. 10.

** ე. შევარდნაძე - „ჩემი არჩევანი - დემოკრატიის და თავისუფლების დასაცავად." - 1992 წ.



„ღმერთმა ქნას, კარგი გამოდგეს კაცი,
მე არ მგონია რომელიც კარგი!
და, ღმერთმა ნუ ქნას, გამოდგეს ავი,
კაცი, რომელიც მგონია კარგი!“

მუხრან მაჭავარიანი

წინათქმა

1976 წლის 12 აპრილს დედაქალაქის ცენტრში, მთავრობის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე მოხდა მძლავრი აფეთქება, რომელმაც გამოიწვია შენობების დაზიანება. საბედნიეროდ, მას მსხვერპლი არ მოჰყოლია. ორი დღის შემდეგ, მსგავსი აფეთქება მოხდა ქ. ქუთაისში, ერთ-ერთ პარკში. მსხვერპლი არც ამ აფეთქებას მოჰყვა, დაზიანდა პარკის მიმდებარე რამდენიმე შენობა-ნაგებობა.

მხოლოდ რამდენიმე ხნის შემდეგ გახდა ცნობილი, რომ 1975 წლის 22 ივლისს ანალოგიური ხელწერით მომხდარა აფეთქება ქალაქ სოხუმში საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის შენობასთან, რომელსაც, სამწუხაროდ, ემსხვერპლა შემთხვევითი გამვლელი.

ჩემი თაობის ახალგაზრდობას (ვამთავრებდით საშუალო სკოლას) და სხვებსაც კარგად ახსოვთ, რომ ინფორმაცია აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, გასაგები მიზეზების გამო, მაქსიმალურად გასაიდუმლოებული იყო. მომხდარის ირგვლივ იმდროინდელი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები პრაქტიკულად არაფერს იტყობინებოდნენ.

მოგვიანებით, ფ.ე. ძერჟინსკის სახელობის სსრ კავშირის უშიშროების კომიტეტის უმაღლეს სკოლაში სწავლის პერიოდში, როდესაც მე და ჩემმა მეგობარმა სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების ფარგლებში, სხვებთან ერთად დავათვალიერეთ სსრ კავშირის უშიშროების კომიტეტის „ჩეკისტის დარბაზი“, სხვა უამრავ საინტერესო მასალებს შორის ჩვენი ყურადღება მიიქცია ერთ-ერთმა მოცულობითმა სტენდმა, რომელზეც

ასახული იყო ვინმე ვლადიმერ ჟვანიას ანტისაბჭოთა საქმიანობა. აღნიშნულმა ექსპოზიციამ ჩვენში, როგორც ქართველებში, შინაგანი დისკომფორტი და უკმაყოფილების გრძნობა გამოიწვია, მაგრამ მოცემულ მომენტში მხოლოდ იმ მშრალი ინფორმაციით დავკმაყოფილდით, რაც სტენდზე ფოტო და გრაფიკული ხერხებით იყო წარმოდგენილი. ჩემი ინტერესი ვლ. ჟვანიას პიროვნებისა და მისი საქმიანობისადმი განსაკუთრებით გამოიკვეთა 80-იანი წლების ბოლოს და 90-იანი წლების დასაწყისში, თუმცა საქართველოს უშიშროების სამსახურის არქივში დაცული საგამოძიებო-საარქივო საქმის გაცნობა სხვადასხვა სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო მაშინ ვერ მოხერხდა.

ამ რამდენიმე ხნის წინ, შემთხვევით, ხელში ჩამივარდა 1977 წლის 7 თებერვლის გაზეთი „კომუნისტი", რომლის ბოლო გვერდზე „საქინფორმის" ასეთ მოკლე შეტყობინებას წავაწყდი:

„1975 წლის ივლისსა და 1976 წლის აპრილში სოხუმში, თბილისსა და ქუთაისში უცნობმა ბოროტმოქმედმა მოაწყო აფეთქებანი, რომელთა შედეგად ერთი კაცი დაიღუპა და ხუთი დაიჭრა. ზარალი მიადგა სახელმწიფო ქონებას.

სახელმწიფო უშიშროების ორგანოების ღონისძიებათა შედეგად დამნაშავე იპოვეს და დააპატიმრეს. ეს აღმოჩნდა 1935 წელს დაბადებული, გაურკვეველი საქმიანობის, სხვადასხვა სისხლის სამართლის დანაშაულისათვის არაერთხელ ნასამართლევი ვლადიმერ გრიგოლის ძე ჟვანია.

ვლ. ჟვანიას საქმე განიხილეს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის ღია სასამართლო სხდომაზე. ჩადენილ დანაშაულში ვლ. ჟვანიას ბრალი მთლიანად დაადასტურა ნივთიერმა საბუთებმა, მოწმეთა ჩვენებამ, ექსპერტიზის დასკვნებმა და სხვა მასალებმა.

განსასჯელმა თავი დამნაშავედ ცნო.

საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ ვლ. ჟვანიას სასჯელის უმაღლესი ზომა მიუსაჯა. სხდომის დარბაზში მყოფნი კმაყოფილებით შეხვდნენ განაჩენს."

განცხადების ბოლო წინადადებამ - „სხდომის დარბაზში მყოფნი კმაყოფილებით შეხვდნენ განაჩენს" - სერიოზული საფიქრალი გაგვიჩინა. რა იყო იმ კმაყოფილების საფუძველი, რომელიც მაშინდელმა საზოგადოებამ (თუკი ეს მართლა ასე იყო) ადამიანის, ქართველი კაცის სიკვდილით დასჯით რომ განიცადა? ანდა, ვინ იყო სინამდვილეში „სხვადასხვა სისხლის სამართლის დანაშაულისათვის არაერთხელ ნასამართლევი", „გაურკვეველი საქმიანობის" ვლ. ჟვანია?

დამნაშავე დაისაჯა

1975 წლის ივლისსა და 1976 წლის აპრილში სოხუმში, თბილისსა და ქუთაისში ფეოლობა ბოროტმოქმედმა ხელოვნური ფეიერვერკები, რის შედეგადაც ორი პირი დაიღუპა და ხუთი დაშავდა ზარალი მიადგა სახელმწიფო ქონებას.

სახელმწიფო უსაფრთხოების ორგანოებს ლონისძიებათა შედეგად დამნაშავე ივანეს [illegible] ეს [illegible] 1935 [illegible] დაბადებული, [illegible] ადგილსამყოფელი, სხვადასხვა სისხლის სამართლის დანაშაულისათვის ადრითვე ნასამართლევი ვლადიმერ ბრიგოლის-ძე ჟვანია.

ვ. ბ. ჟვანიას საქმე კასაციის საფარველით სსრ კავშირის სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია ორ სასამართლო სხდომაზე. ბიუროს დანაშაულში ვ. ბ. ჟვანიას ბრალი ნოტარიუსი ლადასტერის ბიუროს [illegible], მოწმეთა [illegible], [illegible] დასკვნებმა და სხვა ფაქტებმა.

ანგარიშგება თავი დამნაშავეებ [illegible].

საქართველოს სსრ კავშირის სასამართლომ ვ. ბ. ჟვანიას [illegible] ორმაგი ხუთი [illegible] სრულის დარეკვა [illegible] [illegible] [illegible]. (საინფორმაციო).

Преступник наказан

В июле 1975 г. и в апреле 1976 г. в городах Сухуми, Тбилиси и Кутаиси неизвестным злоумышленником были произведены взрывы, в результате которых погиб один и получили ранения пять человек, нанесен ущерб государственному имуществу.

Принятыми органами государственной безопасности мерами преступник разыскан и арестован. Им оказался Жвания Владимир Григорьевич, 1935 года рождения, без определенных занятий, ранее неоднократно судимый за различные уголовные преступления.

Дело по обвинению Жвания В. Г. рассмотрено на открытом судебном заседании коллегии по уголовным делам Верховного суда Грузинской ССР. Виновность Жвания В. Г. в совершенных преступлениях полностью доказана вещественными доказательствами, показаниями свидетелей, заключениями экспертиз и другими материалами.

Подсудимый виновным се[illegible]

[illegible] суд [illegible] мере на[illegible]

[illegible] в за[illegible] [illegible]чен [illegible]

(Грузинформ).

ᲒᲐᲠᲓᲐᲡᲬᲚ ᲓᲚᲔᲗᲐ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐᲓᲐᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲓᲐᲜ ᲨᲔᲛᲠᲩᲔᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ...

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲐᲠᲥᲘᲕᲘᲓᲐᲜ

ᲰᲔᲚᲡᲘᲜᲙᲘᲡ ᲯᲒᲣᲤᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

ᲤᲔᲘᲚᲘᲢᲝᲜᲘ

ᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲮᲕᲠᲘᲢᲔᲡ ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲥᲕᲐᲜᲘᲐ?

ერთადერთი, რაც ჩანაფიქრის განხორციელებაში შინაგან წინააღმდეგობას იწვევდა, იყო ადამიანის მსხვერპლი, რომელიც მოჰყვა ერთ-ერთ აფეთქებას. თუმცა იმდენად ძლიერი იყო საქმის მასალებისა და პირადად ვლ. ჟვანიას პიროვნების გაცნობის სურვილი, რომ ფსიქოლოგიური ბარიერი დაძლეულ იქნა.

და აი, ჩვენ წინ დევს საქართველოში ბოლო წლების მოვლენებს სასწაულებრივად გადარჩენილი თხუთმეტტომიანი საარქივო სისხლის სამართლის საქმე № 118. სამწუხაროდ განადგურებული აღმოჩნდა ოპერატიულ-საძებრო საქმიანობის ამსახველი მასალები. ზუსტად 25 წელი გვაშორებს ვ. ჟვანიას მიერ ჩადენილი პირველი დანაშაულიდან.

შევხვდით და ვესაუბრეთ ბევრ ადამიანს, რომელთაც ასე თუ ისე შეხება ჰქონდათ ვლ. ჟვანიას პიროვნებასთან: ახლობლებს, ნათესავებს, საგამოძიებო და ოპერატიული საქმიანობის მსვლელობასთან დაკავშირებულ საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ყოფილ და სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს მოქმედ თანამშრომლებს. ზოგიერთი მოსაზრებები და ვლ. ჟვანიას ცხოვრებისათვის დამახასიათებელი ცალკეული მომენტები უცვლელად გვაქვს გადმოტანილი წიგნში.

სამწუხაროდ, ბედის უკუღმართობამ, საქართველოში, კერძოდ აფხაზეთში დატრიალებულმა ტრაგიკულმა მოვლენებმა, იძულებით გადაადგილებულად აქცია ვლ. ჟვანიას ნათესავები და ახლობლები, რომლებთანაც ის ხშირად სტუმრობდა სოხუმსა და გაგრაში. აქედან გამომდინარე, ვერ მოხერხდა მათთან დაკავშირება და საუბარი, რომელიც ვფიქრობთ, დიდად წაადგებოდა ჩვენს ჩანაფიქრს.

ვლადიმერ ჟვანიასა და მისი ოჯახის ცხოვრების ეპიზოდები ძირითადად აგებულია მოწმეთა ჩვენებებზე, მისი უფროსი და-ძმის, ბატონი გრიგოლისა და ქ-ნი ნინოს ნაამბობსა და მათ საოჯახო არქივში დაცულ მასალებზე.

ქართულმა საზოგადოებრიობამ ვლადიმერ ჟვანიას პიროვნების მიმართ დიდი ინტერესი გამოიჩინა 90-იანი წლების დასაწყისში. პრესაში დაიბეჭდა რამდენიმე საინტერესო პუბლიკაცია და მოსაზრება:

1. გაზეთი „საქართველო“, 1990 წ. 27 თებერვალი, „ჰელსინკის ჯგუფის ისტორია და ამოცანები საქართველოში“ - ეროვნული მოძრაობის არქივიდან. მერაბ კოსტავა, 1987 წლის 3 დეკემბერი.

2. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1990 წ. 6 დეკემბერი, „როგორ მზადდებოდა 9 აპრილის ტრაგედია“ - ინტერვიუ სუკ-ის

ყოფილ თავმჯდომარესთან, გენერალ-მაიორ ო. ხატიაშვილთან.

3. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1991 წ. 25 აპრილი, „საქართველოდან შორს საქართველოზე...“ - გარდასულ დღეთა ქრონიკა.

4. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1991 წ. 20 ივლისი, „რისთვის დახვრიტეს ვლადიმერ ჟვანია“ - ავტორი ლარისა ხუბულური.

5. ყოველთვიური ლიტერატურული ჟურნალი „განთიადი“ - 1991 წლის მე-5 ნომერი - მწერალ ელგუჯა თავბერიძის პროზაული ნაწარმოები „რატომ დახვრიტეს ვლადიმერ ჟვანია“.

აღნიშნული პუბლიკაციებით საქართველოს მაშინდელი ხელისუფლებისათვის პრაქტიკულად შემზადებული იყო ნიადაგი ვლადიმერ ჟვანიას თუნდაც ზნეობრივი რეაბილიტაციისათვის. ვფიქრობთ, ამის გაკეთება არც დღეს არის გვიან.

როგორც ჩანს, ინტერესი ვლადიმერ ჟვანიას ცხოვრების, მისი სულიერი სამყაროს, იდეალებისა და პოლიტიკური მრწამსის მიმართ ჯერ კიდევ არ განელებულა, პირიქით...

იანვარი 2000 წ.

„ადამიანს ყველაზე დიდ შეურაცხყოფას მაშინ აყენებენ, როდესაც იცოდებენ.“

ნიცშე



• • •

ვლადიმერ ჟვანიას საკმაოდ მძიმე ბავშვობა ჰქონდა.

იგი დაიბადა 1935 წელს ქ. ქუთაისში, სამხედრო მოსამსახურის ოჯახში. მასთან ერთად იზრდებოდნენ მისი უფროსი და-ძმა ნინო და გრიგოლი. მათი საგვარეულო შტო სენაკის რაიონიდან მომდინარეობს. ვ. ჟვანიას ბაბუის მამა სენაკში განათლებული, შეძლებული და ცნობილი აზნაური ყოფილა. მან იუკადრისა, რომ მისმა ვაჟმა გლეხის ქალი შეირთო ცოლად და აიძულა შვილი წასულიყო ოჯახიდან. ასე აღმოჩნდა ვლ. ჟვანიას ბაბუა ქ. ფოთში. ცხოვრობდა ერთ პატარა მიწურ სახლში სიღარიბესა და უკიდურეს გაჭირვებაში. დაახლოებით 14-15 წლის ასაკში ვ. ჟვანიას მამა გრიგოლ ჟვანია, რომელიც ფოთში იზრდებოდა მშობლებთან, ბიძამ, გვარად ჩაჩავამ (ვაჭარმა), სამუშაოდ წაიყვანა „პრიკაზჩიკად“ მოსკოვში. აქვე მოუსწრო რევოლუციამ. იგი აქტიურად ჩაერთო რევოლუციურ ქარტეხილებში. ახალგაზრდა, 17-18 წლის ყმაწვილი უკვე პოლკის მეთაური ხდება კოლჩაკის ფრონტზე. 1921 წელს მე-11 არმიასთან ერთად ბრუნდება საქართველოში.

რევოლუციის პერიოდში გრიგოლ ჟვანიამ რუსეთში ყოფნისას გაიცნო და ცოლად შეირთო მოსკოვში ამერიკის თუ კანადის საელჩოს ყოფილი თანამშრომელი ვინმე ბრაუნი. როგორც ახლო ნათესავები ადასტურებენ, მათ ჰყავდათ ერთი ვაჟიშვილი - სახელად იური. გრიგოლ ჟვანიას საქართველოში დაბრუნებიდან ცოტა ხნის შემდეგ ჩამოვიდა მისი ცოლ-შვილიც. ნათესავებს და ახლობლებს მისი უცხოელი მეუღლის შესახებ პრაქტიკულად არანაირი ინფორმაცია არ გააჩნიათ. იციან მხოლოდ, რომ როდესაც გრიგოლ ჟვანიას სიდედრი ჩამოსულა საზღვარგარეთიდან, აღშფოთებულა იმ პირობებით, რომელშიც იმყოფებოდა მისი ქალიშვილი და შვილიშვილი

და მოუთხოვია მათი სასწრაფოდ დაბრუნება სამშობლოში. მაგრამ ქალიშვილს მისთვის სასტიკი უარი განუცხადებია. თუმცა მოგვიანებით ის მაინც გამგზავრებულა დედასა და ბავშვთან ერთად.

ნათესავებს კარგად ახსოვთ, თუ როგორ აცილებდნენ ნავსადგურში გ. ჟვანიას მეუღლესა და შვილს საზღვარგარეთ, მაგრამ თუ საით წავიდნენ ისინი - დღემდე უცნობია. ეს ყოველივე ხდება 1921-27 წლებში.

1928 წელს გრიგოლ ჟვანიამ სამხედრო ნაწილში გაიცნო და შემდეგ მეორედ იქორწინა ვლადიმერ ჟვანიას დედაზე ნინა რომანის ასულ ნატროშვილზე. მათ 1930 წელს ეყოლათ ნინო, 1931 წელს - გრიგოლი, ხოლო 1935 წელს - ვლადიმერი (ოჯახში ვალიკოდ დარქმეული).

1938 წლამდე ჟვანიების ოჯახი ცხოვრობდა ქუთაისში, ქალაქის ცენტრში, ოროთახიან ბინაში. იმ დროისათვის გრიგოლ ჟვანია იყო ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ვაჭრობის ქუთაისის ქვეგანყოფილების უფროსი.

1938 წლის 20 თუ 21 თებერვალს ღამით, გრიგოლ ჟვანია, როგორც „ხალხის მტერი", დააპატიმრეს და 30 აპრილს სამეულის გადაწყვეტილებით დახვრიტეს.

ვლადიმერ ჟვანიასთან დაკავშირებული მასალების მოძიების და კვლევის პროცესში გამოიკვეთა მისი ოჯახისათვის დღემდე უცნობი ფაქტი. კერძოდ, ქალბატონ ნინა და ბატონ გრიგოლ ჟვანიებისათვის დღემდე ცნობილი იყო, რომ მათი მამა - გრიგოლ ჟვანია, 1938 წელს დააპატიმრეს და გადაასახლეს ციმბირში, სადაც ის, თითქოსდა, 40-იანი წლების დასაწყისში გარდაიცვალა ღვიძლის ავადმყოფობით. მათთვის ასევე ცნობილი იყო, რომ ი.ბ. სტალინის გარდაცვალების შემდეგ, უფრო ზუსტად 1956 წელს, მოხდა მამის რეაბილიტაცია. აღნიშნულის დასადასტურებლად მიუღიათ რეაბილიტაციის დოკუმენტი, ამონაწერი თუ გარდაცვალების მოწმობა.

„სად დაიღუპა მამა, არ ვიცით, მგონი ციმბირში. შემდგომში, მე მგონი, რეაბილიტაციაში მოჰყვა და ქაღალდიც მიიღო დედაჩემმა..." (ნ. ჟვანია)

„მამის რეაბილიტაციით იმდენად გახარებული ვიყავი, რომ მიუხედავად ჩემი მცირე ხელფასისა, მაინც აღვნიშნე ეს სასიხარულო ფაქტი მეგობრებთან ერთად". (გ. ჟვანია)

აღნიშნულ პერიოდთან დაკავშირებით ბატონი გრიგოლი იხსენებს ერთ უცნაურ ეპიზოდს: მამის დაპატიმრებიდან რამდენიმე

ხნის შემდეგ ვლადიმერ ჟვანიას ბაბუასთან, რომან ნატროშვილთან მისულა უცხო პირი, რომელსაც შეუტყობინებია რამდენიმე დღეში გ. ჟვანიას სხვა ტუსაღებთან ერთად ციმბირში გადაყვანის თაობაზე, რისთვისაც საჭირო იყო თბილი ტანსაცმელი. ის ასევე დაპირდა პატიმრის ჩვენებას ოჯახის რომელიმე წევრს გამგზავრების წინ. საინტერესოა, რომ გ. ჟვანიას თქმით, ეს „შეხვედრა" მართლაც შემდგარა საკმაოდ უცნაურ ვითარებაში. კერძოდ, რკინიგზის სადგურ „ნავთლულის" შენობის მომცრო ოთახში, რომლის შუაშიც ფარდა იყო ჩამოფარებული, უცნობმა გამოართვა სანახავად მისულ ვლადიმერის ბიძას, ბორის ნატროშვილს ტანისამოსი, გაიტანა ფარდის იქით და იქიდან გაისმა მისი შეკითხვა - „შეადარე სიას, ყველაფერი თუ არისო." ცოტა ხნის შემდეგ გაისმა თითქოსდა გრიგოლ ჟვანიას პასუხი: - „ყველაფერი კარგად არისო..."

რეალურად რა მოხდა ჟვანიებისათვის აპრილის იმ ავბედით დღეებში?

1938 წლის 28 აპრილს შედგა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა კომისარიატთან არსებული სამეულის სხდომა (ოქმი № 110). ესწრებოდნენ სამეულის თავმჯდომარე, სამეულის წევრები, სპეცსაქმეების პროკურორი და მდივანი. სხდომამ განიხილა საქმე № 36966 (შთამბეჭდავი ციფრია) რომელიც წარმოებაში ჰქონდა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა კომისარიატის სახელმწიფო უშიშროების სამმართველოს მე-5 განყოფილებას. სხდომაზე მოისმინეს გრიგოლ დიმიტრის ძე ჟვანიას (ქ. ფოთში 1900 წელს დაბადებულის, ქართველის, საბჭოთა მოქალაქის, მუშის ოჯახიდან, მოსამსახურის, 1921 წლიდან რკპ (ბ) წევრის, იმჟამად საქმის გამო პარტიიდან გარიცხულის) საქმე.

გ. ჟვანია მუშურ-გლეხური წითელი არმიის მოქმედ შემადგენლობაში იყო 1918 წლიდან 1933 წლამდე პერიოდულად. „თეთრ არმიაში" საკუთარი ნებით იმყოფებოდა ერთ თვეს. დაპატიმრებამდე იყო სამხედრო ვაჭრობის ქუთაისის ქვეგანყოფილების უფროსი.

საქმე განხილულ იქნა იმასთან დაკავშირებით, რომ იმყოფებოდა რა გ. ჟვანია 1934 წლიდან ტროცკისტული ორგანიზაციის არალეგალური სამხედრო კონტრდაზვერვის და ამავე დროს 1936 წლიდან მავნებლური ორგანიზაციის სამხედრო კონტრდაზვერვის წევრად, ეწეოდა მავნებლობას ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ვაჭრობის ქუთაისის ქვეგანყოფილებაში. ე.ი. ჩაიდინა დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის

58-7 და 58-11 სტატიებით.

ბრალდებულმა თავი დამნაშავედ ცნო.

სამეულმა დაადგინა: გრიგოლ დიმიტრის ძე ჟვანია დ ა ი ხ ვ რ ი ტ ო ს. კუთვნილი პირადი ქონება კონფისკებულ იქნეს.

ჩვენს მიერ მოძიებული დოკუმენტი შესრულებულია ერთ გვერდზე რუსული ნაბეჭდი ტექსტით. დაფიქსირებულია თავმჯდომარის, სამეულის წევრების და მდივნის ხელმოწერები.

2000 წლის 19 ივნისს საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს მიერ, დადგენილი წესით, გაცემულ ცნობაში ვკითხულობთ, რომ „მოქალაქე გრიგოლ დიმიტრის ძე ჟვანია, დაბ. 1900 წ. ქ. ფოთში, ამიერკავკასიის სამხედრო ვაჭრობის ქუთაისის ქვეგანყოფილების უფროსი, რომელსაც საქართველოს სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის 1938 წ. 28 აპრილის დადგენილებით სისხლის სამართლის კოდექსის 58-7 (საბოტაჟი), 58-11 (ყოველგვარი ორგანიზებული ქმედობა, მიმართული დანაშაულის მომზადების და ჩატარებისათვის) მუხლების საფუძველზე მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა (ამჟამად საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წ. 16 იანვრის ბრძანებულების პირველი პუნქტის თანახმად რეაბილიტირებულია). განაჩენი მოყვანილ იქნა სისრულეში 1938 წლის 30 აპრილს".

ასეთი იყო იმ ავბედით წლებში რეპრესირებული კიდევ ერთი ადამიანის ტრაგიკული ბედი.

ძალაუნებურად გვახსენდება რუსეთში რევოლუციური ტერორის ერთ-ერთი ცნობილი ორგანიზატორის მ. ლაცისის სიტყვები: „რუსეთში ჩვენ ვანადგურებთ ბურჟუაზიას, როგორც კლასს. ამდენად არავითარ აუცილებლობას არ წარმოადგენს დაამტკიცოთ გამოდიოდა ესა თუ ის პიროვნება სიტყვით ან საქმით. საბჭოთა ხელისუფლების წინაღმდეგ. პირველი, რაც თქვენ უნდა ჰკითხოთ დაპატიმრებულს, ეს არის შემდეგი: რომელ კლასს ეკუთვნის, როგორია მისი წარმომავლობა, რა განათლება აქვს მიღებული და რა სპეციალობისაა? ამ შეკითხვებმა უნდა გადაწყვიტონ დაპატიმრებულთა ბედი. სწორედ ეს არის წითელი ტერორის კვინტენსენცია".*

ბუნებრივია იბადება კითხვა - რატომ დროულად არ აუწყეს „ტროიკის" მიერ მიღებული საბოლოო გადაწყვეტილების თაობაზე გ. ჟვანიას ახლობლებსა და ნათესავებს?

---

* Мелгунов С.П. Красный террор в России (1918- 1923), М, 1900 г. 1 октября 1918 г. с. 8.

საკითხის უფრო ღრმად შესწავლისას გაირკვა, რომ 30-იან წლებში რეპრესიების შედეგად მსხვერპლი იმდენად დიდი იყო, რომ მაშინდელ ხელისუფლებას აღარ აწყობდა მათი რეალური რაოდენობის გახმაურება და ამიტომ ცდილობდა სისხლიანი ფაქტების მიჩქმალვას. მორიგი დიდი სიცრუე საზოგადოებას ემცნო უკვე ი.ბ. სტალინის გარდაცვალების შემდეგ. კერძოდ, 1956 წელს, როდესაც რეაბილიტაციის პირველმა ტალღამ გადაიარა. დახვრეტილთა ოჯახებზე გაიცა ცნობები, რომ მათი ახლობლები გარდაიცვალნენ ციმბირის ბანაკებში. სიმართლე საბოლოოდ გაირკვა მხოლოდ ოთხი ათეული წლის შემდეგ, „პერესტროიკის“ პერიოდში.

„საშინელი პერიოდი იყო მაშინ - იგონებს ნინო ჟვანია-სედიხი - ყველას იჭერდნენ. მახსოვს, იმ დროს პირველ კლასში ვიყავი. ღამე გამოგვაღვიძეს და წამოგვყარეს სუყველა. გაჩხრიკეს სახლი, წაიღეს ყველაფერი. ერთი კი გვითხრეს გრიგოლ ჟვანია „враг народа - აო“ და ამით დამთავრდა ყველაფერი...“

ჟვანიების ოჯახი სასწრაფოდ გამოასახლეს და დატოვეს ბედის ანაბარა. ამის შემდეგ ისინი ხან ერთ ნათესავთან ცხოვრობდნენ, ხან მეორესთან. ასეთ პირობებში ცხოვრება გაუსაძლისი იყო და მათი ოჯახი 1938 წელს დაიშალა. ნინო და გრიგოლი წაიყვანა ბებიამ დედის მხრიდან, ხოლო ვლადიმერი მეორე ბებიამ მამის მხრიდან და ცხოვრობდა მასთან ფოთში. ბებიასთან ვლ. ჟვანია ათ წლამდე იზრდებოდა.

ფოთელი ბებია,. პარტიული, თუმცა მორწმუნე, ქალი ყოფილა. „პირჯვარს რომ იწერდა და ლოცულობდა, იმალებოდა-არავინ დამინახოსო“ - იგონებს ნ. ჟვანია-სედიხი.

ვლ.ჟვანია იმდენად შეეჩვია ბებიასთან ცხოვრებას, რომ შემდგომში მას ძალიან გაუჭირდა დედასთან ურთიერთობა. ის დედას ნინადედას ეძახდა.

„ვალიკო დედასთან რომ მოვიდა, რაღაც ვერ შეეგუა, სულ წასვლა უნდოდა მამიდაჩემთან...“ (ნ.ჟ.)

ნინა ჟვანიას არ გააჩნდა არავითარი სპეციალობა. ბავშვების სარჩენად სხვადასხვა მძიმე სამუშაოებს ასრულებდა ხან ბათუმში, ხან ხულოში... დიდი სამამულო ომის პერიოდში მუშაობდა ჯერ ფოთის ნავსადგურში სამხედრო ბაზაზე (სადაც დაიჭრა დაბომბვის დროს), შემდეგ ჰოსპიტალში სანიტრად და მრეცხავად. მას შემდეგ, რაც ომი დამთავრდა და ბებიაც გარდაიცვალა, ჟვანიების ოჯახი კვლავ შეერთდა და ფოთში ბაბუასეულ პატარა სახლში

გადავიდა (1945 წ.). იქაც უმძიმესი საყოფაცხოვრებო პირობები ჰქონდათ.

ვლადიმერი ამ დროისათვის მესამე კლასში იყო, გრიგოლი - მერვეში. ოჯახს კვლავ უჭირდა. ვლ. ჟვანიას დედა შვილების სარჩენად ყველაფერს ცდილობდა, მუშაობდა სხვადასხვა ადგილას, თეატრშიც კი მსახიობად.

1946 წელს ვლადიმერ ჟვანია დედასთან ერთად საცხოვრებლად გადადის თბილისში. უფროსი ძმა ერთი წლით, სკოლის დამთავრებამდე დარჩა ქ. ფოთში, და - ნინო ამ დროისათვის უკვე დაოჯახებული იყო და ორ მცირეწლოვან ბავშვსა და მეუღლესთან, ვლადიმერ სედიხთან ერთად ცალკე ცხოვრობდა. დედის ავადმყოფობის გამო ვლ. ჟვანია მოკლე ხანში მასთან ერთად საცხოვრებლად გადადის დეიდასთან ქ. რუსთავში.

ერთი წლის შემდეგ ჟვანიების ოჯახი (დედა, გრიგოლი და ვლადიმერი) კვლავ შეერთდა. ცხოვრება განაგრძო თბილისის ერთ ძველ უბანში, ყოფილ კიროვის რაიონში, ერთოთახიან პატარა ბინაში. ვ. ჟვანია სწავლობდა თბილისის 28-ე საშუალო სკოლაში, რომელიც გაურკვეველი მიზეზის გამო 1951 წელს მიატოვა მე-9 კლასიდან. შემდგომში მას უჭირდა იმის ახსნა, თუ რატომ დაანება სწავლას თავი. უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ კი არ უჭირდა, არამედ არავის უმხელდა ამის ნამდვილ მიზეზს. ფაქტია, რომ ნიჭიერმა ახალგაზრდამ თავისი ამ ქცევით პირველად გამოხატა პროტესტი.

აუცილებელია აღინიშნოს ერთი ეპიზოდი, რომელმაც, როგორც ჩანს, გარკვეული როლი ითამაშა ვლ. ჟვანიას მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში: თბილისში საშუალო სკოლაში სწავლის პერიოდში ვ. ჟვანიას კლასს გასცდენია გაკვეთილი. ბავშვებმა სხვა გასართობი რომ ვერ მოძებნეს, ჩამოგლიჯეს კედელზე მიკრული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბელადების პორტრეტები და დაუწყეს ერთმანეთს სროლა. მეორე დღეს ყველა ბავშვი დაკითხეს. ინციდენტს შედეგად მოჰყვა ის, რომ რამდენიმე ბავშვი კლასიდან გარიცხეს.

„ამ ეპიზოდს - იგონებს გრიგოლ ჟვანია - ვალიკო ხშირად იხსენებდა და წუხდა იმაზე, თუ როგორ ცუდად მოექცნენ მაშინ ბავშვებს...“

მოგვიანებით ის წავიდა სახლიდან და ცხოვრობდა მამიდასთან ქ. სოხუმში. *„მე იმიტომ წავედი სახლიდან, რომ დედა ბავშვობიდან არ მახსოვდა, ვიზრდებოდი ბებიასთან...“ (ვ. ჟ.)*

ვლადიმერ ყვანია ახალგაზრდობაში



ყვანიების ოჯახი
მარცხნიდან პირველი ვლადიმერ ყვანია

1953 წელს ჟვანიებმა თბილისის სახლიც გაყიდეს. ვლადიმერმა იმ პერიოდში მოიარა უკრაინის და შუა აზიის ქალაქები: კიევი, ლვოვი, უჟგოროდი, ტაშკენტი, ფერგანა, ამანგელი, ანდიჟანი, ოში. რამდენჯერმე იმყოფებოდა ქ. მოსკოვსა და მოსკოვის ოლქის ქალაქებში.

ვლ. ჟვანიას დედა - ხელმეორედ გათხოვდა და საცხოვრებლად გადავიდა კასპის რაიონის სოფელ ქვემო ხანდაკში. ამ დროისათვის ვლადიმერი უკვე 17 წლის იყო.

ამ ამბავმა ვლადიმერს კიდევ ერთხელ გაუწყვიტა დედის გულისაკენ მიმავალი ბეწვის ხიდი, მაგრამ თავს სძლია და შეეცადა გაბზარული ურთიერთობის აღდგენას. ამ მიზნით ეწვია კიდევაც დედას სოფელში და გადაწყვეტილი ჰქონდა რამდენიმე დღით დარჩენაც, მაგრამ ოჯახში მას საკმაოდ უხეშად მოექცნენ და იძულებული გახდა უკან გამობრუნებულიყო. ვლ. ჟვანიას უკანასკნელი იმედიც ამოეწურა.

მას რწმენად ექცა საკუთარი ტანჯვა-წამება

ეახტანგ ღლონტი

• • •

1946-50 წლებში ვლ. ჟვანია დასთან სტუმრად ვერ ჩადიოდა, ვინაიდან მისი სიძე იმ პერიოდში მსახურობდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის დახურულ გარნიზონებში. 1950-55 წლებში, მას შემდეგ რაც სედიხების ოჯახი ქ. გორში გადმოსახლდა, ვლ. ჟვანიამ ისინი 2-3-ჯერ თუ ინახულა.

1954 წელს გრიგოლ ჟვანიას (რომელსაც უკვე დამთავრებული ჰქონდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და მუშაობდა გუდაუთის რაიონის სოფელ დულრიფშში სკოლის მასწავლებლად) ინიციატივით და დაჟინებული თხოვნით ვლ. ჟვანია მიემგზავრება სოხუმში და იწყებს ძმის დახმარებით მომზადებას სწავლის გასაგრძელებლად.

1954 წელს სწავლა დაიწყო სოხუმის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში. იმავე წლის შემოდგომაზე ქ. ბათუმში ზღვაზე, კატარღაზე ყოფნისას მესაზღვრეებმა დააკავეს, იმ მიზეზით, თითქოსდა საცურაო „ლასტებითა“ და სამაშველო რგოლის მეშვეობით, ცდილობდა საბჭოთა კავშირის საზღვრის გადალახვას. იგი მიიყვანეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში, საიდანაც სამი დღის შემდეგ გაათავისუფლეს, მას შემდეგ რაც ჩაერივნენ და და ბიძა.

ამ ეპიზოდს ვლ. ჟვანია ძალიან ბუნდოვნად იხსენებს:

„...შემოდგომაზე ჩავედი ქ. ბათუმში და როდესაც ვიმყოფებოდი ზღვაში, კატარღაზე დამაკავეს. რატომ დამაკავეს, რა დანაშაულისათვის, ახლა არ მახსოვს. ის კი დამამახსოვრდა, რომ რაღაცას მაბრალებდნენ. როცა გამიშვეს, ისევ დავბრუნდი სოხუმში სწავლის გასაგრძელებლად.“

1955 წლის დასაწყისში ვლ. ჟვანიამ ტექნიკუმში სწავლასაც მიანება თავი. 1951-55 წლებში მუშაობდა დეზინფექტორად, ელექტრიკოსად, ასრულებდა სხვადასხვა სახის სამუშაოებს კერძო პირებთან.

ოფიციალურად პირველად დააპატიმრეს 1955 წლის ოქტომბერში.

1955 წლის 27 ოქტომბერს ვლ. ჟვანიას მიმართ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის

მიერ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 და 84-ე მუხლის პირველი ნაწილით აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. იმავე დღეს მას აღკვეთის ღონისძიებად შეეფარდა პატიმრობა. 11 ნოემბერს წაუყენეს ბრალი საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 და 84-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. კერძოდ, „საკუთარი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით (გადასულიყო არალეგალურად თურქეთში), 1955 წლის 26 ოქტომბერს 19 საათსა და 30 წუთზე გადალახა ბათუმის რაიონის თხილნარის სასოფლო საბჭოს აკრძალული სასაზღვრო ზონა და აღმოჩნდა მდინარე ჭოროხის მარცხენა სანაპიროზე, სადაც ის ხიდთან იქნა დაკავებული სასაზღვრო-საგუშაგო პატრულის მიერ.“ 1955 წლის 6 დეკემბერს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ ვლ. ჟვანია დამნაშავედ ცნო საქართველოს სსრ სსკ-ის მე-19 მუხლის და 84-ე მუხლის 1 ნაწილით და მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. სასჯელს იხდიდა ბათუმისა და თბილისის ციხეებში. ამ ხნის მანძილზე ჩამოერთვა საარჩევნო ხმის უფლება.

საარქივო საგამოძიებო საქმის (№ 2308) მასალებიდან ირკვევა, რომ თურმე „ვლ. ჟვანია ადრე არაერთგზის ეცადა არალეგალურად საზღვრის გადალახვას სსრ კავშირის სხვადასხვა ტერიტორიიდან. ასე მაგალითად, აღნიშნული მიზნის მისაღწევად ის 1953 წლის ოქტომბერში იმყოფებოდა დასავლეთ უკრაინაში, 1954 წლის ნოემბერში ბათუმში და 1955 წლის დასაწყისში ქალაქებში ტაშკენტსა და ოშკში, მაგრამ საზღვრის გადალახვა ვერ მოახერხა.“

იმ პერიოდში ვლ. ჟვანიას საზღვარგარეთ წასვლა რომ მართლაც სურდა, არ უარუყვია არც წინასწარი და არც სასამართლო გამოძიების დროს, თუმცა რა მოტივი ამოძრავებდა, ამაზე არაფერს ამბობდა. გაუგებრობას იწვევს ის გარემოება, რომ (როგორც განაჩენშია მითითებული) ვლ. ჟვანიას თითქოსდა ადრეც არაერთგზის უცდია სსრ კავშირის საზღვრის გადალახვა არალეგალურად, არადა ზემოაღნიშნულ ქალაქებში, იმ წლებში მან მართლაც იმოგზაურა. ეს რომ ასე ყოფილიყო, ადრევე დააკავებდნენ კანონის დარღვევისა ან დარღვევის მცდელობისათვის. საინტერესოა ისიც, თუ რას ნიშნავს არალეგალურად, ისიც თურქეთ-სსრკ-ის საზღვრის გადალახვა? ვლ. ჟვანია ხომ დღისით, მზისით გაემართა ქ. ბათუმიდან და აღმოჩნდა სასაზღვრო ზონაში შესაბამისი ნებართვის გარეშე. მას არ უძებნია შემოვლითი გზები, არ დაუმზადებია

საკომუნიკაციო საშუალებები, არ გამოუყენებია სპეციალური ტექნიკა და ა.შ.

1976 წლის სექტემბერში საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის საგამოძიებო განყოფილების სახელზე, ამ უკანასკნელის თხოვნის საფუძველზე, უკრაინის, სომხეთის, აზერბაიჯანის, უზბეკეთის, ტაჯიკეთის, თურქმენეთისა და ყირგიზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახელმწიფო უშიშროების კომიტეტებიდან მოვიდა წერილობითი შეტყობინება, რომ აღნიშნული რესპუბლიკების უშიშროების ორგანოებს ვლ. ჟვანია 1953-55 წლებში სასაზღვრო რეგიონებში არ დაუკავებიათ.

განაჩენში ვკითხულობთ: „ჟვანიამ, ვერ მოიწყო რა პირადი ცხოვრება, გადაწყვიტა საბჭოთა კავშირის დატოვება და საზღვრის გადალახვა". სასამართლომ მხედველობაში მიიღო აგრეთვე ის, რომ „ჟვანია ხასიათდება უარყოფითად, არ უყვარს მუშაობა..."

საბჭოთა მართლმსაჯულების იმ დროის სიმკაცრეზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ახალგაზრდა, ოცი წლის ყმაწვილს, რომლისთვისაც ეს იყო პირველი დანაშაულებრივი ფაქტი, სასჯელი კი არ შეუმსუბუქდა, პირიქით დაუმძიმდა, მხედველობაში მიიღო რა სასამართლომ მისი „უარყოფითი დახასიათება" და ის, რომ „არ უყვარს მუშაობა". არადა არ გაითვალისწინა მისი გაჭირვებული ბავშვობა, მძიმე ოჯახური წარსული, მამის რეპრესია და იმ პერიოდისათვის უკვე შერყეული ჯანმრთელობა. საინტერესოა, ვის მიერ და რა გარემოებების გამო დახასიათდა ვლ. ჟვანია მაშინ უარყოფითად? თუმცა რა გასაკვირია, ის ხომ იმ პერიოდის, ორმოცდაათიანი წლების მეორე ნახევრის, საბჭოთა ახალგაზრდის სტერეოტიპში არ ჯდებოდა.

1958 წლის აპრილში ვლ. ჟვანია განთავისუფლდა პატიმრობიდან და წავიდა დასავლეთ საქართველოში. ორი თვის მანძილზე ასრულებდა სხვადასხვა სამუშაოებს კერძო პირებთან. შემდგომ, თითქმის ერთი წლის მანძილზე, მუშაობდა სოხუმის №1 სამშენებლო სამმართველოში და ბეტონის ქარხანაში. ცხოვრობდა ამავე სამმართველოს საერთო საცხოვრებელში. 1960-61 წლებში მუშაობდა სამშენებლო ტრესტ „პიცუნდმშენში" ბეტონის ქარხნის მშენებლობაზე.

საერთოდ პატიმრობიდან დაბრუნების შემდეგ ხშირად იცვლიდა სამუშაო ადგილს თვალის ძლიერი ტკივილის გამო. მისთვის აკრძალული იყო მძიმე სამუშაოების შესრულება, მაგრამ თავი ხომ უნდა ერჩინა. ამიტომ ზოგჯერ უწევდა შედარებით მსუბუქი საქმიანობა - ხილით და სოფლის მეურნეობის პროდუქტებით ვაჭრობა. ამ

ხნის მანძილზე ცხოვრობდა იაფფასიან ღამის გასათევ ადგილებში ან კერძო პირებთან სახლში.

ვლ. ჟვანიამ 1961 წელს ექსტერნად დაამთავრა საშუალო სკოლა.

„ჩემი მამიდაშვილი სოხუმში მასწავლებელი იყო. ვალიკოს საშუალო სკოლის გამოცდების ექსტერნად ჩაბარების უფლების მიღებაში დაეხმარა და ვალიკომ გამოცდები ჩააბარა. მათემატიკა და ფიზიკა იცოდა ძალიან კარგად, თვითონ მასწავლებელი მეუბნებოდა ამას.“ (გ. ჟ.)

საშუალო სკოლის ატესტატის მიღების შემდეგ (გამოძიებამ ვერ დაადგინა ატესტატის გაცემის ფაქტი), ვლ. ჟვანიამ გადაწყვიტა მისაღები გამოცდები ჩაებარებინა მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობების სახელმწიფო ინსტიტუტში. გარკვეული პრაგმატული მოსაზრების გამო (რეპრესირებული მამა, სუსტი ჯანმრთელობა, არც თუ ისე სახარბიელო ბიოგრაფია) მისი ძმა, გრიგოლ ჟვანია, ვალიკოს გამგზავრების კატეგორიული წინააღმდეგი იყო, მაგრამ ამ უკანასკნელმა მაინც თავისი გაიტანა და ჩავიდა მოსკოვში. როგორც მოსალოდნელი იყო, ინსტიტუტში მისაღებ გამოცდებზე არ დაუშვეს.



ჯვარს ეცვი თუ გინდა, საშველი
არ არის, არ არის, არ არის!

გალაკტიონი

• • •

1962 წლის 13 ნოემბერს შინაგან საქმეთა სამინისტროს სოხუმის საქალაქო განყოფილების მიერ ვლ. ჟვანიას მიმართ საქართველოს სსრ სსკ-ის 110 მუხლის I ნაწილით (სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება) აღიძრა სისხლის სამართლის საქმე და მას აღკვეთის ღონისძიებად შეეფარდა პატიმრობა. საქმე შემდგომი გამოძიებისათვის გადაეცა ქ. სოხუმის პროკურატურას.

საარქივო-საგამოძიებო საქმიდან ირკვევა, რომ 1962 წლის 11 ნოემბერს, დაახლოებით 23.00 საათზე, ქ. სოხუმში, ბაგრატიონის ქუჩაზე, ვლ. ჟვანიამ, იმყოფებოდა რა არაფხიზელ მდგომარეობაში, ჩხუბი აუტეხა მოქალაქე ვ. ა. მანუხინს, რომელსაც მიაყენა დანით ჭრილობა და სხეულის მძიმე დაზიანება. ვლ. ჟვანიამ ნაწილობრივ აღიარა დანაშაული. აღნიშნა, რომ ჩხუბი წამოიწყო თავად მანუხინმა, რომელმაც ჯერ არ მისცა საშუალება მოქალაქე კამინინას მიეწოდებინა ჟვანიასათვის სიგარეტი და მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, ხოლო შემდეგ უკნიდან მიპარვით დაუწყო ჩხუბი. ვლ. ჟვანიას არ ახსოვს, თუ საიდან გაჩნდა მის ხელში დანა.

სასამართლომ ვლ. ჟვანია ცნო დამნაშავედ საქართველოს სსრ სსკ-ის 110-ე მუხლის მიხედვით და მიუსაჯა ექვსი წლით თავისუფლების აღკვეთა, ვადის მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით.

თვითონ ვლ. ჟვანია თვლიდა, რომ პირი, რომელმაც იგი ჩხუბში გამოიწვია პროვოკატორი იყო. მისი სიბრაზის მიზეზი კი გახდა ის, რომ ვ.ა. მანუხინმა სათვალე დაუმტვრია, რაც მან საკმაოდ მძიმედ განიცადა და ჩხუბის დროს საკუთარი პატივისა და ღირსების დასაცავად რაც ხელში მოხვდა (არადა თვალებიდან

ვერ იხედებოდა უსათვალოდ, თანაც უკვე კარგად ბნელოდა) გამოიყენა. ეს იარაღი არ იყო არც დანა და არც სხვა რამ. ეს იყო უბრალო რკინის ნატეხი, რომელიც უფრო „ატვიორტკას“ წააგავდა. ვლ. ჟვანია ისე დააპატიმრეს და გაასამართლეს, რომ მის ახლო ნათესავებს ამის თაობაზე არაფერი გაუგიათ.

გარკვეულ ეჭვს ბადებს ის ფაქტი (თუმცა ოდნავ ქვემოთ, ბატონი გოჩა გუნიავას ნაამბობი ყოველივეს ნათელს ჰფენს), რომ ვლ. ჟვანიას დაპატიმრების და გასამართლების თაობაზე არ შეუტყობინებიათ მისი ბიძისათვის, ბატონი ვანო შუბლაძისათვის, საზოგადოებისათვის იმ პერიოდისათვის კარგად ცნობილი პიროვნებისათვის, საქართველოს სსრ აფხაზეთის შსს ერთ-ერთი განყოფილების უფროსისათვის, შინაგან საქმეთა ორგანოების დამსახურებული მუშაკისათვის, რომლისთვისაც მოგვიანებით ბოდიშიც კი მოუხდიათ კოლეგებს - „სხვაგვარად არ შეიძლებოდაო...“

საარქივო სისხლის სამართლის საქმეში ვკითხულობთ: „1963 წლის 6 ივნისს, ვლ. ჟვანიამ, იმყოფებოდა რა სხვებთან ერთად წულუკიძის შრომა-გასწორების №2 კოლონიის ტერიტორიის გარეთ ჩაის საკრეფად, დღის 5 საათზე განახორციელა გაქცევა. იმავე წლის 13 ოქტომბერს ვლ. ჟვანია დააკავეს დაბა აბასთუმნის აკრძალულ ზონაში. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების არარსებობის გამო წარადგინეს მილიციის ახალციხის რაიონულ განყოფილებაში. ვინაიდან მისი პიროვნება ეჭვს ბადებდა, გადმოყვანილ იქნა ქ. თბილისის მიმღებ პუნქტში.

ვლ. ჟვანიამ როგორც ახალციხეში, ისე თბილისში, დამალა საკუთარი ვინაობა და წარსდგა როგორც ბრიტელი ვლადიმერ კალისტრატეს ძე.

მეორე დღეს, 18 ოქტომბერს, ვლ. ჟვანია გამოსაკვლევად წარადგინეს ქ. თბილისის ვენდისპანსერში, საიდანაც მან კვლავ განახორციელა გაქცევა. 2 მარტს კვლავ დააკავეს ქ. სოხუმში.

წარდგენილ ბრალდებაში ვლ. ჟვანიამ ნაწილობრივ სცნო თავი დამნაშავედ. მისი აზრით, შრომა-გასწორების კოლონიიდან იმიტომ წამოვიდა, რომ ავად იყო და არ შეეძლო ფიზიკურად მუშაობა. რაც შეეხება ვენდისპანსერიდან მის გაქცევას, იგი თვლის, რომ კი არ გაიქცა, არამედ „უბრალოდ წავიდა, ვინაიდან არ ჰყავდა ზედამხედველი.“

1964 წლის 16 ივნისს საქართველოს სსრ სამტრედიის რაიონის სახალხო სასამართლომ ვლ. ჟვანია ცნო დამნაშავედ საქართველოს სსრ სსკ-ის 203-ე მუხლის I ნაწილით გათვალისწინებული

დანაშაულის ჩადენაში და მიესაჯა ორი წლით თავისუფლების აღკვეთა. აღნიშნული ვადა დაემატა ქ. სოხუმის სახალხო სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენს და ვლ. ჟვანიას თავისუფლების შეზღუდვის საბოლოო ვადა განესაზღვრა ექვსი წლით და ოთხი თვით ჯერ ავჭალის, ხოლო შემდეგ ქსნის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით.

• • •

ამავე საქმიდან ირკვევა, რომ 1965 წლის 22 აგვისტოს ვლ. ჟვანია და გაბრიელ თოთიბაძე ღამის ორის ნახევარზე გამოვიდნენ ქსნის კოლონიის საძინებელი კორპუსიდან, გაიარეს ეგრეთწოდებული მეცხრე საგუშაგო, გადახტნენ აკრძალული ზონის ღობის იქითა მხარეს და გაუჩინარდნენ. თუმცა მოგვიანებით ისინი შორიდან შეამჩნიეს მცველებმა, რომლებმაც ატეხეს განგაში, რის შემდეგაც მიღებულ იქნა ზომები მათ დასაკავებლად.

მოგვიანებით ვლ. ჟვანია საკმაოდ მწარედ იხსენებს დაკავების ფაქტს:

„გადავახტი რა დამცველ გალავანს, იქვე ახლოს დამიჭირეს ჯარისკაცებმა და ძლიერ მცემეს. მირტყეს ავტომატის კონდახებით. მაგრამ მალე იქ მოვიდნენ კოლონიის მოსამსახურეთა ერთი ჯგუფი, რომლებმაც, როგორც მე ვფიქრობ, სიკვდილს გადამარჩინეს. თითქმის მთელი ღამის განმავლობაში უგრძნობლად ვიყავი.“

საქართველოს სსრ მცხეთის სახალხო სასამართლომ ვლ. ჟვანია და გ. თოთიბაძე დამნაშავედ ცნო საქართველოს სსრ სსკ-ის 203-მე მუხლით გათვალისწინებული ქმედობისათვის და 1965 წლის 5 ოქტომბერს სასჯელის ზომად ორივეს ცალ-ცალკე განუსაზღვრა ორი წლით თავისუფლების აღკვეთა. ვლ. ჟვანიას დაემატა ადრე ჩადენილი დანაშაულისათვის მისჯილი მოუხდელი ვადა ხუთი წელი და ოცდარვა დღე და თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა შვიდი წლის ვადით მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით.

ვლ. ჟვანია, როგორც საშიში დამნაშავე, სასჯელის მოსახდელად შორეული ციმბირის ბანაკებში გაამწესეს. დასაწყისში ის სასჯელს იხდიდა პერმის ოლქის ჩერდინსკის რაიონის ჩუსოვსკოეს კოლონიაში (საფოსტო ყუთი „Ш“ 320 / 11 ª), ხოლო 1969 წლის ზაფხულში

გადაიყვანეს სოფელ ნირობის ლიუნვას მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში, სადაც იმყოფებოდა გათავისუფლებამდე.

სამწუხაროდ, ციმბირში მისი ყოფნის პერიოდზე საკმაოდ მწირი ინფორმაცია გაგვაჩნია.

ბ-ნ გრიგოლ ჟვანიას პირად არქივში ინახება რუსულ ენაზე შესრულებული ორად-ორი წერილი, რომლებიც ვლ. ჟვანიამ გამოგზავნა ნირობის ბანაკიდან. წერილების ადრესატია მისი სიძე - ვლადიმერ მიხეილის ძე სედიხი. წერილებიდან ირკვევა, რომ ციმბირში ვლ. ჟვანია თბილისიდან გამგზავრებულა 1965 წლის ოქტომბრის ბოლოს. მისთვის მოულოდნელი და გაუგებარი იყო, რატომ და რისთვის მოუწია მას ციმბირის ბანაკებში სასჯელის მოხდა.

ბანაკი მდებარეობდა ურალის ქედის ჩრდილო-დასავლეთით, პერმის ოლქის ჩრდილოეთ ნაწილში, ქ. სოლიკამსკიდან ჩრდილოეთის მიმართულებით 250 კმ., ხოლო ქ. პერმიდან 700 კმ მანძილზე. იქ მისვლა შეიძლებოდა მხოლოდ ავტომობილით და თვითმფრინავით. ირგვლივ ტაიგა, დიდი თოვლი და თითქმის მუდმივად -50^{0}c ტემპერატურა. იქვე მოედინებოდა მდინარე პეჩორა. ვლ. ჟვანიასთან ერთად სასჯელს იხდიდა კიდევ რამდენიმე ქართველი.

ამანათის გაგზავნა აკრძალული იყო, არც ნახვას ჰქონდა აზრი, გასაგები მიზეზების გამო. ნებადართული იყო მხოლოდ ორ თვეში ერთხელ მცირე ზომის ბანდეროლის გაგზავნა. პირველ წერილში (დათარიღებულია 1966 წლის 3 თებერვლით), რომელიც მან ბანაკიდან განთავისუფლებულ პირს გამოატანა, აღნიშნავდა, რომ მგზავრობის დროს საკმაოდ დასუსტდა და გახდა, თუმცა სხვა რა გზა ჰქონდა, რადგან სხვები ცოცხლობდნენ, ისიც გაუძლებდა. ბანაკში საკმაოდ ციოდა, თითქმის არ ვარგოდა საჭმელი, პრაქტიკულად იყო შიმშილი და სთხოვდა სიძეს კონსპირაციულად წიგნის ყდაში ჩამალვით ოცდახუთმანეთიანის, ხოლო ბანდეროლით კბილის პასტის, ფანქრის, რამდენიმე რვეულის და კონვერტის გაგზავნას.

ვლ. ჟვანია წერილებში გულთბილად იხსენიებს და მოკითხვას უთვლის დედას, დისშვილებს, ძმისშვილებს და ახლობლებს.

ეს იყო და ეს. სამწუხაროდ, ჟვანიების ოჯახი იმ ექვსი წლის განმავლობაში ვერანაირ ინფორმაციას მასზე ვერ ღებულობდა. ოჯახი რამდენჯერმე ეცადა წერილის და ბანდეროლის გაგზავნას, მაგრამ პასუხი არ ისმოდა.

ჩვენი ვარაუდით, საფოსტო გზავნილები მკაცრი რეჟიმის



ты и здоровье мой не очень хорошее. Таким способом я деньги получу. А если даже обнаружат, то деньги не пропадут. Их вышлют назад. Но я их наверное точно получу. Положил в бандероль платок носовой и несколько стучек перца. Их зашил так, чтобы они были внутри между книгой и материалом. Получил чеснок и пахитос сунем. Это такая рассыпчатая вещь, которую кладут в борщ, суп. Она сухая, мелкая; сделана из резаной зелени. Вышлю даже Мишки. Ну до свидания.

Желаю всем хорошего 5 ноября

Володя

Как вышлешь бандероль сразу вышли письмо авиапочтой. И бандероль можно авиапочтой. Насчёт денег в письме ничего не пиши.

Мой адрес: Пермская обл. Гайнский р-он ~~[illegible]~~ п/я „Ш" 320/11 А

Грузинская ССР
г. Цулукидзе
ул. Кирова переулок
№ 13 кв. 15
№ 13 кв. 15
Сухих Н. Г.

Получено

1

Здравствуй Миша

Первых строчек своего письма пишу тебе я твой друг и верный товарищ.

Я не писал тебе потому что нахожусь все время в дороге и поэтому трудно. Я нахожусь на северо-западном Урале, в северной части Молотовской области. Это Вижаи, к северу от г. Соликамска. Сюда едут только на этапах, на самолетах. Климат такой очень суровый снег и морозы под 50°. Рядом река Чепца и Коми АССР. Кругом тайга. Урал.

Не знаю получил ли ты письмо, которое я писал в конце сентября, перед выездом из Тбилиси. Вчера я тебе посылку получил. Почему меня направили сюда я не знаю. И никто не мог знать.

Миша! Тоже я шлю тебе новый

Мама! Как получишь это письмо сра-
зу ~~...~~ отвечай и в тот же день выш-
ли бандероль так, как я писал. О деньгах
в письме ничего не пиши. А если в бан-
дероли будет книга я буду знать, что
там деньги. А их обязательно пришли.
Ну а насчёт своего здоровья что пи-
сать. Немного ослаб, похудел, но что
поделаешь.

Ну а теперь как твоё здоровье?
не болеешь ли? Ведь главное здоровье.
Как живёт мама? Наверное всё по
старому. Как успехи Наташи, Ле-
ночки и Володи в учёбе. А Мишка
наверное забыл меня; конечно всего
один раз видел и то в лагере.
Пусть он растёт большой и здоровый
вышли его фотографию. Как здоровье
Захара и Бори.

Желаю Вам всем всего хорошего

и наилучшего здоровья.

Привет всем остальным

до свидания! Валоя

Мой адрес

Пермская область
Чердынский р-он
Чусовское п/я „Ш" 320/11а
Жданы В.Т.

Мама! Вначале цензор открывает при мне и если деньги обнаружатся то они не пропадут и их вышлют обратно. Но мне кажется если хорошо вложить в обложку или переплёт то их цензор не найдет. Она просто грубо перелистывает книгу и всё.

Валюся

შრომა-გასწორების ციმბირის კოლონიებში გადიოდა ცენზურას-პერლუსტრაციას და, როგორც ჩანს, „ცენზორმა“ გარკვეული მოსაზრების გამო წერილებისა და ბანდეროლის მოძრაობა თბილისიდან პერმისკენ და პირიქით აკრძალა. აქედან გამომდინარე, მიწერ-მოწერამაც პრაქტიკულად აზრი დაკარგა. ამ მდგომარეობას პირველი თავად ვლადიმერ ჟვანია შეეგუა, მას სხვა გზა არც ჰქონდა.

საგამოძიებო საქმის მასალებში დაცულია ვლ. ჟვანიასთან ერთად ნირობის ბანაკში მყოფი პირების - პეტრე პოლიანსკის, სემიონ რუბინერის, სოლომონ გოგიტიძის, ბონდო გიგინეიშვილის ჩვენებები. სამწუხაროდ, მათ ვერ მივაკვლიეთ, რათა უფრო სრულყოფილად შეგვესწავლა ვლ. ჟვანიას ციმბირის ბანაკებში ყოფნის პერიოდი, თუმცა მათი ჩვენებების გარკვეული ფრაგმენტები, ვფიქრობთ, საინტერესო უნდა იყოს მკითხველისათვის.

<u>პეტრე პოლიანსკი:</u>

„ვლ. ჟვანია იყო მეორე ჯგუფის ინვალიდი, არ მუშაობდა და ბევრი თავისუფალი დრო ჰქონდა. მუდამ ბიბლიოთეკაში იჯდა და ჩვენს შორის კარგი მეგობრული ურთიერთობა დამკვიდრდა. მეხმარებოდა ჟურნალ-გაზეთების დარიგებაში, ხელმომწერები ბევრი გვყავდა, მაგრამ ვლ. ჟვანიას კარგი მახსოვრობა ჰქონდა, ზეპირად იცოდა, ვის რა ჟურნალ-გაზეთი უნდა მიეღო, ალაგებდა მათ და შემდეგ ყველას კითხულობდა. თვითონ ჟურნალი „ზა რუბეჟომ“ ჰქონდა გამოწერილი, რომელსაც ყველაზე დიდი გულმოდგინებით კითხულობდა. იგი გატაცებით ამუშავებდა პოლიტიკურ ლიტერატურას, რაც მაკვირვებდა, იმიტომ რომ როგორც მე, ისე პატიმართა უმრავლესობა მხატერულ წიგნებს ვკითხულობდით“.

<u>სემიონ რუბინერი:</u>

„ერთხელ ვლ. ჟვანიამ საუბარი დამიწყო ისრაელზე, შემდეგ მკითხა, ვაპირებდი თუ არა გათავისუფლების შემდეგ საცხოვრებლად ისრაელში წასვლას. მე ვუპასუხე, რომ ჩემი სამშობლო რუსეთია და არა ისრაელი, რომ იგი ჩემთვის უცხო, ცალკე სახელმწიფოა. მაშინ ჟვანიამ პირდაპირ მითხრა - საქართველო რომ ცალკე სახელმწიფო ყოფილიყო, მე იქ თავს უცხოდ არ ვიგრძნობდიო. შემდეგ გააგრძელა საუბარი და თქვა,

რომ საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანა იყო და ძალით დაიპყრო რუსეთმა. თვლიდა, რომ თუ საქართველოს სსრ კავშირიდან გამოყოფა მოხდებოდა, მაშინ მისი სამშობლო აყვავდებოდა, ძლიერი გახდებოდა, განსაკუთრებით მაშინ, თუ მის სათავეში ყოფილ „ძლიერ თავადთა" მსგავსი პიროვნება იქნებოდა".

ვიტალი გურგენიძე:

„ჩვენ ერთად ვცხოვრობდით ინვალიდთა ბანაკში. ჟვანიას სულ წიგნი ეჭირა ხელში, ბიბლიოთეკიდან გამოპქონდა ისინი. კონკრეტულად რა წიგნებს კითხულობდა, არ ვიცი. კითხვასთან ერთად იგი სწავლობდა ინგლისურ ენას. იზეპირებდა სიტყვებს, ზოგიერთ ფრაზებს წარმოთქვამდა ხმამაღლა. თარგმნიდა რაღაც სტატიებს უცხო ენაზე. ჟვანია გულჩათხრობილი კაცი იყო. ძალიან ცუდად ხედავდა და ძლიერ სათვალეებს ატარებდა".

ს. რუბინერი თავის ჩვენებაში მიანიშნებს ერთ საინტერესო დეტალზე: ის დარწმუნებულია, რომ ვლ. ჟვანიას მუდმივად ჰქონდა ქართული და ინგლისურენოვანი პერიოდიკა, რომელიც მას გამოწერილი არ ჰქონდა. ს. რუბინერი ვარაუდობს, რომ ვლ. ჟვანია აღნიშნულ ჟურნალ-გაზეთებს ღებულობდა „ვიღაცისაგან".

პატიმრობაში, განსაკუთრებით ციმბირის ბანაკებში გატარებულ წლებზე ვლ. ჟვანია შემდგომში არავისთან საუბრობდა. როგორც თვითონ მიანიშნებს, ბანაკებში შექმნილ საკმაოდ მძიმე ვითარებას მასზე უარყოფითი ზემოქმედება ვერ მოუხდენია:

„პატიმრობაში მოხდილი მაქვს 13 წელიწადი. ამ ხნის განმავლობაში მე ვიმყოფებოდი სხვადასხვა ჯურის აცვენილ ხალხში, მავრამ ცუდმა, ზნეობრივად დაცემულმა გახრწნილობამ და სხვა ამგვარმა უმსგავსოებებმა არავითარი გავლენა არ იქონია ჩემზე. მე გამოვედი ციხიდან სრულიად დადინჯებული, უწყინარი ადამიანი".

ზემოთჩამოთვლილი პიროვნებები წინასწარი გამოძიების დროს ერთხმად მიანიშნებდნენ, რომ ვლ. ჟვანიას ნირობის ბანაკში, ვისთანაც კი კონტაქტი ჰქონდა, ყველასთან კარგ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა. არასოდეს არღვევდა წესრიგს. ბანაკის ხელმძღვანელობისაგან არ ღებულობდა შენიშვნებს.

ქვედანაყოფ III - 320/16-19 უფროსის ვ. სუხოვერხის ინფორმაციით,

ვლადიმერ ჟვანია სასჯელს იხდიდა ჯერ № 19, ხოლო შემდეგ № 16 მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიებში. ის აღნიშნავს, რომ ვლ. ჟვანია იყო მეორე ჯგუფის ინვალიდი, მძიმე ფიზიკურ შრომას არ ეწეოდა. პერიოდულად დაკავებული იყო კოლონიის ტერიტორიის კეთილმოწყობით.გატაცებული იყო ყვავილების მოვლა-პატრონობით. ის კოლონიის დღის წესრიგს და სარეჟიმო მოთხოვნებს არ არღვევდა (23.VI-76 წ).

თუ ვლადიმერ ჟვანიას საქმესთან დაკავშირებით დაკითხულ ნირობის ბანაკის პატიმრებს დავუჯერებთ, ჯერ კიდევ შრომა-გასწორების კოლონიაში ყოფნის დროს, გარკვეულწილად შეიმჩნეოდა მისი გამოკვეთილი დამოკიდებულება სსრ კავშირში არსებული ვითარებისადმი, რაც ძირითადად მათთან კერძო საუბრებში მჟღავნდებოდა. ისინი მიანიშნებენ, რომ არ გაკვირვებიათ ის ფაქტი, რომ ვლადიმერ ჟვანია ინტენსიურად ეცნობოდა პოლიტიკური ხასიათის ლიტერატურას და სწავლობდა უცხო ენას. ვინაიდან, მათივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „...Все мы питались чем-то себя занять, лишь бы быстрее шло время“. ვლადიმერ ჟვანიამ, შემდგომში უკვე წინასწარი გამოძიების პროცესში, ერთ-ერთი დაკითხვისას აღნიშნა, რომ ის ციმბირის ბანაკებში ყოფნისას სხვა პატიმრებისაგან არაფრით გამოირჩეოდა. შრომა-გასწორების კოლონიის ადმინისტრაცია მას ექცეოდა ისე, როგორც დანარჩენ პატიმრებს. მისივე განმარტებით, ციმბირში ექვსწლიანი პატიმრობის მანძილზე მხედველობა კიდევ უფრო დაუქვეითდა.

ქ-ნი ნინა ჟვანია-სედიხი ვარაუდობს, რომ ნირობის ბანაკში დისიდენტები თუ არა, პოლიტიკით სერიოზულად დაინტერესებული პირები მაინც უნდა ყოფილიყვნენ ვლ. ჟვანიასთან ერთად. დასთან საუბარში მას დაუსახელებია ის რამდენიმე ცნობილი პიროვნება, რომელთაც თითქოსდა იცნობდა. ამ აზრს შემდეგი ფაქტიც აძლიერებს:

> „რომ ჩამოვიდა ციმბირიდან, მე მგონი, პოლიტიკოსებთან იჯდა. ერთხელ მოსკოვში წავიდა, თვალებზე უნდა ვიმკურნალოო. ფული მივეცი რამდენიც უნდოდა. ბანაკში ყოფნის პერიოდზე არაფერს ჰყვებოდა. მოსკოვში, მე მგონი, ვიღაცას ეძებდა. ისეთი დრო იყო იქ სახაროვები, აქ ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა...“

. . .

ვლადიმერ ჟვანია პატიმრობიდან განთავისუფლდა 1972 წლის 13 ნოემბერს. განთავისუფლებისას გადაეცა წლების განმავლობაში გამომუშავებული თანხა - 630 მანეთი და 37 კაპიკი.

ახლო ნათესავები ვლადიმერის თბილისში დაბრუნებას დიდი სიხარულით და თვალცრემლიანი შეხვდნენ. განსაკუთრებით გაიხარეს მისმა მამიდამ და და-ძმამ.

ვლადიმერ ჟვანიას ერთ-ერთი ნათესავი იგონებს:

„...ტელეფონით დამელაპარაკა მამაკაცი, რომელმაც, ეტყობა, მე მიცნო, მე კი არ ვიცოდი ვის ველაპარაკებოდი, ამიტომ ყურმილი გადავეცი ბებიას, რომელმაც ტელეფონით საუბრის შემდეგ ტირილი დაიწყო და მითხრა - ვალიკო დაბრუნდაო."

„როცა პერმიდან ჩამოვიდა, გავიქეცი ვალიკოსთან, ამდენი წლის უნახავ ძმასთან. თითქოს შეცვლილი არ იყო, მაღალი იყო, კარგი, ლამაზი თვალები ჰქონდა, მაგრამ სათვალეს ატარებდა." (გ.ჟ.)

ვლ. ჟვანიას ჩაწერის მიწერილობა მახარაძის რაიონში ჰქონდა. პასპორტი იქ მართლაც მიიღო 1-ლ დეკემბერს, თუმცა არ ჩაწერეს. ანდა ვინ ჩაწერდა მისი ბიოგრაფიის მქონე პიროვნებას.

ვლ. ჟვანია ქ. მახარაძიდან ბრუნდება თბილისში და რამდენიმე თვე ცხოვრობს დისა და სიძის ოჯახში.

1973 წლის აპრილში ჩავიდა სოხუმში მამიდაშვილთან ვენერა შუბლაძესთან. აპრილი-აგვისტო გაატარა გულრიფშის რაიონის დაბა დრანდაში.

„დრანდაში მე ბევრი ვეცადე ჩავწერილიყავი და დამეწყო ნორმალური ცხოვრება და მუშაობა, მაგრამ რამდენჯერ არ მივაკითხე სახლის პატრონთან ერთად ბებუშერას სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეს, მან ყოველთვის უარით გამომისტუმრა..."

ვლ. ჟვანიამ 1973-1974 წლის ზამთარი მთლიანად თბილისში, დის ოჯახში გაატარა და ცდილობდა ჩაწერილიყო სადმე. ცდა არ დაუკლიათ არც მის დედას და და-ძმას, მაგრამ ამაოდ. შექმნილი რთული ვითარებიდან გამომდინარე, ვლ. ჟვანიას დედამ გადაწყვიტა თხოვნით მიემართა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილისათვის, ყველასათვის გულისხმიერი და პრინციპული ადამიანისათვის, ქალბატონ ნინა ჟვანიასათვის, რომელთანაც

რაიმე ნათესაობა არ აკავშირებდა. ქალბატონმა ნინამ, რომელსაც რეპრესიული წლების სიმწვავე საკუთარ თავზე გამოეცადა, გულდასმით მოუსმინა და თავისი მტკიცე რეზოლუციით საქ. შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთ რაიონულ განყოფილებას დაავალა ვლ. ჟვანიას ჩაწერა. როდესაც ჩაწერისათვის სათანადო პროცედურები მზადდებოდა, პოლიციის მაღალჩინოსანმა ვლ. ჟვანიას უკმეხად უთხრა, რომ თუ ის არ მოისვენებდა და დანაშაულს კვლავ ჩაიდენდა, ისევ „იქ" მიაბრძანებდნენ. „აქ კიდევ ერთხელ გამოჩნდა ვლადიმერის ხასიათი - იუკადრისა ასეთ ტონზე საუბარი, დახია საბუთები, მიაყარა და წამოვიდა." (ნ. ჟ.)

მოგვიანებით, 1974 წლის მარტის თვეში, ვლ. ჟვანია ახლობლის, დედის ბიძაშვილის, ღვთისნიერი კაცის, ოთარ ნატროშვილის დახმარებით და შუამდგომლობით, როგორც იქნა, ჩაეწერა ქ. რუსთავში სამშენებლო ტრესტის საერთო საცხოვრებელში და დაიწყო მუშად მუშაობა ბეტონის ქარხანაში, თუმცა ავადმყოფობის გამო მალე დაანება თავი. 1974 წლის 1-ლ აპრილს გაიარა ქ. რუსთავის სოცუზრუნველყოფის განყოფილების საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისია, რომელზეც დაუდგინდა ინვალიდობის მეორე ჯგუფი.

ვლ. ჟვანია სოხუმსა და დრანდაში ცხოვრების პერიოდში უსაქმოდ არასოდეს ყოფილა. მუშაობდა ბეტონის ბლოკების დამამზადებელ საამქროში, ასრულებდა სხვადასხვა სამუშაოს კერძო პირებთან.

1974 წლის აპრილში კვლავ გაგრაში ბრუნდება.

ბრძენთა მაგალითი გვიბრძანებს, წარსულიდან გამოვიდეთ და მომავალი გამოვიცნოთ, მაგრამ მოგეხსენებათ, ხშირად დიდი ხომალდებიც დაუმსხვრევიათ სამტრო ქარებს... და რა უნდა მოელოდეს მცირე ნავს, უმესაჭეოდ რომ დარჩება შუა ოკეანეში?

ჯოვანი ბოკაჩო

. . .

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1972 წელს, შვიდწლიანი პატიმრობის შემდეგ, ვლ. ჟვანია დაბრუნდა საქართველოში. საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში, ისე როგორც მთელ სსრკ-ში, წინა წლებთან შედარებით განსხვავებული იყო.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის და მინისტრთა საბჭოს ხელმძღვანელობა შეცვლილი და გადახალისებული იყო. წინა წლების ნეგატიური მოვლენები, რომლებიც დაკავშირებული იყო სახალხო მეურნეობის ყველა დარგში კორუფციის არნახულ მასშტაბებთან, თითქოსდა განვლილი ეტაპი იყო. ვლ. ჟვანიაც დიდი ოპტიმიზმით და მომავლის რწმენით უყურებდა მოსალოდნელ კიდევ უფრო სერიოზულ გარდაქმნებს.

ბუნებრივია, გასაგები მიზეზების გამო, საქართველო ერთიან სსრკ სივრცეში ექსპერიმენტების გზით დიდხანს სიარულს, შიდაორგანიზაციული სტრუქტურების მუდმივად სრულყოფას და საზოგადოებრივი და ეკონომიკური ცხოვრების გაჯანსაღებას ვერ შეძლებდა მარტო და ეულად, იმდენად ძლიერი იყო პოლიტიკური ბერკეტების ზემოქმედება და ცენტრიდანული ძალების ზეგავლენა. გადის მცირე პერიოდი და ვლ. ჟვანიას უკანასკნელი იმედის ნაპერწკალიც გაუქრა.

„პატიმრობიდან განთავისუფლების ცოტა ხნის შემდეგ მე შევამჩნიე, რომ მეურნეობის იმ დარგებში, სადაც კი ადამიანი ეხება მატერიალურ ფასეულობას, კვების

თუ სამრეწველო პროდუქტებს, ყვლეფა და დატაცება გრძელდება. ცხოვრების სინამდვილემ ჩემში განამტკიცა ის აზრი, რომ როგორი ძლიერიც არ უნდა იყოს პარტია, ერთპარტიული დიქტატურა სუსტია და საჭიროა საქართველოში მრავალპარტიული წყობილების შექმნა, ოპოზიციური კონტროლის დაარსება".

ვლ. ჟვანია 1975 წლის ზამთარში მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საჭირო იყო მოსახლეობაში დაწყებულიყო ფართომასშტაბიანი სააგიტაციო პროპაგანდისტული საქმიანობა საქართველოს სსრკ-დან, პრაქტიკულად რუსეთის იმპერიიდან გამოყოფის მოთხოვნით. მისი აზრით, ეს საქმიანობა მოითხოვდა სერიოზულ ფინანსურ ხარჯებს, რაც იმ პერიოდისათვის მას არ გააჩნდა. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, გადაწყვიტა აფეთქებების ეფექტის გზით მიექცია ხელისუფლებისა და მოსახლეობის ყურადღება, რასაც მისი ვარაუდით, მოჰყვებოდა საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოცოცხლება. ამისათვის უპირველეს ყოვლისა დაიწყო ასაფეთქებელი ნივთიერებების ძებნა.

ოჩამჩირეში მისთვის იმ დროს უცნობი პირისაგან შეიძინა 10 კილოგრამამდე ასაფეთქებელი ნივთიერება, ცეცხლგამტარი ზონარი და 25 ცალამდე კაფსულდეტონატორი.

იმ პერიოდში ის ცხოვრობდა ქალაქ გაგრაში, ცაგარლების ოჯახში. ივნისის შუა რიცხვებში სკოლებში გამოცდების დამთავრების შემდეგ, საცხოვრებლად გადავიდა სოხუმში ვენერა შუბლაძის სახლში. ჩემოდანი, რომელშიც ასაფეთქებელი მოწყობილობები და ინსტრუმენტები იყო, შეინახა სოხუმის რკინიგზის სადგურის ავტომატურ შემნახველ საკანში.

საათის მექანიზმიანი ასაფეთქებელი მოწყობილობა თავდაპირველად დაამზადა სოფელ ეშერაში ზღვის სანაპიროზე, სადაც ხალხი თითქმის არ იმყოფებოდა. ორი დღის განმავლობაში თაკარა სიცხეში ორ-სამ საათს მუშაობდა.

თვითნაკეთი ბომბის აფეთქება თავდაპირველად გადაწყვიტა გაგრაში ვინაიდან მიაჩნდა, რომ გაგრა საკურორტო ქალაქი და რუსეთის მოსაზღვრე რეგიონი იყო, სადაც ბევრი ტურისტი ისვენებდა და ასეთ პირობებში ინფორმაცია აფეთქების შესახებ სწრაფად გავრცელდებოდა. ის შევიდა გაგრის აბანოში, ცალკე ნომერში ააწყო დაშლილი ასაფეთქებელი მოწყობილობა და მოიყვანა მუშა მდგომარეობაში. აფეთქებამდე დარჩენილი იყო 15-20 წუთი. ვლ. ჟვანიას გადაწყვეტილი ჰქონდა ბომბის დადება გაგრის

ქალაქკომის შენობისა და მიმდებარე ეზოს კუთხეში. აღმოჩნდა, რომ ამ ადგილზე ბევრი მსუბუქი ავტომანქანა იდგა და თან ხალხიც ირეოდა. დრო საკმაოდ მცირე რჩებოდა, ხოლო საათის მექანიზმის შეჩერება შეუძლებელი იყო, ამიტომ გადაწყვიტა გასცლოდა იმ ადგილს, ხოლო ბომბი როგორმე მოეცილებინა. ასეც მოიქცა და ბომბი დადო დაუსახლებელ ადგილას, გაგრის კავშირგაბმულობის განყოფილების შენობის გვერდით, ტაქსოფონების უკან, ქვებით და ნანგრევებით დაფარულ ადგილას. ბომბი არ აფეთქდა. „მე ეს გამეხარდა, ვინაიდან სადღაც მოშორებით, კედლის ძირში, ქვებში აფეთქებას ჩემთვის რა მნიშვნელობა ჰქონდა". (ვ.ე.)

ვლ. ჟვანია ბრუნდება სოხუმში და ბომბის თაობაზე ტელეფონით ატყობინებს აფხაზეთის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს და სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სამორიგეო ნაწილებს. ეს უკანასკნელნი ამ ზარებს გულგრილად შეხვდნენ.

რამდენიმე ხნის შედეგ ვლ. ჟვანიამ გადაწყვიტა აფეთქება მოეწყო ქ. სოხუმში საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის შენობასთან. ასაფეთქებელი მოწყობილობა კვლავ სოფელ ეშერაში, ზღვის პირას პაპანაქება სიცხეში დაამზადა და დაშლილ მდგომარეობაში ქ. სოხუმში, ავტომატურ შემნახველ საკანში შეინახა.

1975 წლის 22 ივლისს ვლ. ჟვანიამ ასაფეთქებელი მოწყობილობა მოიყვანა მუშა მდგომარეობაში. ის უნდა აფეთქებულიყო 11. 00. საათისათვის. აფეთქებამდე დარჩენილი იყო 10 წუთი. გადაწყვეტილი ჰქონდა მოწყობილობის დადება გაზონზე, ბუჩქების უკან. ჩქარი ნაბიჯით გაუარა საოლქო კომიტეტის შენობას, შენობის წინ პოლიციელი შენიშნა, რამაც ხელი შეუშალა განზრახვა სისრულეში მოეყვანა. სწრაფად გააგრძელა გზა და აღმოჩნდა პატარა წითელ სანაგვე ყუთთან. დრო ცოტა რჩებოდა, ამიტომ ბომბი ჩადო სწორედ ამ ყუთში. რამდენიმე წუთს კიდევ იტრიალა ახლო-მახლო, მაგრამ როდესაც დარწმუნდა, რომ ირგვლივ არავინ იყო, სწრაფად მოცილდა იქაურობას და გაემართა სასტუმრო „რიწისაკენ". რამდენიმე წუთში გაისმა აფეთქების ხმა.

მეორე დღეს ვლ. ჟვანიასათვის ცნობილი გახდა, რომ აფეთქებას მსხვერპლი მოჰყვა (სინამდვილეში, როგორც ზემოთ აღინიშნა, აფეთქების შედეგად დაიღუპა ერთი ადამიანი). გავრცელებული ჭორის თანახმად, თითქოს დაიღუპა რამდენიმე ბავშვი. შემდეგში ის სინანულით იტყვის: „ღმერთო ჩემო! რა უნდოდათ იქ, რა! როგორ გიჟივით მიყვარს ბავშვები და აი, ესეც შენი სიყვარული.

მე რამდენიმე დღე ვიყავი, როგორც ბურუსში“...

ამის შემდგომ ვლ. ჟვანია ცხოვრობდა ცალკე ნაქირავებ ბინაში და მუშაობდა კერძო პირებთან. ერთ-ერთი ასეთი სამუშაოს შესრულებისას გაიჭრა ფეხი, ჭრილობა საკმაოდ ღრმა აღმოჩნდა. დარჩენილი ჰქონდა სულ ოცდაათი მანეთი. მიუხედავად ფეხის ტკივილისა, გადაწყვიტა წასულიყო ქ. ცხაკაიაში, სასტუმროში დარჩენილიყო რამდენიმე დღეს და ვაგონების გადმოტვირთვით ეშოვნა სამკურნალო ფული, მაგრამ ჭრილობა გაურთულდა და იძულებული შეიქნა დაბრუნებულიყო თბილისში და მკურნალობა გაეგრძელებინა დასთან. მკურნალობის შემდეგ კვლავ სოხუმში დაბრუნდა და განაგრძო ცხოვრება ვენერა შუბლაძის ოჯახში, ამზადებდა ორ მოწაფეს. ეს იყო აგვისტო-სექტემბერი. სწორედ ამ პერიოდში შეადგინა და შემდგომ გაუგზავნა წერილები (ერთი და იგივე ტექსტი) ორ პირს, რომლებისგანაც თითქოსდა არსებული „საქართველოს განთავისუფლების ფრონტის ანტიკომუნისტური ტერორისტული ჯგუფის“ სახელით ითხოვდა ფინანსურ მხარდაჭერას.

1975 წლის სექტემბრიდან 1976 წლის მარტის ბოლომდე ვლ. ჟვანია ცხოვრობდა გაგრაში, ილია ნადარეიშვილის ოჯახში. იქ კვლავ აგრძელებს მოსწავლეების მომზადებას და ასრულებს სხვადასხვა სამუშაოს.

„ვასწავლიდი ბავშვებს და დიასახლისსაც ვეხმარებოდი ბევრ საქმეში, ღუმელისთვის ნახშირის ანთებაში, მის მესამე სართულზე ატანაში, ნაცრის გადაყრაში და სხვა. ისე რომ, ჩემ თავს პურს ეკმევდი“

• • •

სოხუმში მომხდარი აფეთქების შემდეგ, მიუხედავად დიდი განცდებისა და შინაგანი წინააღმდეგობისა, ვლ. ჟვანიამ მაინც გადაწყვიტა გაეგრძელებინა აფეთქებები, ამჯერად უკვე თბილისსა და ქუთაისში.

„სოხუმში მომხდარი ტრაგედიის გამო საქართველოს განთავისუფლების იდეები არ ჩამქრალა. როგორც ადრე ვთქვი, მან დამიჩრდილა მთელი დანარჩენი ცხოვრება.“

1976 წლის 23 მარტს ვლ. ჟვანია საცხოვრებლად გადმოვიდა თბილისში. ორი დღე ცხოვრობდა დასთან, შემდეგ ნაქირავებ ბინაში ზაქრაძის ქუჩა №1-ში, სადაც 25 მარტიდან 12 აპრილამდე

დაამზადა ორი ასაფეთქებელი მოწყობილობა იგივე კუსტარული წესით, ოღონდ სხვადასხვა სქემით - ელექტრომაალებლით და საათისმექანიზმიანი.

1976 წლის 12 აპრილს დაახლოებით 17. 00. საათისთვის ამოვიდა მეტრო „ლენინის მოედნიდან" და გაემართა მთავრობის სასახლისაკენ. წინასწარ შერჩეულ ადგილას, შენობის მთავარი შესასვლელის (რუსთაველის პროსპექტის) მხრიდან მარცხენა მხარეს ფასადის ვიწრო შესასვლელიდან კედლის კარნიზზე, თავისუფალ ადგილას შეუმჩნევლად დადო მუშა მდგომარეობაში მოყვანილი ასაფეთქებელი მოწყობილობა.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ვლ. ჟვანია ბომბის აფეთქებამდე ყოველთვის ღებულობდა გამაფრთხილებელ, პრევენციულ ზომებს. ან წინასწარ აფრთხილებდა სამართალდამცველ ორგანოებს, მოწყობილობას ისეთ თვალსაჩინო ადგილზე დებდა და ისეთ ნიშნებს უკეთებდა, რომ გამვლელისათვის ადვილი აღმოსაჩენი ყოფილიყო. მისთვის ერთნაირი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც აფეთქების ეფექტს, ისე ბომბის აღმოჩენის და გაუვნებელყოფის ფაქტს. ამ შემთხვევაშიც დაახლოებით 30 სანტიმეტრის სიგრძის ცეცხლგამტარი ზონარი და მასზე მიმაგრებული ელემენტი, ელექტრომაალებელთან ერთად სპეციალურად გადმოკიდა კარნიზიდან ძირს, რათა ზონარიდან გამომავალი კვამლი შეემჩნიათ გამვლელებს, მაგრამ, სამწუხაროდ, ის ვერავინ შეამჩნია და აფეთქება მოხდა.

ვლ. ჟვანიამ აფეთქების ხმა გაიგო კინოთეატრ „რუსთაველთან" ქუჩაზე მიმავალმა. ერთი საათის შემდეგ მიბრუნდა შემთხვევის ადგილის სიახლოვეს, რათა გაეგო, იყო თუ არა მსხვერპლი.

„მე შევეკითხე მილიციელს, ადამიანის მსხვერპლი ხომ არ მოჰყოლია-მეთქი ამ აფეთქებას. მან მიპასუხა, რომ არაფერი ასეთი არ მომხდარაო. ამის შემდეგ მე დავმშვიდდი, მიხაროდა და ვზეიმობდი, რომ საქართველოს მთავრობის სახლის წინ აფეთქებამ ასე ეფექტიანად ჩაიარა."

განსაკუთრებული თავისებურებით გამოირჩეოდა მესამე ასაფეთქებელი მოწყობილობა, რომელიც ჟვანიას პარტიის ქუთაისის საოლქო კომიტეტის წინ უნდა დაედო. რა პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, მესამე ასაფეთქებელ მოწყობილობას პირობითად შეიძლება „გამაფრთხილებელ - სასიგნალო" ბომბი ვუწოდოთ.

მთლიანი მოწყობილობა მოთავსებული იყო მუყაოს ყუთში. წინასწარ დაყენებულ დროზე ირთვებოდა საათის მექანიზმი, რომელიც შესაბამისად რთავდა ზარს. რამდენიმე წამში მცირედი

აფეთქებით ირთვებოდა ელექტრომაალებელი, რომელიც ანთებდა 30 სანტიმეტრის სიგრძის ცეცხლგამტარ ზონარს. ზონრის ანთებიდან 30 წამში ასაფეთქებელი მოწყობილობა იწყებდა მოქმედებას.

ასაფეთქებელ მოწყობილობას გარედან ქართულ და რუსულ ენებზე ჰქონდა წარწერა, რომ ის იყო ბომბი, რომელიც უნდა აფეთქებულიყო. ვლ. ჟვანია ვარაუდობდა, რომ ასეთი ბომბი ბევრად უფრო უსაფრთხო იყო, ვინაიდან მას რამდენიმე შემაფერხებელი მომენტი ახლდა: გამაფრთხილებელი წარწერა, ზარის ხმა, პირველი მცირე აფეთქება, ცეცხლგამტარი ზონრის ნახევარწუთიანი წვა.

„მე რომ დავდებდი ასაფეთქებელ მოწყობილობას გამოსაჩენ ადგილზე, გამვლელ-გამომვლელი დაინახავდა და ახლოს მივიდოდა. მას ჰქონდა წარწერა ქართულად და რუსულად - „ფრთხილად ბომბია“ დენს რომ მოეკიდებოდა, გამოვიდოდა დიდი ბოლი და ხალხი გაეცლებოდა. მე ვფიქრობდი, რომ მას დავდებდი, დავრეკავდი სატელეფონო ჯიხურიდან და გავაფრთხილებდი ამის შესახებ მილიციას.“

ვლ. ჟვანიამ ასაფეთქებელი მოწყობილობის ადგილად შეარჩია პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის შენობის ფასადის მარცხნივ მიმდებარე ტერიტორია.

1976 წლის 14 აპრილს, დაახლოებით 10. 00 საათზე, ვლ. ჟვანია მიუახლოვდა პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის შენობას. საათის მექანიზმი მიმართული იყო 10. 30-ზე. იმ მომენტისათვის შენობის წინ ბევრი ხალხი ირეოდა. იქვე გაჩერებაზე უამრავ ავტომანქანას მოეყარა თავი (სავარაუდოდ თათბირის დღე იყო). ასაფეთქებელი მოწყობილობა მოქმედებაში იყო მოყვანილი. ვინაიდან ვლ. ჟვანიას მიზანს არ წარმოადგენდა ადამიანთა მსხვერპლი, გადაწყვიტა სწრაფად გაცლოდა იქაურობას და ბომბი დაედო უსაფრთხო ადგილას. ასე აღმოჩნდა ვლ. ჟვანია წულუკიძის სახელობის სკვერში:

„მე უცებ შევედი ერთ პატარა სკვერში, სადაც ხალხის ჭაჭანებაც არ იყო. მოშორებით სავაჭრო ფარდულში ქალი ფუსფუსებდა. სკამი, სადაც მე ვიჯ ექი, გზიდან მოშორებული იყო. მე უფრო გავამუქე წარწერა ბომბის აფეთქების შესახებ, ზევიდან დავამაგრე ბომბზე, დავდე ის სკამზე მთელი თავისი უსაფრთხობის ზემოთაღნიშნული ნიშნებით და წავედი ჩქარა სადგურისაკენ...“

წინასწარი გამოძიების მსვლელობისას ერთ-ერთი მოწმე გაიხსენებს: „მესაათის ჯიხურთან შევამჩნიე კაცი. 15 წუთის

შემდეგ გავიგე აფეთქების ხმა. როცა გავიარე, ის კაცი შეკრთა, წამოიჭრა მერხიდან, მეც შეეკრთი. ამ დროს ხალხი არ იმყოფებოდა ბაღში. ის კაცი რომ ადგა, შეჩერდა სკვერში, მისი შესახედაობა დამამახსოვრდა... შემდგომში მე სურათებით ამოვიცანი ჟვანია."

აფეთქებამდე ვლ. ჟვანია შეეცადა ტელეფონით დაკავშირებოდა მილიციას, მაგრამ უშედეგოდ. აფეთქების შემდეგ ის დაბრუნდა თბილისში. ამ ბოლო აფეთქებამ იმდენად მძიმედ იმოქმედა მასზე, რომ ერთი კვირის განმავლობაში ლოგინად იყო ჩავარდნილი. სულიერ განცდებს რადიკულიტის შეტევაც დაერთო. ფიქრობდა, განიცდიდა, აანალიზებდა საკუთარ ქმედებებს, ჭვრეტდა მომავალს. „ასე დამთავრდა ტრაგიკულად ჩემი ოდისეა აფეთქებებისა" - იტყვის ის მოგვიანებით.

მოძიებული მასალებიდან ირკვევა, რომ ვლ. ჟვანიას აზრით, მან იმ პერიოდში საკუთარი თავის წინაშე დასმული უმთავრესი მიზანი - აფეთქებების ეფექტის მიღწევის გზით ხალხის გამოფხიზლება, ეროვნულ - განმანთავისუფლებელი მოძრაობის გამოღვიძება, ვერ მოახერხა. სამი აფეთქებიდან, რომლებიც განახორციელა, „მიზანს მიაღწია" მხოლოდ თბილისის აფეთქებამ. დანარჩენ ორს მოჰყვა მატერიალური ზარალი, ადამიანის სიკვდილი. როდესაც მან ყოველივე კარგად გააანალიზა, დარწმუნდა, რომ დივერსიებისა და აფეთქებების (თუნდაც ეფექტური აფეთქებების) გზით, სანუკვარი მიზნის მიღწევა, რაც უნდა ამაღლებული იყოს ის, შეუძლებელია:

„მე დავრწმუნდი საბოლოოდ, რომ ტერორი, დივერსიები და სხვა ამგვარი მოქმედებები დაუშვებელია საერთოდ ყველგან, ყველა ქვეყანაში. ასეთ მოქმედებებს, რაგინდ საზრიანად, ჭკვიანურად არ უნდა გაკეთდეს, ყოველთვის მოსდევს ადამიანთა მსხვერპლი, რაც დაუშვებელია. ჩემს მოქმედებაზე ვაჟკაცურად ვაგებ პასუხს, უკან არ დავიხევ. მართალია, მე არასწორი გზა ავირჩიე, მაგრამ <u>საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ბევრი სხვა ხერხი არსებობს, ეს ყველა ხერხი უნდა იყოს მშვიდობიანი.</u>"

ბოლო „უშედეგო" აფეთქების შემდეგ ვლ. ჟვანიამ გადაწყვიტა შეეცვალა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ტაქტიკა და გაეხადა ის შედარებით მშვიდობიანი.

ბოლო აფეთქებიდან რამდენიმე დღის შემდეგ ვლადიმერ ჟვანიამ, საქართველოს განთავისუფლების ფრონტის სახელით შეადგინა მიმართვა (შავი, ხელნაწერი ვარიანტი) საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს მინისტრთა საბჭოს სახელზე (დოკუმენტი დათარიღებულია 19 აპრილით). ის ფიქრობდა, რომ ამით გარკვეულ ზეგავლენას მოახდენდა მაშინდელ ხელისუფლებაზე.

მიმართვაში ნათქვამია:

„ის დემონსტრაციული აქტები (აფეთქებები და სხვ.), რომლებიც მოხდა თბილისში და საქართველოს ზოგ რაიონში, მოწყობილია საქართველოს განთავისუფლების ფრონტის ერთ-ერთი ჯგუფის მიერ.

საქართველოს განთავისუფლების ფრონტი მიზნად ისახავს 1921 წელს კომუნისტური რუსეთის მიერ ოკუპირებული და დამონებული საქართველოს განთავისუფლებას, მის დამოუკიდებლობას და ნამდვილად დემოკრატიული ქვეყნის შექმნას. ჩვენი პირველი და მთავარი მიზანია რუსეთიდან გამოყოფა, სრული ეროვნული დამოუკიდებლობა. საქართველოს მთელი ძალაუფლება რუსმა ოკუპანტებმა 1921 წელს გადასცეს თავიანთ დამქაშებს და იმ წლიდან მოყოლებული, ისინი მორჩილად ასრულებდნენ თავიანთ მარიონეტულ მოვალეობას, ეფარებიან რა დემაგოგიურ ფრაზებს რაღაც პროლეტარული ინტერნაციონალიზმის შესახებ, მაგრამ ინტერნაციონალიზმი ერთი ნაციის ან ერთი ეთნოგრაფიული ჯგუფის ეგიდის ქვეშ? არა, ეს არ არის ინტერნაციონალიზმი, ეს არის მისწრაფება რუსული ნაციონალიზმისა და შოვინიზმისა, რომლის ნაყოფი იქნება არა უბრალოდ ჩვენი ნაციის გაქრობა, არამედ გარუსება. იკარგება ქართული ენა, ათასეული წლების მანძილზე დაგროვებული ჩვენი კულტურა, მთელი ჩვენი ეროვნული სახე.

მაგრამ რისთვის იბრძოდა მრავალი დამპყრობლის წინააღმდეგ საუკუნეობით ჩვენი ხალხი? რა ვუთხრათ ბრძოლის ველზე დაცემულ გმირებს? განა საქართველოს თავისუფლებაზე არ ოცნებობდა ილია, აკაკი?

არა, საქართველო არ დამონებულა!

ყველა დამპყრობელს სდევნიდნენ საქართველოდან და ახლაც ასევე მოხდება. ქართველი ხალხი იხსნის თავის თავს ნაციონალური გადაგვარებისაგან. ხსნის მთავარი საშუალება კი მთლიანი ეროვნული



საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ქ. გაგრის საქალაქო კომიტეტის შენობა

პავილიონის შენობის უკანა მხარეს არსებული ბეტონის კედელი (აქ დაიდო პირველი ბომბი, რომელიც არ აფეთქდა)



საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის შენობის საერთო ხედი (ქ. სოხუმი)



საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის შენობის ცენტრალური ნაწილის საერთო ხედი (ქ. სოხუმი)

ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲮᲔᲓᲘ ᲖᲦᲕᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ (Ქ. ᲡᲝᲮᲣᲛᲘ)



ᲐᲤᲔᲗᲥᲔᲑᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲮᲔᲓᲘ ᲔᲜᲒᲔᲚᲡᲘᲡ ᲥᲣᲩᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ (Ქ. ᲡᲝᲮᲣᲛᲘ)

აფეთქების ადგილის საკვანძო კადრი
(ქ. სოხუმი)



საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო
კომიტეტის შენობის საერთო ხედი (ქ. ქუთაისი)



საქართველოს სსრ მთავრობის სახლის საერთო ხედი
მ. რუსთაველის პროსპექტიდან (ქ. თბილისი)



მთავრობის სახლის წინა, მარცხენა, ე.წ. ლოჯია
(ქ. თბილისი)



მთავრობის სახლის წინა მარცხენა მხარეს ასასვლელი კიბე. მარცხნივ აფეთქების ადგილი (ქ. თბილისი)



აფეთქების კერა (ქ. თბილისი)



შემთხვევის ადგილის საერთო ხედი - წულუკიძის სახელობის სკვერი (ქ. ქუთაისი)



აფეთქების კერა (ქ. ქუთაისი)

დამოუკიდებლობაა.

საჭიროა ბოლო მოეღოს რუსეთის ნეოკოლონიურ პოლიტიკას არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ, ჩვენს მონათესავე კავკასიაშიც. ჩვენს ხალხს ბავშვობიდანვე უნერგავენ, რომ რუსეთი ყველაზე კარგი ქვეყანაა და რუსეთის გმირები ყველაზე მამაცები და კეთილშობილები, ყველგან რუსეთის ხოტბა და დიდება ისმის. თითქმის ხდება რუსეთის გაღმერთება, მაგრამ ჩვენ არ ვიცით, ისინი რას წარმოადგენენ თავისი უარყოფითი ჩვევებით? რუსებს სძულთ ქართველი ხალხი და შეიძლება რუსეთის სათავეში მოექცეს ვინმე ოკუპანტი, რომელიც შეეცდება ქართველთა გასახლებას სადმე ციმბირისა და ყაზახეთის ტრამალებში.

შეიძლება საქართველოში ზოგ პიროვნებას სურს, რომ ჩვენს ქალაქებს დაერქვას ქუთაისგრად, შევარდნაძეგრად, ან თბილისგრად? არა, ბატონებო, ეს ასე არ მოხდება! ქართველებში კიდევ გამოჩნდებიან რაინდები, რომელთაც შეუძლიათ სათავეში ჩაუდგნენ ჩვენს ხალხს თავის კეთილშობილურ ბრძოლაში ნაციონალური დამოუკიდებლობისათვის.

დამოუკიდებლობისათვის ამ სამართლიან ბრძოლაში მთელი მსოფლიოს პროგრესული წრეები ჩვენს მხარეზე იქნება.

საქართველოს რუსეთიდან გამოყოფის შემდეგ ერთპარტიულ დიქტატურას ბოლო უნდა მოეღოს. საჭიროა რეალურად და საღად მოაზროვნე ქართველთა ქვეყანაში დამკვიდრდეს ადამიანთა მრავალიდეური აზროვნების თავისუფლება. ჩვენში ქართველმა ადამიანმა უნდა იცხოვროს, იაზროვნოს ისე, როგორც მას სურს. თქვენ კი, მოსახლეობის მცირე ნაწილს, გსურთ მთელი ჩვენი ხალხის გადაყვანა თქვენი იდეების რელსებზე, მაგრამ ვერ შეძლებთ, ვინაიდან დაწყებული 1921 წლიდან თქვენ ეყრდნობით გარეშე ძალების, რუსების ხიშტებს. ეს ღალატია და საჭიროა ამ ღალატს ბოლო მოეღოს. თქვენ გაჰყვირით, რომ ყოველთვის მხარს დაუჭერთ ხალხებს, რომლებიც იბრძვიან ნაციონალური დამოუკიდებლობისათვის. ქართველი კომუნისტებისათვის ეს სიყალბეა, ვინაიდან თვით ქართველები არიან რუსეთზე დამოკიდებულნი, კოლონიურ მდგომარეობაში და ქართველი . კომუნისტები, როგორც რუსების მარიონეტები, ეფარებიან რა დემაგოგიურ ფრაზებს, მოუწოდებენ ქართველებს ადამიანის ბუნებისათვის ყველაზე საზიზღარი მდგომარეობისაკენ - მონა-მორჩილებისაკენ.

მზე ჩრდილოეთიდან იმათთვის ამოდის, ვინც ჩაჩოქილი მონურად იწვდის ხელს რუსი პატრონისაკენ რაიმე გასამრჯელოს

მისაღებად. მაგრამ ქართველთა მზე მაინც აქ ამოდის, ჩვენთან. ეს მზე ჩვენი ეროვნული დამოუკიდებლობაა. ეს მზე ნამდვილი დემოკრატიაა.

ჩვენ მოვითხოვთ:

1. თუ თქვენც გსურთ აგრეთვე საქართველოს დამოუკიდებლობა, მაგრამ რუსეთის სამხედრო ძალის შიშით ხმას ვერ იღებთ, გადადექით თქვენი თანამდებობიდან და საქართველოს ხელისუფლების სადავეები გადაეცით საქართველოს განთავისუფლების ფრონტს. მაშინ თქვენ ნახავთ,თუ როგორ შეიძლება საქართველო გახდეს დამოუკიდებელი ქვეყანა.

თქვენ შეგიძლიათ აგრეთვე ნება დართოთ საქართველოს ტერიტორიაზე ნეიტრალურად იარსებოს საქართველოს განთავისუფლების მთავარი ჯგუფების მიერ შედგენილმა საქართველოს დემოკრატიულმა პარტიამ (სდპ). ამ შემთხვევაში საქართველოს განთავისუფლების ფრონტი შეწყვეტს თავის არსებობას. სამაგიეროდ საქართველოს დემოკრატიულმა პარტიამ უნდა მიიღოს საქართველოს უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობისა და თავისი კანდიდატურების წარმოდგენის ნებართვა.

თუ თქვენ ამ ორი პირობის შესრულება არ შეგიძლიათ, მაშინ ეყრდნობა რა ქართველი ხალხის ნაციონალურ ინტერესებს და ითვალისწინებს ქართველი ხალხის მისწრაფებას დამოუკიდებლობისადმი, საქართველოს განთავისუფლების ფრონტი გიყენებთ შემდეგ მოთხოვნებს:

1. გამოცხადდეს საქართველოში საყოველთაო სახალხო რეფერენდუმი რუსეთიდან გამოყოფისა და დამოუკიდებელი ქვეყნის შექმნის საკითხზე.

2. რეფერენდუმის თარიღი გამოცხადდეს ტელეხედვითა და გაზეთებით ამა წლის პირველ მაისამდე.

3. რეფერენდუმი დაინიშნოს 1976 წლის ბოლო თვეებში.

4. რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღოს ყველა ეროვნების ადამიანმა 16 წლის ასაკიდან ზევით, ვინც კი იქნება საქართველოს ტერიტორიაზე რეფერენდუმის დღეს.

5. რეფერენდუმამდე რამდენიმე დღით ადრე საქართველოს განთავისუფლების ფრონტის წარმომადგენლებს ნება მიეცეთ ტელეხედვით და გაზეთებით სიტყვით მიმართონ ქართველ ხალხს.

თუ ხალხის 70 პროცენტი ხმას მისცემს საქართველოს რუსეთიდან გამოყოფას, მაშინ უმალ იქნას მოწვეული საქართველოს უმაღლესი საბჭოს კრება საქართველოს განთავისუფლების ფრონტის

წარმომადგენლების მონაწილეობით.

კრებამ დაადგინოს:

1. საქართველოს დამოუკიდებლობა.

2. რუსეთის მთელი სამხედრო პერსონალის გაყვანა საქართველოდან.

3. ნეიტრალიტეტი.

4. საქართველოს განთავისუფლების ფრონტში შემავალი მთავარი ჯგუფების გაერთიანებული ორგანიზაციის - საქართველოს დემოკრატიული პარტიის არსებობის ცნობა.

5. დაინიშნოს თარიღი საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტის არჩევნების შესახებ მმართველი კომუნისტური პარტიისა და საქართველოს დემოკრატიული პარტიის კანდიდატების მონაწილეობით.

საქ. განთ. ფრ. სგფ.
19 აპრილი, 1976 წელი, თბილისი

<u>მინაწერი:</u>

„ამ განცხადების შინაარსი და ჩვენი მოთხოვნები გააცანით საქართველოს მცხოვრებლებს ტელეხედვითა და გაზეთებით ა.წ. 25 აპრილამდე. იმავე დროსვე მოგვეცით პასუხი ჩვენს საერთო მოთხოვნებზე. თუ თქვენ ამ განცხადებას არ გააცნობთ ხალხს 25 აპრილამდე, და პასუხსაც ჩვენ სრულად არ მოგვცემთ, თქვენი ეს მოქმედება ჩაითვლება, როგორც სინამდვილის დამალვა ხალხისათვის და ჩვენი პასუხი იქნება სასტიკი ანტიტერორი (იგულისხმება ალბათ ტერორი - გ.ს.) თქვენს მიმართ. რამდენიმე კვირის შემდეგ ჩვენი დემონსტრაციული ანტიტერორისტული (ალბათ აქაც - გ.ს.) აქტები გადაიქცევა ნამდვილ სისხლიან ბრძოლად.

ჩვენ დავიწყებთ მთელი რიგი კომუნიკალური ხაზების რღვევას, ჩვენ დავიწყებთ ნავთობ და გაზსადენების, ნავთობიანი მატარებლების, საქართველოს გარეთ გამავალი რკინიგზებისა და მაღალი ძაბვის დენის გამტარების აფეთქებას, მწყობრიდან გამოვიყვანთ თბილისის მეტროპოლიტენს და სრულიად შევაფერხებთ რუსეთისაკენ მიმავალ აეროპლანთა მოძრაობას, მრეწველობის ბევრ დარგებში შევქმნით ქაოსს. ამის მიზეზი იქნება თქვენი უპასუხობა და პასუხისმგებლობაც მთლიანად თქვენ დაგეკისრებათ. თუ თქვენ 25



Сообщения Вершина.

- ეს ზედმეტია. მე არა მგონია, რომ ასეთა მუხლი წაგვეყენებინოს. შეიძლება აღარ მახსოვს, მას შემდეგ ხომ სულ მცირე 15 წელი გავიდა. ჟვანია პირდაპირ ამბობდა, რომ მე ხალხისათვის ზიანის მიყენება არ მინდოდა, ყოველთვის ვეძებდი ისეთ ადგილს, სადაც ხალხი იყრის თავს, მაგრამ იმ დროს უნდა განმეხორციელებინა ჩემი ჩანაფიქრი, რომ ადამიანისათვის ზიანი არ მიმეყენებინაო, მითხრა, რომ თავდაპირველად ცკ-ს შენობის წინა ადგილი შევარჩიე, მერე თქვენი ორგანოს შესასვლელი, მაგრამ რომ დავაკვირდი, მუდამ იყო იქ ხალხი და ამიტომ გადავიფიქრეო, სოხუმში აფეთქების დროს ლევიტინი რომ მოკვდა, მას ერთი კვირა საჭმელი არ უჭამია, ისე შეეცოდა დაღუპული.

როცა წერდა, რომ არსებობს საქართველოს განმათავისუფლებელი ორგანიზაცია, ამას იმიტომ აკეთებდა, რომ დამაჯერებელი ყოფილიყო მისი მოქმედება. რადგან ვერავინ იფიქრებდა, თუ ამდენ რამეს ერთი კაცი აკეთებდა.

ერთი რამ უნდა ვთქვა კიდევ - ჩვენთან, უშიშროების ორგანოში, ჩვეულებრივად საქმის წარმოება რუსულად ხდებოდა, ჩვენს ორგანოებში, რაიონებშიც კი არ ავსებდნენ ოქმებს ქართულად, როცა საქაღალდე გავხსენი და რუსულად დავიწყე საუბარი, ჟვანიამ მითხრა, ქართულად დაწერეთო და მეც ბოლო დაკითხვებამდე ასე მოვიქეცი.

ე. თ. - *თუ განაჩენს იმ მუხლებს ჩამოვაშორებთ, რაზეც ზემოთ ვამბობდით, თქვენი, როგორც იურისტის აზრით, ვლ. ჟვანიას დახვრეტა აცდებოდა თუ არა?*

- რა თქმა უნდა, ახლა სულ გამართლებული იქნებოდა, იმიტომ რომ დრო შეიცვლებოდა.

ე. თ. - *რამდენადაც მე ვიცი, ამ აფეთქებათა მსგავსი სსრკ სხვა რესპუბლიკებშიც მოხდა იმ პერიოდში.*

- ეს გაგებით, რამდენად რეალურია, გასარკვევია... გაზეთებში ასეთი რამ არ იბეჭდებოდა და რა ვიცი.

ე. თ. - *ვლადიმერ ჟვანიას ძიების საქმეში მონაწილეობას ღებულობდნენ უზბეკეთის, თურქმენეთის და შუა აზიის სხვა რესპუბლიკების უშიშროების ორგანოთა წარმომადგენლები. რით იყო ეს გამოწვეული?*

- ასეთი პრაქტიკა იყო უშიშროების კომიტეტში, ისინი დახმარებას გვიწევდნენ, რადგან ჩვენთან სამუშაო ბევრი იყო. არსებობდა რესპუბლიკები, ქალაქები, იყო ისეთი რაიონები, განსაკუთრებით ჩრდილოეთის მხარეში, სადაც პოლიტიკური დანაშაული

საერთოდ არ ხდებოდა და უშიშროების ორგანოთა წარმომადგენლები, რადგან სამოქალაქო საქმეებს არ იკვლევდნენ, გამომძიებ ოის კვალიფიკაციას კარგავდნენ - ამიტომ გვთხოვდნენ, ჩაგვერთო ი ინი ჩვენს საქმიანობაში.

ე. თ. - *თქვენთვის, როგორც უშიშროების ორგანოს წარმომადგენლისათვის, ცნობილი იყო თუ არა, რომ ასეთი აფეთქებები, როგორიც საქართველოში მოაწყვეს, სხვა რესპუბლიკებშიც ხდებოდა?*

- როგორ არა, შვილო, როგორ არა, დიახ, ჩემთვის ცნობილი იყო, მაგრამ ახლა არც მახსოვს, სად, როდის, როგორ, რა მოხდა.

ე. თ. - *ხომ არ იყო ეს ერთიანი შეტევა ისევ საბჭოთა იმპერიის წინააღმდეგ?*

- ძნელია ამის თქმა, ერთხელ მეც ვიფიქრე... პოლიტიკურ დანაშაულზე გასამართლებულები ხომ ციხეში ერთად სხედან, პოლიტპატიმართა ბანაკი ცალკეა. პოლიტიკურ დანაშაულს ჩადის განათლებული, ჭკვიანი ადამიანი. ქურდი და გამფლანგველი პოლიტიკისაგან შორს არის. მე ვიფიქრე, რომ რადგან ეს პატიმრები ერთად იკრიბებოდნენ, ხომ არ იყო იქ ჩანაფიქრი, რომ როცა დაბრუნდებოდნენ თავიანთ რესპუბლიკებში, ასეთი მოქმედებანი წამოეწყოთ. ეს იყო ჩემი ფიქრი, მაგრამ ჩემივე პასუხი ამ ჩანაფიქრზე ასეთი იყო. იქ, ბანაკებში ხომ არიან მუშაკები, რომელთათვისაც ეს ამბავი ასე თუ ისე ცნობილი იქნებოდა და ჩანასახშივე გამოაშკარავდებოდა. კიდევ ვიმეორებ, რომ ჟვანია არ იყო დაკავშირებული ვინმესთან, არც რუსეთში და არც საქართველოში.

ე. თ. - *ვლადიმერ ჟვანიას თქვენ ხშირად ეკითხებით დაასახელოს ის ლიტერატურა, საიდანაც გაუჩნდა მას „ანტისაბჭოთა შეხედულებანი", რაზეც იგი გპასუხობთ, რომ ცხოვრებაზე დაკვირვებით მივიდა ამ აზრამდე. არადა, რალაც ლიტერატურა ხომ უეჭველად ექნებოდა წაკითხული, მაგრამ არ დაგისახელათ - ასევე ხომ არ მოიქცა თავის თანამოაზრეთა დასახელების დროსაც?*

- მე უეჭველად მექნება ძიების დროს მასეთი კითხვა დასმული, მაგრამ თუ იგი მპასუხობდა „არა"-ს, მე აღარ ვაძალებდი, ვინაიდან აკრძალული ლიტერატურა ბიბლიოთეკაში არ არის, ვილაცას უნდა მიეცა, ის ვილაცა თავისთავად დაუკავშირდებოდა ამ საქმეს და დაიწყებოდა ჯაჭვური რეაქცია, ამიტომ არ

გვინდოდა გაგვემწვავებინა, თუ სხვა პიროვნება იქნებოდა, უკვე ორგანიზაციად ჩაითვლებოდა.

ე. თ. - *მე, რა თქმა უნდა, ჟვანიასთან ერთად ვინმეს დასჯას კი არ ვგულისხმობ, მაგრამ თუნდაც ასეთი ჯაჭვური რეაქციით რატომ არ წარმართეთ ძიება?*

- მე ზემოთაც ვთქვი, რომ ჟვანიას სხვა პიროვნებასთან არ ჰქონია კავშირი, და თუ ჩვენ ორგანიზაციას გავხსნიდით, იტყოდნენ რა კარგად მუშაობენო და ჩინებსაც დაგვირიგებდნენ. ასე რომ, ჩვენ ორგანიზაციის გახსნას მოვერიდეთ, იმიტომ რომ საკავშირო მთავრობა რესპუბლიკურს ცუდი თვალით დაუწყებდა ყურებას, ეს მე არ მიფიქრია და არც მგონია სიმართლე.

ე. თ. - *ბატონო ალექსანდრე, ეს ყველაფერი იმიტომ გკითხეთ, რომ არსებობს აზრი, თითქოს ყველა აფეთქება ვლადიმერ ჟვანიას არ ჩაუდენია, მან მხოლოდ თბილისში მოახდინა ე. წ. დივერსიული აქტი. რას გვეტყვით ამასთან დაკავშირებით?*

- არა, თქვენ ალბათ არ გინახავთ ვიდეოფირი, სადაც ჟვანიამ დეტალურად უჩვენა ყველაფერი. ერთხელ მითხრა კიდეც - რა მოხდებოდა, რომ ეს ყველაფერი მე არ ამეღო ჩემს თავზეო - მე ვუთხარი, რომ ხედავ რამოდენა მტკიცებაა, სახლში გიპოვნეს ასაფეთქებელი ნივთიერება, თბილისში გიპოვნეს, შემნახველ საკანში გიპოვნეს, ჩანაწერები აღმოგაჩნდა, იგივე იქნებოდა, ოღონდ ეგ არი, რომ შენ მე შემაყვარე თავი, როგორც ადამიანმა, შენი ასეთი გულახდილი მოქმედებით და ადამიანობით-თქო.

კიდევ ვიმეორებ რომ დანაშაულს იგი ჩადიოდა და დამნაშავედ იქცა იმიტომ, რომ უნდოდა საქართველოს დამოუკიდებლობა და თავისუფლება. (1991 წელი) "

მართლაც, ვლ. ჟვანია, სიცოცხლის ბოლომდე, საკუთარი მრწამსის ერთგული დარჩა. მან ერთგულად შეასრულა ბ-ნი ა. მირიანაშვილისათვის მიცემული სიტყვა და გულახდილი აღიარებით საგრძნობლად შეუწყო ხელი წინასწარი გამოძიების მსვლელობას. სამწუხაროდ, მისი გულწრფელი აღიარება, ისევე როგორც სხვა შემამსუბუქებელი გარემოებები, სასამართლო განხილვისას არ იქნა გათვალისწინებული.

ვლ. ჟვანიას ზემოთნახსენები 23 მაისის მიმართვის გაანალიზების შემდეგ ყოველივეს ნათელი მოეფინა და აქედან მოყოლებული ძიების პროცესში საჭირო იყო მტკიცებულებების შეკრება,

მოწმეთა ჩვენებების ფიქსაცია და, რაც მთავარია, დანაშაულის წინასწარი კვალიფიკაციის განსაზღვრა. ეს მართლაც მოხდა. 1976 წლის 24 მაისს ვლ. ჟვანიას მიმართ გამოტანილ იქნა დადგენილება მისი ბრალეულად ცნობის შესახებ. მას ბრალი ედებოდა საქართველოს სსრ სსკ-ის 69-ე მუხლით, 71-ე მუხლის I ნაწილით და 238-ე მუხლის I ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში.

ამდენად, ვლ. ჟვანიას მიერ ჩადენილი დანაშაული თავიდანვე დაკვალიფიცირდა საქართველოს სსრ სსკ-ის 69-ე მუხლით და იგი არ შეცვლილა არც წინასწარი გამოძიების მსვლელობისას და არც სასამართლო განხილვისას. აღნიშნულ დადგენილებაში პირველად დაფიქსირდა ვლ. ჟვანიას საბოლოო მიზანი (დანაშაულის ობიექტური მხარე) - საბჭოთა სახელმწიფოს შესუსტება, რისთვისაც ის ახორციელებდა ანტისაბჭოთა, ნაციონალისტურ საქმიანობას, მიმართულს საქართველოს სსრ-ში საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების შეცვლისაკენ.

1976 წლის 24 მაისს ვლ. ჟვანია, მისივე თანხმობით, პირველად დაიკითხა რუსულ ენაზე. 25-26 მაისს მან დეტალურად აღწერა მის მიერ დამზადებული ასაფეთქებელი მოწყობილობების შექმნის ტექნოლოგია. იქვე შეადგინა აღნიშნული მოწყობილობების ანალოგიური ელექტრომექანიკური სქემები.

შემდგომი სამი დღის მანძილზე ზუსტდებოდა აფეთქების დეტალები და ის, თუ როგორ და რა სახსრებით ცხოვრობდა ვლ. ჟვანია ციმბირის ბანაკებიდან დაბრუნების შემდეგ მორიგ დაპატიმრებამდე.

1976 წლის 7 ივნისს, 4 ივნისსა და 1-ლ ივნისს ჩატარდა საგამოძიებო ექსპერიმენტები. ვლ. ჟვანიამ მისთვის წარდგენილი აუცილებელი მასალებითა და იმიტატორებით მოამზადა ასაფეთქებელი მოწყობილობების ნიმუშები, მის მიერ საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის და საქართველოს სსრ მთავრობის სახლის შენობებთან და ქალაქ ქუთაისში წულუკიძის სახელობის სკვერში აფეთქებული ბომბების ანალოგიები. საგამოძიებო ექსპერიმენტების ოქმებიდან ირკვევა, რომ ნიმუშები დამზადებულ იქნა პროფესიულად, კვალიფიციურად, ელექტროტექნიკის თეორიული საფუძვლების ღრმა ცოდნით. ამასვე ადასტურებენ ექსპერიმენტის მონაწილენი.

სამწუხაროდ, როგორც აღინიშნა, განადგურებული აღმოჩნდა ვიდეოფირი, რომელზეც დაფიქსირებული იყო სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედებები და რომლებიც, საგამოძიებო საქმეზე დანართის სახით ინახებოდა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის საგამოძიებო განყოფილებაში.

12 ივნისამდე კვლავ ინტენსიურად მიმდინარეობდა ჟვანიას დაკითხვა აფეთქებებთან დაკავშირებული დეტალების დასაზუსტებლად.

1976 წლის 14 ივნისს გამომძიებელმა პირველად დასვა შეკითხვა - სად, როდის, რა პირობებში და ვისგან შეიძინა ვლ. ჟვანიამ ფეთქებადი ნივთიერებები და აფეთქებისათვის აუცილებელი სხვა კომპონენტები. მიუხედავად გამომძიებლის დაჟინებული თხოვნისა, ვლ. ჟვანიამ კატეგორიული უარი განაცხადა პიროვნების დასახელებისაგან იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ არ უნდოდა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა გამოძიებისათვის უცნობი პირისა, რომელიც დარწმუნებული იყო, რომ ასაფეთქებელი მოწყობილობები ვლ. ჟვანიას სჭირდებოდა მხოლოდ სათევზაოდ.

„არ მინდა დავასახელო ის პიროვნება, რომელმაც არაფერი იცის ჩემი დანაშაულებრივი ჩანაფიქრებისა და მოქმედებების ირგვლივ. არ მინდა დავასახელო იგი იმიტომ, რომ არ მსურს მივაყენო მას ზიანი. მე ვთვლი კაცის ცხეში ჩაჯდომას დაღუპვად და უფრო ამიტომ არ მინდა მისი პიროვნების დასახელება, არ მინდა იმიტომ, რომ როგორც ჩემთვისაა ცნობილი, იგი პატიმრობაში არასდროს ყოფილა“.

ვლადიმერ ჟვანიამ გამოძიებისათვის უცნობი პიროვნება არ დაასახელა არც შემდეგი ოთხი დღის მანძილზე. 22 ივნისს ვლ. ჟვანიას დაკითხვები გაგრძელდა უკვე სხვა თემაზე. კერძოდ, ზუსტდებოდა მისი ბიოგრაფიული მონაცემები, ანალიზდებოდა მის მიერ განვლილი ცხოვრების გზა, ირკვეოდა გამოძიებისათვის მნიშვნელოვანი დეტალები. კერძოდ, დადგინდა, რომ ვლ. ჟვანია დაბადებულია არა, 1974 წლის 18 მარტს მასზე გაცემულ სამხედრო ბილეთში (3 № 2765332) და 1972 წლის დეკემბერში გაცემულ პასპორტში მითითებულ 1938 წლის 15 ივნისს, არამედ 1935 წლის 18 ნოემბერს. საქმეში ინახება ქუთაისის მმაჩის ბიუროს მიერ 1976 წლის 17 ივნისს გაცემული ცნობაც.

ვლ. ჟვანიამ ეს ფაქტი შემდეგნაირად ახსნა:

„1938 წელს დაბადებულად მე ვითვლები 1962 წლიდან, დღიდან ჩემი დაპატიმრებისა მოქალაქის დაჭრის გამო. მე ეს თარიღი მოვიგონე ჩემი დაბადების წლად იმიტომ, რომ არ მინდოდა ძიებისათვის გამენდო ჩემი პირველი პატიმრობა. ჩემი ეს ცდა წარმატებით დაგვირგვინდა. მე მაშინ დამიჯერეს, რომ თითქოს სინამდვილეში ვარ დაბადებული 1938 წელს, რის

შემდეგაც ვირიცხები ყველგან და ყველა საბუთში როგორც 1938 წელში დაბადებული. ამიტომ პირველი ჩემი ნასამართლობა საზღვრის დარღვევის მცდელობისათვის დაფარულ იქნა."

წარმოუდგენელია, მაგრამ ფაქტია. რას შეიძლება ეს შემთხვევა მივაწეროთ - მავანთა უსუსურობას, არაკომპეტენტურობას თუ თავად ვლ. ჟვანიას მოხერხებულობას?

1976 წლის 24 ივნისს ვლ. ჟვანიამ კვლავ მიმართა წერილობით ბ-ნ ა. მირიანაშვილს. მიმართვაში გადმოცემულია ვლ. ჟვანიას პოლიტიკური შეხედულებების ანალიზი, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მისეული ხედვა, კონკრეტული მიზნები და ამოცანები. ამდენად მიზანშეწონილად მივიჩნიეთ განცხადების მკითხველისათვის სრულად მიწოდება (სტილი დაცულია):

„აზრი საქართველოს განთავისუფლებისა და მისი დემოკრატიზაციის შესახებ მე ჩამენერგა უამრავი წლის განმავლობაში, თანდათანობით. არ შემიძლია ვთქვა, თუ საიდან ან როდის დაიწყო ამ აზრმა ჩემში ჩანერგვა, მაგრამ ის კი ზუსტად ვიცი, რომ 1974 წელს ეს აზრი მთლიანად ჩასახული იყო ჩემში.

მე ვფიქრობ, რომ ამას ძალიან შეუწყო ხელი ჩემს მიერ წაკითხულმა ლიტერატურამ, ისტორიულმა ფაქტებმა და ჩვენი ახლანდელი ცხოვრების რეალურმა სურათმა. მე მაინტერესებდა ცხოვრების ბევრი მხარე, ბევრჯერ ვარ ნამყოფი საქართველოს თითქმის ყველა რაიონში, ყველგან ვაკვირდებოდი ცხოვრებას, მის დადებით და უარყოფით მხარეებს. ბევრი ისტორიული მოვლენის განხილვისას მე შევამჩნიე უამრავი ფაქტის დამახინჯება. ჩემი აზრით, ეს დამახინჯება სპეციალურად არის გაკეთებული, რომ ნამდვილი სიმართლე დაუმალონ ხალხს. ბევრი მიზეზის გამო, რომელთა ნაწილს მე ქვევით ჩამოვთვლი, მივედი იმ დასკვნამდე, რომ საქართველო არის რუსეთზე დამოკიდებული მხარე, მის მიერ ოკუპირებული ტერიტორია და საჭიროა მისი განთავისუფლება, განთავისუფლების შემდეგ კი მისი დემოკრატიზაციის რელსებზე გადაყვანა. ამ აზრის მომწიფებაში და მის ჩემში ჩანერგვაში არავითარ პირად მიზეზებს არ მიუციათ ბიძგი.

1921 წელს რუსეთის ჯარების შემოჭრას საქართველოში მე ვთვლიდი აგრესიად სუვერენული სახელმწიფოს წინააღმდეგ, მის ოკუპაციად. ჩემი ფიქრით, ეს არის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმისა, რომ მე ჩამენერგა აზრი მებრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის.

მე მინდა შევეხო შემდეგ მიზეზსაც: ჯერ კიდევ 1962 წლამდე საქართველოს მთელ რიგ ქალაქებში მე ვამჩნევდი ქართველების გარუსებას, ქართული ენის თანდათანობით დაკარგვას. უმთავრესად ეს იყო დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა რაიონებში. მაგრამ როდესაც მე გავთავისუფლდი პატიმრობიდან 1972 წელს და ჩამოვედი საქართველოში, შევამჩნიე, რომ არა მარტო დასავლეთ საქართველოში, არამედ თბილისშიც, ჩვენს დედაქალაქშიც, მოსახლეობის დიდი ნაწილი რუსულ ენაზე გადასულა. ხალხს დაავიწყდა უბრალო სალაპარაკო სიტყვების დიდი მარაგი.

ჩემი აზრით, ქართველი ხალხის გარუსება, გადაგვარება არის დღევანდელი ცხოვრების ნორმა, რასაც ბიძგს აძლევს და აკანონებს საქართველოს კომუნისტური მთავრობა, აქვეყნებს რა პრესაში სტატიებს რუსული ენის სალაპარაკო ენად გადაქცევის შესახებ ჩვენში. ჩემი აზრით, გაივლის კიდევ 50 ან 100 წელი და გაქრება ქართული ენა, დაიკარგება კულტურა, ერი. მე ვფიქრობ, რომ ქართულ სკოლებში რუსულ ენასა და ლიტერატურას არ ასწავლიან როგორც უცხო ენას. მას ასწავლიან ქართველ ბავშვებს, როგორც თითქმის მშობლიურს. სკოლიდანვე უნერგავენ მოსწავლეებს რუსეთის დიდებას, მათი გმირების ქებას და სხვას არაფერს.

ჩემი აზრით, რუსეთის კულტის, ულიანოვის ძეგლები და მათი სახელობის ცენტრალური მოედნები და ქუჩები საქართველოს თითქმის ყველა ქალაქში არის დაცინვა ჩვენი ხალხისა, არის შეურაცხყოფა ქართველთა გმირებისა და სხვა გამოჩენილი ადამიანებისა.

როგორც მე ვფიქრობ, თუ მესამე მსოფლიო ომი დაიწყება, საქართველო დაიღუპება. ჩემი აზრით, ქართველი ხალხის ასეთი დაღუპვის მიზეზი იქნება რუსეთის ჯარის ყოფნა ჩვენს ტერიტორიაზე. ჩემი ფიქრით, საქართველო უნდა იყოს დამოუკიდებელი, დემილიტა-რიზებული და ნეიტრალური.

არ მახსოვს, როდის და სად, მაგრამ როცა მე პირველად გავიგე ჩეჩნებისა და ინგუშების გასახლების ამბავი თავიანთი მიწაწყლიდან, მომივიდა აზრი, რომ ვინმე მოსკოველ უხეშ, შოვინისტ პირს შეუძლია ჩვენც გაგვასახლოს ჩვენი სამშობლოდან სადმე ციმბირის ან ყაზახეთის ტრამალებში.

როგორც ჩემთვის ცნობილია ძველი ქართული ისტორიიდან და ლიტერატურიდან, არაბთა, მონღოლთა და სხვა დამპყრობთა ბატონობის დროს ქართველი ხალხი ბევრჯერ მდგარა გადაგვარების გზაზე. საქართველო ყოველთვის გამოსულა ამ მძიმე მდგომარეობებიდან

და განთავისუფლებულა. მაგრამ ეს თავისუფლება ძვირად უჯდებოდა სამშობლოს. თავისუფლებისათვის ბრძოლაში იღუპებოდა ათასობით ქართველი ადამიანი. ჩემი აზრით, ამჟამადაც ისეთი მდგომარეობაა, როგორც ადრე. მხოლოდ დამპყრობლები შეიცვალნენ და საჭიროა ბრძოლა სრულ განთავისუფლებამდე. ჯერ კიდევ მეფის რუსეთის ბატონობის დროს ქართველი ხალხი აღსდგებოდა ნაციონალური ჩაგვრის წინააღმდეგ. ჩვენი სახელოვანი მწერლები, პოეტები კალმით იბრძოდნენ და ოცნებობდნენ რუსეთის უღლისგან გამოსვლაზე.

როგორც მე ვფიქრობ, მართალია 1921 წელს რუსეთის ჯარების შემოჭრამ თითქმის მთლიანად მოსპო სოციალური ჩაგვრა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავდა, რომ რუსეთის ჯარები ჩვენთან უნდა დარჩენილიყვნენ. არა, ჩემი აზრით, ჯარები უნდა გასულიყვნენ და საქართველოს ეცხოვრა თავისუფლად, დამოუკიდებლად, უდიქტატოდ.

ჩემი აზრით, საქართველოს ნაციონალური განთავისუფლების საკითხი უფრო მთავარია ჩვენს ეპოქაში, ვიდრე სოციალური საკითხი.

მინდა შევეხო აგრეთვე შემდეგ საკითხსაც. ჩემი ფიქრით, ერთპარტიული სისტემა არის მოსახლეობის ერთი ჯგუფის მბრძანებლობა მოსახლეობის სხვა ფენებზე, ჩვენს შემთხვევაში კომუნისტური დიქტატურა. ჩემი აზრით, ერთპარტიული სისტემა იწვევს ადამიანების ცალმხრივ განვითარებას. უნდა ადამიანს ეს თუ არა, მან უნდა განიცადოს მხოლოდ ერთი პარტიის იდეების ზეგავლენა, უნდა მიჰყვებოდეს მხოლოდ ამ პარტიას. ჩემი აზრით, როგორი სრულყოფილიც არ უნდა იყოს რომელიმე პარტიის პროგრამა, არ შეიძლება ქვეყნად მხოლოდ ერთი პარტია არსებობდეს, ვინაიდან ამ მრავალიდეურ მსოფლიოში ადამიანები სხვადასხვა არიან და არ შეიძლება მათ მოახვიო ძალით ის იდეები, რომელიც არ მოსწონთ. როგორც მე ვფიქრობ, კომუნისტურმა დიქტატურამ საქართველოში გამოიწვია კორუფციის მასობრივი გავრცელება, სახელმწიფოს ქონების დატაცება და სხვა. ჩემი ფიქრით, ნაციონალურად მთლიანად დამოუკიდებელ საქართველოში კომუნისტური პარტია დათმობდა ზოგიერთ თავის პოზიციებს და ხელს არ შეუშლიდა სხვა პარტიების არსებობას, ქვეყნის დემოკრატიზაციის პროცესებს.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილმა მიზეზებმა და მრავალმა სხვამაც მე ჩამინერგეს საქართველოს რუსეთისგან გამოყოფისა, მთლიანი დამოუკიდებლობისა და მისი შემდეგი დემოკრატიზაციის

აზრი. მე განვიზრახე მებრძოლა საქართველოს განთავისუფლებისათვის და მეხსნა, ჩემი აზრით, სამშობლო ზემოთ ჩამოთვლილი უბედურებებისგან. ჩემი მიზანი გახდა 55 წლის წინათ შემოჭრილი რუსეთის ურდოების განდევნა საქართველოდან და ნამდვილად დემოკრატიული, მთლიანად დამოუკიდებელი საქართველოს შექმნა.

ჩემი აზრით, საქართველოს განთავისუფლებას მოჰყვებოდა ქართული ენის, ქართული კულტურის გადარჩენა; შემთხვევითი მესამე მსოფლიო ომის თავიდან აცილება; კორუფციის მოსპობა; ქართველი ხალხის ეკონომიკური აყვავება; პოლიტიკური თავისუფლება და მთელი რიგი დემოკრატიული გარდაქმნები.

ამ მიზნების მისაღწევად მე განვიზრახე ამერჩია მშვიდობიანი ბრძოლის გზა. მინდოდა შემექმნა ჯგუფი, მექირავებინა ბინები, მეყიდა ასლების გასამრავლებელი აპარატები და მთელ საქართველოში გამევრცელებინა აგიტაციური სახის ფურცლები, რომლებშიც იქნებოდა მოწოდებები საქართველოს განთავისუფლების შესახებ. მაგრამ ამ გზას თავიდანვე წინ აღუდგა ფინანსური დაბრკოლებები და მე დროებით გადავწყვიტე ბრძოლის ეს გზა დამეტოვებინა.

შემდეგ მე გადავწყვიტე რამდენიმე აფეთქება მომეწყო საქართველოს ქალაქებში. ამ აფეთქებებით მე მინდოდა პოლიტიკური რეზონანსი გამომეწვია საქართველოში და მის გარეთაც. მეგონა აფეთქებები გამოიწვევდა კომუნისტურ ხელისუფალთა შეშფოთებას, რომ შემდეგ მე მათ მოვთხოვდი საქართველოში სახალხო რეფერენდუმის მოწყობას, რომელზეც დაისმებოდა საქართველოს გამოყოფისა და მისი მთლიანი დამოუკიდებლობის საკითხი.

რეფერენდუმის შესახებ და საერთოდ მთელი ჩემი მოთხოვნების შესახებ მე დავწერე მიმართვა მთავრობისადმი, რომლის გაგზავნა ვერ შევძელი ჩემი დაპატიმრების გამო. დაპატიმრების დროს მიმართვა მე ჩამომერთვა. როგორც მე ვფიქრობ, ჩემი მიზნების განხორციელება ვერ მოვახერხე მხოლოდ იმის გამო, რომ დამაპატიმრეს.

ჩემი აზრით, თითქმის მთელი ქართველი ხალხი მოიწონებდა რუსეთიდან საქართველოს გამოყოფას რეფერენდუმის შემთხვევაში. მაგრამ, ჩემი ფიქრით, ქართველ კომუნისტთა აქტივს რეფერენდუმის შესახებ ხსენებაც კი შიშსა ჰგვრის.

24/VI - 76 წ.

ჟვანია

დუმილის, საკუთარ თავთან ხანმოკლე ჭიდილის და შინაგანი წინააღმდეგობების დაძლევის შემდეგ ვლ. ჟვანიამ მიიღო გადაწყვეტილება, ერთგული დარჩენილიყო მიცემული სიტყვის და ბოლომდე დახმარებოდა გამოძიებას.

1976 წლის 26 ივნისს ვლ. ჟვანიამ პირველად დააფიქსირა პირი, რომლისგანაც შეიძინა ასაფეთქებელი მოწყობილობები და ფეთქებადი მასალები. სავარაუდოა, რომ ამ პერიოდისათვის ეს პირი გამოძიებისათვის უკვე ცნობილი იყო, ვინაიდან იმავე დღეს, ზუსტად ვლ. ჟვანიას დაკითხვის დამთავრებისთანავე (17.45 სთ.) განხორციელდა ფოტოსურათების მეშვეობით მისი ამოცნობა და შედგა სათანადო ოქმი. ზემოაღნიშნულ თემაზე საუბარი გაგრძელდა მეორე დღესაც.

შემდგომ დღეებში გამოძიება ინტენსიურად ცდილობდა გაერკვია, თუ რა გზით ავრცელებდა ვლადიმერ ჟვანია ანტისაბჭოთა იდეებს, ვისთან საუბრობდა ამ თემებზე, რა სახის ანტისაბჭოთა ლიტერატურას ეცნობოდა, მისებრ მოაზროვნე რომელ პიროვნებებთან ჰქონდა კონტაქტი და სხვ.

ივლისის დასაწყისში ძიება განსაკუთრებულად გააქტიურდა „საქართველოს განთავისუფლების ფრონტის" სავარაუდო წევრების ვინაობის დადგენით და იმ პირების გამოვლენით, რომლებიც შესაძლოა დახმარებას უწევდნენ ვლ. ჟვანიას ანტისაბჭოთა შინაარსის წერილების შედგენასა და გავრცელებაში.

დასმულ შეკითხვებს ვლ. ჟვანიამ ასევე კატეგორიულობით უპასუხა, რომ ის ანტისაბჭოთა და კანონსაწინააღმდეგო საქმიანობას ეწეოდა მარტო, „თანამოაზრეთა" მონაწილეობის გარეშე, დამოუკიდებლად. არ უარუყვია, რომ საკუთარ შეხედულებებს სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით არასოდეს მალავდა, თუ, რა თქმა უნდა, პირთან საუბრის საშუალება მიეცემოდა, თუმცა ამას ის ნებისმიერ შემხვედრთან არ აკეთებდა. იჩენდა სიფრთხილეს, რათა არ ყოფილიყო გაგებული არასწორად.

რაც შეეხება გამომძიებლის მიერ მრავალჯერ დასმულ შეკითხვაზე დაესახელებია პირები, რომლებთანაც ის „ანტისაბჭოთა აგიტაციას და პროპაგანდას ეწეოდა", მთელი კატეგორიულობით და პრინციპულობით უარყოფითი რეაქცია გამოხატა, რითაც სავარაუდოა, რომ ბევრი პიროვნება აცდა შესაძლო უსიამოვნებას.

1976 წლის ივლისის ბოლოს და აგვისტოს დასაწყისში კვლავ გრძელდებოდა ვლ. ჟვანიას ფორსირებული დაკითხვები. გამოძიება განსაკუთრებით დაინტერესდა მასსა და ნირობის ბანაკის

ყოფილ პატიმარ ბონდო გიგინეიშვილს შორის არსებული დამოკიდებულებით, თუმცა რაიმე დანაშაულებრივი კავშირი მათ შორის ვერ დაფიქსირდა.

ვლ. ჟვანიამ ბონდო გიგინეიშვილი გაიცნო 1966 წელს, როდესაც ეს უკანასკნელი გადაიყვანეს ნირობის ბანაკში. მათ შორის ნორმალური ურთიერთობა დამყარდა, თუმცა განსაკუთრებული დამოკიდებულებებით ეს ურთიერთობა არ გამოირჩეოდა, ვინაიდან, როგორც ვლ. ჟვანია ამბობს: „იგი (იგულისხმება ბ. გიგინეიშვილი - გ. ს.) უფრო სხვა თვისების და მისწრაფების ადამიანი იყო."

1975-76 წლებში ბ. გიგინეიშვილი და ვლ. ჟვანია ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს, როგორც „ნაცნობი ნაცნობს, ყოველივე საქმის გარეშე". „ჩვენ, ორმა ქართველმა, ერთმანეთი გავიცანით საქართველოს გარეთ, შორეულ ბანაკში, ალბათ ამან განაპირობა, რომ პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგ მოვინდომეთ ერთმანეთის ნახვა. ჩვენს შორის, გარდა აი ამ ნაცნობობისა, მეტი სხვა საერთო არაფერი ყოფილა და არ გვაქვს." შემთხვევითობას მიაწერს ვლ. ჟვანია მათ შეხვედრასაც ქ. ბათუმში მისი დაპატიმრების წინა დღეს.

ძიების პროცესში დგინდებოდა, თუ რატომ მოგზაურობდა ვლ. ჟვანია ინტენსიურად საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ და რატომ შეწყვიტა აფეთქებები, კერძოდ რატომ არ გააკეთა ეს მან ქ. ბათუმში ყოფნისას? ის ამ პროცესებსაც თავისებურ ახსნას აძლევს.

ვლ. ჟვანია ციმბირის ბანაკებიდან დაბრუნების შემდეგ, მართლაც ბევრს მოგზაურობდა საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთაც. მისი გეგმების განხორციელების ნაწილს წარმოადგენდა ის, რომ შეესწავლა არსებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება, ერის სულიერი მდგომარეობა, ზოგადად საზოგადოებრივი აზრი. ახდენდა დაკვირვებებს მოსახლეობის სხვადასხვა ფენებსა და სოციალურ პრობლემებზე, არსებულ ნეგატიურ ვითარებასა და ტენდენციებზე.

რაც შეეხება ქ. ბათუმში „დემონსტრაციული აფეთქების" მოწყობის სურვილს, თავდაპირველად ჰქონდა ამის ჩანაფიქრი, მაგრამ მოგვიანებით, ისევ და ისევ იმ მოტივით, რომ პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის შენობის მიმდებარე ტერიტორია (იქვე იყო ბაგა-ბაღი) ყოველთვის ხალხმრავალი იყო, ხელი აიღო განზრახვაზე.

1976 წლის 30 ივნისს დაკითხეს აფხაზეთის ასსრ

უშიშროების კომიტეტის სამორიგეო ნაწილის ყველა თანამშრომელი, რომლებიც მორიგეობდნენ 1975 წლის მაის-ივნისის თვეებში, ვერც ერთმა მათგანმა ვერ დააფიქსირა, რომ გაგრაში აფეთქებასთან დაკავშირებით იყო რაიმე გამაფრთხილებელი ზარი. დაახლოებით ანალოგიური შინაარსის ცნობა გასცა აფხაზეთის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს გაგრის რაიონულმა განყოფილებამ.

1976 წლის 15 სექტემბერს, მას შემდეგ, რაც მიიღეს ცნობები საქართველოს სსრ უშიშროების კომიტეტიდან, სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროდან და საქართველოს სსრ სამხედრო კომისარიატიდან, ასევე დაჰკითხეს მოწმეები, რომელთაც შესაძლოა სცოდნოდათ რაიმე ქ. გაგრაში ასაფეთქებელი მოწყობილობის თაობაზე. სათანადო მტკიცებულებების არარსებობის გამო საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის საგამოძიებო განყოფილების უფროსის ბატონ ა. მირიანაშვილის მიერ, გაგრის ფაქტთან დაკავშირებით, გამოტანილ იქნა დადგენილება სისხლის სამართლის საქმის არაღძვრის შესახებ.

გამოძიების პროცესში დაჰკითხეს ის არასრულწლოვანები, სკოლის მოსწავლეები, რომლებსაც ვლ. ჟვანია ამეცადინებდა ქ. გაგრასა და ქ. სოხუმში შუბლაძეების, ცაგარლების და ნადარეიშვილების ოჯახებში.

ვლ. ჟვანიას მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმეზე დაზარალებულად ცნობილი იყვნენ: დიმიტრი ლეიბის ძე ლევიტინი (გარდაცვლილის მამა), როზა ვლადიმერის ასული ბურიანოვა (გარდაცვლილის დედა), მარინა ვლადიმერის ასული ბულდაკოვა (გარდაცვლილის მეუღლე), აგრეთვე ქ. სოხუმში მცხოვრები ანა კონსტანტინეს ასული ელეფთეროვა. ბოლო ორ მათგანს მიადგა სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანება. დაზარალებულად ცნეს აგრეთვე ქ. ტყიბულში მცხოვრები ვენერა დიაკონიძე, რომელმაც ასევე სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანება მიიღო.

საექსპერტო დასკვნიდან ირკვევა, რომ აფეთქების შედეგად საერთო მატერიალურმა ზარალმა შეადგინა 18.258 მან და 22 კაპიკი.

წინასწარი გამოძიების პროცესში ჩატარდა სხვადასხვა ხასიათის ექსპერტიზები: გრაფიკული, კრიმინალისტური ექსპერტიზის კომპლექსი, ასაფეთქებელ მოწყობილობათა, ფეთქებად ნივთიერებათა და პიროტექნიკური, აგრეთვე ბიოლოგიური ექსპერტიზა. პროცესში აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტროს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის მთავარი ბიუროს ნივთმტკიცებათა გამოკვლევის ლაბორატორია, აგრეთვე სსრ კავშირის იუსტიციის

სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. საექსპერტო კვლევებში ბევრმა ექსპერტ-სპეციალისტმა, მათ შორის მოწვეულებმაც, მიიღო მონაწილეობა.

1976 წლის 11 აგვისტოს ვლ. ჟვანია გაეცნო ექსპერტიზის დასკვნის აქტებს. ერთ-ერთ მათგანს ის კატეგორიულად არ დაეთანხმა და დააფიქსირა, რომ ჩხრეკისას ამოღებული ამერკაკასიის რუქაზე დასმული ხელმოწერა მხოლოდ და მხოლოდ მას ეკუთვნოდა.

28 აგვისტოს მოხდა ვლ. ჟვანიას დაპირისპირება ფოცხვერაშვილთან.

გამოძიების მსვლელობის პროცესზე მუდმივად გამოთქვამდა უკმაყოფილებას სოხუმში აფეთქების შედეგად გარდაცვლილის მამა, ლენინგრადში მცხოვრები დიმიტრი ლევიტინი. მან წერილობითი საჩივრით არაერთგზის მიმართა სსრ კავშირის, საქართველოს სსრ და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო და ადმინისტრაციულ ორგანოებს, გაზეთ „Правда“-ს. დ. ლევიტინის საჩივრის განხილვის საკითხი კონტროლზე ჰყავდა აყვანილი სსრ კავშირის კპ ცენტრალურ კომიტეტს. დაზარალებულმა ერთ-ერთ საჩივარში ისიც კი მიუთითა, რომ მისი შვილი 1976 წლის 11 აგვისტოს იქნა მოკლული ფაშისტების მიერ.

1976 წლის 29 სექტემბერს საქართველოს სსრ უშიშროების კომიტეტის საგამოძიებო განყოფილების მიერ, როგორც დაზარალებული, დაკითხულ იქნა დ. ლევიტინი. მას განემარტა, რომ გამოძიება დამთავრებული იყო და მას კანონმდებლობით უფლება ეძლეოდა გაცნობოდა საქმის მასალებს, რაც მან არ გააკეთა და დაკმაყოფილდა საგამოძიებო განყოფილების უფროსის მოადგილის ბ-ნ ა. მირიანაშვილის ზეპირი განმარტებებით. აქვე დ. ლევიტინმა ითხოვა შეხვედრა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის რომელიმე ხელმძღვანელთან, მშობლიურ ქალაქში მისი შვილის საფლავზე ძეგლის დადგმის საკითხის გადასაწყვეტად.

ასეთი შეხვედრა მართლაც შედგა საქართველოს სსრ უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის ერთ-ერთი მოადგილის მეშვეობით და საკითხიც დადებითად გადაწყდა.

ცნობაში ასევე მინიშნებულია, რომ საქმის გაცნობაზე იგივე მოტივით უარი განაცხადეს დ.ლ. ლევიტინის მეუღლემ რ.ვ. ბურიანოვამ და რძალმა მ.ვ. ბულდაკოვამ. ისინი, როგორც უკვე აღინიშნა, არც სასამართლო პროცესზე გამოცხადნენ.

საქმის მასალების ანალიზი მიგვანიშნებს კიდევ ერთ გარემოებაზე: როგორც ჩანს, გამოძიების პროცესში იყო მცდელობა,

რათა ვლ. ჟვანიას მიერ ჩადენილ დანაშაულთა რეალური მოტივი - საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოღვიძება და ამ გზით ქვეყნის დამოუკიდებლობის მიღწევა - გაიგივებულიყო რუსი ხალხისადმი მის უარყოფით დამოკიდებულებასთან, რაც იმთავითვე მცდარი მოსაზრება იყო. თუმცა საქმეში ეს ვარაუდი მაინც დაფიქსირდა, როგორც ვლ. ჟვანიას ნაციონალისტური, ანტირუსული დამოკიდებულება, რითაც წინასწარმა გამოძიებამ პოლიტიკური ჟღერადობა მიიღო.

ვლ. ჟვანიას არასოდეს და არავისთან გამოუმჟღავნებია ანტირუსული დამოკიდებულება. მას არც შეიძლებოდა რუს ერზე ცუდი შეხედულება ჰქონოდა, თუნდაც იმიტომ, რომ ბებია და სიძე, რომლებსაც ის დიდ პატივს სცემდა, რუსი ეროვნებისანი იყვნენ.

„მე ხომ არ ვამბობ, რუსები მეჯავრებაო. ჩემი სიძეც ხომ რუსია. რუსები ნამდვილად არ ძულდა. ბებია, დედაჩემის დედა, რუსი იყო. მე რუსები არ მძულსო, მე მინდა ვიხილო საქართველო ცალკე, დამოუკიდებელი ქვეყანაო...“ - იგონებს ქ-ნი ნინა ჟვანია-სედიხი.

უდაოდ საინტერესოა, რის საფუძველზე დაფიქსირდა ვლ. ჟვანიას „ანტირუსული“ დამოკიდებულება?

ვლ. ჟვანიას ქ. გაგრაში ცაგარლების ოჯახში ცხოვრების პერიოდში, მათთან ხშირად იმყოფებოდა ახლობელი ქალბატონი, ეროვნებით რუსი, მარია ივანეს ასული სვირინა, რომელმაც თავის ერთ-ერთ ჩვენებაში ასეთი ფაქტი დააფიქსირა:

„1975 წლის იანვარში შევიარე ცაგარლებთან. მე იქ ვნახე, რომ მაგიდასთან ისხდნენ ვლადიმერ ჟვანია და გალინა. ამ უკანასკნელმა შემომთავაზა მესაუზმა მათთან ერთად, მაგრამ მე ჭამა არ მინდოდა და უარი განვუცხადე, დავჯექი მაგიდასთან მოშორებით. მე და გალინა ვსაუბრობდით საოჯახო და საყოფაცხოვრებო საქმეებზე. ვლ. ჟვანია ჩაერთო ჩვენს საუბარში და მე მას შენიშვნა მივეცი, რაზეც ის განაწყენდა და დამიწყო ლანძღვა, მომმართავდა რა ისეთი სიტყვებით, როგორიცაა „რუსულო ღორო“ და სხვა. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, ამიტომაც ზუსტად არ შემიძლია გავიხსენო მისი სიტყვები, მაგრამ მივხვდი, რომ ის რუსებს ვერ იტანს...“

ვლ. ჟვანიას პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე, ნაკლებად

სავარაუდოა, რომ ასე უხეშად და არაკორექტულად მოქცეოდა ქალბატონს, თანაც იმ ოჯახში, რომელშიც ის სტუმრად იმყოფებოდა, თუ არ იქნებოდა ამის განსაკუთრებული მიზეზი. ძალაუნებურად ჩნდება ეჭვი, რომ ამ შემთხვევაში ქ-ნი სვირინა რაღაცას ბოლომდე არ ამბობს. ამ მოსაზრებას ნათელს ფენს თვით ვლ. ჟვანიას განმარტებანი:

„ცაგარლების ოჯახის უფროსს რუსის მეუღლე ჰყავდა და ახლაც ჰყავს. ალბათ ამან განაპირობა ის, რომ მთელი მათი ოჯახი რუსულ ყაიდაზე ცხოვრობს, რუსულ ენაზე ლაპარაკობენ, ბავშვები რუსულ სკოლაში დადიან... ეპიზოდი სწორია, მაგრამ სვირინა არ ასახელებს, თუ რის გამო მომიხდა მასთან ასეთი საუბარი. იქ მე გამოვხატე ჩემი სიძულვილი რუსების მიმართ, უფრო სწორად, რუსეთის პოლიტიკის მიმართ (მე არაფერი საწინააღმდეგო რუს ერთან არ მაქვს, არც არაფერი ცუდის თქმა არ შეძიძლია ამ ერის წინააღმდეგ), ასეთი საუბრის გამომწვევი თვით ის ქალი და ცაგარლის მეუღლე იყვნენ. მაგიდასთან ჩვენ სამნი ვისხედით. ჩემი ყურადღება მიიქცია მათმა საუბარმა. უხეშად იხსენიებდნენ ქართველებს, ქართულ ადათ-წესს და ქართველთა ზნე-ჩვეულებებს, მე ვერ მოვითმინე მათი ასეთი საუბარი ჩვენი ერის მისამართით და ერთი-ორი მწვავე სიტყვა ვუთხარი იმ სვირინას, უფრო მეტიც ვუთხარი, მაგრამ ახლა არ შეძიძლია კონკრეტულად ვუჩვენო ძიებას, თუ რა ვუთხარი, რა შინაარსის სიტყვებით ველაპარაკე, აღარ მახსოვს იმიტომ, რომ მე ავღელდი...

სვირინას ჩვენება ცალმხრივია. იგი არ ასახელებს მიზეზს, რამაც გამოიწვია ჩვენს შორის ასეთი წალაპარაკება. თუ არა ზემოთ აღნიშნული მიზეზი, ვიმეორებ, რომ ცაგარლების ოჯახში მე ასეთ საუბარს ამ თემაზე არ დაიწყებდი. პირადი შეურაცხყოფა მე სვირინასათვის არ მიმიყენებია და საერთოდ არ მჩვევია, რომ საერთო თემაზე საუბრის დროს ვინმეს პიროვნებას შეეხო.“

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დაიკითხა ვლ. ჟვანიას ერთ-ერთი მოსწავლე - ილია ცაგარელი, რომელმაც დააფიქსირა, რომ მისი მასწავლებელი ვერ იტანდა რუსებს. ამაზე ვლ. ჟვანია გამოძიებას მოკლედ პასუხობს: *„ის, მე მგონი, არ არის იმ*

ასაკის, რომ ობიექტურად გაარჩიოს, მე მათთან რუსი ერის თუ რუსული პოლიტიკის მიმართ გამოვხატე სიძულვილი. ეს ჩვენება, ალბათ, ეყრდნობა დედის აზრებს, მე ისიც მახსოვს, რომ ზემოთმოყვანილი კამათის დროს ილია სკოლაში იყო.“

ეს ის ილია ცაგარელია, რომელსაც ვლადიმერ ჟვანიამ ერთხელ მშობლიური ქართული ენის არცოდნა უსაყვედურა: „что ты за грузин, не умеешь говорить по-грузински ни слово“.

ბედის ირონია თუ უფლის ნებაა ის, რომ სწორედ ქართული სახელმწიფოებრიობის დაცვას შეეწირა 31 წლის ვაჟკაცი - ილია პეტრეს ძე ცაგარელი 1992 წლის 2 ოქტომბერს, როდესაც ის მუხანათურად იქნა მოკლული მშობლიურ მიწაზე, მშობლიურ ქალაქ გაგრაში, სწორედ იმ ძალების მიერ ინსპირირებულ ძმათამკვლელ ომში, რომელთა ენაზეც ილია ცაგარელი ყრმობაში მეტყველებდა...

იქნებ, თავისი ცხოვრების იმ მცირედ მონაკვეთში სწორედ ვლადიმერ ჟვანიასთან ურთიერთობამ, მისმა იდეებმა, ქართველობამ და კაცთმოყვარეობამ გაუღვივა ჯერ კიდევ არასრულწლოვან ილიას სამშობლოსადმი - საქართველოსადმი სიყვარული და აქცია ის ჭეშმარიტ ქართველად, ქართული საქმის მკეთებლად. იქნებ მანაც, ვლადიმერ ჟვანიას მსგავსად, ერის და ქვეყნის გადასარჩენად საკუთარი თავი მიიტანა სამსხვერპლოზე, ვინ იცის მაღალი ღმერთის და მათი სულების გარდა...

სამწუხაროდ ვლ. ჟვანიას „ანტირუსული მოსაზრებების“ გამამგრებელი ეპიზოდები ჩვენების სახით საქმეში კიდევ რამდენჯერმეა დაფიქსირებული. აღსანიშნავია ისიც, რომ ვლ. ჟვანიას „შეხედულებები“ სამსჯავრო სხდომების განხილვის პროცესში პრაქტიკულად არ წამოწეულა (?!), თუმცა ამის საჭიროება აღარ იყო - ვლ. ჟვანიას ანტისაბჭოთა საქმიანობის დასადასტურებლად სამართლებრივი და ზნეობრივი ფონი უკვე შექმნილი იყო.

1976 წლის 15 სექტემბერსვე შედგა ვლ. ჟვანიას ბოლოსწინა დაკითხვა. თუკი ოქმის მოცულობის მიხედვით ვიმსჯელებთ, ეს დაკითხვა აღმოჩნდა ყველაზე ხანმოკლე მთელი წინასწარი გამოძიების მანძილზე. იგი გრძელდებოდა ორ საათსა და ოც წუთს. ბრალდებულის მიმართ დასმული იყო სამად-სამი შეკითხვა:

1. რა იყო ვლ. ჟვანიას საბოლოო მიზანი;

2. რატომ, რა მიზნით ასახელებს ბრალდებული მის მიერ შედგენილ დოკუმენტებში „ცალკეულ სახელმწიფო მოღვაწეს, პარტიულ მოღვაწეს“;

3. რა იგულისხმებოდა ვლ. ჟვანიას წერილებში, როდესაც ის მიუთითებს, რომ „ისინი“ დემონსტრაციულ დივერსიულ აქტებთან ერთად აწყობდნენ „სხვა“ ღონისძიებებსაც და რა სახის იყო ეს ღონისძიებები.

დასმულ შეკითხვებს ვლ. ჟვანიამ მოკლედ და კონკრეტულად უპასუხა:

- „ჩემი მოღვაწეობის საბოლოო მიზანი იყო საქართველოს გამოყოფა, უფრო სწორად, ბრძოლა საქართველოს გასანთავისუფლებლად დამპყრობლების ურდოსგან, მისი გამოყოფა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების (რომელიც მე არ მწამს, რომ ის ნებაყოფლობითი კავშირია) კავშირიდან და დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს შექმნა, მისი სუვენერული გზით განვითარება“.

ვლ. ჟვანიას, არც წინასწარი გამოძიების და არც სასამართლო განხილვის პროცესში არ გამოუთქვამს პრეტენზიები, მით უმეტეს მუქარა კონკრეტული პირების - სახელმწიფო მოღვაწეებისა და სახელმწიფო სტრუქტურების მიმართ. მისი ზნეობრივი და ზოგადეთნოსური სიდიადეც სწორედ ამაში მდგომარეობს. ზოგადად პრობლემის არსს ის ხედავდა არა ცალკეულ პიროვნებებში (ქართველებში) და სახელმწიფო სტრუქტურებში, არამედ არსებულ რეჟიმში (ერთპარტიულ წყობაში).

მუქარის ის ტონი, რომელმაც გაიჟღერა ვლ. ჟვანიას მიერ შედგენილ წერილებსა და მიმართვაში, მას ჭირდებოდა მხოლოდ და მხოლოდ ადრესატსა და მკითხველზე ეფექტის მოსახდენად. აღსანიშნავია, რომ ვლ. ჟვანიას ნორმალური ურთიერთობები ჩამოუყალიბდა თვით „ჩეკისტი ჯალათების“ მიმართაც.

ეხება რა თავის პასუხში კონკრეტულ სახელმწიფო მოღვაწეს, ის აღნიშნავს:

„მე ეს დავწერე იმის გამო, რომ ხალხში მესმოდა მითქმა-მოთქმა, რომ თითქოს ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, მე მხედველობაში მაქვს საქართველოსი, მიერ დაწყებულ გარდაქმნებს ყველა არ შეხვდა მოწონებით. ბრძოლა ამ გარდაქმნებისათვის განსაკუთრებით არ მოსწონდათ იმ ხალხს, რომლებიც თანამდებობაზე იყვნენ და „საქმოსნობდნენ“.

- და ბოლოს, უკანასკნელი პასუხით ვლ. ჟვანიამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მოქმედებდა სულ მარტო, თუმცა ოცნებობდა ქართველთა მასობრივ გამოღვიძებაზე, მოქმედების ერთიან ფრონტზე.

„მე ვფიქრობდი, იმის შესახებ, რომ საქართველოში ალბათ კიდევ არის ხალხი, პიროვნებები, რომლებიც ჩემსავით ეწევიან პრაქტიკულ მუშაობას, მოღვაწეობენ საქართველოს განთავისუფლების მიზნით და რომელთა ეს მოღვაწეობა, შეიძლება ცნობილია საქართველოს კომუნისტებისათვის და სათანადო ორგანოს მუშაკებისათვის. სწორედ აი ეს „სხვა“ მინდოდა დამეკავშირებინა ჩემს მოღვაწეობასთან, მინდოდა დამემტკიცებინა, რომ მოქმედებდა ერთიანი ფრონტი, რომელიც თავის მოღვაწეობის მიზნად ისახავდა საქართველოს განთავისუფლებას“.

დღევანდელი გადასახედიდან საკმაოდ რთულია და, ალბათ, არც ზნეობრივი თვალსაზრისით არის გამართლებული წინასწარი გამოძიების ცალკეული ეტაპების შეფასება, თუმცა ელემენტარული ანალიზის გაკეთების უფლება მაინც გვაქვს.

როგორც წინასწარი გამოძიების, ისე სასამართლო განხილვისას ვლ. ჟვანიას სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი (თუკი სათანადო პოლიტიკური ნება იქნებოდა, რაც სსრ კავშირის პირობებში ნაკლებად სათუო იყო) დამოკიდებული იყო საგამოძიებო ორგანოების და სასამართლო ხელისუფლების მხრიდან დანაშაულის მიზნის (საბჭოთა სახელმწიფოს შესუსტება) სწორად დაკვალიფიცირებაზე.

დაკითხვის ოქმი იმის ვარაუდის უფლებას გვაძლევს, რომ ბ-ნ ალ. მირიანაშვილი, როგორც კეთილსინდისიერი პიროვნება, შეეცადა, ვლ. ჟვანიას მიერ ჩადენილი ყველაზე მძიმე დანაშაულის საქართველოს სსრ სსკ-ის 69-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის კვალიფიკაციაში გარკვეული „სირბილე“ შეეტანა (69-ე მუხლი ითვალისწინებდა როგორც სასჯელის უმაღლეს ზომას სიკვდილით დასჯას, ისე პატიმრობას რვიდან თხუთმეტ წლამდე ქონების კონფისკაციით). ჩვენს ამ მოსაზრებას აძლიერებს ის ფაქტიც, რომ საქართველოს სსრ სსსკ 152-ე მუხლის შესაბამისად 1976 წლის 29 სექტემბერს ვლ. ჟვანიას განმეორებით ბრალეულად ცნობის დადგენილებაში მისი დანაშაულებრივი ქმედების მიზანი დაფიქსირდა ზოგადად - საბჭოთა სახელმწიფოს შესუსტება და ისიც ერთხელ.

შესაძლებელია ვივარაუდოთ ისიც, რომ 1976 წლის 15 სექტემბრის დაკითხვა გარკვეულწილად ფორმალურ, უფრო სწორად მოჩვენებით ხასიათსაც ატარებდა, ვინაიდან დაახლოებით ორი კვირის შემდეგ, 1976 წლის 29 სექტემბერს, როგორც ზევით იყო აღნიშნული, იმ დღეს, როდესაც ვლ. ჟვანიას წაეყენა ბრალი

განმეორებით, ის წინასწარი გამოძიების მიერ უკანასკნელად იქნა დაკითხული.

ამ დაკითხვაზე საბოლოოდ დაზუსტდა და განმტკიცდა სასამართლო განხილვის წინ ვლ. ჟვანიას სამართლებრივი მდგომარეობა. დაკითხვა მიმდინარეობდა რუსულ ენაზე (როგორც ჩანს - რუსულად დაკითხვები წარმოებდა გამოძიების გარკვეულ შემაჯამებელ ეტაპზე, სულ ასეთი სამი შემთხვევა იყო). ის აღმოჩნდა საკმაოდ ხანგრძლივი - დაიწყო 11.30 საათზე და დასრულდა 18.10 საათზე (შესვენება ერთი საათით). აღნიშნულ დაკითხვაზე ვლ. ჟვანიამ საბოლოოდ გამოხატა საკუთარი პოზიციები გამოძიების პროცესში წამოჭრილ მთელ რიგ საკითხებზე.

აღსანიშნავია, რომ წინასწარი გამოძიების პროცესში ვლ. ჟვანიას არც სიტყვიერად და არც დოკუმენტურად არ დაუფიქსირებია, რომ მისი დანაშაულებრივი ქმედობის მიზანი იყო საბჭოთა სახელმწიფოს შესუსტება, როგორც ეს საქართველოს სსრ სსკ-ის 69-ე მუხლშია მითითებული. ის მიუთითებდა, რომ მისი მიზანი იყო საქართველოს სსრ კავშირიდან გამოყოფა და მისი დამოუკიდებლად განვითარება. ამის მიუხედავად, ამ ბოლო ჩვენებაში სამჯერ იქნა დაფიქსირებული ბრალდებულის მიზანი - საბჭოთა ხელისუფლების (და არა საბჭოთა სახელმწიფოს) შესუსტება და მისთვის ძირის გამოთხრა. თუმცა იქვე მინიშნებულია, რომ მისი დანაშაულებრივი ქმედების მოტივია საქართველოს განთავისუფლება.

რას უნდა მივაწეროთ ეს ფაქტი - ვლ. ჟვანიას დაბალ სამართლებრივ განათლებას, ვითარებას, რომელშიც ის იმყოფებოდა, გამოძიების მისდამი „კეთილ განწყობას", თუ იმას, რომ მისი ბედი კარგა ხნის გადაწყვეტილი იყო?

ვლ. ჟვანიამ მის მიერ წაყენებული ბრალდების მიხედვით თავი დამნაშავედ ცნო, თუმცა უკვე მერამდენედ მიუთითა იმ საბოლოო მიზანზე, რომლისთვისაც ის დანაშაულს ჩადიოდა:

"Признаю в предъявленном обвинении себя виновным по действующим законам, но вместе с тем признаю себя виновным сегодня на этом этапе жизни моей страны, моей Грузии. Вместе с тем считал и считаю, что все мои действия были направлены к тому, чтобы призвать мой народ на освобождения своей страны".

ნიშანდობლივია ისიც, რომ ვლ. ჟვანიას ბოლო წუთამდე სწამდა საგამოძიებო ორგანოების ჰუმანურობისა, რაც დააფიქსირა კიდეც დაკითხვის დასასრულს. მან ჩათვალა, რომ გამოძიებისათვის მიცემული პირობა (იგულისხმება გულწრფელი აღიარება) მან

პირნათლად შეასრულა. ჯერი ამ უკანასკნელზე იყო...(!)

ჟვანია რომ მწარედ მოტყუვდა, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის და საქართველოს სსრ კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნისადმი გაგზავნილი წერილებიდანაც ჩანს:

„მე გულწრფელად ვაღიარე ყველაფერი და დავეხმარე ორგანოებს ჭეშმარიტად გამოძიების საქმეში, რითაც მე კანონიერად დავიმსახურე მომავალი განაჩენის შემსუბუქება, რაც მე მითხრეს უშიშროების კომიტეტში. ... დავეხმარე გამოძიებას ყველა საკითხში. ამის საპასუხოდ უშიშროების კომიტეტში კანონიერად მითხრეს, რომ ამისათვის სასამართლო სასჯელს შემიმსუბუქებდა... და აი, სასჯელი შემიმსუბუქეს. ჩემი გულწრფელი აღიარება 69-ე მუხლით მთელი სისასტიკით იქნა გამოყენებული ჩემს წინააღმდეგ. სიკვდილი მომისაჯეს.“



ზედმეტი ძალით განაწვალები
სოლომონივით დიდხანს გედავე
და მღალატობენ ისე თვალები,
თითქოს საკუთარ სიკვდილს ხედავდეს.

ვლ. მაჩაიძე

ჰოი, სიცრუეე ტლანქი დავთრებით
შენ თავს იმტყუნებ თავის მართლებით!

ჟან რასინი

. . .

საგამოძიებო-საარქივო სისხლის სამართლის საქმეში დაცულია ვლ. ჟვანიას ჯანმრთელობის დამადასტურებელი დოკუმენტები. კერძოდ:

1976 წლის 17 სექტემბერს, საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის საგამოძიებო განყოფილებაში, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს რესპუბლიკურ ფსიქიატრიულ კლინიკურ საავადმყოფოსთან არსებული რესპუბლიკური სტაციონური სასამართლო ფსიქიატრიული კომისიის ექსპერტ-ფსიქიატრების მიერ ჩატარებული სასამართლო - ფსიქიატრიული ექსპერტიზის შედეგად ვლადიმერ გრიგოლის ძე ჟვანია ცნობილ იქნა შერაცხადად.

სათანადო აქტი შესრულებულია რუსულ ენაზე. დოკუმენტს ხელს აწერენ: კომისიის თავმჯდომარე, საავადმყოფოს მთავარი ექიმი, სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის განყოფილების უფროსი და ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ექსპერტ-ფსიქიატრი.

ქვემოთ მაგვყავს ამონაწერი ექსპერტიზის აქტიდან:

Физическое состояние - испытуемый выше среднего роста, правильного телосложения, пониженного питания. Кожа и видимые слизистые обычной окраски. Пульс 80 ударов в минуту, ритмичный, удовлетворительного наполнения и напряжения. Со стороны внутренних органов без патологии.

Нервная система - знаков очагового поражения ЦНС не

отмечается.

Психическое состояние - испытуемый правильно ориентирован месте, времени и окружающем. В начале беседы несколько настороженно относится к врачам, но в дальнейшем становится полностью доступным контакту, правильно и последовательно излагает аналитические сведения. Предъявляет жалобы на болезнь глаз и снижение зрения. Настроение снижено соответственно сложившейся ситуации. Заявляет, что все его действия "выполнены умом и серцем и вызванны одной причиной - освобождение родины от российского господства и создания свободной и целиком независимой страны", "Идея освобождения Грузии завоевала меня полностью, настолько, что отодвинула мою личную жизнь на задний план. Острой психотической симптоматики (бред, галюцинации) не выявляет. Мышление целенаправленное, ассоциации связанные, понятные. Память, внимание, без патологии. Эмоционально сохранен, синтонен, адекватен. При расспросах по правонарушениях полностью признает себя виновным. Понимает противоправность содеянного, критичен к создавшейся ситуации.

Анализ материалов уголовного дела, данные анамнеза и медицинской документаций указывают на то, что испытуемый с детства отличался малообщительностью, замкнутостью, в печетлительностью, был легко ранимый, но в то же время аффективный, неусидчивый, отмечается затруднение социально-трудовых связей (бросил школу, не удерживался подолгу на работе), со склонностью к ассоциальным поступкам и безпорядочному образу жизни, имеет неоднократный судимости. Отсутствие в материалах уголовного дело какой-либо медицинской документации обращении испытуемого к психиатрам, а так-же при настоящем психиатрическом обследовании виявляющиеся - последовательность, логичность мышления, целенаправленная и активная самозащита, адекватные реакции, сохранение критики и отсутствие каких-либо признаков психотического расстройства указывают на то, что испытуемый, как в прошлом, так и в настоящее время душевным заболеванием не страдает. В момент совершения правонарушения наличие адекватного контакта, целенаправленные действия, а так-же отсутствие искаженного окружающего и амнезии указывают на то, что испитуемый не

находился в состоянии временного душевного расстройства.

На основании изложенного, комиссия приходит к заключению, что ЖВАНИЯ В.Г. психическим заболеванием не страдает, а является психопатической личностью. В период совершения правонарушения признаков какого-либо расстройства психики также не обнаруживал, мог отдавать отчет своим действиям и руководить ими. Поэтому ЖВАНИЯ В.Г. в отношении инкриминируемых ему деяний следует считать в м е н я е м ы м. По своему психическому состоянию он может предстать перед судом и следствием.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ვლ. ჟვანია ბავშვობიდან ავადმყოფობდა, იყო ახლომხედველი და დაპატიმრების მომენტში მეორე ჯგუფის ინვალიდი. სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ქ. რუსთავის საქალაქო განყოფილებას 1976 წლის 28 ივნისს ქ. რუსთავის სოცუზრუნველყოფის განყოფილების საექიმო შრომითმა საექსპერტო კომისიამ აცნობა, რომ „მოქ. ვლადიმერ გრიგოლის ძე ჟვანიამ გაიარა რუსთავის საექიმო შრომით საექსპერტო კომისიაზე 1974 წლის 1-ლ აპრილს, სადაც დაუდგინდა ინვალიდობის მეორე ჯგუფი საერთო დაავადებით, დამოწმების ვადამდე. ე.ი. 1975 წლის 1-ლ აპრილამდე. დამტკიცებულია რესპუბლიკური საექიმო შრომითი ექსპერტიზის კომისიის მიერ 1974 წლის 5 აპრილს. დიაგნოზი: ორივე თვალის მაღალი მიოპია (30,0°-მდე). მიოპიური ქორეორეტინიტი. მხედველობა ორივე თვალზე = 0,06-0,07“.

საარქივო-საგამოძიებო საქმეში დაცულია 1976 წლის 15 ივნისს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანდაცვის სამინისტროს რესპუბლიკური ფსიქიატრიული საავადმყოფოს მიერ გაცემული ცნობა მასზედ, რომ ვლადიმერ გრიგოლის ძე ჟვანიამ 1955 წლის 21 ნოემბერს (პირველი პატიმრობა) ზემოხსენებულ დაწესებულებაში გაიარა სამედიცინო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა, რომელმაც დაადგინა, რომ ის იყო ფსიქოპატიური პიროვნება და შერაცხადი.

ვლ. ჟვანიას ორივე თვალით ავადმყოფობა, მეორე ჯგუფის ინვალიდობა 1976 წლის 8 ოქტომბერს დაადასტურა საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის საგამოძიებო იზოლატორის ექიმმაც.

აღსანიშნავია ისიც, რომ ვლ. ჟვანია, ციმბირის ბანაკებიდან დაბრუნების შემდეგ, მიემგზავრება ქ. მოსკოვში სამკურნალოდ. რამდენიმე დღის უშედეგო მკურნალობის შემდეგ ოპერაციის

გაკეთებაზე უარი განუცხადეს და მხოლოდ ლინზების ჩადგმით დაკმაყოფილდა. შემდგომ, უკვე გამოძიების პროცესში, საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტმა სპეციალურად მისთვის ჩეხოსლოვაკიიდან ჩამოატანინა სათანადო ზომის ლინზები, რომელსაც ის ატარებდა სიცოცხლის ბოლომდე.

1976 წლის 19 ოქტომბერს შედგა საბრალდებო დასკვნა, რომლის რუსული და ქართული ტექსტები შესაბამისად გადაეცა ვლ. ჟვანიას 1976 წლის 2 დეკემბერს და 4 დეკემბერს. უცვლელად გთავაზობთ საბრალდებო დასკვნის ბრალდების ნაწილს:

„აღნიშნულიდან გამომდინარე ბრალი ედება:

ვლადიმერ გრიგოლის ძე ჟვანიას, მასში რომ:

იყო რა განწყობილი მტრულად სკკპ პოლიტიკის და საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ, 1975 წლის ივნისიდან ამ საქმეზე დაპატიმრებამდე საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ეწეოდა აქტიურ ანტისაბჭოთა საქმიანობას.

გამოდიოდა რა თითქოს და რესპუბლიკაში არსებული ნაციონალისტური ორგანიზაციის „საქართველოს განთავისუფლების ფრონტის" სახელით და მოქმედებდა რა საბჭოთა ხელისუფლების შესუსტების და ძირის გამოთხრის მიზნით, ჟვანიამ ზემოთ მითითებულ პერიოდში მოაწყო თვითნაკეთი ფეთქებადი მოწყობილობის გამოყენებით მთელი რიგი დიეერსიული აქტები, რამაც გამოიწვია ადამიანთა მსხვერპლი და ზოგიერთი პარტიული და სახელმწიფო ორგანოების შენობების დაზიანება, ასევე იგი სისტემატიურად ატარებდა ანტისაბჭოთა აგიტაციას და პროპაგანდას ცილისმწამებლური მტრული შინაარსის დოკუმენტების დამზადების, გავრცელების და შენახვის გზით. ამასთან ერთად თავისი დანაშაულებრივი განზრახვის განსახორციელებლად არაკანონიერი გზით იძენდა და ინახავდა ფეთქებად ნივთიერებას, ასევე ეწეოდა მოქალაქეთა პირადი ქონების გამოძალვას.

კონკრეტულად მის მიერ ჩადენილია შემდეგი დანაშაული: აირჩია რა საბჭოთა სახელმწიფოსთან ბრძოლისთვის ერთ-ერთი დანაშაულებრივი ფორმა - დიეერსიული საქმიანობა, ჟვანიამ 1975 წლის ივნისში ქალაქ სოხუმის გარეუბანში დაამზადა ფეთქებადი მოწყობილობა, ადრე აფხაზეთის ასსრ სოფელ ბზიფში მცხოვრებ ა.ა. ფოცხვერაშვილისაგან არაკანონიერი გზით შეძენილი ამონიტისაგან, კაფსული-დეტონატორებისაგან და სხვა კომპონენტებისაგან, რის

შედეგადაც 1975 წლის 22 ივლისს 10 საათსა და 50 წუთზე ქალაქ სოხუმში საბჭოთა სახელმწიფოს შესუსტების მიზნით, განახორციელა აფეთქება საქართველოს კომუნისტური პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის შენობის მთავარ ფასადთან, რამაც გამოიწვია შენობის დაზიანება, რის შედეგად სახელმწიფოს მიაყენა მატერიალური ზიანი 938 მანეთის ოდენობით, გამოიწვია მოქალაქე ს.დ. ლევიტინის სიკვდილი და მიაყენა ნაკლებად მძიმე ხარისხის სხეულის დაზიანება მოქალაქეებს ნ.ვ. ბულდაკოვას და ა.კ. ელეფთეროვას.

1976 წლის აპრილის დასაწყისში ჟვანიამ ქალაქ თბილისში, გამოიყენა რა ანალოგიური კომპონენტები აფეთქებისათვის, რაც ადრე ჰქონდა შეძენილი ფოცხვერაშვილისაგან არაკანონიერი გზით, დაამზადა ფეთქებადი მოწყობილობა, რის დახმარებითაც 1976 წლის 12 აპრილს 17 საათზე და 05 წუთზე ქალაქ თბილისში საბჭოთა სახელმწიფოს შესუსტების მიზნით განახორციელა აფეთქება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის და მინისტრთა საბჭოს შენობის მთავარ ფასადთან, რამაც გამოიწვია ამ შენობის, ასევე ახლოს მდებარე ძნელაძის სახელობის პიონერთა სასახლის და სასტუმრო „ინტურისტის" შენობების დაზიანება. სახელმწიფოს აღნიშნული ნაგებობების დაზიანებისაგან მიყენებული აქვს მატერიალური ზარალი 14.646 მანეთის ოდენობით.

ქალაქ თბილისში დივერსიისათვის გამოყენებული მოწყობილობის დამზადებასთან ერთად, ჟვანიამ ერთდროულად მოამზადა მეორე ასეთივე ფეთქებადი მოწყობილობა, რომელიც საბჭოთა სახელმწიფოს შესუსტების მიზნით ააფეთქა ქალაქ ქუთაისის ცენტრალურ ბაღში 1976 წლის 16 აპრილს 10 საათზე და 12 წუთზე. აფეთქების შედეგად მიყენებული აქვთ სხეულის დაზიანება მოქალაქეებს ვ.გ. დიაკონიძეს, ა.დ. ცხვირაშვილს და ლ.ი. აგამოლოვს, ასევე დაზიანდა აფეთქების კერასთან ახლოს განლაგებული შენობები.

სახელმწიფოს მიყენებული აქვს მატერიალური ზარალი 2669 მანეთის ოდენობით.

ჩამოთვლილი მოქმედებებით ჟვანიამ ჩაიდინა დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 69-ე მუხლით.

გარდა ჩადენილი მძიმე შედეგების გამომწვევი დივერსიებისა, ჟვანია 1975 წლის ივნისიდან დაპატიმრებამდე, საბჭოთა ხელისუფლების ძირის გამოთხრის მიზნით, ეწეოდა ანტისაბჭოთა აგიტაციას და პროპაგანდას, მოუწოდებდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლისაკენ და ცილს სწამებდა საბჭოთა სახელმწიფო და

საზოგადოებრივ წყობილებას დოკუმენტების დამზადების გავრცელებისა და შენახვის (შემდგომი გავრცელებისათვის) გზით.

ასევე 1975 წლის აგვისტოში მან პირადად თითქოს და რესპუბლიკაში მომქმედი (საქართველოს განთავისუფლების ფრონტის) სახელით დაამზადა წერილი, რომელშიც ცილისწამებლურ მოჭორვასთან ერთად თითქოს და „მარქსისტ-კომუნისტების" მიერ 1921 წელში დამონებული საქართველოსათვის მოუწოდებდა შეიარაღებულ (დანით, ტყვიით, ცეცხლით და ყუმბარით) ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და კომუნისტების ფიზიკურ განადგურებას.

ხელნაწერის საშუალებით გაამრავლა რა მითითებული წერილი ორ ეგზემპლარად, ერთ-ერთი იმავე თვეში საფოსტო არხით გაუგზავნა მისამართზე ქ. გაგრის მცხოვრებს ო.პ. მოგელაძეს, ხოლო მეორე ანალოგიური გზით - ქალაქ სოხუმის სცხოვრებ შ.ვ. ნადარეიშვილს.

მათ მიღების და გაცნობის შემდეგ, ეს წერილები გადასცეს სახელმწიფო უშიშროების ორგანოებს.

1976 წლის მაისში ქალაქ ბათუმში ჟვანიამ ასევე „საქართველოს განთავისუფლების ფრონტის" სახელით დაამზადა ანტისაბჭოთა დოკუმენტის ტექსტი, რომელშიც ცილისმწამებლური, მტრული პოზიციებიდან აბიაბრუებდა საბჭოთა სახელმწიფოს და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ნაციონალურ პოლიტიკას და ხელახლად მოუწოდებდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლისაკენ.

გაამრავლა რა ხელნაწერის საშუალებით მითითებული დოკუმენტი შვიდ ეგზემპლარად, მან იმავე თვეში ფოსტით გაუგზავნა ქალაქ ბათუმში მცხოვრებ მოქალაქეებს დ.ო. შანიძეს და ე.მ. ლომაძეს, ასევე ქალაქ ქობულეთში მცხოვრებ ა.ზ. ნაკაიძეს.

მიღებული ანტისაბჭოთა დოკუმენტის ტექსტი ამ პირებმა გადასცეს სახელმწიფო უშიშროების ორგანოებს.

დასახელებული დოკუმენტის დარჩენილ ოთხ ეგზემპლარს ჟვანია ინახავდა თავისთან შემდგომში გავრცელების მიზნით და ისინი ამოღებული იქნა მისი დაკავებისას.

1976 წლის აპრილში ჟვანიამ შემდგომი გავრცელების მიზნით შეადგინა მიმართვის ტექსტი „საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტს, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს", რომელშიც ცილისმწამებლურ მონაჭორთან ერთად, რაც სახელს უტეხს საბჭოთა სახელმწიფო და საზოგადოებრივ წესწყობილებას, წამოაყენა მოთხოვნები რესპუბლიკის ხელისუფლების

„საქართველოს განთავისუფლების ფრონტისათვის“ გადაცემისათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრებოდა დივერსიული საქმიანობის გააქტიურებით „ნავთობის და აირსადენი ხაზის, რკინიგზის და მაღალძაბვიანი ხაზების, თბილისის მეტროპოლიტენის აეროხაზის დანგრევით.

აღნიშნული „მიმართვა“ ჟვანიასაგან ამოღებული იქნა მისი დაკავებისას.

ჩამოთვლილი მოქმედებებით მან ჩაიდინა დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 71-ე მუხლის I ნაწილში.

უგზავნიდა რა 1975-1976 წლებში წერილებს ზემოთ დასახელებულ მოქალაქეებს - მოგელაძეს, ნადარეიშვილს, შანიძეს და ნაკაიძეს, დასახელებული წერილების ტექსტში ჟვანია მათგან ფულის გამოძალვის მიზნით ემუქრებოდა მათ ფიზიკური განადგურებით და მათი ქონების საშიში ხერხით განადგურებით.

ამ გზით 1976 წელს 15 მაისს ქ. ბათუმში მან მიაღწია მოქალაქე ლომაძისაგან 300 მანეთის მიღებას.

ამ ქმედობით ჟვანიამ ჩაიდინა დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ 154-ე მუხლის მე-II ნაწილით.

გადმოცემულთან ერთად ჟვანია თავის დანაშაულებრივი განზრახვის განხორციელებისათვის არაკანონიერი გზით დიდი ოდენობით იძენდა ფეთქებად ნივთიერებებს ზემოთ მოხსენებულ აფხაზეთის ასსრ სოფელ ბზიფში მცხოვრებ ა.ა. ფოცხვერაშვილისაგან.

სულ 1975 წლის ივნისიდან 1976 წლის მარტამდე აღნიშნული პირისაგან მან სხვადასხვა დროს შეიძინა 30 კილოგრამი ამონიტი, 30 ცალი კაფსულ - დეტონატორი და 20 მეტრი ცეცხლგამტარი ზონარი.

აღნიშნული ფეთქებადი მასალების რაოდენობიდან ნაწილი გამოიყენა ფეთქებადი მოწყობილობის დასამზადებლად, რის საშუალებითაც ახორციელებდა დივერსიულ აქტებს ქალაქებში სოხუმში, თბილისსა და ქუთაისში, ხოლო დანარჩენ ნაწილში - 10 კილოგრამს და 100 გრამ ამონიტს, 15 მეტრ ცეცხლგამტარ ზონარს და 17 ცალ კაფსულ-დეტონატორს არაკანონიერი გზით, სათანადო ნებართვის გარეშე ინახავდა დაკავებამდე.

ამ მოქმედებით ჟვანიამ ჩაიდინა დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 238 მუხლის I ნაწ.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის

208-ე მუხლის მოთხოვნების თანახმად სისხლის სამართლის საქმე გადასაგზავნად ექვემდებარება საქართველოს სსრ პროკურორს.

საბრალდებო დასკვნა შედგენილია ქ. თბილისში 1976 წლის 19 ოქტომბერს."

ობიექტური ჭეშმარიტება მოითხოვს იმის აღნიშვნას, რომ პროცესუალური ტექნოლოგიის, პროცესუალური ნორმების დაცვის თვალსაზრისით ვლ. ჟვანიას მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმე თითქმის უნაკლოდ არის შესრულებული, რაც მიუთითებს იმ პერიოდის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის საგამოძიებო და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის მაღალ კულტურაზე. მიუხედავად ამისა წინასწარი გამოძიება მაინც ხასიათდება გარკვეული ხარვეზებით. შეცდომები, რომლებიც უპირველეს ყოვლისა საბრალდებო დასკვნაში აისახა, ან უნებლიეა, ანდა ისახავდა გარკვეულ მიზნებს. მაგალითად:

1. საბრალდებო დასკვნაში არაერთგზის არის მითითებული, რომ ვლ. ჟვანიას მიერ მოწყობილ დივერსიულ აქტებს მოჰყვა „მოქალაქეების მსხვერპლი" (რაც სიმართლეს არ შეეფერება). ყველას და, მათ შორის პირველ. რიგში ვლ. ჟვანიას სამწუხაროდ, აფეთქების შედეგად გარდაიცვალა, ისიც შემთხვევით მხოლოდ ერთი ადამიანი.

2. დოკუმენტში მინიშნებულია, რომ „სახელმწიფო უშიშროების ორგანოების მიერ ჩატარებული ღონისძიების შედეგად 1976 წლის 15 მაისს ქალაქ ბათუმში დაკავებული და განიარაღებული იქნა აღნიშნული დივერსიული აქტების ჩამდენი..."

კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ ვლ. ჟვანიას დაკავებისას არავითარი სპეციალური ღონისძიება არ ჩატარებულა. იგი დაკავებულ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში წარდგენილ იქნა როგორც საეჭვო პირი, მითუმეტეს არ მომხდარა მისი განიარაღება.

3. საბრალდებო დასკვნაში არაერთგზის არის აღნიშნული, რომ ვლ. ჟვანია „სისტემატურად ეწეოდა და ატარებდა ანტისაბჭოთა აგიტაციას და პროპაგანდას".

უდაოა, რომ ვლ. ჟვანიას მიერ ადრესატისადმი გაგზავნილი და მის სახლში აღმოჩენილი წერილები და მიმართვის ტექსტი მაშინდელი კანონმდებლობით ანტისაბჭოთა აგიტაცია და პროპაგანდა იყო და აქედან გამომდინარე, მისი ქმედობა „დასჯადი" იყო.

მისი, როგორც ანტისაბჭოთა „აგიტატორის" და „პროპაგანდისტის" იმიჯის გასაძლიერებლად გამოყენებულ იქნა ხუთი სხვადასხვა მოწმის ჩვენება. კერძოდ, „მათთან საუბარში

ელ. ჟვანია არაერთხელ უშვებდა გამოთქმებს და ნაციონალისტურ მსჯელობებს თავის ნეგატიურ დამოკიდებულებაზე სკკპ პოლიტიკის და საბჭოთა სინამდვილის მიმართ. ამავე დროს აქებდა კაპიტალისტურ ქვეყნებში ცხოვრების პირობებს".

„რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარების" * მიხედვით, ანტისაბჭოთა აგიტაციის და პროპაგანდის ობიექტურ მხარედ მოიაზრება ანტისაბჭოთა იდეების გავრცელება. ეს შეიძლება იყოს საუბარი, გამოსვლა, მოხსენება და სხვა. კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არ აქვს რამდენი ადამიანი ესწრებოდა ამ დროს. აღნიშნული ვითარება უნდა გაირკვეს ჩადენილი ქმედების სიმძიმის შეფასებისა და შესაბამისად სასჯელის გამოტანისას.

აქედან გამომდინარე, თუკი თავის დროზე ელ. ჟვანიას გამონათქვამები და მოსაზრებები საშიში იყო საბჭოთა ქვეყნისათვის და იწვევდა საბჭოთა ხელისუფლების ძირის გამოთხრას და შესუსტებას, რატომ არ იქნა დროულად აღკვეთილი მისი ქმედება, ანუ რატომ არ განაცხადეს ამის თაობაზე დროულად იმ ხუთმა მოწმემ? და თუ ელ. ჟვანიას იდეები არ იყო საბჭოთა ხელისუფლებისათვის საშიში, რატომ გახდა ის დასჯადი გარკვეული პერიოდის შემდეგ, როდესაც ეს უკანასკნელი უკვე საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის იზოლატორში იმყოფებოდა?

ელ. ჟვანიას მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმე სასამართლო განხილვისათვის საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს გადაეგზავნა 1976 წლის 1 ნოემბერს.

1976 წლის 22 ნოემბერს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ თავმჯდომარის ა. კარანაძის, სახალხო მსაჯულების ვ. ჭავჭანიძის და ე. სოლომონიას, მდივნის რ. ჩიღვინაძის, პროკურორის მ. ქურდაძის მონაწილეობით განიხილა მოსამზადებელ სხდომაზე საქმე ბრალდების გამო ვლადიმერ გრიგოლის ძე ჟვანიას მიმართ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 69-ე, 71-ე მუხლის I ნაწილით, 154-ე მუხლის მეორე ნაწილით და 238-ე მუხლის I ნაწილით.

სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარემ გამოაცხადა განსახილველი საქმე და აღნიშნა, რომ საქმეზე წინასწარი გამოძიება ჩატარებულია სრულყოფილად, დაცულია სისხლის სამართლის საპროცესო ნორმების მოთხოვნები, საბრალდებო დასკვნა შედგენილია „საქართველოს სსრ

---

* გამომცემლობა „იურიდიჩესკაია ლიტერატურა" - მოსკოვი 1984 წელი.

სსსკ 206-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსჯავრო სხდომაზე საქმის განსახილველად შეკრებილია საჭირო დამადასტურებელი საბუთები, ბრალდებულის ყველა ქმედობისათვის, რომელიც მას ერაცხება. წარდგენილი აქვს ბრალდება სწორედ სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად და საქმეში მოიპოვება საკმარისი საფუძველი ბრალდებულის სამართალში მისაცემად.

სხდომაზე სახელმწიფო ბრალმდებელმა აღნიშნა, რომ საქმეზე გამოძიება ჩატარებულია სრულყოფილად და საქმეში მოიპოვება საკმარისი საფუძველი ბრალდებულის სამართალში მისაცემად. პროკურორმა იშუამდგომლა სასამართლოს კოლეგიის წინაშე, რომ ვლადიმერ გრიგოლის ძე ჟვანია მიცემული ყოფილიყო სამართალში ზემოთჩამოთვლილი მუხლების მიხედვით.

სხდომაზე გადაწყდა, რომ საქმე განხილულიყო ღია სამსჯავრო სხდომაზე პროკურორისა და ადვოკატის მონაწილეობით. გამოწვეულ ყოფილიყვნენ საბრალდებო დასკვნაში მითითებული პიროვნებები, ქართულ-რუსული ენების მცოდნე თარჯიმანი და ვლ. ჟვანიას მიმართ დარჩენილიყო იგივე აღკვეთის ღონისძიება - პატიმრობა.

იმავე დღეს სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარემ გამოაქვეყნა განჩინება, რომელიც დაერთო საქმეს. სამსჯავრო სხდომა დაინიშნა 1976 წლის 9 დეკემბერს, მაგრამ 1977 წლის 17 იანვრისთვის გადაიდო.



ყოველ საზოგადოებრივ წყობილებას
მისი შესაფერისი ზნეობა აქვს

კარლ მარქსი

სასამართლო პროცესი

საქმის განხილვა ვლადიმერ გრიგოლის ძე ჟვანიას ბრალდების გამო საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ თავმჯდომარის ო. ჯიბლაძის, სახალხო მსაჯულების გ. აბდუშელიშვილის და გ. გოგინაშვილის, მდივნის რ. ჩიღვინაძის, პროკურორის მ. ქურდაძის, ადვოკატის ბ. ხომერიკისა და საზოგადოებრივი ბრალმდებლის შ. რევიშვილის მონაწილეობით დაიწყო 1977 წლის 17 იანვარს 10.00 საათზე. სხდომაზე მოწვეულ იქნა თარჯიმანი იოსებ გურგენიძე. სულ ჩატარდა ცხრა სხდომა. განხილვა დასრულდა იმავე წლის 2 თებერვალს.

როგორც აღინიშნა, კოლეგიამ საქმე განიხილა ღია სასამართლო სხდომაზე, თუმცა თვითმხილველების გადმოცემით, უმაღლესი სასამართლოს შენობის შესასვლელი მკაცრად კონტროლდებოდა მილიციის ორგანოების მიერ. ცხრავე სასამართლო სხდომაზე დარბაზში იმყოფებოდა სულ ოთხი-ხუთი კაცი. ქ-ნი ნინა ჟვანია და მისი მეუღლე სპეციალური საშვებით შედიოდნენ.

ინტერესი სასამართლო პროცესის მიმართ დიდი იყო. ამაზე მეტყველებდა ის ფაქტი, რომ უმაღლესი სასამართლოს შენობის წინ, სხდომის მსვლელობის დროს, ბევრი ხალხი იკრიბებოდა, ძირითადად ხანში შესულნი, რომლებიც მუდმივად გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას იმასთან დაკავშირებით, რომ არ ეძლეოდათ პროცესზე დასწრების საშუალება.

სამსჯავრო სხდომაზე ავადმყოფობის მომიზეზებით

(წაკითხულ იქნა სათანადო დეპეშები) არ გამოცხადდნენ დაზარალებულები - ქალაქ ლენინგრადის მცხოვრებლები ა. ელეფთეროვა, მ. ბულდაკოვა და დ. ლევიტინი.

სასამართლო განხილვაში მონაწილეობდნენ დაზარალებული ვ. დიაკონიძე, დაზარალებული ორგანიზაციის წარმომადგენლები, მოწმეები.

ჯერ კიდევ წინასწარი გამოძიების პროცესში ვლადიმერ ჟვანიას საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 42-ე მუხლის თანახმად, წინადადება მიეცა წინასწარი გამოძიების მასალების გაცნობის დაწყებისთანავე ესარგებლა დაცვის უფლებით - აეყვანა ადვოკატი.

ვლ. ჟვანიამ ამასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ნაცნობი ადვოკატი არ ჰყავდა, თანაც საკუთარი თავის უფლებების დაცვას ის თვითონ უკეთ შესძლებდა და შესაბამისი შუამდგომლობა . არ დააყენა. თუმცა აღნიშნა, რომ თუკი კანონი ითვალისწინებდა ადვოკატის აუცილებლობას, მოითხოვა პროცესში ისეთი პიროვნების მონაწილეობა, რომელიც იქნებოდა უპარტიო, არ შეეხებოდა მის წარსულს, არ იშუამდგომლებდა სასამართლოს წინაშე მისი წარსულის გამო სიბრალულის გრძნობის გათვალისწინებას, იქნებოდა გონიერი პიროვნება, რომელსაც ეყვარებოდა თავისი საქმე, თავისი სამშობლო - საქართველო, თავისი ხალხი.

„მე ვიცი, თავს როგორ დავიცავ“ - განუცხადა ჟვანიამ თავის ახლობლებს სამსჯავრო სხდომის დაწყებამდე.

პროცესუალური მოთხოვნების თანახმად, მას დაენიშნა ადვოკატი სახაზინო წესით. ამ მოვალეობას მთელი სამსჯავრო სხდომის მანძილზე პატიოსნად ასრულებდა ბ-ნი ბ. ხომერიკი.

სათანადო პროცედურების გავლის შემდეგ სამსჯავრო სხდომის პირველ დღეს სხდომის თავმჯდომარემ გამოაქვეყნა საბრალდებო დასკვნა ქართულ ენაზე.

საქმეზე არსებული დამამტკიცებელი მასალების გამოკვლევა წარიმართა შემდეგი წესით: ჯერ დაკითხეს სამართალში მიცემული ვლ. ჟვანია, შემდეგ დაზარალებულები, ბოლოს მოწმეები საბრალდებო დასკვნისათვის დართული სიის მიხედვით.

„მე ვარ მშვიდობისმოყვარე, წყნარი ადამიანი...“ - ასე დაიწყო ვლადიმერ ჟვანიამ თავისი ორსაათიანი გამოსვლა სასამართლო სხდომაზე. დასაწყისში მან აღიარა, რომ ჩაიდინა დანაშაული და იმსახურებდა სასჯელს, მაგრამ მტკიცედ იცავდა საკუთარ შეხედულებებს საქართველოში იმ პერიოდში შექმნილ

ვითარებასთან დაკავშირებით.

„მე ვერავინ გადამარწმუნებს ჩემი აზრების სისწორეში საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხში, საქართველო უნდა იყოს დამოუკიდებელი და მაშინ აყვავდება ჩვენი ერი. ერეკლე მეორე არ შეცდა, როცა შეუერთდა რუსეთს, მაგრამ როცა რუსეთმა გააუქმა საქართველოში მეფობა, მაშინ დაიწყო აგრესია.

ჩვენ, ქართველებს, ომი არ გვინდა. მაგრამ თუ რუსეთი იბრძოლებს სხვა ერებთან, შეიძლება ამ ბრძოლაში ჩვენი ერი დაიღუპოს და განადგურდეს. ამიტომ საქართველო უნდა იყოს დამოუკიდებელი, სუვერენული რესპუბლიკა.“

ელ. ჟვანიამ თავისი გამოსვლის დიდი ნაწილი დაუთმო საკუთარი მოსაზრებების კონსტატაციას. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ იმ პერიოდში საქართველოში არ არსებობდა დემოკრატიული ინსტიტუტები და საერთოდ დემოკრატია. ის არც შეიძლებოდა არსებულიყო ერთპარტიული სისტემის პირობებში. ერთპარტიულობას, აზრთა სხვადასხვაობის არარსებობას კი ყოველთვის დიქტატურისკენ მივყავართ. ასეთ პირობებში შეუძლებელი იყო ეკონომიკაში, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებში კონტროლის განხორციელება. ამიტომ იყო, რომ ადგილი ჰქონდა ქურდობას, კორუფციას, თანამდებობის ბოროტად გამოყენებას და სხვა. ერთპარტიულ სისტემაში შეუძლებელი იყო დემოკრატიული არჩევნების ჩატარებაც.

ელ. ჟვანიას მიაჩნდა, რომ უმაღლეს საბჭოში არჩეული უნდა ყოფილიყვნენ გამოცდილი იურისტები, ეკონომისტები, ფილოსოფოსები, რათა სწორად გაეანალიზებინათ ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობა. მან საგანგებოდ აღნიშნა ის გარემოება, რომ საქართველოში აშკარად ხორციელდებოდა რუსიფიკატორული პოლიტიკა, განსაკუთრებით ქართული ენის საკითხში. ენა კნინდებოდა, ითრგუნებოდა, ხალხი ნელ-ნელა ეჩვეოდა რუსულ მეტყველებას, ძალაუნებურად ხდებოდა მოსახლეობის გარუსება. მას მიაჩნდა, რომ თუ ასე გაგრძელდებოდა, ქართული ენა შეიძლება სულაც გამქრალიყო, რასაც მოჰყვებოდა ერის დაცემა და განადგურება.

მისი ეს მოსაზრება სავსებით დადასტურდა სულ რაღაც ერთი წლის შემდეგ - 1978 წლის 14 აპრილს, როდესაც ქართველმა ხალხმა, ერმა და ბერმა შეძლო ქართული ენის, - როგორც სახელმწიფო ენის კონსტიტუციური სტატუსის დაცვა.

ელ. ჟვანიამ მტკიცედ განაცხადა, რომ საჭირო იყო ქვეყანაში

რეფერენდუმის ჩატარება სსრ კავშირიდან საქართველოს გამოყოფის მოთხოვნით. მან საქართველოს მოსახლეობა დაყო ოთხ ნაწილად:

1) ადამიანები, რომლებიც მისებურად აზროვნებდნენ;
2) კომუნისტური პარტიის აშკარა მიმდევრები და მხარდამჭერები;
3) კომპარტიის წევრები, რომლებიც პარტიაში შევიდნენ კარიერისტული მოსაზრებების გამო;
4) პიროვნებები, რომელთაც ეკავათ ნეიტრალური პოზიცია, ვინაიდან გააჩნდათ ოჯახი, სოციალური მდგომარეობა და არ სურდათ პრობლემების შექმნა. ასეთი კატეგორია ვლ. ჟვანიას მიაჩნდა საკმაოდ მრავალრიცხოვნად და ეს „ფენა", მცირედი აგიტაციის შემთხვევაში, გახდებოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ძირითადი დასაყრდენი.

ვლ. ჟვანიამ დიდი ადგილი დაუთმო 1921 წელს საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულ ოკუპაციას და ფაქტობრივ ანექსიას.

„ჩვენ ამჟამად ვართ დაპყრობილი ტერიტორია, რომელსაც ცრუ რესპუბლიკა გვქვია, შეიძლება გაგვაუქმონ, როგორც კარელია-ფინეთის რესპუბლიკა ან გაგვასახლონ ისე, როგორც გაასახლეს კავკასიიდან, საკუთარი ტერიტორიებიდან ჩეჩნები და ინგუშები ყაზახეთის ტრამალებში..."

ნაციონალისტი, აღნიშნა მან, ეს არის პატრიოტი ადამიანი. თუკი ქართველი თავისუფალი არ იქნებოდა, ძნელი იქნებოდა ინტერნაციონალობაზე ფიქრი. თუ ქართველი ერი არ განვითარდებოდა, განვითარება არ ეწერათ საქართველოში მცხოვრებ სხვა ერებსაც.

საქართველოს დამოუკიდებლობაზე რომ საუბრობდა, ვლ. ჟვანიას მხედველობაში ჰქონდა არა მარტო საქართველო, არამედ მთელი კავკასია, ვინაიდან, მისი აზრით, კავკასიაში მცხოვრებ ხალხს ბევრი საერთო ჰქონდათ ეთნოგრაფიულად და ისტორიულად და ისინიც დაპყრობილნი და ჩაგრულნი არიან რუსული პოლიტიკის გამო.

მან ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ საქართველოში თითქმის ყველა ქალაქის ცენტრალურ მოედანზე აღმართულია ქართველი ერისათვის მიუღებელი „ვიღაც უცხო გადამთიელი პიროვნების ბიუსტები" და არა ჩვენი ისტორიული პიროვნებების და საზოგადო მოღვაწეთა ძეგლები.

თავის გამოსვლაში მან კვლავ დააფიქსირა, რომ აფეთქებებსა და დივერსიებზე ყველა ქვეყანაში გათვალისწინებულია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. მან დაგმო ბრძოლის ეს გზა და მწარედაც განიცდიდა სოხუმის აფეთქების დროს ადამიანის

მსხვერპლს. ამავე დროს განსაკუთრებულად გაამახვილა ყურადღება მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამომწვევ მიზეზებზე, საკუთარ მიზნებსა და ამოცანებზე, რითაც პრაქტიკულად გაამართლა თავისი ქცევები. მან წინასწარი გამოძიების პროცესშიც არაერთგზის დააფიქსირა, რომ მის მიზანს არ წარმოადგენდა ქვეყნის ეკონომიკური ძლიერების შესუსტება. მისი მთავარი ამოცანა იყო ბიძგის მიცემა საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის, რომელიც მე-20 საუკუნის დასაწყისში ჩიხში მოექცა:

„დივერსიები იმიტომ მოვახდინე, რათა გამეგებინებინა ქართველი ხალხისათვის, რომ საქართველო უნდა იყოს დამოუკიდებელი, მინდოდა საქართველოს მთავრობისათვის საშუალება მიმეცა გაემართა რეფერენდუმი და ხალხს თვითონ გამოერკვია, თუ როგორ წარემართა თავისი გზა. მე მინდოდა, რომ ეს დივერსიული აქტები ყოფილიყო დემონსტრაციული“.

იმ ეტაპზე ვლ. ჟვანია არც საბჭოთა საქართველოს ხელისუფლების და კომპარტიის წინააღმდეგ გამოდიოდა. ვინაიდან მიაჩნდა, რომ მთავარი იყო საბჭოთა კავშირის კონსტიტუციით მინიჭებული უფლების, სსრკ-დან საქართველოს გამოყოფის რეალიზება, დანარჩენი შემდგომში მოგვარდებოდა.

კიდეე ერთხელ გამოხატა რა უარყოფითი დამოკიდებულება საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მისეული გზის მიმართ, ვლ. ჟვანიამ იქვე მიანიშნა, რომ უნდა გამოეყენებინა „ბრძოლის უფრო რბილი ხერხები“. მან ასევე განუმარტა სასამართლო სხდომას, რომ მიუხედავად მის მიერ გაგზავნილ წერილებში მითითებული მუქარისა, არამც და არამც არ აპირებდა ახალი დივერსიული აქტების განხორციელებას.

შემდეგ მან ისაუბრა 1972 წლის ნოემბერში პატიმრობიდან დაბრუნებისა და მისი შრომითი მოწყობის პერიოდზე, აგრეთვე იმაზე, თუ როგორ გადაწყვიტა საბოლოოდ 1974 წელს ჩაეტარებინა ქართველი ხალხისათვის აგიტაცია-პროპაგანდა საქართველოს სსრკ-დან გამოყოფის თაობაზე, მაგრამ შესაბამისი თანხების უქონლობის გამო აირჩია დივერსიების მოწყობა გარკვეული ეფექტის მისაღწევად.

სასამართლომ. მორიგ სხდომაზე მოისმინა, თუ როგორ იძენდა საჭირო კომპონენტებს ასაფეთქებელი მოწყობილობების დასამზადებლად და ახორციელებდა აფეთქებებს, ფულის გამოსართმევად როგორ დაამზადა წერილები და მთავრობისადმი მიმართვა. სასამართლოს შეკითხვებზე, აპირებდა თუ არა ანალოგიური აფეთქებების

მოწყობას ქ. ბათუმში, მსჯავრდებულმა უპასუხა, რომ არ აპირებდა, თუნდაც იმიტომ, რომ აჭარის საოლქო კომიტეტის შენობასთან მდებარეობდა საბავშვო ბაღი...

მორიგ სამსჯავრო სხდომაზე მოსამართლის მოთხოვნით ვლ. ჟვანიამ დამსწრე საზოგადოებას (ცარიელ დარბაზს თუ დამსწრე საზოგადოება შეიძლება ეწოდოს) გააცნო საკუთარი ბიოგრაფია - მძიმე ბავშვობა, გაჭირვების წლები, მამის რეპრესია, ყოფითი პრობლემები და სხვ. მოსამართლის შეკითხვაზე, თუ როდის ჩამოუყალიბდა საბოლოოდ ანტისაბჭოთა საქმიანობის სურვილი, ვლ. ჟვანიამ უპასუხა:

„მე, 1974 წელს წარმომეშვა იდეა ანტისაბჭოთა მოქმედებებისა.მე ეს იდეა წარმომეშვა დროთა განმავლობაში ცხოვრებიდან, წიგნებიდან, ისტორიიდან. ჩემს გონებაში თანდათანობით აღიქმებოდა ყველა ის უარყოფითი მხარე, რომელიც ახლანდელ ხელისუფლებას ახასიათებს“.

შემდგომ მან აღნიშნა, რომ მისი სურვილი იყო შეექმნა თანამოაზრეთაგან ჯგუფი და ჩამოეყალიბებინა ორგანიზაცია, რომელიც იტვირთებდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოცოცხლებას, ამისათვის კი საჭირო იყო ფინანსები. სწორედ ამან უბიძგა მას „თხოვნით მიემართა“ გარკვეული პირებისათვის. ორგანიზაციის სახელიც წინასწარ შეარჩია: „საქართველოს განთავისუფლების ფრონტი“. *„მე ფულის გამორთმევას ვაპირებდი იმ მიზნით, რომ ჩამეტარებინა ანტისაბჭოთა აგიტაცია და პროპაგანდა“.*

ვლ. ჟვანიამ განსაკუთრებით გაუსვა ხაზი იმ გარემოებას, რომ ასაფეთქებელი მოწყობილობის დამზადების და შემდგომ აფეთქების პროცესში ცდილობდა ისეთი სიტუაციებისა და ადგილების შერჩევას, რომლებიც მას გარანტიას მისცემდნენ, რომ აფეთქებები უმსხვერპლოდ დასრულებულიყო. მის მიზანს არ წარმოადგენდა ადამიანთა სიკვდილი და მატერიალური ზიანის მიყენება. მას სურდა მხოლოდ და მხოლოდ აფეთქების ეფექტის მიღწევა.

სხდომის თავმჯდომარე და ბრალდების მხარე განსაკუთრებით ინტერესდებოდნენ იმის გარკვევით, თუ რამდენად იყო ვლადიმერ ჟვანია უკმაყოფილო საბჭოთა ხელისუფლების, კომუნისტური პარტიისა და ადმინისტრაციული ორგანოების მიმართ, ანუ ისინი ცდილობდნენ მომხდარი დანაშაულის მოტივად წარმოჩენილიყო არა ვლადიმერ ჟვანიას პოლიტიკური შეხედულებები, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესები და საქართველოს დამოუკიდებლობის და თავისუფლებისათვის ბრძოლის იდეა, არამედ არსებული ხელისუფლებისადმი მისი პირადი წყენა.

ვლადიმერ ჟვანიას უკმაყოფილების მიზეზთა გაგებას სამსჯავრო სხდომა განსაკუთრებით ცდილობდა იმ ადამიანებისგან, რომლებიც ბრალდებულთან ყველაზე ახლო ურთიერთობაში იმყოფებოდნენ. ვლ. ჟვანია კომუნისტური წყობის უკმაყოფილო კი არა, მოწინააღმდეგეც რომ იყო (თუმცა თავისი აზრების და გამონათქვამების გამო აფეთქებამდე მას ზიანი არავისთვის, მითუმეტეს საბჭოთა წყობისათვის არ მიუყენებია) ამას არავინ მალავდა, თვით ბრალდებულიც კი, მაგრამ სხვაობა ისევ და ისევ მოტივაციაში იყო. ეს კი სამსჯავრო სხდომებზე ზუსტად ფიქსირდებოდა.

სხდომაზე ვლ. ჟვანიას რამდენიმე შეკითხვით მიმართა საზოგადოებრივმა ბრალმდებელმა, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა ბატონმა შოთა რევიშვილმა, თუმცა მის მიერ დასმული კითხვების დინამიკიდან და თემატიკიდან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ის საზოგადოებრივი ბრალმდებლის ფუნქციას არც თუ ისე ხალისით ასრულებდა. მისი პირველი კითხვა იყო, იცნობდა და ცნობდა თუ არა ბრალდებული მარქსისტულ-ლენინურ ეროვნულ პოლიტიკას.

„მარქსიტულ-ლენინური ეროვნული პოლიტიკის ზოგადი პრინციპები და ყველა პრინციპი შეიძლება მე არ ვიცოდე, მაგრამ ისინი მხოლოდ ქაღალდზე არის დაწერილი და ცხოვრებაში არ ხორციელდება. მე არ ვიცი მარქსისტულ-ლენინური ეროვნული პოლიტიკის პრინციპები. მე მიმაჩნია, რომ საქართველოს უნდა ჰქონდეს დამოუკიდებელი საშინაო და საგარეო პოლიტიკა, არ უნდა ემორჩილებოდეს არც ერთ სახელმწიფოს. საქართველოს დამონებაში იმას ვგულისხმობ, რომ ის დამოუკიდებელი არ არის. საქართველო ექვემდებარება მოსკოვს, მოსკოვი არის რუსეთის დედაქალაქი და მართავს სხვა ერის ხალხი იქიდან საქართველოს“.

საზოგადოებრივი ბრალმდებლის მორიგ შეკითხვაზე, თუ როგორ წარმოედგინა ვლ. ჟვანიას მომავალი საქართველო, ამ უკანასკნელმა უპასუხა:

„მე, ჩემი აზრით, წარმოდგენილი მქონდა მრავალპარტიული საქართველო, სადაც იქნებოდა მთლიანი პოლიტიკური თავისუფლება, ნამდვილი არჩევნები, სადაც იქნებოდა კერძო საკუთრება სახალხო მეურნეობის ზოგიერთ დარგებსა და სოფლის მეურნეობაში. მე ეკონომიკური თვალსაზრისით კერძო საკუთრება მიმაჩნია უკეთესად,

ვიდრე საზოგადოებრივი საკუთრება...“

კამათი ვლ. ჟვანიას ამ, ისე როგორც სხვა ბევრი მოსაზრების გარშემო არ გამართულა.

ერთადერთი ადამიანი, რომელიც აქტიურობდა დაკითხვის პროცესში, იყო ვლ. ჟვანიას ადვოკატი ბ-ნი ბ. ხომერიკი. იგი ძირითადად სამართლებრივ პოლემიკას მართავდა საქართველოს სსრ სსკ-ის 69-ე მუხლთან დაკავშირებით, რითაც გულწრფელად იცავდა ბრალდებულის ინტერესებს.

შემდეგ სხდომებზე დაიკითხნენ დაზარალებულები და „გამოძალვის“ ფაქტის მოწმეები, რომელთაც ერთხმად აღიარეს, რომ ვლ. ჟვანიას ადრე არ იცნობდნენ. საინტერესოა თვითონ „მუქარის“ წერილის ადრესატების დამოკიდებულება ვლ. ჟვანიას მიმართ. დაკითხვის დროს მათი მხრიდან ხშირი იყო ასეთი გამონათქვამები: „ვიფიქრე, რომ მწერდა ვიღაც სულელი“, „წერილი მივიჩნიე არასერიოზულად...“, „მე წერილის მიღებისას არ შემშინებია და არ დამიმალია წერილი“ და სხვა.

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, საკმაოდ მოულოდნელი ყოფილა მოწმის სახით დაკითხული ვლადიმერ ჟვანიას სიძის ვლადიმერ მიხეილის ძე სედიხის გამოსვლა. ეს უკანასკნელი გახლდათ სამხედრო მოსამსახურე, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, წოდებით პოლკოვნიკი, სკკპ წევრი, რომელიც არ მოექცა მაშინდელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების და მართლმსაჯულების ზეგავლენის ქვეშ და საკმაოდ ობიექტურად დაახასიათა ვლ. ჟვანია და მათი ურთიერთდამოკიდებულება, მისი პოლიტიკური შეხედულებები. მან განსაკუთრებით ხაზი გაუსვა ვლ. ჟვანიას ხასიათის სიმტკიცეს, ნაკითხობას, კაცთმოყვარეობას, მისი მხრიდან მიმდინარე მოვლენების და პროცესების დამოუკიდებლად და ობიექტურად აღქმის უნარს, საქართველოს სიყვარულსა და სურვილს, ეხილა იგი დამოუკიდებელი და სუვერენული.

ვლადიმერ სედიხის გამოსვლაში გაიჟღერა, ჩვენი აზრით, ერთმა საინტერესო ფაქტმა, რომელიც არ (ან ვერ) დაფიქსირდა წინასწარი გამოძიების პროცესში. კერძოდ, ვლ. ჟვანიას სიძესთან არაერთგზის გამოუთქვამს უკმაყოფილება იმის თაობაზე, თუ რა მდგომარეობა იყო საბჭოთა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში და საერთოდ ადმინისტრაციულ ორგანოებში, როგორ ცუდად ექცეოდნენ პატიმრებს, როგორ სისტემატურად არღვევდნენ და ლახავდნენ მათ უფლებებსა და ადამიანურ ღირსებებს, ხოლო მაშინდელი ხელისუფლება ამის საწინააღმდეგოდ არაფერს აკეთებდა.

ვ. სედიხის სამსჯავრო სხდომაზე გამოსვლით ქ-ნ ნ. ჟვანიას თქმით, აღფრთოვანებულა თვით სხდომის თავმჯდომარეც კი:

„მოსამართლემ მითხრა, რა კარგი მეუღლე გყოლიათ, როგორ გამოვიდა. პარტიულია, რუსიცაა. ასე პატიოსნად მოქცევა წარმოუდგენელი იყოო...“

სამსჯავრო სხდომაზე წარმოდგენილი იყო ყველა ის მტკიცებულობა, რომლებიც მოპოვებულ იქნა წინასწარი გამოძიების პროცესში, აგრეთვე სხვადასხვა ექსპერტიზების შედეგები (დასკვნები).

1977 წლის 25 იანვრის სხდომაზე მხარეთა კამათის დროს (თუმცა ეს კამათიც ფორმალური იყო) ბრალდების პოზიცია მოკრძალებულად დააფიქსირა პროკურორმა. მისი აზრით, „ვლ. ჟვანია იბრძოდა საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების წინააღმდეგ. ის უსაფუძვლოდ განაწყენდა საბჭოთა სახელმწიფოს მიმართ. იგი არ არის გარკვეული საბჭოთა სახელმწიფოს შინაარსში. სასჯელის განსაზღვრისათვის მისაღებია მხედველობაში ის, რომ ვლ. ჟვანია არ შრომობდა, ნასამართლევია, აქვს სულიერი სიღატაკე. ჩაიდინა დივერსიული აქტი, ბრალდება დადასტურებულად მიმაჩნია საქართველოს სსრ სსკ-ის ყველა მუხლით“.

სამსჯავრო სხდომაზე დაცვითი სიტყვით გამოვიდა ვლ. ჟვანიას ადვოკატი ბ-ნი ხომერიკი. მან თავისი გამოსვლა ააგო შემდეგი სქემის მიხედვით:

1. ბრალდების შინაარსი, ბრალდების საფუძველი;
2. საქმის მასალების ანალიზი;
3. დანაშაულის კვალიფიკაცია;
4. სასჯელის შემამსუბუქებელი გარემოებები;
5. მოთხოვნა.

ადვოკატის დაცვით სიტყვაში წარმოდგენილ არგუმენტებზე ოდნავ ქვევით ვისაუბრებთ.

თვითმხილველების აზრიდან და ჩვენს ხელთ არსებული მასალებიდან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ მთელი სასამართლო პროცესი სამსჯავრო სხდომების პირველივე დღიდანვე მიმდინარეობდა წინასწარ შემუშავებული სცენარის მიხედვით.

მთავარი აქცენტები გადატანილ იქნა საქართველოს სსრ სსკ-ით გათვალისწინებულ, ანუ ჟვანიას მიერ ჩადენილ დანაშაულთა მტკიცებულებების წარმოდგენასა და განხილვაზე. თითქოს ეს ასეც უნდა ყოფილიყო. მაგრამ, მეორეს მხრივ, სხდომებზე პრაქტიკულად არაფერი თქმულა დანაშაულის გამომწვევ მიზეზებზე, კონკრეტული ქმედებების ზნეობრივ და სამართლებრივ საფუძვლებზე, შემამსუბუქებელ

გარემოებებზე. საერთოდ არ იქნა გათვალისწინებული პიროვნული ფაქტორი, ვლ. ჟვანიას გულწრფელი აღიარება კონკრეტული დანაშაულის ნაწილში. ფაქტიურად იგნორირებულ იქნა ვლ. ჟვანიას მძიმე ჯანმრთელობა, რომ აღარაფერი ვთქვათ თვით მაშინდელი საზოგადოების გულგრილობაზე.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სამსჯავრო სხდომაზე, არასასურველი ჯანმრთელობის მომიზეზებით არ გამოცხადდნენ რუსი ეროვნების სამი დაზარალებული მოქალაქე ქ. ლენინგრადიდან, თუმცა შეტყობინება მათ არაერთგზის გაეგზავნათ.

ჯერ კიდევ 1976 წლის 8 დეკემბერს ქალაქ ლენინგრადიდან საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის ლორიას სახელზე მოვიდა შემდეგი შინაარსის დეპეშა:

„По состоянию здоровья прибыть в качестве потерпевших по делу Жвания не можем. Настаиваем высшей мере наказания. Копии приговора вышлите нам - Левитин. Бурянова, Булдакова.“

1977 წლის 31 იანვარს ქ. ლენინგრადიდან დამატებით უკვე დ. ლევიტინის ხელმოწერით მოდის დეპეშა - „По состоянию здаровья по делу Жвания не прибудем. Рассматривайте дело без нас. Копию приговора вышлите.“ არადა განაჩენის გამოტანამდე დარჩენილია ორი დღე. მაგრამ ალბათ ის დარწმუნებული იყო და გარანტირებულიც მართლმსაჯულების სიმკაცრეში.

აღნიშნული ფაქტი, თუ გავითვალისწინებთ იმ წერილების სიმრავლესაც, რომლებიც დ. ლევიტინმა დაუგზავნა სსრ კავშირის და საქართველოს სსრ სხვადასხვა ინსტანციებს (თუმცა ამ შემთხვევაში გასაგებია დაზარალებულის - მშობლის მდგომარეობა) შესაძლებელია შეფასდეს მართლმსაჯულებაზე ზეწოლად.

ვლ. ჟვანიასთან დაკავშირებული მასალების კვლევის პროცესში ერთი საკმაოდ არაკორექტული მოსაზრებაც აგვეკვიატა. მისი ასეთი სასტიკად დასჯა მნიშვნელოვანწილად ხომ არ განაპირობა ქ. სოხუმში აფეთქების დროს შემთხვევით გარდაცვლილი ადამიანის ეროვნებამ? ღმერთმა შეგვინდოს, თუკი ვცოდავთ.

ამ შემთხვევაში კიდევ ერთხელ ხომ არ გამომჟღავნდა სსრ კავშირში პირველხარისხოვანი ეთნოსის უპირატესობა ნაციონალურ უმცირესობებთან, როგორც მათ მოიხსენიებდნენ. ზოგიერთი დღესაც წყენით გიპასუხებს, მაგის თქმა როგორ შეიძლება მარქსისტულ-ლენინური პოლიტიკის გამტარებელ ქვეყანაზეო. მაგრამ გულზე ხელი დავიდოთ და ერთ წამს ჩავფიქრდეთ - რეალობა ხომ ყველამ კარგად ვუწყით.

იქნებ პრობლემის არსი ისევ და ისევ ჩვენშია? ჩვენ ხომ დღემდე ვერ დაგვიძლევია ქართველთათვის ავადმყოფურად ქცეული გულარხეინობა და ამპარტავნობა. „წიწამურის“ ტრაგედიაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, სწორედ ქართველი იყო 1921 წელს თბილისიდან მოსკოვში გაგზავნილი დეპეშის ავტორი. ისე როგორც გარკვეულწილად ქართული მოვლენა იყო 1924 და 1937 წლების სისხლიანი ბატალიების ავტორების „მოღვაწეობა“. ეს პიროვნებები ხომ აქ, საქართველოს მიწაზე იბადებოდნენ, აქ „იქმნებოდნენ“, „ყალიბდებოდნენ“, აქ ირყვნებოდა ზოგადსაკაცობრიო და ზოგადქართული ფასეულობების მიმართ მათი დამოკიდებულებები. არადა ამ დამოკიდებულების დამცავი მექანიზმის არსებობა ყოველთვის მხოლოდ და მხოლოდ პიროვნულ ნებაზეა დამოკიდებული. ეს არის ადამიანის შინაგანი სამყარო, რომელშიც გარედან შეღწევა გამორიცხულია.

იქნებ ვლადიმერ ჟვანიაც, ასე შიგნით, ქართულად გაიწირა? თემის გაგრძელების კვალობაზე გთავაზობთ უშიშროების ორგანოების ერთ-ერთ თანამშრომელთან საუბრის მონაკვეთს, რომელიც, ვფიქრობთ, ზოგიერთი რამის მიმანიშნებელი უნდა იყოს:

> „სოხუმში აფეთქების დროს გარდაცვლილი ლევიტინის მიმართ ერთ ასეთ საინტერესო მომენტს იხსენებდნენ ჩემი კოლეგები: მისი მამა, რუსის ებრაელი, სულ მუდამ ჩიოდა. მერე აქაც ჩამოსულა. სასაფლაოს გაკეთებაში დახმარება უთხოვია. მაშინ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ აწ გარდაცვლილი პავლე გილაშვილი იყო. საკითხის გადასაწყვეტად დ. ლევიტინი მასთან მიუყვანიათ. ბატონ პავლეს დაურეკია შესაბამისი სამსახურის უფროსისათვის და უთხოვია დახმარება. შემდგომში გაუმზადეს, დაუჭრეს და გაუგზავნეს საუკეთესო მარმარილოს ქვა. ამაზე რომ მიიღო თანხმობა, გათამამებულა, ერთი სათხოვარიც მაქვსო, უთქვამს ბატონი პავლესათვის. მსუბუქი ჭანქანები მაშინ ბაზარში ძვირი ღირდა. დაზარალებული კაცი ვარო, იქნებ ახალი მანქანა მომცეთო. გილაშვილს ერთი აუხედია, თვალები გადაუბრიალებია და უპასუხია: „მე მაგ საკითხისათვის მზად არ ვარო“ - აი, ასე მოუცილებია...“

მკითხველის ყურადღება კიდევ ერთ გარემოებაზე გვინდა შევაჩეროთ, კერძოდ: საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ დიმიტრი ლევიტინს წერილობითი თხოვნით მიუმართავს სოხუმის საქალაქო საავადმყოფოსათვის, მისი რძლის, მ. ბულდაკოვასთვის, არაშრომისუ-

ნარიანობის დამადასტურებელი ცნობის გაცემის თაობაზე. ასეთი ცნობა საავადმყოფომ მართლაც გასცა. მასში მითითებული იყო, რომ უბედური შემთხვევა მოხდა ყოფით სიტუაციაში. ამის შემდგომ, ახლა უკვე დ. ლევიტინის მეუღლემ რ.ვ. ბურიანოვამ თხოვნით მიმართა საქართველოს სსრ კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რათა მისთვის მიეცათ მ. ბულდაკოვას შრომისუუნარობის დამადასტურებელი ცნობა მძიმე ფორმულირებით (არადა, საბრალდებო დასკვნის თანახმად, მან მიიღო სხეულის ნაკლებად მძიმე ხარისხის დაზიანება) და ეშუამდგომლათ, რათა არ მოეხსნათ ეს უკანასკნელი ლენინგრადის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კოოპერატიული ბინათმშენებლობის ბინის მიღების აღრიცხვიდან.

დ. ლევიტინს ეს კაპრიზიც აუსრულეს, რისი დადასტურებაცაა მშრომელთა დეპუტატების ლენინგრადის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის სახელზე საქართველოს სსრ გენერალური პროკურორის მოადგილის მიერ გაგზავნილი წერილი (368/1086 460, 21.XI.1975 წ.), რომელშიც ის, მომხდარი ტრაგიკული ფაქტის გამო, შუამდგომლობს მ. ბულდაკოვას ბინის მიღებაში.

• • •

1977 წლის 2 თებერვალი, საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს შენობა, სამსჯავრო სხდომის დარბაზი, დილის 10 საათი. ვლადიმერ ჟვანიას ბრალდების გამო საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის მიერ საქმის განხილვის ბოლო დღე.

გამოცხადდნენ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ბრალმდებლები, ელ. ჟვანიას ადვოკატი, დაზარალებული ორგანიზაციის წარმომადგენლები. სხდომის დარბაზი პრაქტიკულად კვლავ ცარიელი იყო.

საბოლოო სიტყვა ეძლევა სამართალში მიცემულ ელ. ჟვანიას. მისი სიტყვა იყო მოკლე და ლაკონური.

„მე ჩავიდინე დანაშაული და კანონის წინაშე უნდა ვაგო პასუხი. როდესაც ვახდენდი აფეთქებებს, მე არ მინდოდა რაიმე ეკონომიკური ზიანი მოსვლოდა სახელმწიფოს ან ყოფილიყო მსხვერპლი, მაგრამ აფეთქებებს მოჰყვა შენობების დაზიანება და ადამიანის მსხვერპლი. მე მიყვარს ჩემი სამშობლო...“

გამოსვლის ბოლოს ვ. ჟვანიამ გამოთქვა სასამართლოს მხრიდან

სამართლიანი გადაწყვეტილების გამოტანის იმედი.

10 საათსა და 30 წუთზე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია გადის სათათბირო ოთახში განაჩენის გამოსატანად. ბრუნდება 20 საათსა და 10 წუთზე სამსჯავრო სხდომის დარბაზში. თავმჯდომარის მიერ ცხადდება განაჩენი. განაჩენის ტექსტი პრაქტიკულად გადმოწერილია საბრალდებო დასკვნიდან. თითქმის არც ერთ პუნქტს და სამართლებრივ შეფასებას ცვლილება არ განუცდია.

საბოლოოდ ვლადიმერ ჟვანიას დაენიშნა სასჯელის უმაღლესი ზომა, სიკვდილით დასჯა-დახვრეტა ქონების კონფისკაციით. ბედის ირონიაა ისიც, რომ დასახვრეტად გამზადებულს დაეკისრა სახელმწიფოსთვის „მიყენებული ზარალის“ ანაზღაურება 18 254 მანეთის ოდენობით. „განაჩენი საბოლოოა და სააპელაციო წესით გასაჩივრებას ან გაპროტესტებას არ ექვემდებარება“. ასე მთავრდება განაჩენის ტექსტი. განაჩენის შემდეგ თავმჯდომარემ მსჯავრდებულს განუმარტა გასაჩივრების წესი (?) და ის, რომ მას უფლება ჰქონდა გაცნობოდა სამსჯავრო სხდომის ოქმს. ეს უკანასკნელი „უფლება“ ვლადიმერ ჟვანიამ არ გამოიყენა და ოქმზე საკუთარი ხელმოწერა არ დააფიქსირა.

ვ. ჟვანია განაჩენს მშვიდად შეხვდა.

20 საათსა და 40 წუთზე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თვითმხილველების აზრით, მიუხედავად საკმარისად დიდი გამოცდილებისა, სხდომის თავმჯდომარე მღელვარებას ვერ მალავდა. რას იზამდა, მასაც ხომ სხვა გზა არ ჰქონდა. ვლ. ჟვანიას განაჩენი ხომ კარგახნით ადრე ჰქონდა გამოტანილი.

ბრალდებულის მიმართ მოსამართლის კეთილგანწყობას, ყოველ შემთხვევაში გარეგნულად, დარბაზში მყოფნი თითქმის ერთხმად აღნიშნავდნენ.

მოჭარბებული ემოციების გამო განაჩენის გამოცხადებისას დარბაზში არ იმყოფებოდა ვლ. ჟვანიას და. მას გულის სიღრმეში რაღაც იმედი ჰქონდა, რომ მის ძმას ხელისუფლება დახვრეტით არ დასჯიდა, მაგრამ...

„ძალიან ვნერვიულობდი, ოღონდ დახვრეტა არ მიეცათ. ჩემი მეუღლე რომ გამოვიდა, ყველაფერს მივხვდი, ისეთი ფერი ედო სახეზე. ერთი კი თქვა - что от них ожидать?! მთელი ღამე მე და ჩემს ქმარს არ გვეძინა, ცუდად ვიყავით - ვალიკო ხომ

ყველას ძალიან უყვარდა...“

სხდომის დამთავრების შემდეგ ქ-ნი ნინა ჟვანია-სედიხი გამოიძახა მოსამართლემ და ურჩია სასწრაფოდ წასულიყვნენ მოსკოვში და სსრ კავშირის სათანადო ინსტანციებისათვის თხოვნით მიემართათ შეწყალებაზე. მანვე ასწავლა, როგორ მოქცეულიყვნენ და რა სახის მიმართვები შეედგინათ. სასიამოვნოა, რომ მაშინაც კი, იმ პერიოდში იყვნენ გულისხმიერი ადამიანები, რომელთაც სხვისი გაჭირვება გულთან მიჰქონდათ, მაგრამ თავს ზევით რომ ძალა არ იყო! ამასთან დაკავშირებით ქ-ნი ნინა ჟვანია კიდევ ერთ ეპიზოდს იხსენებს:

„მოსკოვიდან ერთი გამომძიებელი იყო ჩამოსული, რუსი კაცი. მონაწილეობას ღებულობდა დაკითხვებში, მგონი სასამართლო სხდომებსაც ესწრებოდა. რაღაცნაირად გავიცანით ერთმანეთი. სასამართლოს შემდეგ, როდესაც ვალიკოს დახვრეტა მიუსაჯეს, შემთხვევით შემხვდა ქუჩაში. მე ვერ ვიცანი, მან კი მიცნო. მე მას ვკითხე, იცოდა თუ არა, რა მიუსაჯეს ვალიკოს. მან ისე დამწუხრებულმა და გულდაწყვეტილმა მითხრა: „А что Вы хотите, разве его не растрелят, он же на них покушался, они же себя защищали, меньше все равно не дали бы...“

საკუთარი ემოციები ვერ დამალა სასამართლო პროცესზე თვით ერთმა დაზარალებულმაც კი ქ. ქუთაისიდან და თავისი სიმპათიები გამოხატა ვლ. ჟვანიას და მისი ოჯახის მიმართ.

1977 წლის 2 თებერვალს სამსჯავრო სხდომის დასრულების შემდეგ ვლ. ჟვანია საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის საგამოძიებო იზოლატორიდან გადაიყვანეს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს შრომა-გასწორების დაწესებულებათა სამმართველოს № 1 საგამოძიებო იზოლატორში.

განაჩენის გამოცხადების (და არც განაჩენის სისრულეში მოყვანის) შემდეგ ვლ. ჟვანიას არც ერთი პირადი ნივთი ოჯახისთვის არ დაუბრუნებიათ, თუ არ ჩავთვლით საგამოძიებო იზოლატორში ყოფნის დროს, დისშვილის - მიშიკოსათვის ბ-ნ ა. მირიანაშვილის ხელით გამოგზავნილ მაჯის საათს.

ყველაზე უფრო მძიმე ცრემლია,
დედის თვალიდან გადმონთხეული.

ირაკლი კოსტავა

არშემდგარი სასწაული

1977 წლის 7 თებერვალს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრს ბ-ნ ო. ჯიბლაძეს წერილობითი თხოვნით მიმართა ვლადიმერ ჟვანიას დამ ქ-ნმა ნინა ჟვანია-სედიხმა, რათა დაერთოთ მისთვის ძმის ნახვის ნება. ეს შეხვედრა მართლაც შედგა და იგი უკანასკნელი აღმოჩნდა. ამის შემდგომ ვლ. ჟვანიამ ორჯერ მოახერხა ქ-ნ ნინასთვის მცირე მოცულობის წერილის გაგზავნა (სამწუხაროდ, ისინი არ შემორჩა საოჯახო არქივს). ამ უკანასკნელის სიტყვებით, ვლ. ჟვანია კატეგორიული წინააღმდეგი იყო მოენანიებია საკუთარი შეცდომები, უარეყო საკუთარი იდეები და ყოველივე ეს წერილობით დაედასტურებია. ის თავის განვლილ გზას და პოლიტიკურ შეხედულებებს არ უარყოფდა და ჩადენილს არ ინანიებდა. დაახლოებით ასე ჟღერდა წერილის ბოლო ფრაზები:

„მე არ ვნანობ, რასაც ვაკეთებდი, მე ჩემი რწმენით და სინდისით ვმოქმედებდი, დაე, დანარჩენი მომავალმა განსაჯოს...“

„ჩემი და ეხვეწებოდა ვალიკოს მონანიებაზე განცხადების დაწერას, მაგრამ არაფრით არ ქნა, არ აღიარა, არ მოინანია... ამიტომ დედაჩემი, რომელიც სულ იმას იძახდა, ძაღლის გული მაქვსო - ჯერ ქმარი დავკარგე, მერე შვილიო და კიდევ ცოცხალი როგორ ვარო, იძულებული იყო ჩემს დასთან ერთად თვითონ ემოქმედა“. (გ.ჟ.)

განაჩენის გამოტანიდან რამდენიმე ხნის შემდეგ, როდესაც უკვე ყველაფერს ნათელი მოეფინა, ჟვანიების ოჯახმა გადაწყვიტა ემოქმედა და გამოეყენებინა იმ დროისათვის მათ ხელთ არსებული ყველა საშუალება. უპირველეს ყოვლისა, შეგროვდა სათანადო

საბუთები სხვადასხვა ინსტანციებში გასაპროტესტებლად.

1977 წლის 4 თებერვალს ქალბატონმა ნინა ჟვანია-სედიხმა ძმის შეწყალების თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს მიმართა განცხადებით, რომელშიც ასაბუთებდა, თუ რა მოსაზრებების გამო შეიძლებოდა მისი ძმისთვის სიცოცხლის შენარჩუნება.

ამავე პერიოდში ვლ. ჟვანიას დედამ ქ-ნმა ინა ჟვანიამ, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარესა და სსრ კავშირის გენერალურ პროკურორს მიმართა შეწყალების განცხადებით, რომელშიც მინიშნებული იყო განხილვის პროცესში დაშვებულ სამართალდარღვევებზე და ითხოვდა საქმის გადასინჯვას.

ქ-ნმა ინა ჟვანიამ ბოლო შესაძლებლობაც გამოიყენა მაშინდელ ხელისუფლებასთან ურთიერთობის საკითხში და წერილობით მიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ.ი. ბრეჟნევს.

მოგვყავს თხოვნის ტექსტი სრულად:

Дорогой Леонид Ильич, прошу Вас лично и весь президиум рассмотреть мое письмо и помочь мне. Я наверное самая несчастная мать из всех матерей. Я может и надоела всем, но это будет уже последнее, на что я надеюсь обратить внимание Ваше.

Первое горе у меня случилось 1938 году. Я была молода, у меня был муж и трое детей. И вот по чему-то навету, моего мужа Жвания Григория Дмитриевича арестовали. Конфисковали все и меня с тремя детьми выгнали на улицу. После этого я влачила жалкое сушествование. С моими маленькими детьми я ходила из города в город и жила то у одних родственников, то у других. Мой муж погиб, он не вернулся. 1956 году его полностью реабилитировали. Да и не могло быть иначе. Муж мои Григорий Дмитриевич Жвания участник Октябрьской Революции. Он вошел в Грузию с 11 армией и стал кадровым офицером. Он был коммунист самый преданный, кого я знала, делу партии. Если бы он был жив, то не пришлось бы мне сейчас лить слезы. Я долго не могла найти работу, у меня не было никакой специальности и работала где попало. Жила в большой нужде. Во время Отечественной войны совсем стало плохо и я старшего сына отдала в военную часть воспитанником, а младшего Владимира забрала бабушка, мать моего мужа. Она сама жила на маленькой пенсии. После смерти бабушки он жил у меня, но уже я не

смогла найти с ним обший язык. Я всю войну проработала в госпитале санитаркой и прачкой, а после войны работала дезинфектором. Я была вынуждена зарабатывать на жизнь, а на воспитание не хватило времени. После реабилитации мужа моему сыну Владимиру назначили пенсию, он с детства инвалид, страдал сильной близорукостью, почти слепой носил очень сильные очки, а в последствии какие-то линзы.

Владимир часто ездил к родственникам отца, которые жили в Сухуми и Гагра. Рос он очень трудным ребенком и очень замкнутым. Наверное на него действовала трагедия его семьи, его инвалидность и наверное то, что я его отдала бабушке. 2 раза моего сына судили. 1 раз за нарушение границы как-будто хотел пойти за границу. Я точно не знаю, потому что никто мне не сообшил, и даже когда судили второй раз, тоже точно не знала где он.

Он был очень любознателен и много ездил по Союзу. В детстве его привозили домой то с одного места то с другого.

Отбыв наказание мой сын вернулся, но я уже была замужем и у меня я не могла прописать в деревне, потому что сын моего мужа был против.

Владимиру негде было жить, и негде прописаться. Наконец он прописался в Рустави в обшежитии, ему восстановили пенсию 28 рублей и жил тем что репетировал детей школьников. Он очень был стеснительный, стеснялся, потому что чувствовал себя везде лишним человеком. У сестры своя семья, а у брата своя. Только у него не было ни угла, ни семьи.

И вот он снова совершил преступление. Ему присудили расстрел. Даже не учли его тяжёлого положения, его тяжелой жизни. Мне известно, что он помог следствию своим чистосердечным признанием. А ведь это учитывается при вынесении приговора.

Случайно погиб человек, но ведь он не хотел этого.

Я знаю, что он очень виноват перед всеми, он совершил преступление и должен отвечать за это. Но объязательна ли смерть. Был бы жив мой муж и его отец и не разгромили бы наш очаг, все было бы по другому.

Я подавала прошение в Президиум Верховного Совета Груз. ССР, но прошение о помиловании Президиум Гр.ССР отклонил.

Я совсем больная женшина, больная и старая, ездила в Москву, подавала прошение на имя Подгорного. Но ответа пока не получила. Сейчас я не могу приехать в Москву, очень больная, инвалид, гипертоник,

Я подавала прошение в

потому что [illegible]

наверное так что и я ее отдала

Владимира забрала бабушка, мать

С моими маленькими детьми я

Председателю Президиума
СССР т. Л. И. Бреженеву

от гр. Жевлия Ильи Романовича
[illegible] СССР Калининский р-он
[illegible] Новые-Хозяйки

Дорогой Леонид Ильич, прошу Вас лично и весь президиум рассмотреть мое письмо и помочь мне. Я наверное самая несчастная мать из всех матерей. Я может и надоела всем, но это будет уже последнее на что я надеюсь обратить внимание Вами.

Первое горе у меня случилось 1937 году. Я была молода у меня был муж и трое детей. И вот не [illegible] чаевому моего мужа [illegible] Дмитриевича арестовали. [illegible] забрали все, и меня с тремя детьми выгнали на улицу. После этого я влачила жалкое существование

да ноги от сердца совсем распухли.

В связи с избранием Вас председателем Президиума Верховного Совета СССР я решила лично к Вам обратиться. Зная Вашу гумманость и Вашу человечность, пожалейте меня, облегчите остаток моей жизни. Пожалейте моего несчастного сына.

Помогите мне. Я уже не знаю к кому обрашаться.

Я прошу Вас лично и весь Президиум, в связи с таким великим праздником с 60-летием Октября, зная Вашу гумманность, замените смертную казнь, вынесенного 2/II–77 года Верховным судом Груз.ССР тюремным заключением.

Мать заключенного, приговоренного
к смертной казни : Жвания И.Р.

ამ მიმართვამ ვერ გაუთბო გული ჰუმანურობით ცნობილ გენსეკსაც კი, ვინაიდან ყველაფერი წინასწარ იყო დაგეგმილი - „დივერსანტი“ ვლ. ჟვანია უნდა დახვრეტილიყო. აღნიშნულ ვარაუდს აძლიერებს 1990 წლის 6 დეკემბრის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაბეჭდილი, იმჟამად საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის, თავმჯ დომარის მოვალეობის შემსრულებლის, გენერალ-მაიორ ოთარ ხატიაშვილის მოსაზრება:

კორესპონდენტი -

> რა როლი ჰქონდა ა. ინაურს და სხვებს ვლადიმერ ჟვანიას დახვრეტაში, რომელმაც 1975 წელს სამთავრობო შენობებთან მოაწყო აფეთქებები?

რესპონდენტი -

> არც ამ საქმის გამოძიებაში მიმიღია მონაწილეობა, ვიცი, რომ აფეთქებებს აწყობდა, მთავრობის გამოწვევა უნდოდა. არც მალავდა, რომ კომუნისტებს ებრძოდა. მოკლედ, მიუყენეს მასაც ის მუხლი, რომელიც ხელს აძლევდათ და დახვრიტეს.

ვლ. ჟვანიას გადარჩენისათვის ცდა არ დაუკლია არც მის ადვოკატს ბ-ნ ბენო ირაკლის ძე ხომერიკს, რომელმაც 1977 წლის

10 თებერვალს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს საჩივრით მიმართა საქმის ზედამხედველობის წესით გადასინჯვის თაობაზე.

ბ-ნმა ბ. ხომერიკმა სამსჯავრო სხდომაზე დაცვით სიტყვაში წამოყენებული საკუთარი არგუმენტები ახლა უკვე წერილობით დააფიქსირა და აღნიშნა, რომ საქართველოს სსრ სსკ 69-ე მუხლით ვლ. ჟვანიას დამნაშავედ ცნობა უმართებულო იყო, ვინაიდან მის მოქმედებაში არ იყო სსკ 69-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა. ბ. ხომერიკმა მოითხოვა ვლ. ჟვანიას ბრალდების გამო საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიიდან საქმე №2/20-ის გამოთხოვა საზედამხედველო წესით გადასინჯვის მოტივით.

თავისი მოსაზრება მან შემდეგი გარემოებებით დაასაბუთა (მოგვყავს უცვლელად) :

1. ცნობილია, რომ სსკ 69-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის მოტივი სახელმწიფო ძლიერების შესუსტებაა, საქმის არავითარი მასალით დადგენილი არ არის, რომ ვლ. ჟვანიას დანაშაულებრივი მოქმედების მოტივი სახელმწიფოს ძლიერების შესუსტება ყოფილიყოს. კანონმდებელი სახელმწიფოს ძლიერების შესუსტების ქვეშ გულისხმობს მხოლოდ სახელმწიფოს ეკონომიკურ ძლიერებას, ამის გამო სსკ 69-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტი ქვეყნის ეკონომიური საფუძველია, სოციალისტური საკუთრებაა, მეურნეობის სოციალისტური სისტემაა, უშუალო ობიექტი კი სახალხო მეურნეობის ისეთი ერთეულები, როგორიცაა: გზები, ხიდები, ელექტროსადგურები, რკინიგზა, ფაბრიკები, ქარხნები, მაღაროები და ა.შ.

ამ დანაშაულის ობიექტური მხარე - სახალხო მეურნეობის ზემოთნაჩვენები ობიექტების დანგრევა, მოსპობა, დაწვა და აფეთქებაა და ყველაფერი ეს კეთდება მხოლოდ და მარტოოდენ სახელმწიფოს ეკონომიური ძლიერების დასუსტების მიზნით.

2. ჩემს მიერ ამ საჩივარში განვითარებული მოსაზრებები ემყარება საბჭოთა სისხლის სამართლის თეორიასა და სასამართლო პრაქტიკაში დამკვიდრებულ დებულებებს, კერძოდ, „საბჭოთა სისხლის სამართლის კურსს“ (1970 წლის გამოცემა, ტ. IV, გვერდი 128-129). სიტყვა-სიტყვით ამ სახით ეს მოსაზრებები ასევე არის მოცემული რუსეთის ფედერაციის სს კოდექსის კომენტარში (1971 წლის გამოცემა, 164-165 გვერდი).

ამავე თეორიული შრომებით და სასამართლო პრაქტიკის

მიხედვით, სახელმწიფო-საზოგადო ქონების განზრახ განადგურება ცეცხლის წაკიდებით თუ სხვა საყოველთაოდ საშიში საშუალებებით და თუ ამას ადამიანთა მსხვერპლი ან მნიშვნელოვანი ზარალი მოჰყვა, ისჯება სსკ მე-100 მუხლით.

სახელმწიფო-საზოგადო ქონების განადგურება ორივე შემთხვევაში, როგორც სსკ 69-ე ისე მე-100 მუხლით განზრახ დანაშაულია, მაგრამ დანაშაულის მოტივი განასხვავებს ამ ორ დანაშაულს ერთმანეთისაგან.

3. არც წ/გამოძიებისას და არც სასამართლოში საქმის განხილვის შედეგად არ დადგინდა, რომ მსჯავრდებული ვლ. ჟვანია, როდესაც იგი ქ. სოხუმში პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის შენობის წინ, ქ. თბილისში მთავრობის სასახლის შენობის წინ მდებარე მოედანზე, თუ ქ. ქუთაისში ა. წულუკიძის სახელობის სკვერში აფეთქებას ახდენდა, მიზნად ისახავდა სახელმწიფოს ეკონომიკური ძლიერების შესუსტებას, მის დაუძლურებას. ამასთან დაკავშირებით, პირველ ყოვლისა, გთხოვთ მხედველობიდან ნუ გაუშვებთ იმას, რომ სამთავე შემთხვევაში აფეთქება მოხდა არა სახალხო მეურნეობის ობიექტებზე, არამედ ადმინისტრაციულ თუ პარტიულ ორგანიზაციათა შენობების მახლობლად, ბაღში, სკვერში.

4. ამასთანავე, მეტად საგულისხმოა ისიც, რომ მსჯავრდებული ვლ. ჟვანია, რომელიც თავიდანვე გულწრფელად აღიარებს მის მიერ ჩადენილ დანაშაულს და ასევე გულწრფელად აღწერს ყველაფერს, რაშიც მას შემდგომში ბრალი და მსჯავრი დაედო, თავიდანვე უარყოფს მოტივს სახელმწიფოს ეკონომიკური ძლიერების შესუსტებისა, იგი უჩვენებს:

„მე გადაწყვეტილი მქონდა ერთხელ სადღაც მომეხდინა დემონსტრაციული აფეთქება, იქ სადაც ადამიანებს ზიანი არ მოუვიდოდათ“. (ტ. 2. ს. ფ. 20-25. ნიშანდობლივად ს. ფ. 25-ის მეორე გვერდი).

მომდევნო დაკითხვაში 1976 წლის 24/VI იგი უჩვენებს:

„შემდეგ მე გადავწყვიტე რამდენიმე აფეთქება მომეწყო საქართველოს ქალაქებში, ამ აფეთქებით მე მინდოდა პოლიტიკური რეზონანსი გამომეწვია საქართველოში“. (ტ. 3. ს. ფ. 4-8 ნიშანდობლივად ს. ფ. 8).

ვლ. ჟვანიას ჩვენებებში ნახმარი გამოთქმები *„დემონსტრაციული აფეთქება“, „პოლიტიკური რეზონანსი“* თვალნათლივ მიგვანიშნებს იმაზე, რომ საქმე გვაქვს არა სახელმწიფოს ძლიერების შესუსტებაზე, როგორც მოტივზე ამ დანაშაულის ჩადენისა, არამედ სულ სხვა

გარემოებაზე.

5. საქმის მასალებით დადგენილია, რომ მსჯავრდებულ ვლ. ჟვანიას მამა, გრიგოლ ჟვანია, სამხედრო მოსამსახურე, 1938 წელს რეპრესირებულ იქნა და დაიღუპა. 1956 წელს მოხდა მისი რეაბილიტაცია.

საქმით დადგენილია ისიც, რომ გრიგოლ ჟვანიას რეპრესირებასთან დაკავშირებით მისი ოჯახი, მეუღლე და იმ დროს მისი 3 მცირეწლოვანი შვილი გასახლებული იქნენ ბინიდან და უსახლკაროდ დარჩენილნი ქალაქიდან ქალაქში, სოფლიდან სოფელში დადიოდნენ და ცხოვრება მეტად მძიმე პირობებში უხდებოდათ. შემდეგ მსჯავრდებულ ვლ. ჟვანიას დედა გათხოვდა, ოჯახს მოსცილდა, ასე უდედმამოდ და უნუგეშოდ იზრდებოდა იგი.

დადგენილია, რომ მსჯავრდებულ ვლ. ჟვანიას მთელი მისი ცხოვრების მანძილზე არ ჰქონია ბინა, სახლ-კარი, არ ჰყოლია ცოლ-შვილი, მისი ცხოვრება თავიდან ტრაგიკულად წარიმართა. ერთ-ერთ ჩვენებაში იგი აცხადებს:

„მეც მინდოდა მქონოდა ჩემი სახლ-კარი, მყოლოდა ცოლ-შვილი, მინდოდა ვყოფილიყავი მეცნიერი, გატაცებული ვარ ბიოლოგიით, ბიოქიმიით, მეც მინდოდა მყოლოდა მეგობრები, მეზობლები, მათი ჭირის და ლხინის გაზიარება, საშშობლოს სიყვარულმა ყველაფერი ეს დაჩრდილა ჩემში“ (ტ. 2. ს. ფ. 47-61 ნიშანდობლივად ს. ფ. 50.).

6. მსჯავრდებულ ვლ. ჟვანიას ეს ჩვენება რაღაც ზომით გამაგრებულია და დადასტურებულია მოწმეების ნინო და ვლადიმერ სედიხების და ვ. შუბლაძის ჩვენებებით (ტ. 4. ს. ფ. 91-95, 100-106. ტ. 5. ს.ფ. 53-57 და სასამართლოს 1977 წლის 19/1 და 20/1 სხდომის ოქმი.).

მოწმე ვ. შუბლაძის ჩვენებით, ვლ. ჟვანია არის უცნაური, გულჩათხრობილი, მის ცხოვრებაზე გავლენას ახდენდა ოჯახური ტრაგედია, მამის დაღუპვა, მხედველობის დაქვეითება (ტ. 5 ს.ფ. 53-57.)

ამრიგად, მისი ცხოვრების უკუღმართობამ იგი სუბიექტურად განაწყო საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და ის, რაც გააკეთა, იყო, მისი გამოთქმა რომ ვიხმაროთ, *„დემონსტრაციული დივერსია“* თუ *„პოლიტიკური რეზონანსი“*. ეს იყო უფრო გაბოროტებული კაცის მოქმედება და არა დივერსია ამ ცნების ისეთი გაგებით, როგორც ეს კანონშია.

ჩემის აზრით, ვლ. ჟვანიას ქმედების სსკ 69-ე მუხლით დაკვალიფიცირება დასანანი შეცდომაა, აქ კი ამ შეცდომის ფასი

ადამიანის სიცოცხლეა.

ვლ. ჟვანიას დანაშაულებრივი ქმედება ნაცვლად სსკ 69-ე მუხლისა უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ მე-100 მუხლის მე-II ნაწილით „სახელმწიფო ან საზოგადო ქონების განადგურება ცეცხლის წაკიდებით ან სხვა საშიში საშუალებებით თუ მას ადამიანთა მსხვერპლი ან მნიშვნელოვანი ზიანი მოჰყვა“.

სადაო არ არის, რომ ვლ. ჟვანიას ჩადენილი აქვს დანაშაული, გათვალისწინებული სსკ 71 მუხლის I ნაწილით, 154-ე მუხლის მე-II ნაწილით და 238 მუხლის I ნაწილით.

7. ვლ. ჟვანიამ გულწრფელად აღიარა დანაშაული, როგორც წ/გამოძიებისას, აგრეთვე სასამართლო სხდომაზე და მოინანია იგი.

ა) 1976 წლის 21/V დაკითხვაში იგი უჩვენებს, *„გადავწყვიტე გამოძიებას დავეხმარო ჭეშმარიტების დადგენაში და ამით შევიმსუბუქო არც თუ სახარბიელო ჩემი ხვედრი“.* (ს.ფ. 43).

ბ) მომდევნო ჩვენებაში იგი აცხადებდა, *„მე ავირჩიე არასწორი გზა, შევცდი და ამიტომ პასუხს ვაგებ ჩემი მოქმედებისათვის, შევცდი იმაში, რომ ასეთ ხერხს მივმართე, არ შეიძლებოდა, რომ ამას მსხვერპლი არ მოჰყოლოდა, საჭირო იყო ბრძოლის უფრო მშვიდობიანი გზა“.* (ტ. 2. ს.ფ. 47-61).

ასეთი გულწრფელობა და მონანიება იმაზე მიგვანიშნებს, რომ ვლ. ჟვანიამ შეიგნო მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე და ამჟამად განიცდის მას, ამის გამო იგი სასჯელის შემსუბუქებას იმსახურებს.“

აღნიშნულ სამართლებრივ შეფასებას იზიარებენ თანამედროვე სამართლის სპეციალისტები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ სსრ კავშირის სისხლის სამართლის კანონმდებლობა იძლეოდა იმის საშუალებას, რომ ვლ. ჟვანიასათვის სასჯელის უმაღლეს ზომად არ განსაზღვრულიყო დახვრეტა. საჭირო იყო მხოლოდ პოლიტიკური ნების გამოხატვა, რისი გაკეთებაც იმ პერიოდში საკმაოდ რთული აღმოჩნდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ყველა ინსტანციიდან მოვიდა თითქმის ერთიდაიგივე პასუხი, კერძოდ ის, რომ ვლ. ჟვანია სწორად იქნა გასამართლებელი საქართველოს სსრ სსკ-ს 69-ე, 71 - I ნაწილით, 154 - II ნაწილით და 238 - I ნაწილით და ამდენად ყველა საჩივარი, რომელიც შეიცავდა საქმის გადასინჯვის თხოვნას, დარჩა განხილვის გარეშე.

როგორც არაერთგზის აღინიშნა, ვლ. ჟვანია კატეგორიული წინააღმდეგი იყო შეწყალების განცხადებით მიემართა მაშინდელი

ხელისუფლებისათვის, არადა საარქივო საქმეში მივაკვლიეთ ორ დოკუმენტს, რომლებსაც არ შეიძლება ეწოდოს მონანიების ან შეწყალების განცხადებები. ჩვენი აზრით, მათ უფრო პროტესტის სახე აქვს, ვინაიდან, როგორც არაერთგზის ითქვა, მან სიცოცხლის ბოლომდე არ უარყო ის უმაღლესი იდეალი, მიზანი, რისთვისაც ჩაიდინა სისხლის სამართლის დანაშაული.

1977 წლის 8 თებერვალს (დოკუმენტი გატარებულია საქართველოს სსრ შსს № 1 იზოლატორში 9-ში, ხოლო უზენაეს სასამართლოს გადაეცა 17 თებერვალს) ვლ. ჟვანიამ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს მიმართა განცხადებით, რომელშიც საკუთარი თავი დააფიქსირა როგორც სიკვდილმისჯილი პოლიტიკური პატიმარი:

„წინასწარი გამოძიების დროს, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში, მე გულწრფელად ვაღიარე ყველაფერი და დავეხმარე ორგანოებს ჭეშმარიტად გამოძიების საქმეში, რითაც მე კანონიერად დავიმსახურე მომავალი განაჩენის შემსუბუქება, რაც მე მითხრეს უშიშროების კომიტეტში. მაგრამ აი მე გამომიტანეს დახვრეტა, გამომიტანეს სიკვდილი ქართველმა მოსამართლეებმა, როგორც მტერს, დივერსანტს. მართალია, მე ჩავიდინე აფეთქებები, მაგრამ ეს აფეთქებები იყო დემონსტრაციული ხასიათის.

მე არასოდეს მინდოდა რაიმე ზიანი მიმეყენებინა ჩემი სამშობლოს, საქართველოს ეკონომიკისათვის, არ მინდოდა არავითარი მსხვერპლი და საერთოდ არასოდეს მიფიქრია ქვეყნისათვის დიდი ეკონომიური ზიანის მიყენება მისი ძლიერების დაქვეითების მიზნით. თუ რატომ და რისთვის ჩავიდინე ეს აფეთქებები, რასაკვირველია, თქვენ იცით“.

„...ქართველთ სამსჯავრომ სიკვდილი გამომიტანა. სიკვდილი გამომიტანა დიდი ილიას იდეების მიმდევარს, რომელიც შევცდი მხოლოდ, ხელი მივყავ რა ძალადობას“.

„რა უნდა მისცეთ მაშინ ჩვენი სამშობლოს ნამდვილ მტერს, ნამდვილ დივერსანტს, რომლის მიერ მოწყობილი ყოველი ობიექტის აფეთქება მრავალმილიონიან ზარალს იწვევს და ქვეყნის ძლიერებას აქვეითებს? რატომ არ იმოქმედა სასამართლოზე ჩემმა გულწრფელმა აღიარებამ, გამოძიებისადმი დახმარებამ, ჩემს მიერ ძალადობის მთლიანად დაგმობამ? ღმერთო დიდებულო! იმდენი კარგი მესმა თქვენს შესახებ გამოძიების დროს, როგორც დიდი

იურისტისა და დიდი ადამიანის შესახებ, რომ ვლოცულობდი, ჩემი საქმე თქვენ აგელოთ! ალბად ჩემი ბედი ყოფილა ასეთი, ბატონო ჩემო, განა სიკვდილის ფასად უნდა გამოვისყიდო ჩემი შეცდომა? გთხოვთ შემიმსუბუქოთ განაჩენი, რომ ვიცხოვრო ჩემი ლამაზი საქართველოსთვის, მისი ბედნიერებისათვის ვიცხოვრო.

ჩემთვის, თავისუფლებისმოყვარე, მაგრამ შემცდარი ადამიანისათვის,სიკვდილის განაჩენი იქნებ შეცდომაა? არა მჯერა. მიპასუხეთ, ბატონო ჩემო, და თუ მე მართლაც სიკვდილი მეკუთვნის, დაე, მოვკვდე".

რამდენიმე დღის შემდეგ, უფრო სწორედ 1977 წლის 15 თებერვალს სიკვდილმისჯილმა ვლ. ჟვანიამ განცხადებით მიმართა საქართველოს სსრ კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს. განცხადებაში აღნიშნულია:

„1977 წლის 2 თებერვალს საქართველოს უმაღლესმა სასამართლომ 69-ე მუხლით მომისაჯა დახვრეტა. ეს განაჩენი არ მიმაჩნია სამართლიანად, ვინაიდან 69-ე მუხლი ლაპარაკობს დივერსიის შესახებ, მე კი საქართველოს ტერიტორიაზე მოვაწყვე არა დივერსიული, არამედ სამი დემონსტრაციული საჩვენებელი აფეთქება: ორი ადმინისტრაციულ შენობებთან და ერთი უკაცრიელ სკვერში. ამ აფეთქებით მე მინდოდა მეჩვენებინა მთავრობისათვის, რომ არსებობს ჯგუფი, რომლის მიზანია საქართველოს რუსეთიდან გამოყოფა, ამის შესახებ საქართველოში სახალხო რეფერენდუმის მოწყობის გზით მინდოდა მხოლოდ ეს.

მე ისე მიყვარს ჩემი ხალხი, ჩემი სამშობლო, რომ არავითარი პირდაპირი განზრახვა, არავითარი ფიქრი აბრასოდეს მქონია, რაიმე მცირე მატერიალური ზიანიც კი რომ მიმეყენებია მისთვის, მისი ან მცხოვრებთა პირადი ქონებისათვის.

მე მინდოდა მხოლოდ დემონსტრაციული, საჩვენებელი აფეთქებები, რომელსაც არ მოჰყვებოდა მსხვერპლი და ნგრევა. მაგრამ, სამწუხაროდ, მე დიდი შეცდომა მომივიდა, მივყევ რა ხელი ძალადობას. ერთი ადამიანი დაიღუპა და 18 ათასი მანეთის მინები ჩაიმსხვრა სახლებში. მე უკვე ქუთაისში მომხდარი აფეთქების შემდეგ მთლიანად შევიგნე, რომ ყოველ „უსაფრთხო" აფეთქებას შეიძლება

ადამიანი შეეწიროს. მართალია, მე მოვახდინე აფეთქებები, დემონსტრაციული, საჩვენებელი ხასიათისა, მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ჩემთვის უნდა მოეცათ 69-ე მუხლი, რომელსაც აძლევენ დივერსანტს - მტერს. მე რომ აფეთქებები დივერსიის მიზნით არ ჩამიტარებია, ეს ნათლად ჩანს მთელ ჩემ სისხლის სამართლის საქმეში თავიდან ბოლომდე.

დივერსია ეს არის აფეთქების გზით სახალხო- სამეურნეო მნიშვნელობის ობიექტების - ქარხნების, ფაბრიკების, გზების, ხიდების, ტრანსპორტის და სხვათა პირდაპირი განზრახვით დაზიანება ან განადგურება, ამით დიდი ეკონომიური ზარალის მიყენება სახელმწიფოსათვის მისი ძლიერების დაქვეითების მიზნით. მე კი არც ასეთი ობიექტები ამიფეთქებია და არც ვფიქრობდი მატერიალური ზიანის მიყენებას. მე ავაფეთქე დემონსტრაციის მიზნით სახლებთან და არა სახლი, ან ქარხანა, ავაფეთქე სკვერში და არა ტრანსპორტი ან ფაბრიკა და ა.შ. დივერსანტის, მტრის მოქმედება კი საწინააღმდეგოა. კიდევ ვიმეორებ, რომ მე არავითარი მატერიალური ზიანის მიყენება არ მინდოდა. ეს წითელ ხაზადაა გავლილი მთელ საქმეში. მინების დიდი რაოდენობით ჩამსხვრევაც კი მე გამოძიების დროს გავიგე. საქმეში, ჩემს ჩვენებებში ბევრჯერ ჩანს სიტყვა „დივერსია", მაგრამ მე ჩემს აფეთქებებს დივერსიებს ვუწოდებდი და წარმოდგენა არ მქონდა დივერსიის არსზე.

რასაკვირველია, მე შევცდი, აფეთქებები რომ ჩავიდინე, მაგრამ ეს აფეთქებები დივერსიის მიზნით არ გამიკეთებია. ამიტომ 69-ე მუხლი მე არ მეკუთვნის. მოხდა იურიდიული შეცდომა, დანაშაულის არასწორი კვალიფიკაცია. ამ შეცდომის იქით კი ჩემი სიცოცხლე დგას.

თუ დავუშვებთ, რომ ჩემს მიერ მოწყობილი აფეთქებები, მიუხედავად იმისა, რომ მე ზიანის მიყენება არ მინდოდა, დივერსიებს ეკუთვნის, მაშინ მე მთელი სიმკაცრით გამომიტანეს განაჩენი, ვინაიდან მე ფიქრშიაც კი არ მქონდა ეკონომიური ზიანის მიყენება ჩემი ერისთვის, ჩემი სამშობლოსთვის. <u>ჩემი მძაფრი სიყვარული მამულისადმი ბევრს არც კი მოელანდება. მე ისეთი დიდი სიკარგე მინდოდა ქართველთ ქვეყნისათვის, რომ</u>

გადავაჭარბე კიდეც და დიდი შეცდომა მომივიდა, ჩავიდინე დანაშაული. ამ შეცდომისათვის სასამართლოზე, სადაც დიდ ილიასა და აკაკის კორიფეები უწოდეს, მათ პატარა მიმდევარს, სიკვდილი მარგუნეს წილად. ცივი მხრიდან მოსული ტყვია, რომელმაც განგმირა საქართველოს მაშინდელი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთპიროვნული ლიდერი, თურმე არ შეჩერებულა. მართლაც, რომ გასაკვირია.

რატომღაც, მე სასამართლო მთელი სიმკაცრით მომექცა, მომცა რა დახვრეტა, როცა 69-ე მუხლი რვიდან თხუთმეტ წლამდე, ან დახვრეტამდე ლაპარაკობს. მაშინ რა უნდა მიეცათ ჩემი სამშობლოს მტრისათვის, დივერსანტისათვის, რომლის მიერ ჩადენილი ყოველი აფეთქება არადემონსტრაციულია, არამედ დივერსიული ნამდვილად, დიდი ეკონომიური ზიანი მოაქვს და მიმართულია სახელმწიფოს ძლიერების დაცემისაკენ.

ბოლოსდაბოლოს ცოტა სირცხვილი უნდა ჰქონდეთ საქართველოს წინაშე იმ ჰუმანურ ადამიანებს ქართველთა რიცხვიდან, რომლებმაც ასე გამიმეტეს და ჩემი სისხლის დაღვრა მოინდომეს, იმ სისხლისა, რომელსაც უკანასკნელ წვეთამდე არ დავიშურებ ჩემი ერისათვის, სამშობლოსათვის, მისი კეთილდღეობისათვის.

სიკვდილის არ მეშინია, გინდ 40 წელი ვიცოცხლო, გინდ 140 და გინდ 740. ინდივიდუმს ბოლო მაინც გააჩნია. მაგრამ საჭიროა ცხოვრებამ ფუჭად არ ჩაიაროს და ადამიანმა დატოვოს კარგი კვალი. და აი, მე, სულითა და გულით დავგმე რა ჩემი ძალადობრივი მოქმედებები, მინდა, რომ სიცოცხლის მეორე ნახევარი მოვახმარო სამშობლოს, გამოვისყიდო ის ზიანი, რაც მივაყენე ჩემს ქვეყანას. მართალია მე თითქმის მთლიანად დავბრმავდი, მაგრამ ბევრზე უფრო მეტად შემიძლია ახლაც მამულისთვის კეთილის კეთება. ფუჭი სიკვდილი კი ფუჭია.

გამოძიების დროს მე გულწრფელად ვაღიარე ყველაფერი. დავეხმარე გამოძიებას ყველა საკითხში. ამის საპასუხოდ უშიშროების კომიტეტში კანონიერად მითხრეს, რომ ამისათვის სასამართლო სასჯელს შემიმსუბუქებდა. სისხლის სამართლის საქმის მთელი მასალები, რომლებიც საქმეს

ეხება აფეთქებებისას, მთლიანად ჩემს გულწრფელ აღიარებაზეა აგებული. და აი, სასჯელი შემიმსუბუქეს. მთელი ჩემი გულწრფელი აღიარება 69-ე მუხლით მთელი სისასტიკით იქნა გამოყენებული ჩემს წინააღმდეგ. სიკვდილი მომისაჯეს. ამიტომ მე შემექმნა აზრი, რომ მე მკლავენ უბრალოდ, მკლავენ შურისძიების მიზნით, ჩემი თავისუფლებისმოყვარე პოლიტიკური იდეების გამო. მაგრამ მე თუ მოვკვდები, მოვკვდები სამშობლოსათვის, ჩემი ერის ბედნიერებისათვის.

გთხოვთ გასცეთ ბრძანება ჩემი საქმის ხელახლად გადასინჯვისა და ჩემი დაკითხვისათვის სიმართლისა და ღმობიერებისათვის".

ვლ. ჟვანიას ეს უკანასკნელი წერილი საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა იმავე წლის 3 მარტს რეზოლუციით - „მიღებული ზომების შესახებ გთხოვთ აცნობოთ განმცხადებელს" გადაუგზავნა საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს.

საინტერესოდ მოსჩანს ერთი გარემოება. კერძოდ:

საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს მიერ, საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის სახელზე გამზადდა ტიტულოვან ქაღალდის ფურცელზე ოთხ გვერდად შესრულებული წერილი № 2-20, დათარიღებული 1977 წლის 22 თებერვლით. საარქივო საქმეში ინახება წერილის როგორც ორიგინალი, ასევე ერთ-ერთი ეგზემპლარი. აღსანიშნავია, რომ წერილის ძირითადი ეგზემპლარის ბოლო ფურცლის მეორე, ქვედა ნახევარი მოხეულია და საქმეში არ ინახება, ხოლო მეორე ეგზემპლარის მეოთხე ფურცელზე ასეთი ჩანაწერია გაკეთებული: „ბ-ნმა თ. შავგულიძემ დასკვნა უკან დააბრუნა, რადგან საკითხის განხილვა პრეზიდიუმზე გადაიდო, ... დასკვნა არ არის სრულყოფილი". უნდა ვივარაუდოთ, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ან მართლაც გულთან ახლოს მიიტანა ვლ. ჟვანიას სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი და საქმის უფრო კვალიფიციურ შესწავლას დაელოდა, ან უბრალოდ დროის გაყვანის ტაქტიკა აირჩია, ვინაიდან სიკვდილმისჯილის ბედი მოსკოვში წყდებოდა, ამ შემთხვევაში ალბათ ფორმალურად, ვინაიდან ვლ. ჟვანიას ბედი კარგახნის გადაწყვეტილი იყო.

1977 წლის 18 მარტის დადგენილებით, რომელიც დაამტკიცა საქართველოს სსრ პროკურორმა, ვლ. ჟვანიას და მისი ადვოკატის პროტესტი არ დაკმაყოფილდა, რის შესახებაც ეცნობა ორივე განმცხადებელს.

ზემოთაღნიშნული ორივე განცხადების გაცნობისთანავე დაუკმაყოფილებლობის გრძნობა გაჩნდა. რა მოხდა, ნუთუ შედრკა ვლ. ჟვანია, იქნებ საკუთარ რწმენაში ბზარი გაუჩნდა? შვებით ამოვისუნთქეთ, როდესაც ვლ. ჟვანიას საქმესთან დაკავშირებით თავისი შეხედულებები და მოსაზრებები გაგვიზიარა ღირსეულმა პიროვნებამ, ბატონმა *გოჩა გუნიავამ* - უშიშროების ორგანოების დამსახურებულმა მუშაკმა, თადარიგის პოლკოვნიკმა. ის ხელმძღვანელობდა ქვედანაყოფს, რომელიც ორგანიზაციას უწევდა ვლ. ჟვანიას ქმედებებთან დაკავშირებით ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ჩატარებას და ოპერატიული აღრიცხვის საქმის წარმოებას.

„ვინ იყო ვლადიმერ ჟვანია? ტრაგიკული პიროვნება, ცხოვრების ბედუკუღმართობის მსხვერპლი. ყველა მისი გაბრძოლება, თავისი ადგილი ეპოვა საზოგადოებაში, მარცხით დამთავრდა, ყველა მისი მცდელობა, გაქცეოდა მისთვის აუტანელ გარემოს, უშედეგო აღმოჩნდა. აირჩია პროტესტის გამოხატვის განსაკუთრებული ფორმა - ხმაურიანი აფეთქებები სამთავრობო შენობებთან. დაიღუპა უდანაშაულო ადამიანი. ესეც სანანებელი გაუხდა. მხნედ შეეგება სასიკვდილო განაჩენს და აქაც არ გაუმართლა. დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ დააწერინეს თხოვნა შეწყალებაზე, რაც მან შემდგომში შეაფასა, - როგორც თავისი ცხოვრების ყველაზე უღირსი და დამამცირებელი საქციელი.

ორ ათეულ წელზე მეტი გავიდა ვლ. ჟვანიას სიკვდილით დასჯიდან. რა შეიძლება ითქვას ამ საქმეზე დღევანდელი გადასახედიდან?

ოპერატიული და საგამოძიებო გზით დეტალურად იქნა შესწავლილი ვლ. ჟვანიას ბიოგრაფია, ნათესაური და საქმიანი კავშირები, მისი ხასიათისა და მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების განმსაზღვრელი პირობები.

სამი წლისას დაუხვრიტეს მამა - მეთერთმეტე არმიის მებრძოლი, საბჭოთა ხელისუფლებისათვის თავგამოდებული აქტივისტი. მიატოვა დედამ და გათხოვდა. გაუყიდეს უკანასკნელი ქოხიც, სადაც ის მოხუცმა ბებიამ შეიკედლა. არ წყალობდნენ სხვა ახლო ნათესავებიც. ბავშვობიდან დაიწყო მისი ჭიდილი ცხოვრების გამოუცნობ და გაუთვალისწინებელ ლაბირინთებთან.

იყო ასეთი ეპიზოდიც ვლ. ჟვანიას საქმეში. მისთვის ორი უცნობი მოზარდის გაშველებას შეეცადა. ჩხუბისას დაიჭრა ერთ-ერთი. დამჭრელის მამამ შვილის თავისუფლებას და თავის რეპუტაციას შესწირა უპატრონო გამშველებლის ბედი. უდანაშაულო დამნაშავე ციხეში ჩასვეს. „გლახის ნაამბობის“ ერთ-ერთი პერსონაჟის ამბისა

არ იყოს, დამჭრელის მამამ მოგვიანებით გაათავისუფლა იგი საპატიმროდან. მაგრამ ეს ფაქტი მის ფსიქიკაზე ბედის ირონიის კიდევ ერთი დარტყმა აღმოჩნდა.

ამას მოჰყვა ქვეყნიდან გაქცევის უშედეგო მცდელობები, თურქეთის, შუა აზიისა და დასავლეთ უკრაინის საზღვრებთან. კვლავ პატიმრობა. ასევე გზადაგზა, მრავალ საბედისწერო გარემოებათა გავლენით მტკიცედ ყალიბდებოდა განაწყენებული და კონფლიქტური პიროვნება.

აფეთქებები სოხუმში, თბილისსა და ქუთაისში. თავდასხმის ობიექტები აფხაზეთის პარტიის საოლქო და საქართველოს მთავრობის სახლები იყო. ამან განაპირობა ვერსია - ამფეთქებელი ანტისაბჭოურად განწყობილი პირი ან ჯგუფი უნდა ყოფილიყო. ყველას გასაოცრად ხელში შეგვრჩა ჩია ტანის ახლომხედველი, რომელიც უსათვალოდ ვერაფერს ვერ ხედავდა.

უკანასკნელი და საბედისწერო დაპატიმრება. საქმეს იძიებდა უშიშროების კომიტეტის საგამოძიებო განყოფილების უფროსის მოადგილე, აწ განსვენებული საშა მირიანაშვილი. იგი გამოძიების პროცესში პრაქტიკულად დაუმეგობრდა ვლ. ჟვანიას, რომელიც გულახდილად მიენდო და ყველაფერს ძალდაუტანებლად უყვებოდა მას. აუღელვებლად არ შეიძლება მოიგონოს კაცმა ბატონ საშას ამაფორიაქებელი მონათხრობები ვლ. ჟვანიაზე, მისი ცხოვრების ავბედითობაზე.

იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ს. მირიანაშვილი იყო ერთადერთი კაცი, ვინც მას გაუგო, ვინც გულწრფელად გაიზიარა მისი ბედისწერა.

ამ ემოციურ კაცს, ერთის მხრივ, თავისი თანამდებობრივი და პროფესიული ვალდებულების გამო ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყავდა თავისი პატიმარი აღსასრულისკენ, მეორე მხრივ, მუდარით შედიოდა ყველა რანგის ხელმძღვანელთან და სთხოვდა, როგორც გამონაკლისი შემთხვევა, აეცილებინათ მისთვის სასიკვდილო განაჩენი. თუმცა თვითონ ბრალდებული შინაგანად მზად იყო ყოველგვარი სასჯელისთვის. მისი ხასიათის სიმტკიცესა და ძლიერ ნებისყოფაზე მიუთითებს ასეთი დეტალი: არსებული წესის თანახმად, სასამართლოზე სასიკვდილო განაჩენის გამოტანისას პატიმარს იმავ წუთს ადებდნენ ხელბორკილს, რადგან უმრავლეს შემთხვევაში სასოწარკვეთილი ადამიანები ათასნაირ ექსცესებს ჩადიოდნენ. როდესაც ვლ. ჟვანიასათვის სასჯელის უმაღლესი ზომა გამოუცხადებიათ, იგი ამდგარა, გასწორებულა და ბადრაგის მოვარდნამდე თვითონ გაუშვერია ხელები ბორკილების

ЦК КП Грузии

25 FEB 77 014389

Вход. № [illegible]

СЛЕД. ПЕЗАЛТОР № 1

УЛТУ ЦК Грузинской ССР

[illegible]

Вход. № 24/2
«8» 11 1977 г.
СЛЕД. ИЗОЛЯТОР № 1
УНТУ МВД Грузинской ССР

დასადებად. ასევე წყნარად და წარბშეუხრელად გასულა თავისი ფეხით სასამართლო დარბაზიდან.

სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ ს. მირიანაშვილმა კიდევ ერთხელ გაიბრძოლა და არაერთგზისი თხოვნის შემდეგ დაიყოლია სიკვდილმისჯილი გამოეყენებინა უკანასკნელი შანსი და დაეწერა თხოვნა შეწყალების შესახებ, რასაც თავისი მოტივირებული არგუმენტაციაც დაურთო.

ვლ. ჟვანიას საქმის მსვლელობას მოსკოვიდან კურირებდა საკმაოდ განათლებული და გამოცდილი იურისტი გენერალი <u>გენადი კისლიხი</u>. ვლ. ჟვანიას პირადი ცხოვრების გაცნობისა და ს. მირიანაშვილის არგუმენტების შემდეგ მასაც მოულბა გული, მაგრამ სხვებთან კონსულტაციების შემდეგ ცალსახად განაცხადა: "Все сделано по существующему законодательству. Отмена смертной казни в отношении Жвания послужит дурным примером для других. Взрывы и подобные преступления пойдут на каждом шагу. <u>О расстреле Жвания должна знать вся страна."</u>

ვლ. ჟვანიას შეწყალებაზე უარი ეთქვა.

<u>„მე სიკვდილის წინ ჩავიდინე ყველაზე დიდი უღირსი საქციელი და მძიმე დანაშაული, როცა დავწერე თხოვნა პატიების შესახებ. მე დასახვრეტი კი არა, ნელ ცეცხლზე ვარ დასაწვავი და გააკეთეთ ეს თუ შეგიძლიათ.“</u>

სინანულით განუცხადებია ვლ. ჟვანიას ს. მირიანაშვილისათვის, როცა მან უკანასკნელად მოინახულა იგი.

არანაკლებ განიცდიდა ამ ტრაგიკულ დასასრულს თვით ს. მირიანაშვილიც. სიცოცხლის ბოლომდე მტკივნეულად იგონებდა ყოველივე ამას.

შეიძლებოდა თუ არა იმ პერიოდში ვინმეს მცდელობას გამოეღო სხვა შედეგი და აეცილებინა ჟვანიასთვის სასიკვდილო განაჩენი? ალბათ არა, რადგან დიდ სახელმწიფოს დიდი ინტერესები ჰქონდა. ვლ. ჟვანია, როგორც მაშინ ამბობდნენ, პატარა „ჭანჭიკი“ იყო ამ სისტემაში და არა პიროვნება. მისი სიცოცხლეც სხვა ათასებთან ერთად შეიწირა ამ ინტერესებმა.

ამ ათასების საქმეების შესწავლამ და მათი ბედის ადამიანურმა გაგებამ მიიყვანა ჩვენი ქვეყანა სიკვდილით დასჯის გაუქმებამდე და გაათავისუფლა მომავალი თაობები ამ ვანდალური „კანონით“ გამოწვეული მორალური და ზნეობრივი ტკივილისაგან.

სწორედ ამ კეთილშობილურ სამართლებრივ ინიციატივას

ეძღვნება წინამდებარე ნაშრომიც.

ღმერთმა ინებოს და ისე აწყობილიყოს ცხოვრება, რომ მომავალში მაინც აცდენოდნენ ადამიანები მსგავს ბედუკულმართობას.“

• • •

ვ. ჟვანიას ოჯახს დარჩენილი ჰქონდა უკანასკნელი იმედი: მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით და სასამართლოს გადაწყვეტილების თაობაზე როგორმე ეცნობებია მსოფლიო საზოგადოებრიობისათვის.

უმაღლეს სასამართლოში სათანადო დოკუმენტების მიღების პროცესში დედა-შვილ ჟვანიებთან - ინასთან და ნინოსთან, რომლებმაც იტვირთეს ბრძოლის მთელი სიმძიმე, მივიდა ერთი მამაკაცი, რომელმაც აუწყა მათ, რომ იყვნენ ადამიანები, რომლებიც გარკვეულ ნაბიჯებს დგამდნენ ვლ. ჟვანიასთან დაკავშირებით საზოგადოების ფართო მასების ინფორმირებისათვის.

ოდნავ მოგვიანებით, ქ-ნი ნინო და ქ-ნი ინა აღმოჩნდნენ მერაბ კოსტავას სახლში. იქვე გაიცნეს მისი დედა ქ-ნი ოლღა დემურია-კოსტავა. ქ-ნი ნინო ჟვანიას გადმოცემით, ქ-ნი ოლღა შექმნილი მდგომარეობის გამო ძალიან ღელავდა და განიცდიდა. წუხდა - ისეთი ვითარებაა, მერაბი და ბიჭები ვაითუ დააპატიმრონო... ჟვანიებმა გაიცნეს მერაბ კოსტავა, მოგვიანებით ზვიად გამსახურდიაც. მათ საკუთარი შესაძლებლობებიდან გამომდინარე აღუთქვეს სრული მხარდაჭერა და თანადგომა. იქვე შეადგინეს ვრცელი წერილი და სთხოვეს ჟვანიებს მიეტანათ იგი მოსკოვში მათთვის ცნობილ მისამართზე.

ქ-ნ ინას, ვ. ჟვანიას დედას მოსკოვში გამგზავრებამდე ერთი დღით ადრე, მასთან სახლის წინ ხანმოკლე საუბარი გაუმართა ზვიად გამსახურდიამ, რომელმაც სთხოვა, მოსკოვში მათი ნაცნობი ქალისათვის გადაეცა, რომ უახლოეს ხანში მოსალოდნელი იყო თბილისში რეპრესიები, კერძოდ მისი და მერაბ კოსტავას დაპატიმრება.

დედა-შვილი ჟვანიები მოსკოვში მართლაც ჩავიდნენ და შეხვდნენ სახაროვის ჯგუფის წევრს, ადვოკატ ქალბატონს, რომლისთვისაც უკვე ცნობილი იყო მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიას დაპატიმრების ფაქტი. იგი დაჰპირდათ დახმარებას შეძლებისდაგვარად. შემდგომში ერთადერთი, რაც მათ მოახერხეს, იყო ის, რომ სხვადასხვა არხებით ვლ. ჟვანიას საქმესთან დაკავშირებით ინფორმაცია

მიაწოდეს მსოფლიო საზოგადოებრიობას.

რაც შეეხება მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიას, მათ თავისი სიტყვა იმ მძიმე ვითარებიდან გამომდინარე, რომელშიც ისინი იმყოფებოდნენ, პირნათლად შეასრულეს.

70-იანი წლების დასაწყისში საფრანგეთში გიორგი წერეთლის ინიციატივით დაარსდა ქართული ჟურნალი „თავისუფლების ტრიბუნა". მისი უმთავრესი მიზანი იყო გაეშუქებინა იმ დროისათვის საქართველოში შექმნილი რეალური ვითარება, რომელსაც სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები გასაგები მიზეზის გამო საგულდაგულოდ ჩქმალავდნენ. ჟურნალი ძირითადად ეყრდნობოდა საქართველოში იმ პერიოდში „თვითგამოცემის წესით" დაბეჭდილ კრებულებსა და წიგნებს. „თავისუფლების ტრიბუნამ" ვ. ჟვანიას საქმესთან დაკავშირებით გამოაქვეყნა რამდენიმე ინფორმაცია სარედაქციო კომენტარითურთ, ხოლო 1977 წლის აპრილის ნომერი მთლიანად მას მიუძღვნა.

ვლადიმერ ჟვანიას გასამართლებას ჟურნალ „თავისუფლების ტრიბუნაში" აქტიურად გამოეხმაურნენ ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა. ისინი დაუპირისპირდნენ ოფიციალურ პრესაში დაბეჭდილ მშრალ, ძუნწ, პრაქტიკულად მცდარ ინფორაციას. აი რას წერდნენ ამის თაობაზე მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია: „დაპატიმრების დროს ჟვანიას აღმოუჩინეს სამი წერილი - საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, მინისტრთა საბჭოსა და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელზე, რომელშიც საქართველოს განთავისუფლების ორგანიზაციის სახელით უყენებდა მოთხოვნებს რვა მუხლად. ის მოითხოვდა საქართველოდან რუსი ჯარების გაყვანას, რეფერენდუმსა და საქართველოს შეყვანას გაერთიანებულ ერთა ორგანიზაციაში, ის აფრთხილებდა ხელისუფალთ, თუ ეს მოთხოვნები არ იქნებოდა დაკმაყოფილებული, ორგანიზაცია გააგრძელებდა აფეთქებებს"...

ვლ. ჟვანიას გასამართლების პროცესმა დიდი გამოხმაურება პოვა დასავლეთში. სასამართლო პროცესთან დაკავშირებული უკანონობანი ამხილეს უცხოეთში არსებულმა პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა და გამომცემლობებმა ერთობლივ განცხადებაში. განცხადების ავტორები მოითხოვდნენ ჟვანიასათვის სასჯელის უმაღლესი ზომის - დახვრეტის გაუქმებას, ხოლო შემდეგ საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციებისა და იურისტთა საზოგადოების მიერ საქმის შემოწმებას, როგორც საერთაშორისო, ისე საბჭოთა კანონმდებლობის მიხედვით.

1974 წელს საქართველოში ყალიბდება ადამიანის უფლებათა დაცვის საინიციატივო ჯგუფი, რომლის მიზანი იყო საქართველოში ადამიანის უფლებათა დარღვევების გამოვლენა და მათ შესახებ ინფორმაციის გავრცელება, პატიმრების ღირსების დაცვა და სხვა.

1975 წლის 1-ლ აგვისტოს ჰელსინკში ევროპის ქვეყნების, აშშ-ისა და კანადის მიერ უსაფრთხობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ მოსკოვის ჰელსინკის ჯგუფის კვალდაკვალ საქართველოში ზ. გამსახურდიას ინიციატივით ჩამოყალიბდა ჰელსინკის შეთანხმების განხორციელების ხელშემწყობი ჯგუფი.

„პირველი დოკუმენტი, რომელიც ჯგუფმა 1977 წელს გამოსცა, ქართველი პატრიოტის ვლ. ჟვანიას დაცვას ისახავდა მიზნად. მას მიესაჯა დახვრეტა საპროტესტო აფეთქებათა გამო მთავრობის სახლთან თბილისში, ქუთაისსა და სოხუმში ნიშნად პროტესტისა, საქართველოს რუსიფიკაციის და მისი სუვერენიტეტის მიმართ ძირგამომთხრელი საქმიანობის გამო. დოკუმენტი გადაეცა კალისტრატოვას და პ. გრიგორიენკოს, წერილი მიმართული იყო როგორც საბჭოთა მთავრობისადმი, ისე იურისტთა საერთაშორისო ასოციაციისადმი, რამდენადაც ვლ. ჟვანიას საქმეში დაშვებული იქნა უხეში სამართლებრივი და პროცესუალური დარღვევები (თუმცა ვლ. ჟვანია მაინც დახვრიტეს) “.*

დოკუმენტი გაეგზავნა აგრეთვე ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ლიგას, საერთაშორისო ამნისტიას. ჩვენს მიერ მოპოვებულ იქნა ამ დოკუმენტის ტექსტიც:

„1977 წლის 2 თებერვალს თბილისში საბჭოთა ხელისუფლებამ დახვრეტა მიუსაჯა გაბედულ ქართველ პატრიოტს ვლადიმერ გრიგოლის ძე ჟვანიას (წარსულში იგი მსჯავრდებული იყო საზღვრის გადალახვის მცდელობისათვის). საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ მას მსჯავრი დასდო საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 69-ე მუხლით (დივერსია). ვლ. ჟვანიას ბრალდებაა ის, რომ ქუთაისში, სოხუმსა და თბილისში, მთავრობის შენობების წინ სხვადასხვა დროს აფეთქებდა კუსტარულად დამზადებულ ყუმბარებს, ვლ. ჟვანიამ გამოძიებას და სასამართლოს განუცხადა, საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობის და მარიონეტული

---

* მერაბ კოსტავა - 1987 წლის 3 დეკემბერი „ჰელსინკის ჯგუფის ისტორია და ამოცანები საქართველოში“ - ეროვნული მოძრაობის არქივიდან - „საქართველო“ - 27.11.90

მთავრობის ახლანდელ პოლიტიკას არ ვეთანხმები, იგი ძირს უთხრის რესპუბლიკის სუვერენიტეტს, ხელს უწყობს ქართველი ხალხის გადაგვარებას, რუსიფიკაციას და პროტესტის ნიშნად სიმბოლური ხასიათის აფეთქებები მოვაწყე, რათა საზოგადოების ყურადღება მიმეპყროო. ის ცდილობდა აგრეთვე, რომ აფეთქებას არ დაეზიანებინა შენობები და სახელმწიფოსათვის არ მიეყენებინა მატერიალური ზარალი, ამის გამო არ შეიძლებოდა ვლ. ჟვანია ეცნოთ დამნაშავედ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 69-ე მუხლით, რომელიც გულისხმობს საწარმოთა, ნაგებობათა, გზათა და მიმოსვლის საშუალებათა, კავშირგაბმულობის საშუალებათა ან სხვა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დანგრევას თუ დაზიანებას, მასობრივ მოწამლვას, ანდა ეპიდემიის თუ ეპიზოოტიის გავრცელებას საბჭოთა სახელმწიფოს დასუსტების მიზნით.

დანიშნულმა სახელმწიფო დამცველმა ბ. ხომერიკმა გაითვალისწინა ეს და თავის დაცვით სიტყვაში გაილაშქრა იმის წინააღმდეგ, რომ ვლ. ჟვანია 69-ე მუხლით დაესაჯათ. მან მოითხოვა ვლ. ჟვანიას დასჯა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-100 მუხლით, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 8 წლით.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 69-ე მუხლს შეესაბამება რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 68-ე მუხლი, რომელსაც რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები ასე განმარტავს: 68-ე მუხლთან, ანუ დივერსიასთან, საქმე მაშინ გვაქვს, როცა ბრალდებული განზრახ აფეთქებს, ცეცხლს უშენს და ზიანს აყენებს სახელმწიფო ქონებას ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური დასუსტების მიზნით.

მაგრამ ვლ. ჟვანიას ასეთი განზრახვა არ ჰქონია, არც მის მიერ მოწყობილი აფეთქებები ისახავდა ამ მიზანს და არც ზარალი მიუყენებია სახელმწიფოსათვის. სასამართლომ იცის, რომ ვლ. ჟვანიას მოქმედება 69-ე მუხლის (დივერსიის) ნიშნებს არ შეიცავს და სასჯელი მაინც ამ მუხლით გამოუტანა, რათა დაეშინებინათ ქართველი ხალხი, რომელიც არ ეთანხმება საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობის და მისი მარიონეტული მთავრობის ხაზს. სოხუმში, თავისი გაუფრთხილებლობის გამო, აფეთქებისაგან მოკვდა ერთი კაცი, მაგრამ არც შენობა და არც სამრეწველო ობიექტი არ დაზიანებულა.

გთხოვთ, ჩაერიოთ ამ საქმეში და ყველა შესაძლებელი საშუალებით იხსნათ თავისი ქვეყნის თავისუფლების და

დამოუკიდებლობისათვის გაბედული მებრძოლის სიცოცხლე. ცხადია, დრო არ ითმენს და საჭიროა საჩქარო ზომები".

საწუხაროდ, ვერც ამ ღონისძიებამ გაჭრა და ჟვანიების ოჯახის უკანასკნელი იმედიც ამოწურულ იქნა. ძალაუნებურად გვახსენდება მ. გეფტერის სიტყვები:

„მაგრამ იქ, სადაც უახლესი ინკვიზიცია განაგებს სამართალსა და ანგარიშსწორებას დამოუკიდებლობის მწყურვალე და ეჭვის მთესველ სულზე, იქ აღარაფრის იმედი უნდა გქონდეს, გარდა სასწაულისა..."

სასწაული არ შედგა. სასწაული არც შედგებოდა იმ საზოგადოებაში, რომელშიც წლების მანძილზე სახელმწიფოებრივი მსოფლმხედველობის უმთავრეს საყრდენს ათეიზმი წარმოადგენდა - „არც ღმერთი, არც მეფე და არც გმირი..."

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, ვლ. ჟვანიას არავითარი ურთიერთობა არ ჰქონია საქართველოში იმ პერიოდში მოღვაწე დისიდენტებთან, არ იცნობდა მათ ნააზრევს, არალეგალურ გამოცემებს. ვფიქრობთ, ამ მოსაზრებას უნდა დავეთანხმოთ, ვინაიდან ბიოგრაფიიდან და საზოგადოებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე ვლ. ჟვანიას არ ჰქონდა ან ნაკლებად ჰქონდა კონტაქტი აკადემიურ წრეებთან, ინტელიგენციასთან, თანაც ბოლო პატიმრობის ვადის გასვლიდან პირველ აფეთქებამდე სულ ორად ორი წელი იყო გასული, ისიც ძირითადად გატარებული ჰქონდა სოხუმსა და გაგრაში. გამოძიებას ბოლო მომენტამდე ეჭვი ჰქონდა, რომ ვლ. ჟვანია მარტო არ მოქმედებდა და ვიღაც ახდენდა მასზე ზეგავლენას, მაგრამ სიკვდილის წინაც კი მან ხმამაღლა განაცხადა, რომ თავის აზროვნებასა და მოქმედებაში ის იყო მარტო და დამოუკიდებელი. სამაგიეროდ, ვლ. ჟვანიას მიერ შესრულებული ხელნაწერების ანალიზი იმაზე მიგვანიშნებს, რომ აკრძალულ ლიტერატურას ასე თუ ისე მაინც იყო გაცნობილი, ვინაიდან მის მიერ გამოყენებული სიტყვები და ტერმინები მხოლოდ აკრძალულ ანტისაბჭოთა ლიტერატურაში ან ხელნაწერი წესით შესრულებულ გამოცემებში მოიხსენიება.



მიდის, შენი დროც მიდის,
მოდის შენი დროც მოდის,
იწყება შენი მითი,
მაგრამ ჯერ - ეშაფოტი.

ვახტანგ ღლონტი

• •

ვლადიმერ ჟვანიას ირგვლივ დატრიალებულ ბატალიებს ჩვეული პათოსით გამოეხმაურა მაშინდელი ხელისუფლება გაზეთ „კომუნისტში“ სტატიით „მართლმსაჯულება აღსრულებულია“, რომელსაც ქვესათაურად ჰქონდა - „ერთი განსაკუთრებით საშიში ბოროტმოქმედის შესახებ“.

შეუძლებელია აუღელვებლად წაიკითხო ცალკეული სიტყვები და ფრაზები: „ვინ იყო ის ავი სული...“, „გიჟი, შიზოფრენიით შეპყრობილი“, „მანიაკი“, „მრავალჯერ ნასამართლევი უსაქმური“, „...მოგვეკვეთა როგორც უცხო სხეული“, „საშიში და გამოუსწორებელი ბოროტმოქმედი“, „გადაგვარება, დაცემა“, „იგი უკვე გადაგვარდა“, „ქალაქიდან ქალაქში ხეტიალი და პარაზიტული ცხოვრება“ და სხვა. და, რაც ყველაზე ცინიკურად ჟღერს, სტატია მთავრდება იმით, რომ თურმე ვლ. ჟვანიას მაგალითი ჭკუის სასწავლებელი უნდა ყოფილიყო მათთვის, ვისაც ებარათ ასაფეთქებელი ნივთიერებები...

სტატია იმდენად სპეციფიკური, ცინიზმით სავსე და დროის შესატყვისია, რომ გადავწყვიტეთ მისი სრულად გაცნობა:

„ბევრ თქვენგანს ალბათ კიდეც ემახსოვრება: 1975 წლის 22 ივლისს სოხუმში უბედურება მოხდა, საოლქო კომიტეტის შენობასთან აფეთქების შედეგად დაიღუპა მოქალაქე ს. ლევიტინი და მძიმედ დაშავდა მისი მეუღლე მ. ბულდაკოვა. ახალგაზრდა ცოლ-ქმარი სოხუმში დასასვენებლად იყვნენ ჩამოსულნი, საქორწინო მოგზაურობაში იმყოფებოდნენ.

ამ ტრაგედიის გამო გამოწვეული შეშფოთება და მითქმა-მოთქმა ჯერ კიდევ არ იყო დამცხრალი, რომ რამდენიმე თვის შემდეგ თბილისში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შენობასთან კვლავ დიდი აფეთქება მოხდა, რის შედეგადაც დაზიანდა ახლომახლო შენობები, მესამე დღეს ძლიერი აფეთქების ხმა გაისმა ქუთაისში, ქალაქის ცენტრში, წულუკიძის სახელობის ბაღთან. იღბლად არც თბილისში, არც ქუთაისში აფეთქებას ადამიანის მსხვერპლი არ მოჰყოლია, მხოლოდ დაშავდა რამდენიმე კაცი.

ხალხი დიდად შეაწუხა და შეაშფოთა ამ ამბავმა. ვის შეეძლო გარანტია მოეცა, რომ ხვალ მოულოდნელად ფეხებთან არ აგვიფეთქდებოდა ბომბი და მისი მსხვერპლი არ შევიქმნებოდით!

ვინ იყო ის ავი სული, ასეთ გაუგონარ ბოროტებას რომ სჩადიოდა. რა უნდოდა, რა მიზანს ისახავდა, რას გვერჩოდა?!..

ხალხში ათასნაირი ხმა დადიოდა. ერთნი ამბობდნენ, ამის მოქმედი ვიღაც გიჟი, შიზოფრენიით შეპყრობილი მანიაკი უნდა იყოსო, სხვები ამტკიცებდნენ ეს დივერსიაა და ბოროტმოქმედთა ჯგუფი მოქმედებსო.

ჭორი და მითქმა-მოთქმა იქით იყოს, მაგრამ, ბოლოსდაბოლოს, ხომ უნდა დადგენილიყო სიმართლე! ბოროტმოქმედი აუცილებლად უნდა ეპოვნათ და რაც შეიძლება მალე, რომ მას ახალი დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობა არ მისცემოდა.

მალე მიაგნეს კიდეც იმის კვალს. იგი აღმოჩნდა ვლადიმერ გრიგოლის ძე ჟვანია, 40 წელს მიღწეული კაცი, მრავალჯერ ნასამართლევი, უსაქმური.

<u>საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ განიხილა ვ. ჟვანიას ბრალდების საქმე და მიუსაჯა მას სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა.</u>

<u>განაჩენი მოყვანილია სისრულეში.</u>

ძნელია ამ სიტყვების წარმოთქმა! ძნელია შეეგუო იმ აზრს, რომ ახალგაზრდა კაცი, რომელიც ჩვენს გვერდით აღიზარდა, საბჭოთა სკოლა დაამთავრა, ისე დაეცა და გადაგვარდა, საზოგადოებისათვის იმდენად საშიშ ელემენტად იქცა, რომ მისი დროებითი იზოლირება საკმარისი არ აღმოჩნდა და იძულებული ვიყავით სავსებით მოგვეშორებინა, მოგვეკვეთა როგორც უცხო სხეული, ძნელია, მაგრამ რას იზამ, რომ სხვა გამოსავალი არ

არის, როცა საქმე საშიშ და გამოუსწორებელ ბოროტმოქმედს ეხება, როცა ნათლად ხედავ, რომ მან დაიმსახურა ეს სასჯელი.

ცხადია, ის ერთბაშად არ გამხდარა ასეთი. მისი გადაგვარება და დაცემა მაშინ დაიწყო, როცა სწავლის გაგრძელებაზე უარი თქვა და არც პატიოსან შრომას მოჰკიდა ხელი. იოლი ცხოვრების გზას ეძებდა, ამან კი მალე დანაშაულამდე მიიყვანა. ოცი წლისა იყო, 1955 წელს ანტისაზოგადოებრივი მოქმედებისათვის რომ გაასამართლეს და თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, მერე გაითვალისწინეს მისი ახალგაზრდობა, გამოიყენეს საბჭოთა კანონის ჰუმანურობა და ვადაზე ადრე გაათავისუფლეს პატიმრობიდან.

მრუდე გზით სიარული მაინც არ მოიშალა და 1963 წელს კვლავ საბრალდებულო სკამზე აღმოჩნდა, ბოროტი ხულიგნობისათვის და იმისათვის, რომ უდანაშაულო ადამიანს მძიმე ჭრილობა მიაყენა, სოხუმის სახალხო სასამართლომ თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა 6 წლით.

ჭკუა მაინც ვერ ისწავლა, შრომა-გასწორების კოლონიაშიც უწესოდ იქცეოდა და ორჯერ გაიქცა კიდეც კოლონიიდან, რისთვისაც სასჯელი მოუმატეს და საბოლოო ანგარიშით 10 წელზე მეტი გაატარა პატიმრობაში.

სასჯელის მოხდის შემდეგ ახლობლები და ნათესავები ყოველმხრივ უწყობდნენ ხელს, რომ წესიერ ცხოვრებას დაბრუნებოდა, მუშაობა დაეწყო, ოჯახს მოჰკიდებოდა. მაგრამ არა. ჩანს, იგი უკვე გადაგვარდა, სხვების რჩევას ყურს არ უგდებდა, საზოგადოებრივი აზრი მისთვის უცხო იყო. მას საკუთარი შეხედულებები ჰქონდა ცხოვრებაზე. პატიოსან შრომას ქალაქიდან ქალაქში ხეტიალი და პარაზიტული ცხოვრება არჩია.

ამით, თავის ჭკუით, საზოგადოებას პროტესტს უცხადებდა. გაავებული და გაბოროტებული იყო, თითქოს თვითონ კი არა, სხვები ყოფილიყვნენ დამნაშავე, რომ მას ცხოვრებაში ხელი მოეცარა.

ასეთ შეხედულებებს, ასეთ პოზიციას მეტი რა უნდა მოჰყოლოდა! და გასაკვირი და მოულოდნელი არც უნდა იყოს, რომ ასეთი კაცის ფანტაზიაში დაიბადა გაუგონარი ბოროტი იდეა: აფეთქების გზით, ადამიანთა სიცოცხლის მსხვერპლის ფასად შანტაჟი მოეწყო და პანიკა შეეტანა საზოგადოებაში.

უდავოა, ამის გაკეთებას მას საზოგადოებაზე შურისძიების ბოროტი ქვენაგრძნობა შთააგონებდა, მაგრამ სხვა ბოროტი ზრახვაც იმალებოდა მის ამ მოქმედებაში. ვლ. ჟვანიას სურდა ამით ნიადაგი

შეემზადებინა დიდი მასშტაბის მძარცველობისათვის. მალე იმის შემდეგ, რაც სოხუმში ის ტრაგიკული აფეთქება მოახდინა, მან ბარათები დაუგზავნა რამდენიმე მოქალაქეს: ო. მოგელაძეს, შ. ნადარეიშვილს, დ. შანიძეს, ე. ლომაძეს, ა. ნაკაიძეს, რომლებსაც ფულიან ხალხად თვლიდა, საიდუმლო პაემანს უნიშნავდა და მუქარით აიძულებდა დანიშნულ ადგილას ფული მიეტანათ, მუქარისათვის მეტი დამაჯერებლობის მისანიჭებლად მრავალმნიშვნელოვნად დასძენდა: ხომ გაიგეთ სოხუმში მომხდარი აფეთქების ამბავი, ეს ჩვენი ნამოქმედარია, დასმენა და ღალატი არ გაბედოთ, თორემ ოჯახიანად აგაფეთქებთო, ერთი ჩავვარდებით, მეორე იძიებს შურს. სინამდვილეში კი ის მარტო იყო და აღმაშფოთებელი სწორედ ის არის, რომ ის მრავალთა სახელით, ორგანიზებული ჯგუფის სახელით მოქმედებდა და წინასწარი გამოძიების დროს და სამსჯავრო სხდომაზე თავსაც კი იწონებდა თავისი ამ გამომგონებლობითა და მოხერხებით.

ბოლოს და ბოლოს ის იძულებული იყო ელიარებინა ყველა თავისი დანაშაული, აღიარა რომ უკანონოდ ინახავდა ასაფეთქებელ ნივთიერებებს, აწარმოებდა აფეთქებებს, ეწეოდა დივერსიას, შანტაჟსა და გამომძალველობას, ანტისაბჭოთა პროპაგანდას, თანაც ცდილობდა თავი ისე მოეჩვენებინა, ამ ბოროტმოქმედებას რომ სჩადიოდა, თითქოს პირადი კი არა, საერთო ინტერესები ამოძრავებდა და თავს გმირადაც კი წარმოგვისახავდა.

არა, ასეთების გამოსწორება შეუძლებელია, მართლმსაჯულება აღსრულდა, ჩვენს საზოგადოებაში ასეთი საშიში ელემენტებისათვის ადგილი არ არსებობს!

მკითხველს ალბათ, ერთი კითხვაც დაებადა: სად შოულობდა ელ. ჟვანია ასაფეთქებელ ნივთიერებას?

როგორც საქმის მასალებით დამტკიცდა, ბოროტმოქმედმა იგი უკანონოდ შეიძინა გაგრის სატყეო მეურნეობის ბრიგადირის ა. ფოცხვერაშვილისაგან, რომელიც ამ უკანონო მოქმედებისათვის ელ. ჟვანიას ბოროტმოქმედებათა ხელისშემწყობი და უნებური თანამონაწილე გახდა. ამ დანაშაულისათვის მას 4 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

ეს მაგალითი ჭკუის სასწავლებელი უნდა იყოს ყველასათვის, ვისაც ისეთი საშიში და სახიფათო მასალები აბარია, როგორიც ასაფეთქებელი ნივთიერებაა. მისი ყოველი გრამი ხომ შეიძლება ბოროტმოქმედებისა და უბედურების საშუალებად, მის წყაროდ იქცეს“.

Грузинская ССР
Министерство Охраны общественного порядка
Гражданская оборона при Совете Министров
Грузинской ССР

Грузинская ССР
МИНИСТЕРСТВО
ВНУТРЕННИХ ДЕЛ
ИК МВД ГССР

Тбилиси, ул. Леси Украинки № 3, тел. справочной 99-1-40-09

№ 7/6/2-4430сс 15. августа 1977 г.

Сов.секретно
экз.№ 1

ЗАМ. ПРЕДСЕДАТЕЛЯ ВЕРХОВНОГО СУДА ГССР
тов. ЛОРИЯ Д.

г.Тбилиси

На Ваш № 2-20 от I/VIII-77г.

Сообщаем, что приговор Верховного суда ГССР на ИВАНИЯ ВЛАДИМИРА ГРИГОРЬЕВИЧА, 1935г.рожд., урож. г.Кутаиси осужденного по ст. 69,71ч.I,154 и 298 УК ГССР к ВМН- приведен в исполнение 3 августа 1977г.

И.О. НАЧАЛЬНИКА ИНФОРМАЦИОННОГО ЦЕНТРА
МВД ГССР подполковник

Г.КУДРЯШОВ

Верховный Суд Груз. ССР
СПЕЦ-ЧАСТЬ
Вход. №
" 196 г.

№ 1508
12. 06 1978 г.

კომენტარი მართლაც ზედმეტია...

ასეთი იყო მაშინდელი ოფიციოზის დამოკიდებულება აღნიშნული პრობლემის მიმართ. სინამდვილეში, როგორი იყო საქმის ნამდვილი არსი, საზოგადოების რეალური განწყობა? ამის საილუსტრაციოდ მოგვყავს მცირე აბზაცი ვლ. ჟვანიას საქმესთან დაკავშირებული უშიშროების ორგანოების თადარიგის ერთ-ერთ ოფიცერთან საუბრიდან:

„ვლადიმერ ჟვანია ყველასათვის მოულოდნელად განაჩენს იმდენად ვაჟკაცურად შეხვდა, რომ დარბაზში მსხდომნი მისმა ამ ქცევამ სერიოზულად ჩააფიქრა, ხოლო საზოგადოება მთლიანად ამ პროცესს შიშით და გაურკვევლობით შეხვდა."

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ, 1977 წლის 15 აგვისტოს, გრიფით „სრულიად საიდუმლო", წერილობითი შეტყობინება გაუგზავნა საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს, რომ ვლ. ჟვანიას მიმართ გამოტანილი განაჩანი - დახვრეტა სისრულეში იქნა მოყვანილი 1977 წლის 3 აგვისტოს. 1977 წლის 31 აგვისტოს კი ვლ. ჟვანია ქ. რუსთავის საქალაქო მმაჩის განყოფილების მიერ გატარებულ იქნა გარდაცვალების რეგისტრაციაში როგორც გარდაცვლილი.

მკითხველისათვის უდაოდ საინტერესო იქნება ვლადიმერ ჟვანიას საქმის კვლევა-ძიებასთან უშუალოდ დაკავშირებულ საქართველოს სსრ უშიშროების კომიტეტის ზოგიერთ ყოფილ თანამშრომელთა, ხელმძღვანელ პირთა მოსაზრებები.

გივი ჯორბენაძე: „ვლადიმერ ჟვანიას მიერ მოწყობილი აფეთქებების ძიების ოპერატიულ მხარეს მე ვხელმძღვანელობდი. საქმე ძალიან გაიწელა. ამის უმთავრესი მიზეზი ის იყო, რომ ვლ. ჟვანია მოქმედებდა მაღალ პროფესიულ დონეზე და მარტო. „ცენტრი" ძალიან იყო დაინტერესებული საქმის დროულად გახსნაში და ამიტომ ეს საკითხი კონტროლზე ჰყავდათ აყვანილი. იყო სხვადასხვა ვერსიები, მოსაზრებები. იყო ასეთი ვარაუდიც, რომ ის მარტო არ მოქმედებდა... ბათუმში გამოძალვის ფაქტთან დაკავშირებით იქნა აყვანილი. ისე, თვითონ ძალიან დაჩაგრული და გაწვალებული ბიჭი იყო. მე პირადად მასთან შეხვედრები არ მქონია. ერთჯ ერ თუ ორჯერ შევხვდი და უბრალოდ გამოველაპარაკე.

<u>მარცხნიდან პირველი:</u> გივი ჯორბენაძე, საქართველოს სახელმწიფო უშიშროების ორგანოების გადამდგარი გენერალ-მაიორი, 70-80-იან წლებში საქართველოს სსრ სუკ-ის თავმჯდომარის მოადგილე. <u>მარჯვნიდან პირველი:</u> ვარლამ ჭილაშვილი, საქართველოს სახელმწიფო უშიშროების ორგანოების გადამდგარი პოლკოვნიკი, 70-80-იან წლებში საქართველოს სსრ სუკ-ის საგამოძიებო განყოფილების უფროსი

ასეთი დივერსანტი მსოფლიო ისტორიაში არ არსებობს. ძალიან უცნაური დივერსანტი იყო. აი რაზე გადაჰქონდა ყურადღება: „ობკომის“ შენობა, საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შენობა... სულ ცდილობდა მსხვერპლი არ მოჰყოლოდა მის აფეთქებებს. ქუთაისის ბაღში ასაფეთქებელი მოწყობილობა რომ ჩადო, იმ ადგილის სიახლოვეს ქალი დაასეირნებდა ბავშვს. ამ დროს მოწყობილება უნდა აფეთქებულიყო. ადგა, სტაცა ხელი ქალსაც და ბავშვსაც და მოაცილა სასწრაფოდ იქაურობას. შემდგომში ამ ქალმა აღწერა მისი პორტრეტი, რის საფუძველზეც გავაკეთეთ ფოტო-რობოტი. თბილისშიც, მთავრობის სახლის წინ აფეთქების შემდეგ ხალხში მზვერავები გავუშვით. ფსიქოლოგიური მომენტია. დამნაშავემ დანაშაულის ადგილზე მისვლა იცის. როდესაც ჟვანია მილიციელს შეეკითხა ვინმე ხომ არ დაიღუპაო, მან უკვე იცოდა, რომ მსხვერპლი არ იყო. ის ამოიცნეს სოხუმშიც და ბათუმშიც. ისე თავისებური იყო. ექპერტიზამ კი დაადგინა, რომ შერაცხადი იყო, მაგრამ მოქმედებები... არანორმალური ჰქონდა. პრინციპში მისი მიზანი არარეალური, ფანტასტიური იყო, ამიტომაც იყო მისი მოქმედება არანორმალური. წარმოიდგინეთ იმ პერიოდში როგორი სიტუაცია იყო. მაგ. სსრკ კონსტიტუციის მე-6 მუხლიდან გამომდინარე, გაქცეულიყავი საზღვარგარეთ და იქიდან მოგეთხოვა საქართველოს დამოუკიდებლობა, ხომ სისულელე იქნებოდა. ამიტომ ასეთ ხალხსაც სულელებს ეძახდნენ. მაშინ ხომ სხვა სისტემა იყო, სხვა ისტორიული პერიოდი იყო. ამხელა ძლიერი ქვეყნის საბჭოთა კავშირის დაშლას მაშინ ვინ იფიქრებდა.“

<u>*იური ჭანტურია*</u> - უშიშროების ორგანოების თადარიგის ვიცე-პოლკოვნიკი მონაწილეობას ღებულობდა ვლ. ჟვანიას მიმართ საგამომძიებო ექსპერიმენტების ჩატარებაში და საქმესთან დაკავშირებული ზოგიერთი მოწმის დაკითხვაში:

„ვლადიმერ ჟვანია დანაშაულის ჩადენის მომენტშიც და საერთოდაც საკუთარ ქმედებებს აბსოლუტურად მთელი შეგნებით აცნობიერებდა. მას უდიდესი ზიზღი

არსებული წესწყობილების მიმართ ჩამოუყალიბდა ბავშვობიდან. იმთავითვე მისი უმთავრესი მიზანი იყო გაქცეულიყო საბჭოთა კავშირიდან და ეცხოვრა საზღვარგარეთ. ის ფიქრობდა, რომ საკუთარი ნიჭის და უნარის გამოვლენა შესაძლებელი იყო მხოლოდ დასავლური დემოკრატიის პირობებში, რაც პრაქტიკულად შეუძლებელი იყო საბჭოთა საქართველოს სინამდვილეში. ვლადიმერ ჟვანია საკუთარ თავში ჩაკეტილი პიროვნება იყო. არ ეძებდა თანამოაზრეებს და არავისაგან ითხოვდა თანადგომას. ის როგორც პოლიტიკური მოღვაწე (დისიდენტი) უცნობი იყო საზოგადოებისათვის. მისი მსოფლმხედველობის ასეთნაირად ჩამოყალიბება, სიძულვილი საბჭოთა ხელისუფლების მიმართ, ვფიქრობ, ბევრად განაპირობა 30-იან წლებში მამის რეპრესიამ. აფეთქებები იყო ის ერთადერთი გზა, რითაც ვლ. ჟვანიამ გამოხატა საკუთარი განწყობა არსებული პოლიტიკური და საზოგადოებრივი სისტემის მიმართ. დაკავებამდე და დაკავების შემდეგაც იგი ყოველთვის ხაზს უსვამდა ქვეყანაში არსებულ უკიდურესად მანკიერ ვითარებას, რომელიც თვალთმაქცობასა და ყოველთვის ხელოვნურობაში გამოიხატებოდა. ვლ. ჟვანია დაკავების მომენტიდან სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე დარწმუნებული იყო საკუთარი აზრის სისწორეში და სურვილში წასულიყო საზღვარგარეთ. მისი, როგორც თვითნასწავლის აზროვნებისა და განათლების დონეს ადასტურებს ბრწყინვალედ, იუველირულ დონეზე გათვლილი და დამზადებული მოწყობილობა და აბიტურიენტთა დონე, რომელთაც ის პერიოდულად ამზადებდა. მას დაკითხვებისას თავი ღირსეულად ეჭირა. არასოდეს გამოუმჟღავნებია აგრესია, მოქმედებდა შეგნებულად და ძალდაუტანებლად."

<u>*ირაკლი ცინცაძე*</u>, თადარიგის პოლკოვნიკი, საქართველოს დამსახურებული იურისტი:

„ვლ. ჟვანიას „საქმე" და თვით ვლ. ჟვანია, როგორც პიროვნება, მართლაც საინტერესო იყო.

ვლ. ჟვანიას მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმესთან შეხება მქონდა მხოლოდ ერთხელ, როდესაც ვმონაწილეობდი თბილისში მთავრობის სახლის წინ

მომხდარი აფეთქების ადგილის დათვალიერებაში.

აღსანიშნავია, რომ ვლ. ჟვანიას მიმართ განსაკუთრებულად თბილი დამოკიდებულება ჩამოუყალიბდა სუკ-ის საგამოძიებო განყოფილების უფროსის მოადგილეს ბატონ საშა მირიანაშვილს და საგამოძიებო იზოლატორის უფროსს ბატონ ტარიელ დილიბაზაშვილს, რის თაობაზეც ისინი, უკვე წლების გავლის შემდეგ, გულახდილად საუბრობდნენ კოლეგებთან.

წინასწარი გამოძიების პროცესში ბ-ნ საშა მირიანაშვილთან ერთ-ერთი საუბრის დროს გამოვთქვი აზრი იმის შესახებ, რომ ვლ. ჟვანიას მიერ ჩადენილი დანაშაული არ მოიცავდა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 69-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობას. დისპოზიცია ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად:

„დანგრევა ან დაზიანება აფეთქებით, ცეცხლის წაკიდებით ან სხვა გზით საწარმოთა, ნაგებობათა, გზათა და მიმოსვლის საშუალებათა, კავშირგაბმულობის საშუალებათა ან სხვა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების, მასობრივი მოწამვლა ან ეპიდემიებისა და ეპიზოოტიების გავრცელება საბჭოთა სახელმწიფოს შესუსტების მიზნით...“

ამ დისპოზიციიდან ნათლად ჩანს, რომ აფეთქების გზით შენობებისა და სხვა ობიექტების დაზიანება წარმოადგენს დანაშაულის იმ ობიექტურ მხარეს, რისკენაც ისწრაფვის დანაშაულის ჩამდენი პირი (როგორც იქვე ნათქვამი საბჭოთა სახელმწიფოს შესუსტების მიზნით).

აწყობდა რა აფეთქებს, ვლ. ჟვანიას მიზანი არ ყოფილა საწარმოთა, ნაგებობათა და სხვა მსგავსი ობიექტების დანგრევა ან დაზიანება - მას ამ გზით სურდა საზოგადოებაში ჩაენერგა აზრი იმის შესახებ, რომ მოქმედებდა ოპოზიციური, არსებული წყობილებისადმი დაპირისპირებული, ორგანიზებული ძალა.

ს. მირიანაშვილი ჩემს ამ მოსაზრებაზე შეყოყმანდა, დაფიქრდა და მიპასუხა, რომ წინასწარი გამოძიების დამთავრებისას, მისი აზრით, ვლ. ჟვანიას დანაშაულის სწორი კვალიფიკაციისათვის აუცილებელი იქნებოდა წამყვან იურისტებთან კონსულტაციები.

ამ თემაზე მეტი ჩვენ აღარ გვისაუბრია.

ვლ. ჟვანიას ბედი გარკვეულწილად გადაწყვიტა მოსკოვის

მეტროპოლიტენში და კიდევ სხვა ორ ადგილას მომხდარმა აფეთქებებმა, რომელთა ჩამდენი პირებიც იმ დროისათვის ჯერ კიდევ დაუდგენელნი იყვნენ.

ამდენად, საბჭოთა ქვეყნისათვის განსაკუთრებულ აუცილებლობას წარმოადგენდა პრევენციული ღონისძიების გატარება. ვლ. ჟვანიაც საზოგადოების თვალში სამაგალითოდ დაისაჯა.

ვლ. ჟვანიას საქმესთან დაკავშირებით ნიშანდობლივია ერთი ეპიზოდიც: ზვიად გამსახურდიას დაპატიმრების შემდგომ, მისი ბინის ჩხრეკისას, აღმოჩენილ იქნა დაახლოებით ორი მეტრი სიგრძის ნაჭერზე შესრულებული ტრანსპარანტი წარწერით: „თავისუფლება ვლადიმერ ჟვანიას!" საკვირაოდ, რომ იგი განკუთვნილი იყო საპროტესტო აქციისათვის, რომლის განხორციელება, გასაგები მიზეზის გამო, ზვიად გამსახურდიამ და მისმა თანამზრახველებმა ვერ მოახერხეს.

ბატონი საშა მირიანაშვილისათვის ასევე ცნობილი გახდა, რომ ვლ. ჟვანიას უკანასკნელი სიტყვები ყოფილა: *„ჩემს სამშობლოს, ჩემს საქართველოს ვეწირები..."*

ვლადიმერ ჟვანიას პიროვნების დახასიათებისაგან და იმ პერიოდის მოვლენების შეფასებებისაგან თავშეკავებულია ბატონი *ვარლამ ჭილაშვილი:*

„საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის საგამოძიებო განყოფილების წარმოებაში იყო გაუხსნელი სისხლის სამართლის საქმე, აღძრული რესპუბლიკის რამოდენიმე ქალაქში აფეთქების მოხდენის ფაქტზე.

პირველი აფეთქება მოწყობილი იყო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პარტიის საოლქო კომიტეტის შენობის წინამდებარე სკვერში, მეორე აფეთქება ქ. ქუთაისის პარტიის ქალაქკომის შენობის მიმდებარე პარკში, ხოლო მესამე აფეთქება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სასახლის წინა მხარეს. პირველი აფეთქების შედეგად დაიღუპა ერთი მამაკაცი და დაიჭრა მისი მეუღლე. მომდევნო აფეთქებებს მსხვერპლი არ მოჰყოლია.

მოგვიანებით ქ. ბათუმში, ფულის გამოძალვის ფაქტზე დაკავებულ იქნა მოქალაქე ვლადიმერ ჟვანია, მუდმივი საცხოვრებელი ადგილის არმქონე, უმუშევარი.

მისი პირადი ნივთების შემოწმების შედეგად ქ. ბათუმის რკინიგზის სადგურის შემნახველ საკანში, მის კუთვნილ ჩემოდანში აღმოჩენილი იქნა ფეთქებადი ნივთიერება, დეტონატორები და თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობის დასამონტაჟებლად საჭირო სხვა კომპონენტები. იგი დაპატიმრებულ იქნა და წარედგინა ბრალდება.

ვინ იყო ვლადიმერ ჟვანია? იგი იყო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი თანამშრომლის, 1937 წელს რეპრესირებული პირის, შვილი. ვლადიმერის მამას ბრალი ედებოდა ანტისაბჭოთა მოღვაწეობაში და სამეურნეო დანაშაულის ჩადენაში.

მამის რეპრესირების შემდეგ არასრულწლოვან ვლადიმერ ჟვანიას ჰქონდა რამოდენიმე მცდელობა საზღვარგარეთ არალეგალური წასვლისა, რისთვისაც მან არაერთხელ მოიხადა სასჯელი. თავისუფლებაში ყოფნის პერიოდში იგი არ ეწეოდა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას და არ გააჩნდა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი.

წინასწარი გამოძიების პროცესში ვლ. ჟვანიამ აღიარა მის მიერ ჩადენილი დანაშაული და აღნიშნა, რომ იყო უარყოფითად განწყობილი არსებული ხელისუფლების მიმართ, ადგენდა და ავრცელებდა ანტისაბჭოთა მოწოდებებს, მაგრამ რადგან ამან ვერ გამოიწვია მისთვის სასურველი შედეგი, გადაწყვიტა ჩაეტარებია აფეთქებები საქართველოს მთავარ ადმინისტრაციულ ცენტრებში, როგორიც იყო ქალაქები სოხუმი, ქუთაისი, თბილისი, ხოლო დაპატიმრების წინ ამზადებდა აფეთქებას ქ. ბათუმში პარტიის საოლქო კომიტეტის შენობაში. ასაფეთქებელ მოწყობილებებს ამონტაჟებდა თვითონ, საათის მექანიზმის გამოყენებით. მოქმედებდა ერთპიროვნულად, თუმცა მოწოდებებში წერდა, რომ მოქმედებდა ორგანიზებულ ჯგუფთან ერთად.

წინასწარი გამოძიების დამთავრების შემდეგ საქმე საბრალდებო დასკვნით გადაეგზავნა საქართველო უზენაეს სასამართლოს, რომლის განაჩენითაც ვლ. ჟვანიას მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა."

ვლ. ჟვანიას პიროვნებასთან დაკავშირებით ჩვენს სათქმელს, ვფიქრობთ, ფსიქოლოგი, ქალბატონი ნანა ჩაჩუა უკეთ იტყვის:

„ეპოქები თავიანთი ფასეულობებით მოდიან და სწორედ ამ

ფასეულობების მიღება, ახალთან ურთიერთობაც შენი საკუთარი პრობლემაა. სწორედ ახლის შიში გვაძახებინებს ხშირად ვიღაცეებზე „გიჟია, გიჟიას“. ეს კი, სამწუხაროდ, მართლაც არაა ახალი. ახალთან დამოკიდებულების არსობრივი მოცემულობა ისაა, რომ მან მარადიული როგორც „ძველი“ ისე შეინახოს თავის თავში. ახლისა და ძველის მარადიული შეუთავსებლობა, ურთიერთმოურიგებლობა, მათ შორის ბალანსის დარღვევაა სწორედ პროვინციალიზმი. და სწორედ ამ პროვინციალიზმიდანაა ის, რომ კინოს ენით ნათქვამი „ოიდიპოსი“ ინცესტად მივიჩნიეთ. არადა, მართლაც ეთნოსის სიცოცხლისუნარიანობას არც მისი ტერიტორიული სიდიდე განსაზღვრავს, არც ეკონომიკური სიძლიერე და არც მტერ-მოყვარეთა სიმრავლე თუ სიმცირე. იგი იმდენად და იმდენ ხანს იქნება, რამდენადაც და რამდენ ხანსაც შეძლებს საკუთარ თავში მაღალი ფასეულობების კელავწარმოების უწყვეტობის შენარჩუნებას“.

სამწუხაროდ, ვლ. ჟვანიამ ვერ გაითვალისწინა, რომ ჭეშმარიტებასთან შეჯერებული დროულობის ადეკვატური უნდა ყოფილიყო მისი იმჟამინდელი ქცევა. დიახ, მან არ იცოდა, რომ „ისტორიის, როგორც დინამიკური პროცესის შიგთავსში არის მარადიული, უცვლელი - რეალობის გამოცნობის უნარი. მისი დაკარგვა სიკვდილია.“

აქვე გვინდა გავიხსენოთ ხელოვნებათმცოდნე ნატო ლონდარიძის სიტყვები: „ეპოქები ერთმანეთისგან იმითაც განსხვავდება, რამდენად სწორად არქმევენ მოვლენებსა და საგნებს სახელებს. იმ დროს ცოტა რამეს ერქვა თავისი სახელი, ამიტომაც არაერთი სამშობლოზე შეყვარებული პიროვნება სწორედ სამშობლოს მოღალატედ შერაცხეს.“

ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო ვლ. ჟვანიას საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის საგამოძიებო იზოლატორში ცხრათვიანი ყოფნის პერიოდის თუნდაც უმცირესი დეტალების წარმოჩენა. ამ მხრივ კარგი სამსახური გაგვიწია უშიშროების ორგანოების გადამდგარმა პოლკოვნიკმა, ორ ათეულ წელზე მეტი ხნის მანძილზე საქართველოს სუკ-ის საგამოძიებო იზოლატორის უფროსმა ბატონმა <u>ტარიელ დილიბაზაშვილმა,</u> რომელიც მოკლე ინტერვიუზე დაგვთანხმდა. ამასთან ერთად გთავაზობთ იმ პერიოდში მისი მოადგილის, ვიცე-პოლკოვნიკ გივი ერგემლიძის მცირე ნაამბობსაც („განთიადი“ - №5, 1991 წ. ე. თავბერიძე).

<u>*ტ. დილიბაზაშვილი*</u> - „საერთოდ, მინდა გითხრათ, რომ უშიშროების ორგანოებში ჩემი ხანგრძლივი მოღვაწეობის

პერიოდში ჩემს ხელში უამრავმა პატიმარმა გაიარა. საქართველოს პირველი მოწვევის პარლამენტში ჩემი ყოფილი პატიმარი 12 დეპუტატი იყო (იცინის). ბევრი მთხოვდა ინტერვიუს, მოგონებებს, მაგრამ ყველას უარს ვეუბნებოდი. ახლა, ეს ის შემთხვევაა, რომ, ჯერ ერთი, ჩემს ახალგაზრდა კოლეგას უარს ვერ ვეუბნები, და, მეორე, მთავარი ის არის, რომ ვლ. ჟვანია სულ სხვა, გამორჩეული კაცი იყო. მე პირადად ძალიან მოხარული ვარ, რომ ხელი მოკიდეთ ვლ. ჟვანიას პიროვნების საზოგადოებისათვის გაცნობას. ეს დიდი საქმეა. მაღალ ღმერთს ვფიცავარ, რომ ეგ კაცი არ იყო დასახვრეტი.

ვიდრე ამ პიროვნებაზე ჩემს მოსაზრებებს გაგიზიარებდეთ, მინდა გითხრათ, რომ, სამწუხაროდ, 70-იან და შემდგომ წლებშიც გავრცელებული იყო აზრი, რომ უშიშროების კომიტეტში (გულისხმობდნენ პირველ რიგში იზოლატორს) ადგილი ჰქონდა პატიმრებზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას, შანტაჟს და სხვა. მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ასეთ ფაქტებს ადგილი არ ჰქონია.

რეჟიმი, მაშინ არსებული კანონმდებლობის ფარგლებში, მკაცრი იყო. ვცდილობდით პიროვნების უფლებები მაქსიმალურად ყოფილიყო დაცული. დროზე ჰქონოდათ საჭმელი, თანაც ხარისხიანი, მოგვარებული ყოფილიყო სხვა საყოფაცხოვრებო პირობები.

საკნები იყო მცირე ზომის, ორ, სამ და ოთხ კაციანი, სპეციალური რკინის საწოლებით. საკანში მუდმივად იყო შაში, ჭადრაკი და დომინო. გვქონდა საკმაოდ მრავალრიცხოვანი ბიბლიოთეკა, რომელშიც ინახებოდა 4000-მდე წიგნი რუსულ და ქართულ ენებზე. სამწუხაროდ, თბილისში 1991-92 დეკემბერ-იანვარში მომხდარი ცნობილი მოვლენების შემდეგ ის მთლიანად განადგურდა და გაიძარცვა. პატიმრებს მიეწოდებოდათ ჟურნალ-გაზეთები. ისინი საკნებში, როგორც წესი, მარტო არ იმყოფებოდნენ, კანონი კრძალავდა მარტო ყოფნას.

დღიდან მიყვანისა ჩვენ ვლადიმერ ჟვანიას მიმართ პრეტენზია არ გვქონია. უხმაუროდ ჩაიბარა მისთვის განკუთვნილი რკინის ჯამი, ჭიქა, დასაწოლი საშუალებები.

მთელი ძიების მანძილზე არ გვქონდა შემთხვევა, რომ ჩვენთან ეკამათოს. იყო მშვიდად, წყნარად, ის იყო ჩვეულებრივი, ძალიან კარგი ადამიანი, აუღელველად, ცოტას ლაპარაკობდა, აბსოლუტურად არანაირი პრეტენზია არ ჰქონია. ყველა საკანი, მათ შორის მისიც განთავსებული იყო მესამე სართულზე. დისციპლინა არასოდეს დაურღვევია, „კარცერში" არ ყოფილა, არც „ბუინსტვუიშჩი კამერაში" ყოფილა, მასზე ფსიქოლოგიურ და მით უმეტეს ფიზიკურ ზეწოლას ადგილი არ ჰქონია. საკანში მარტო არასოდეს იმყოფებოდა. მასთან მუდამ ვიღაც იყო. მუდმივად კითხულობდა წიგნებს და ჟურნალ-გაზეთებს („კომუნისტი", „ზარია ვოსტოკა", „პრავდა").

პირადად ხშირად მიწევდა ჟვანიასთან კონტაქტი. ჩადენილ დანაშაულზე მასთან არასოდეს მისაუბრია, ვინაიდან მაშინ ეს სასტიკად აკრძალული იყო. როგორც მახსოვს, ვინც კი მასთან საკანში იმყოფებოდა, ყველასთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა. მასთან მოსაკითხი ხშირად მოჰქონდა მის დას. სხვა მიმსვლელი და მომკითხავი მე არ მახსოვს.

ძალიან განიცდიდა სოხუმში აფეთქების დროს შემთხვევით ადამიანის გარდაცვალების ფაქტს, რის თაობაზეც ჩემთან ხანმოკლე გამოლაპარაკებისას ხშირად აღუნიშნავს. მართლაც საოცარი პიროვნება იყო. ხშირად შემინიშნავს, თვალებიდან ლინზებს მოიხსნიდა და ხანდახან ისე კითხულობდა გაზეთს, შემდეგ წყალში გარეცხავდა, გაასუფთავებდა და ისევ გაიკეთებდა. ხშირად მიფიქრია და ბევრჯერაც უკითხავთ ჩემთვის - შეძლებდა კი იმ პერიოდში ვინმე მისთვის სიცოცხლის შენარჩუნებას, მაგალითად საქართველოს სსრ მაშინდელი ხელმძღვანელი? პირდაპირ შემიძლია გიპასუხოთ, რომ არა - მთელი საკავშირო „კგბ"-ს წარმომადგენლები თითქმის სულ აქ იყვნენ, დიდი იყო დაწოლა, გადარჩენის შანსი თითქმის არ იყო.

ერთი რამ მინდა მთელი სერიოზულობით გითხრათ - მე ბავშვი კარგა ხანია აღარ ვარ და ამ შემთხვევაში არც დაინტერესებული პირი ვარ (ცრემლებს ვერ იკავებს თვალზე)... კაცურად რომ გითხრათ, მე ის ძალიან მეცოდებოდა, მებრალებოდა, ვიცოდი „რა სუნი

ჰქონდა“, როგორი ადამიანი, როგორი პიროვნება იყო. თანაც რა იყო იცით - პატრიოტული გრძნობის კაცი იყო ძალიან, ერის კაცი იყო. საკნიდან მის ყოველ გამოსვლაზე ვიცოდი, რა ელოდა, მეცოდებოდა...

სასამართლოს დამთავრების შემდეგ ვლადიმერ ჟვანია რამდენიმე წუთს შემოიყვანეს ჩვენთან, აუღელვებელი და მშვიდი იყო, როგორც ყოველთვის. ჩვენ ერთმანეთს უჩუმრად, თვალებით გამოვემშვიდობეთ... მე ისიც დავადგინე, რომ როცა იზოლატორში მიიყვანეს, დახვრეტის წინ მისი უკანასკნელი სიტყვები ყოფილა „გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!“

დახვრეტა მაშინ საქართველოში ხდებოდა.

ის ნამდვილად აქ დახვრიტეს.

გ. ერგემლიძე - იმ პერიოდში ტ. დილიბაზაშვილის მოადგილე, ვიცე-პოლკოვნიკი: „ვლადიმერ ჟვანია ბოლოს, უკვე დახვრეტის განაჩენის გამოტანის შემდეგ, დამ ინახულა. რა გინდოდა, რატომ აკეთებდი აფეთქებებსო - ჰკითხა. სიკვდილმისჯილმა უპასუხა - *მე მინდოდა ქართველი ხალხი გამომეფხიზლებინა. მეგონა, ამას შევძლებდი, გამომეცებოდა ქართველი ხალხი და საქართველოს დამოუკიდებლობასაც მოვიპოვებდიო.* მე ამ სიტყვებმა გამაკვირვა და ამიტომ დამამახსოვრდა. მაგრამ მთავარი მეორეა - ბევრ დასახვრეტს გაუვლია ჩემს ხელში - ქურდებიც ყოფილან, ვაჟკაცებიც, არაადამიანური ფიზიკური ძალის პატრონებიც, მაგრამ სიკვდილის წინ...

ერთადერთი, ვინც მართლა გასაკვირი სიმშვიდითა და გმირულად შეხვდა ამ ფაქტს, იყო სიფრიფანა, გამხდარი კაცი ვალიკო ჟვანია“.

ბ-ნი გივის სიტყვები დაადასტურა ქალბატონმა ნინა ჟვანია-სედიხმა - „...თან დაამატა ვალიკომ - რა ვუყოთ, ასე გამოვიდა, შენ ნუ ნერვიულობ, ყველაფერი კარგად იქნებაო.“

მართალია, პირველ მერცხალს ხანდახან სუსხი დაპკრავს და გაზაფხულს ველარ ესწრება, მაგრამ მაინც პირველი მახარობელია და გაზაფხული მაინც მოვა.

დიმიტრი ყიფიანი

• • •

ვლადიმერ ჟვანიას, როგორც საქართველოზე ფანატიკურად შეყვარებული პიროვნების ჩამოყალიბებასა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაში - ებრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის, ერის გამოფხიზლებისათვის, გარკვეული ზეგავლენა უნდა მოეხდინა 70-80-იანი წლების, განსაკუთრებით 70-იანი წლების შუა პერიოდის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ ვითარებას, რომელიც ჩამოყალიბდა როგორც სსრ კავშირში, ისე მთელ მსოფლიოში.

ვლ. ჟვანია ბევრს კითხულობდა, უსმენდა რადიოგადაცემებს უცხოურ ენებზე. ამას აღნიშნავს ერთხმად ყველა, ვისაც კი მასთან კონტაქტი ჰქონდა. ამდენად, სავარაუდოა, ფლობდა მსოფლიო პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკმაო ინფორმაციას. რთულია იმ პერიოდის მოვლენების დეტალური ანალიზი, ცალკეული მიმართულებების კვლევა და დღევანდელი გადასახედიდან განსჯა. მაგრამ იყო მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის სირთულეები: ქ. ფულტონში უინსტონ ჩერჩილის მიერ წარმოთქმული სიტყვა, რამაც საფუძველი ჩაუყარა ევროპასა და მთლიანად მსოფლიოში დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ცივი ომის დასაწყისს. ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დაარსება, რომლის უმთავრესი მიზანი, რ. რეიგანის სიტყვებს თუ მოვიშველიებთ, „მე-20 საუკუნის წითელ ჭირთან" ბრძოლა იყო. ჩრდილო-ატლანტიკური კავშირის და ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების სამხედრო-პოლიტიკური გაერთიანების ჩამოყალიბება, ახლო აღმოსავლეთის მოვლენები - ისრაელ-არაბეთის ომი და პალესტინის კრიზისი, ინდოჩინეთში განვითარებული პროცესები - ვიეტნამის ომი და სხვა, რომ არაფერი ვთქვათ საერთო ეკონომიკურ, ენერგეტიკულ და სოციალურ კრიზისებზე.

ამავე დროს იყო 1953, 1956, 1968 წლების მოვლენებიც...

მიუხედავად ყოველივე ამისა, 70-იანი წლების დასაწყისში და, ალბათ, მთლიანად 70-80-იანი წლების მანძილზე მსოფლიო და სსრ კავშირის საგარეო და საშინაო პოლიტიკაში გარკვეული პოზიტიური პროცესები შეიმჩნეოდა. ერთგვარად დათბა ურთიერთობები დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის, გახშირდა ქვეყნის პირველ პირთა ვიზიტები. განსაკუთრებით ეს პროცესი შესამჩნევი გახდა ამერიკის შეერთებულ შტატებში პრეზიდენტად რიჩარდ ნიქსონის არჩევის შემდეგ, რასაც მოჰყვა კულტურული ურთიერთობების გაღრმავება, წინსვლა ტურიზმის და კოსმოსის ათვისების სფეროში. მაგრამ მაინც განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა საერთო ევროპულმა თათბირმა, ჰელსინკის პროცესმა.

„1975 წლის 1-ლ აგვისტოს ევროპის ქვეყნებმა, აგრეთვე ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და კანადამ ჰელსინკში ხელი მოაწერეს უსაფრთხობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას, რომელმაც საერთაშორისო ცხოვრებაში საფუძველი ჩაუყარა ახალ ერას. ჰელსინკის თათბირის დასკვნითი აქტი ქვეყნებს მოუწოდებს ადამიანის უფლებების დაცვისაკენ, ქადაგებს ჰუმანიტარულ პრინციპებს, რომლებშიც გაცხადებულია თანამედროვე კაცობრიობის იდეალები. უმთავრეს უფლებათა და თავისუფლებათა პატივისცემა, ყველა ქვეყნის სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემა თანამედროვეობის ძირითად მოთხოვნად იქცა, პოვა რა ასახვა ამ ეპოქალურ დოკუმენტში“.*

სწორედ საერთო-ევროპული, ჰელსინკის თათბირის პროცესის შემდგომ, კაცობრიობა სერიოზული და არსებითი ცვლილებების წინაშე დადგა. ამ ცვლილებების წინაშე აღმოჩნდა საბჭოთა კავშირიც. ჰელსინკის პროცესამდე კი იყო დისიდენტური მოძრაობის გააქტიურება სსრ კავშირსა და სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში. ამ ტალღამ საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასაც გადაუარა.

სამწუხაროდ, საბჭოთა კავშირის მიერ ჰელსინკის შეთანხმებაზე ხელმოწერის შემდეგ, ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით, მოვლენები ქვეყანაში საგრძნობლად დაიძაბა, ამუშავდა რეპრესიული სისტემა. ეს სავსებით კანონზომიერი მოვლენა იყო, ვინაიდან სსრ კავშირში ადამიანის უფლებათა დაცვას წინააღმდეგობაში აღმოჩნდა ჰელსინკის დეკლარაციასთან. სამოცდაათიანი წლების მიწურულს

---

* მერაბ კოსტავა - გაზეთი - „საქართველო“ - 27.11.90 წ.

და ოთხმოციანი წლების პირველ ნახევარში ანტიჰელსინკური მოქმედებები სსრ კავშირში და სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში კულმინაციას აღწევს.

ამასთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, საინტერესო და მკითხველისათვის ბევრის მიმანიშნებელი იქნება მოსაზრებები საბჭოთა კავშირის უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის ყოფილი პირველი მოადგილის, არმიის გენერლის ფილიპ ბობკოვისა, ამ უდაოდ ნიჭიერი პროფესიონალის და დერჟავისტისა, რომელმაც ოთხ ათეულ წელზე მეტ ხანს იმსახურა უშიშროების ორგანოებში:

„70-იან და განსაკუთრებით 80-იან წლებში „ფსიქოლოგიური ომის" ცენტრებმა ორიენტაცია აიღეს ე.წ. „სამართალდამცველ მოძრაობაზე". ეს ტენდენცია განსაკუთრებით მკვეთრად გამომჟღავნდა ევროპის განიარაღების და უშიშროების საკითხებთან დაკავშირებული თათბირის შემდეგ, რომელიც ჩატარდა 1976 წელს ჰელსინკში.

თათბირის ჩატარების ინიციატივა ეკუთვნოდათ საბჭოთა კავშირსა და ვარშავის ხელშეკრულების სხვა წევრ - სახელმწიფოებს. თავდაპირველად ამ ინიციატივას ევროპის ყველა ქვეყანა არ გამოხმაურებია. აღნიშნული იდეის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატა დიდმა ბრიტანეთმაც კი. მიუხედავად ამისა, კეთილშობილმა მიზნებმა გავლენა იქონია ევროპელ პოლიტიკოსებზე და თათბირი მაინც შედგა.

უდიდესი მნიშვნელობის მქონე მონაპოვრად იქცა შეთანხმებები ბირთვული და ჩვეულებრივი შეიარაღებების და პირველ რიგში - აშშ და სსრკ სამხედრო პოტენციალის შენარჩუნების თაობაზე, ისევე როგორც შეთანხმება ევროპაში საზღვრების ურღვევობის შესახებ. თუმცაღა თათბირში მონაწილეობის სანაცვლოდ დასავლურმა სახელმწიფოებმა საკუთარი პირობები წამოაყენეს, რაც ე.წ. „მესამე კალათაში" იქნა დაფიქსირებული. კერძოდ, ეს არის შეთანხმების ის ნაწილი, სადაც ლაპარაკია ადამიანის უფლებებზე (სიტყვის, პრესის, გადაადგილებისა და ა.შ. თავისუფლება).

საბჭოთა მხარე არც თუ დიდი ენთუზიაზმით დათანხმდა ამ ნაწილის მიღებაზე. არა იმიტომ, რომ სურდა დაეფარა ამ სფეროში არსებული დარღვევები, არამედ ძირითადად იმ მოტივით, რომ აშკარა იყო ამ ინიციატივის მთავარი მიმართულება - სსრკ ტერიტორიაზე ე.წ. „ფსიქოლოგიური ოპერაციების" რეალიზებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა. აშკარად პროვოკაციულ „მესამე კალათაზე" არამოტივირებული უარი მიღწეულ შეთანხმებებს ჩაშლის საფრთხის წინაშე აყენებდა. გამოსავლის ძებნაში საბჭოთა კავშირის

ხელმძღვანელობა იძულებული გახდა დათმობებზე წასულიყო.

დღესდღეობით შეიძლება ითქვას, რომ ეს გადაწყვეტილება უდიდესი დერჟავის მიერ პოზიციების დათმობის ტოლფასი იყო. დასავლეთს შესაძლებლობა მიეცა საკუთარი პირობები ეკარნახა საბჭოთა კავშირისათვის.

მიაღწიეს რა მოქმედების თავისუფლებას სსრკ ტერიტორიაზე, „ფსიქოლოგიური ოპერაციების" ცენტრებმა არ დაახანეს ესარგებლათ შექმნილი სიტუაციით.

მათი ინიციატივით მოსკოვში, კიევში, თბილისსა და სხვა ქალაქებში შეიქმნა არაოფიციალური ჯგუფები, რომლებიც თვალყურს ადევნებდნენ ჰელსინკის შეთანხმების რეალიზებას.

ისინი მიზნად ისახავდნენ ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების გამოვლენას და არსებული მონაცემების გადაცემას ჰელსინკის მოლაპარაკების წევრ-სახელმწიფოთა საელჩოებისათვის. ამისათვის მათ სპეციალური ბლანკებით ამარაგებდნენ.

ერთი შეხედვით, ისინი კეთილშობილურ საქმეს აკეთებდნენ, რომ არა ფარული განზრახვა - იმ ძალების გაერთიანება, რომლებიც სახელმწიფოებრივი წყობის წინააღმდეგ გამოდიოდნენ. შემთხვევითი არ არის, რომ მათ შორის იყვნენ ის პირები, რომლებიც შემდგომში რღვევითი პროცესების სათავეში აღმოჩნდნენ.

ფაქტობრივად ეს ის სტრუქტურებია, რომლებიც რეჟიმის წინააღმდეგ იდეოლოგიურ ბრძოლას აწარმოებდნენ და საბჭოთა მოქალაქეებს არასამართლებრივი ქმედებებისკენ უბიძგებდნენ.

ახლა ძალზე ძნელია ამაზე წერა. ჩვენს დროში „სამართალდამცველი მოძრაობა" გმირობის შარავანდედით არის მოსილი და დემოკრატიისათვის ბრძოლის სიმბოლოდ აღიქმება.

ყოფილი სამართალდამცველები აშკარად აღიარებენ, რომ აქტიურად იბრძოდნენ არსებული წყობის წინააღმდეგ, მაშინ, როცა საბჭოთა პერიოდში ისინი თავის თავს მხოლოდ და მხოლოდ „დისიდენტებს" უწოდებდნენ".*

ეფიქრობთ, ჩვენი მხრიდან საკმაოდ უხერხულია ბატონ ფ.ლ. ბობკოვის მოსაზრებების კომენტირება, მით უმეტეს კრიტიკა. ისიც სავსებით გასაგებია, რა მტკივნეულად განიცადა მან და მისი თაობის უამრავმა ადამიანმა, მათ შორის საქართველოშიც, სსრ კავშირის დაშლა. ნოსტალგია ერთიან ძმურ ოჯახზე,

---

* Ф.Д. Бобков - "КГБ и власть" - издательство "Ветеран МП" - 1995 г. стр. 65-67

კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაზე, უფასო სწავლა-განათლებაზე და სხვადასხვა შეღავათებზე, ბევრ ჩვენთაგანში ხომ დღემდე მყარადაა გამჯდარი. ამ შემთხვევაში გასაგებია ძველ ჩინოვნიკთა, პარტიული და სახელმწიფო ნომენკლატურის გულისტკივილი. როგორც მ. გეფტერი აღნიშნავს „მათ არ შეუძლიათ გული არ დაწყდეთ რეჟიმზე, რომელიც აძლევდათ შესაძლებლობას ემბრძანებლათ და ეძალადათ სახელმწიფოს კიდევ მეტი განდიდების აუცილებლობის სახელით, უბრალოდ ჩვევისა და წამგლეჯური ჟინიდან გამომდინარე". ერთი კი სიცხადით უნდა ითქვას, რომ თუკი 70-90-იანი წლების საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიას გადავხედავთ, დავინახავთ, რომ საქართველოში სხვაგვარად მოაზროვნენი, ადამიანის უფლებათა დაცვის საკაცობრიო მნიშვნელობის საკითხებთან ერთად თითქმის ყოველთვის აყენებდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის, სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და სსრ კავშირიდან მისი გამოყოფის საკითხს.

ეხება რა 60-იანი წლების მიწურულის სსრ კავშირში ნაციონალურ პრობლემებს, ფ. ბობკოვი მიანიშნებს მხოლოდ რამდენიმე პრობლემაზე, ისეთებზე როგორიცაა: ყარაბაღის ავტონომიის ფონზე სომხეთ-აზერბაიჯანის გამწვავებული ურთიერთობები, ყირიმელი თათრების, ვოლგისპირეთის გერმანელთა და ეგრეთწოდებული თურქი-მესხების საკითხები. ის დამაჯერებელი გულწრფელობით აღნიშნავს, რომ მაშინდელი ხელისუფლება, განსაკუთრებით დიდი სამამულო ომის დასრულების შემდგომი პერიოდიდან მოყოლებული, შეგნებულად თუ შეუგნებლად ცდილობდა დაგროვილი ერთაშორისი პრობლემების იგნორირებას, რამაც ქვეყანა საბოლოოდ ეთნოკონფლიქტებამდე და სამოქალაქო ომებამდე მიიყვანა.

ჩვენ სავსებით ვიზიარებთ იმ მოსაზრებას, რომ საერთო ჯამში ეთნოკონფლიქტები და სსრ კავშირის დაშლა განაპირობეს არა შეძლებულმა დასავლეთის სპეცსამსახურებმა, თუმცა ხელი არც მათ დაუკლიათ, არამედ უამრავმა სხვა მოვლენამ თუ ფაქტორმა, რომელთა შორის აღსანიშნავია ის, რომ სსრკ მმართველ ოლიგარქიას, კომუნისტურ პარტიას და თვით ქვემოთ მოყვანილი თეზისის ავტორს ასე მცდარად ჰქონდათ წარმოდგენილი სახელმწიფოებრიობის თვალსაზრისით მრავალსაუკუნოვანი ისტორიის, ტერიტორიის, ენის, კულტურის და სარწმუნოების მქონე სხვადასხვა ერების და ეთნიკური ჯგუფების სახელმწიფოებრივი ერთობა - სსრ კავშირი:

„თუკი ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრები ესპანელი,

გერმანელი ან ინგლისელი თავის თავს უწოდებს აშშ-ის მოქალაქეს - ამერიკელს, მაშინ რატომ არ შეიძლება სსრ კავშირში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების ადამიანები იწოდებოდნენ საბჭოთა ადამიანებად, სსრ კავშირის მოქალაქეებად?"

ვფიქრობთ, ამით ყველაფერია ნათქვამი. ბატონ ფ.ლ. ბობკოვის მიერ წამოყენებული იდეა სხვა არაფერია, თუ არა „გაახლებული დერჟავულობა".

ნიშანდობლივია ისიც, რომ დასავლეთის ქვეყნები 50-იანი და 60-იანი წლების დასაწყისიდან აღმოჩნდნენ ძალადობრივი საქმიანობის ეპიცენტრში, ძირითადად მემარცხენე ექსტრემისტებისა და ეთნო-კონფესიური ტერორის გამო. 70-იანი წლების ბოლო და 80-იანი წლების დასაწყისი - ხასიათდება ტერორისტული საქმიანობის გააქტიურებით და თვისობრივად უფრო მაღალ საფეხურზე აყვანით. სწორედ ამ პერიოდში შეიქმნა ისეთი მძლავრი და გავლენიანი ტერორისტული ორგანიზაციები, როგორებიცაა:

სომხეთის განთავისუფლების საიდუმლო არმია (ASALA); „ირლანდიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი არმია" (INLA); „სომხეთის გენოციდის წინააღმდეგ სამართლიანი მებრძოლები" (JCAG); „17 ნოემბრის სახელობის რევოლუციის ორგანიზაცია" (RO 17 NOV - საბერძნეთი); 80-იან წლებში მათ დაემატათ და ასევე საკმაოდ ანგარიშგასაწევი ძალა იყო „25 აპრილის სახელობის სახალხო ლაშქარი" (FP-25 - პორტუგალია); „ბასკ მუშათა რევოლუციური არმიის ორგანიზაცია (JRAVLTZA- ესპანეთი); „პირველი ოქტომბრის სახელობის ანტიფაშისტური ჯგუფი" (GRAPO - ესპანეთი); „მებრძოლ კომუნისტთა ორგანიზაცია" (COC - ბელგია) და სხვ. რომ აღარაფერი ვთქვათ სისასტიკითა და დაუნდობლობით გამორჩეულ ისეთ ტერორისტულ ორგანიზაციებზე, როგორებიცაა ბასკთა ორგანიზაცია - „მამათა მიწა და თავისუფლება" - ETA და პერუში მოქმედი - „სენდერო ლუმინოსო" (რა საოცარიც არ უნდა იყოს, ამ უკანასკნელის დამფუძნებელი იყო ამჟამად პატიმრობაში მყოფი ცნობილი პროფესორი აბმაელ გუსმანი) და სხვ.

70-80-იან წლებში საბჭოთა კავშირში მოხდა რამდენიმე სერიოზული ძალადობის ფაქტი, როგორც იმ პერიოდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების გამოძახილი. ამ ფაქტების გამო მაშინდელი საზოგადოება გარკვეულწილად პანიკამ მოიცვა.

1977 წლის იანვარში მოსკოვში სომეხთა ნაციონალისტური ორგანიზაციის „პაროსის" წევრებმა, რომელსაც ხელმძღვანელობდა ს. ზატიკიანი, განახორციელეს ექსტრემისტული აქციები, ასაფეთქებელი



მოწყობილობების გამოყენებით მეტროებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილებში და რომელსაც მოჰყვა ნგრევა, ადამიანთა დასახიჩრება და სიკვდილი. 1978 წელს ლატვიელმა ნაციონალისტებმა ზილობერისმა, კანტსმა და ტინტემ განახორციელეს რამდენიმე მძიმე დანაშაული: დაცხრილეს ქ. იურმალის ერთი მცხოვრები, მოიტაცეს რაიონული და რესპუბლიკური გამომცემლობის ორი თანამშრომელი, შეეცადნენ რიგა-ლენინგრადის სარკინიგზო მაგისტრალის ერთ-ერთი მონაკვეთის აფეთქებას.

მარტო 1983 წელს მოხდა საჰაერო ტრანსპორტის შეიარაღებული გზით ხელში ჩაგდების და გატაცების მცდელობის 3 მძიმე შემთხვევა და სხვ.

70-იანი წლების დასაწყისთანაა დაკავშირებული საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შემდგომი აღმავლობა, სსრ კავშირში და მათ შორის საქართველოში დისიდენტური მოძრაობის გააქტიურება, რაც საბოლოოდ რეპრესიებით დასრულდა.

აქვე, მოგვყავს საქართველოს პრეზიდენტის, ე. შევარდნაძის მოსაზრებები, 70-იანი წლების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებასთან დაკავშირებით, რომლებიც გამოხატავს მის დამოკიდებულებას სხვაგვარად მოაზროვნეთა მიმართ:

„ასევე გულწრფელად, გულახდილად მინდა ვილაპარაკო დისიდენტურ მოძრაობასთან ჩემს დამოკიდებულებაზე. ამის თაობაზე ჩემი მისამართით ბევრი კრიტიკული აზრი გამოითქვა უცხოეთის ბეჭდვით ორგანოებსა და ბოლოდროინდელ ქართულ პრესაში. შემეძლო საკამათოდ არ გამეხადა და პირდაპირ მეთქვა: დიახ, ასე იყო. მაგრამ ამჟამად არ მიმაჩნია საკმარისად მხოლოდ ამის თქმა.

სხვაგვარ აზროვნებასთან ბრძოლა მთელ ქვეყანაში წარიმართებოდა ანტისოვეტიზმსა და ნაციონალიზმთან ბრძოლის დროშით. რასაკვირველია, ეს იყო საერთო-სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც ფართოდ იყენებდა რეპრესიულ და პროპაგანდისტულ აპარატს. შემეძლო თუ არა მე მისი თავიდან აცილება ან შეჩერება? რასაკვირველია, არ შემეძლო. მოვალე ვიყავი პროტესტი განმეცხადებინა. მაგრამ მაშინ 70-იან წლებში არც შინაგანად, არც ფსიქოლოგიურად, არც პოლიტიკურად ამისთვის მზად არ ვიყავი.

საქართველოს დისიდენტური მოძრაობის ბევრ მონაწილეს კარგად ვიცნობდი, ზოგიერთ მათგანთან არაერთხელ მისაუბრია.

სიტყვა „დისიდენტი“ იგივე იარლიყია, რომლის უკან პიროვნების ჭეშმარიტი მისწრაფებები იმალება. ისინი არავითარი დისიდენტები არ ყოფილან, - ჩვეულებრივი, ნორმალური, მაგრამ არსებული ვითარებით განრისხებული ადამიანები იყვნენ.

მე არ შემეძლო დაცვა იმ პირგამეხებული კაცებისა და ქალებისა, რომლებიც არსებული მანკიერებების გაკილვასა და მხილებას სულაც არ სჯერდებოდნენ და ისეთ ნაბიჯებს დგამდნენ, რომლებიც, სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების თანახმად, სულაც არ იყო უწყინარი.“ *

* ე. შევარდნაძე - „ჩემი არჩევანი - დემოკრატიის და თავისუფლების დასაცავად“ - 1992 წელი.



წარმავალია წუთისოფელი, მიწიერი სიცოცხლე
დიდხანს როდი გრძელდება, ბედნიერია,
ვისაც მოიგონებენ

პერაკლეოპალისტი მეფე

• • •

ვინ იყო ვლადიმერ ჟვანია? - მის ფენომენს ფსიქოლოგები თავისებურ შეფასებას აძლევენ. ქვემოთ გთავაზობთ ზოგიერთ მათ მოსაზრებებს.

- „ვლადიმერ ჟვანიას ცხოვრების ამსახველი მასალების გაცნობის შემდეგ სასწაული გრძნობა დამეუფლა: სიბრალულის, შეცოდების და სიამაყის. დიახ, სიამაყის... იმ პერიოდში საქართველოს დამოუკიდებლობისათვის საკუთარი აზრის გამოთქმა და იდეების წამოყენება კი არა, გაფიქრებისთვისაც კი ისჯებოდა ადამიანი. ეს მართლაც გმირობა იყო. თუმცა ძალადობა, ყოველთვის და ყველა ეპოქაში დასაგმობია."

- „ცხოვრების ნირმა, მორალურმა და ფსიქიურმა ტრავმებმა განაპირობა მისი სულიერი აღზევება არსებული რეჟიმის წინააღმდეგ. მან მთელი თავისი ნიჭი, მისწრაფება მიმართა იმ საქმისაკენ, რომელიც მისი ცხოვრების კრედოდ იქცა და დააწერინა: „საქართველოს განთავისუფლების იდეები მუდამ გულში მექნება სანამ ის მიცემს; მუდამ ტვინში მექნება, სანამ ის აზროვნებს და სანამ სული მიდგას".

ყველაფერმა ამან, ჩემის აზრით, გავლენა მოახდინა მის ფსიქიკაზეც. მას ახასიათებენ, როგორც ძალიან ნერვიულ და ამავე დროს ძალიან წყნარ ადამიანს. ეს ურთიერთგამომრიცხავი ფსიქოლოგიური მოვლენა შეიძლება ჩაითვალოს ფიქსირებული განწყობის სპეციფიურ თავისებურებად.

საქართველოსა და სსრ კავშირში იმ მკაცრი რეჟიმის

დროსაც არსებობდნენ ადამიანები, რომლებიც ხმას იმაღლებდნენ არსებული სისტემის წინააღმდეგ და იბრძოდნენ სამშობლოს კეთილდღეობისათვის. ზოგი მკითხველი შესაძლებელია არ დაეთანხმოს ჩემს მოსაზრებას, მაგრამ ვფიქრობ, რომ ვლ. ჟვანია დაკავშირებული იყო ასეთი პიროვნებებისაგან შემდგარ ჯგუფთან, რომლებმაც დიდი როლი ითამაშეს მისი როგორც „პოლიტიკური მოღვაწის" იდეურ განვითარებაში. მან მართლაც ბრწყინვალედ გაამართლა ამ ჯგუფის იმედები იმ გაგებით, რომ ბოლომდე წარმოჩენილი, როგორც „მარტოსული" ზვარაკად შეეწირა რუსეთის ბატონობიდან სამშობლოს განთავისუფლებას და საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას."

- „თავისი პიროვნების საკუთარი სხეულის გარეთ განცდასა და გაფართოებას ვლ. ჟვანია ეგრეთწოდებული იდენტიფიკაციის ფენომენის საფუძველზე ასრულებდა. ჟვანია საკუთარი თავის იდენტიფიცირებას ახდენდა თავის წინაპრებთან, სამართლიანად ამაყობდა წინაპრების ღირსებებით, თავისი ხალხის ისტორიითა და კულტურით, მათ მიმართ უდიერ მოპყრობას საკუთარი პიროვნების ხელყოფად განიცდიდა, მას ექმნებოდა განცდა, რომ მის პიროვნებას შეეხნენ. ქვეყნის მომავალი თაობის წარმატება-წარუმატებლობას იგი ისევე ემოციურად განიცდიდა, როგორც საკუთარ მდგომარეობას."

- „ირგვლივ კომუნისტური რეჟიმი ბობოქრობდა, ბობოქრობდა ვლ. ჟვანიას გულშიც წინააღმდეგობის დიდი სურვილი ებრძოლა თავისი ქვეყნის მონობიდან დახსნისათვის, ამისათვის ის სხვა მეთოდს ბრძოლისას ვერ ხედავდა თუ არა ჩუმად, არალეგალურად მოეწყო „დემონსტრაციული აფეთქებები". ამით იგი ფიქრობდა მასების გამოღვიძებას და მათ შემოტრიალებას ქვეყნის დამოუკიდებლობის და მისი სუვერენიტეტისათვის საბრძოლველად. ითხოვდა რეფერენდუმის ჩატარებას, მრავალპარტიულობას და ა.შ. იმის ეჭვი ვითომდა ვინმე თანამოაზრეები ჰყავდა, ალბად გამორიცხულია, ვინაიდან ვლ. ჟვანია ისეთი პიროვნება იყო, რომ, თუ ორგანიზაციასთან ერთად იქნებოდა, სამსხვერპლოზე მიიტანდა თავს და მათ არ გაამჟღავნებდა."

- „ეს ყველაფერი თავიდან ასაცილებელი იქნებოდა სხვა დრო და სხვა აზროვნება რომ ყოფილიყო, ის პიროვნება არ მოითხოვდა ისეთს არაფერს, რაც დღეს მიუღებელია, რაც დღეს ასეთ ადამიანებს ეროვნული გმირის სტატუსს ანიჭებს. ჟვანიას განცხადებითვე ის იყო სიცოცხლის მოყვარული ადამიანი, რომელსაც

სურდა, რომ ჰქონოდა ოჯახი, შვილები, მეზობლები, ახლობლები, რომელთა ჭირსაც და ლხინსაც გაიზიარებდა, მაგრამ თვითონვე აღიარებს იმასაც, რომ ამ გრძნობებს გადააჭარბა სამშობლოს თავისუფლების, აყვავების და გალამაზების, ,ამავე იდეებით გამსჭვალულ ადამიანთა მასების გაერთიანების და ბრძოლის სურვილმა. მის დანაშაულად ითვლება ის ხერხები, რითიც იბრძოდა ყველაფერი ამის წინააღმდეგ, რასაც შემდეგში ფიქრობდა, მაგრამ მანამდე ის სხვა გზას ვერ ხედავდა თავისი იდეების განსახორციელებლად.

ასე რომ ამ დრომ გაიარა და როგორც 37-38 წლებში რეპრესირებულთ უკეთდებათ რეაბილიტაცია, ვლ. ჟვანიას თავისი პიროვნული მოქმედებების თავისებურებებითაც უნდა მიეცეს რეაბილიტაციის უფლება.

ბედნიერია მართლა ის ქვეყანა, რომელშიც ადამიანები ერთი სულისკვეთებით იზრდებიან, ეს კი ქვეყანას ჯანსაღ აზროვნებას მატებს, მისივე მომავლისათვის და ჭეშმარიტი ქართველობისათვის."

საკუთარი აზრი, რომელსაც არ შეიძლება არ დაეთანხმოს თითოეული ჩვენთაგანი, გამოთქვა მწერალმა ელგუჯა თავბერიძემაც:

„ვლადიმერ ჟვანიას პიროვნების შეფასების დროს ორ ფაქტორს უნდა მიექცეს ყურადღება. პირველი ის გახლავთ, რომ იდეები, შეხედულებანი, მსოფლმხედველობითი კრედო, რაც მას გააჩნდა, უდაოდ პროგრესული იყო, განსაკუთრებით იმ დროისათვის. მისივე სურვილიც - ქართველი ხალხი გამოეღვიძებინა, მისთვის ეროვნულობის შეგნება ჩაენერგა, დიდად დასაფასებელი და აღსანიშნავია. საერთოდ, ვლადიმერ ჟვანიას მოღვაწეობის ეს მხარე ჩემში პირადად ვაჟკაცობისა და რაინდობის რაღაცნაირ სიმბოლოსაც კი წარმოადგენს. რაც შეეხება მეორეს - ბრძოლის იმ საშუალებებს, რომელთაც ზემოთდასახელებული მიზნების განხორციელებისათვის მიმართავდა ვლ. ჟვანია, ყოვლად მიუღებელი და დასაგმობია.

აფეთქებები და მისდაგვარი მოქმედებანი, კაცობრიობის საუკეთესო ნაწილის მიერ ყოველთვის ფასდებოდა, როგორც ავანტურისტული, საზოგადოებისათვის საშიში ქმედება და ეს ამ შემთხვევაშიაც ასე უნდა მოხდეს. ამდენად, მისი საქმიანობის წარმართვის ამდაგვარი ფორმა დასაგმობია, მითუმეტეს, მსოფლიოში ტერორიზმის ასეთი მომძლავრების

პირობებში.

ვლ. ჟვანიას საქმეების შესწავლაში დიდი დახმარება გამიწია მისმა გამომძიებელმა ალექსანდრე მირიანაშვილმა. ჩემს წარმოდგენაში იგი დარჩა, როგორც მაღალპროფესიული, ჰუმანური ბუნების, ადამიანის გაჭირვების, ბედისა და ტრაგედიის გულთან მიმტანი პიროვნება.“

„დამწვარი სანთელი თავისთავად ლამაზია
და მშვენიერი, წყვდიადის შემანგრეველი,
ძალა რომ ჰქონოდა მას იმიტომ...“

დათა თუთაშხია

• • •

ბევრი ვიფიქრე და სათაური ვერ მოვუძებნე ვლადიმერ ჟვანიას ცხოვრების შესახებ ამ ჩემს პატარა შეფასებას. ჩვენ ყველას გვაქვს ჩვენი მორალის ათვლის სისტემა, ვლადიმერ ჟვანიასათვის კოორდინატთა სათავე სამშობლოს სიყვარულიდან იწყება. „წყვდიადი“ ეს ის სახელმწიფოა, რომელიც რეიგანმა „ბოროტების იმპერიად“ მონათლა. ივანე კალიტას დროიდან მოყოლებული ეს სახელმწიფო იზრდებოდა ისე, რომ დღეს უკავია დედამიწის თერთმეტი საათის მერიდიანი. მაგრამ ტერიტორიული ზრდა იმდენად არ შექმნიდა მსოფლიოს წინაშე საერთო საშიშროებას, თუ არა იდეა „რევოლუციის ექსპორტის“ შესახებ. კაცობრიობის წინაშე დადგა დილემა, როგორმე შეეჩერებინა ეს პროცესი. პირველად უინსტონ ჩერჩილმა გააკეთა გამოსაფხიზლებელი განცხადება „რკინის ფარდის“ ზრდის შესახებ, რამაც მას საერთაშორისო აღიარება და ნობელის „მშვიდობის“ პრემია მოუტანა. პრაქტიკულად ამ ბრძოლას დასჭირდა მთელი „ცივი ომის“ პერიოდი, „პერესტროიკა“, ანუ „ჩათრევას ჩაყოლა სჯობია“, „საბჭოთა კავშირის დაშლა“, პერსპექტივაშია სამხედრო კომპლექსის მოშლა. ყველაფერს ამას თავისი ისტორიული დრო ჭირდებოდა. მოლოდინს ვერ გაუძლო ვლადიმერ ჟვანიამ, თორემ „იმპერიის ნანგრევებში არ მოვყვეთო“ (აკაკი ბაქრაძე) მან, ეტყობა, კარგა ხანია იცოდა, მაგრამ არ გაითავისა. ყოველ ქართველ კაცს უნდა რაღაც „პატარა კენჭი“... (ი.გრიშაშვილი) მიიტანოს თავისი სამშობლოს მშენებლობაში, მაგრამ შეძლებისდაგვარად. ამიტომ იგი შეგნებით ჩაიკეტა იმ „გალიაში“, საიდანაც ჯურღმულის კედლებს დაუწყო ნგრევა, რათა ნათელი სხივი ეხილა მისი სამშობლოს ბედნიერების მაუწყებლად. მან შეგნებულად მიიტანა თავისი სიცოცხლე ზვარაკად და უკვდავყო იგი.

ვლადიმერ ჟვანიას ერთ-ერთი მოსწავლის მიერ გამოძიების პროცესში მიცემული ჩვენების ფრაგმენტი:

„ერთხელ ... მოგვიყვა, რომ თითქოს დედამიწაზე არ დაბადებულა, ჩამოფრინდა რომელიღაც სხვა პლანეტიდან და რომ იგი არასოდეს მოკვდება. ეს ნაამბობი ჩვენ უცნაურად მოგვეჩვენა და გვეგონა, რომ ხუმრობდა, ამიტომ მისი ნათქვამისთვის ყურადღება არ მიგვიქცევია“.

ციხის უფროსის მოადგილის ნაამბობიდან: „ბევრ დახვრეტას გაუვლია ჩემს ხელში. ქურდებიც ყოფილან, ვაჟკაცებიც, არაადამიანური ფიზიკური ძალის პატრონებიც, მაგრამ სიკვდილის წინ... ერთადერთი, ვინც მართლაც გასაკვირი სიმშვიდითა და გმირულად შეხვდა ამ ფაქტს, იყო სიფრიფანა, გამხდარი კაცი ჟვანია“.

::: <u>დაე, მის სახელზე დანთებული სანთელი იყოს მისი სულის ნათელში მოსაგონარი, ხოლო ცრემლი, რომელიც მკითხველს თვალზე მოადგება - მისი საკურთხი.</u>

ზურაბ მოდებაძე



არა კლა! ვინც მოკლავს,
სასჯელის თანამდები იქნება.

მათეს სახარება

• • •

საბჭოთა სისტემის არსებობის პირობებში, აბსოლუტური ძალაუფლების პოლიტიკური იდეოლოგიის ტოტალიტარიზმის ეპოქაში, როდესაც გამორიცხული იყო სახელმწიფოსა და მოქალაქეს შორის ცივილიზებული და კონსტრუქციული საზოგადოებრივი ურთიერთობები, სახელმწიფო ფლობდა მონოპოლიას პიროვნებაზე და აქედან გამომდინარე უპრობლემოდ განაგებდა მის სიცოცხლესაც.

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა იდეოლოგია მთელს მსოფლიოში ქადაგებდა ჰუმანიზმის პრინციპებს, ის სიცოცხლეს, როგორც ხელშეუხებელ ღირებულებას, არ აღიარებდა. ამიტომ იყო, რომ სსრკ სისხლის სამართლის კანონმდებლობით სასჯელის უმაღლეს ზომას - სიკვდილით დასჯას ითვალისწინებდა 33 სახეობის დანაშაული.

ქართულ სახელმწიფოს, როდესაც ის დამოუკიდებელი იყო, ქართველი ერის მართლმადიდებლობიდან, ეთნოთავისებურებიდან, მსოფლმხედველობიდან, ტოლერანტობიდან, ქრისტიანულ-დემოკრატიული იდეებისადმი პატივისცემიდან, მრწამსიდან გამომდინარე, ყოველთვის ჰქონდა ამ არაქრისტიანული, ანტიჰუმანური და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული სასჯელის აკრძალვისადმი მიდრეკილება. სწორედ აქედან გამომდინარე იყო, რომ ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში, დიდი თამარის მეფობის პერიოდში, გაუქმდა სიკვდილით დასჯა. სასჯელის ზომად სიკვდილის გამოყენება აიკრძალა საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუციით 1921 წელს. სიკვდილით დასჯა აიკრძალა სსრ კავშირის დროსაც. ეს იყო 1947 წელს. ამ აკრძალვამ სულ რაღაც ხუთიოდე წელი გასტანა. თუმცა ამ შემთხვევაში საქართველოს აღნიშნულ პროცესზე ზემოქმედების არანაირი ძალა და საშუალება არ გააჩნდა.

„ის ჰუმანური საწყისი, რომლის სახელითაც კაცობრიობამ მოითხოვა სასჯელთა რიცხვიდან სიკვდილით დასჯის გამორიცხვა,

აღიარებულ უნდა იქნეს ადამიანთა ზნეობრივი სრულყოფის სფეროში კაცობრიობის პროგრესის საუკეთესო მონაპოვრად". - ეს სიტყვები ეკუთვნის ქართველი ერის დიდ მოამაგეს ილია ჭავჭავძეს, რომელიც მან წარმოთქვა 1898 წელს. სწორედ ილია ჭავჭავაძეს დაავალა რუსეთის იმპერიის ორპალატიანი მონარქისტული პარლამენტის სახელმწიფო საბჭომ სიკვდილით დასჯის კანონის პროექტის მომზადება. რამდენიმე თვეში ილია ჭავჭავაძე ტერორს ემსხვერპლა, მაგრამ ყველასათვის ცნობილია მისი მეუღლის ქალბატონ ოლღა გურამიშვილი-ჭავჭავაძის ჰუმანური მოქმედება, როდესაც ხელისუფლებას მოუწოდა შეენდოთ და ეპატიებინათ მკვლელისათვის. რაოდენ სასიხარულო და ამამაღლებელია ქართველი ერისათვის ის, რომ რუსეთის იმპერიაში სიკვდილით დასჯის აკრძალვის პირველი ინიციატორიც და ცხოვრებაში პირველი განმხორციელებელიც ქართველი იყო.

ზოგადად სიკვდილით დასჯის აკრძალვის საკითხი საკმაოდ მწვავე და პრობლემატურია და განპირობებულია არა ქვეყნის ეკონომიკური, სამხედრო-პოლიტიკური ძლიერებით და საერთოდ ცხოვრების დონით, არამედ მისი ზნეობრივი და კულტურული მემკვიდრეობით, ტრადიციებით, მსოფლიო ცივილიზაციისაკენ სწრაფვით და ქვეყნის სტრატეგიული, გეოპოლიტიკური ორიენტაციით.

ჰუმანიზმის პრინციპები რომ იმთავითვე ქართული სახელმწიფოს და ქართველი ერის ზნეობრივი საწყისი იყო, კიდევ ერთხელ დადასტურდა, როდესაც საყოველთაო და პირდაპირი გზით არჩეულმა საქართველოს უზენაესმა საბჭომ 1990 წელს გადადგა ქმედითი ნაბიჯები სიკვდილით დასჯის აკრძალვასთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ დაწყებული 70-იანი წლებიდან დისიდენტური მოძრაობის თითქმის ყველა საპროგრამო დაკუმენტში ხაზგასმით იყო მითითებული სიკვდილით დასჯის აკრძალვის მოთხოვნა.

„გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და სხვა საერთაშორისო და ეროვნული ორგანიზაციები იღწვიან სიკვდილით დასჯის გასაუქმებლად. საღი აზრის ყველა არგუმენტის მიუხედავად, სიკვდილით დასჯა, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ბევრ ქვეყანაში გამოიყენება.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 1971 წლის 20 დეკემბრის 2857-ე რეზოლუციაში მითითებულია, რომ „სიცოცხლის უფლების სრული გარანტიისათვის, რაც გათვალისწინებულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის

მე-3 მუხლით, ძირითად მიზნად დასახულია ისეთ დანაშაულთა რაოდენობის მუდმივი შემცირება, რომელთა გამოც შეიძლება დამნაშავეს მიესაჯოს სიკვდილი, იმის გათვალისწინებით, რომ მიზანშეწონილია სიკვდილით დასჯის მთლიანად გაუქმება ყველა ქვეყანაში."

გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს რეზოლუციაში 1989/64, გამოთქმულია შეშფოთება „იმ პრაქტიკის შენარჩუნების გამო, რომელიც არ შეესაბამება ისეთ ზომებს. რომლებიც უზრუნველყოფენ იმ პირთა უფლებების დაცვას, რომლებსაც ემუქრებათ სიკვდილით დასჯა". საბჭოს რეკომენდაციაა, რომ „წევრმა-სახელმწიფოებმა გადადგან ნაბიჯები ამ ზომების მისაღებად და სიკვდილმისჯილთა და იმ პირთა უფლებების დაცვის შემდგომი გაძლიერებისათვის, ვისაც ემუქრება სიკვდილით დასჯის განაჩენის გამოტანა." *

90-იანი წლებიდან მოყოლებული საქართველოს ხელისუფლება დგამდა თანამიმდევრულ და ქმედით ნაბიჯებს, მსოფლიო ქვეყნების კანონმდებლობის და უკანასკნელ პერიოდში საერთაშორისო სამართლებრივი აქტების მოთხოვნების შესაბამისად, საქართველოში სიკვდილით დასჯის აკრძალვის თაობაზე.

1996 წლის 11 დეკემბრის კანონით საქართველოში 7-ჯერ შემცირდა დანაშაულთა სახეები, რომლებიც სიკვდილით დასჯას ითვალისწინებდა. აღსანიშნავია ამ მხრივ ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მეთაურის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესის და უნეტარესის, ილია მეორის აქტიური პოზიცია, რაც გამოიხატა საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტისადმი გაგზავნილ მიმართვაში:

„ღვთის ერთ-ერთი მცნებაა: „არა კაც ჰკლა". ეს სიტყვები მიმართულია როგორც ცალკეული ადამიანებისადმი, ისე ერებისა და სახელმწიფოებისადმი. შეუძლებელია ბოროტების აღმოფხვრა ბოროტებით. სიკვდილით დასჯა ნებისმიერ შემთხვევაში არის ბოროტება, რადგანაც სიცოცხლის წართმევის უფლება აქვს მხოლოდ მას, ვინც იგი მიანიჭა ადამიანს, ანუ ღმერთს".

1997 წლის 25 ივლისს საქართველოს პრეზიდენტმა შეიწყალა იმ პერიოდისათვის არსებული ორმოცდათოთხმეტივე სიკვდილმისჯილი, რომელთაც სიკვდილით დასჯა ოცი წლით

---

* „პატიმრობის საერთაშორისო სტანდარტები" - პრაქტიკული სახელმძღვანელო პატიმრობის საერთაშორისო წესების ეფექტური გამოყენებისათვის - ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი, 2000 წ.



ფოტოები შესრულებულია ვიდეოფირიდან, რამაც განაპირობა მათი დაბალი ხარისხი

თავისუფლების აღკვეთით შეეცვალათ.

1997 წლის 15 ნოემბერს საქართველოს პარლამენტმა ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით (ერთის წინააღმდეგ) მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება და ამიერიდან ქვეყნის ისტორიაში უკვე მესამედ (იმედია უკანასკნელად) აიკრძალა სიკვდილით დასჯა. ამით საქართველომ კიდევ ერთხელ საჯაროდ გამოხატა თავისი დამოკიდებულება ზოგადსაკაცობრიო იდეალების და ფასეულობებისადმი და სწრაფვა ცივილიზაციისაკენ, სახელმწიფოებრივი აღმავლობისაკენ.

ვლადიმერ ჟვანიას სიკვდილით დასჯიდან საქართველოში სიკვდილით დასჯის სრულ გაუქმებამდე ზუსტად 20 წელი გვაშორებს...

საქართველოში სიკვდილით დასჯა უკვე ისტორიის კუთვნილებაა. ისტორიის კუთვნილებაა თვით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მე-5 საპყრობილის ის სპეციალური საკანიც, რომელშიც სიკვდილით დასჯის აღსრულების უსასტიკეს პროცედურა - დახვრეტა სრულდებოდა. ორთაჭალის ციხის სიკვდილმისჯილთა ეს საკანი და მისი ყველა ნივთი ამიერიდან სამუზეუმო ექსპონატია.

მიცვალებულთა სულები, გარდაცვალების ადგილს, ხშირად სტუმრობენო - უთქვამთ. იქნებ, ახლად დაფუძნებული მუზეუმის პირველ დამთვალიერებელთა, თბილისის 51-ე საშუალო სკოლის მოსწავლეთა გუნება-განწყობას თვით ვლ. ჟვანიას სულიც აფორიაქებდა (მას ხომ ბავშვები ძალიან უყვარდა), ალბათ ამანაც თუ ათქმევინა მოზარდებს: „საკმაოდ მძაფრი იყო ეს ყველაფერი", „სიკვდილმისჯ ილთა საკანი ვნახე და... კარგი ნამდვილად არ იყო", „მტერს არ ეუსურვებ აქ ყოფნას".

მიწა იყავ და მიწად იქეც... ნათქვამია ადამიანზე. ვლ. ჟვანიას იქნებ მიწაც კი არ ღირსებია. სამაგიეროდ უკვე ყველამ თვალნათლივ იცის მისი და სხვათა გარდაცვალების ადგილი.

მართლაც, მძიმე და დამთრგუნველია.

ასეთია რეალობა და ჩვენი ქვეყნის ისტორია.

ღმერთმა ქნას აღარ განმეორდეს!

• • •

ვლ. ჟვანიას ცხოვრება და საქმიანობა მსოფლმხედველობითი თვალსაზრისით შეიძლება პირობითად ორ ეტაპად დავყოთ:

1. საბჭოთა წყობილების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების ჩამოყალიბება;

2. ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის.

პირველი ეტაპი მოიცავს ვლ. ჟვანიას სიყრმისა და სიჭაბუკის წლებს. ამ პერიოდში მისი ხასიათის ჩამოყალიბებაზე რამდენიმე ფაქტორმა იქონია ზეგავლენა.

პირველი, ჩვენი აზრით, მამის, გრიგოლ ჟვანიას დაპატიმრება და რეპრესია იყო. ამ პერიოდისათვის, ანუ 1938 წლისათვის, ვლ. ჟვანია სულ რაღაც სამიოდე წლის იყო, მიუხედავად ამისა მის მეხსიერებაში სამუდამო კვალი დატოვა იმ მწუხარებამ და სასოწარკვეთამ, რაც მათ ოჯახს დაატყდა თავს. ამას მოჰყვა ჟვანიების ოჯახის დაშლა და ვლადიმერის იძულებითი ცხოვრება ბებიასთან ქ. ფოთში.

ვერც დიდი სამამულო ომის პერიოდი და უკიდურესი გაჭირვების წლები ჩაიელიდა ვლ. ჟვანიასათვის უკვალოდ. შემდგომ კელავ დედასა და და-ძმასთან ერთად ცხოვრება. თუმცა მშობელთან გაუცხოებულმა გრძნობამ იმთავითვე იჩინა თავი, რაც შემდგომ მათ ურთიერთდამოკიდებულებაზე ნეგატიურად აისახა. ეფიქრობთ, კლევისათვის განსაკუთრებულად გასამახვილებელია ყურადღება ინციდენტზე, რომელიც მოხდა ვლ. ჟვანიას კლასში საშუალო სკოლაში სწავლის პერიოდში. ჩვენი აზრით, სწორედ აქედან იწყება მასში სისტემის მიმართ, არსებული პოლიტიკური წყობის მიმართ სიძულვილისა და ზიზღის გრძნობის ჩამოყალიბება. მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ ვლ. ჟვანია სწორედ ამ პერიოდში „შემთხვევით" (?!) ხვდება რუსთაველის პროსპექტზე ვიღაც პიროვნებას, რომელმაც მისი პოლიტიკური აზროვნების ჩამოყალიბებაში გარდამტეხი როლი ითამაშა.

მისი გონების სიმწიფის პერიოდში იწყება პიროვნების ძირითადი წინააღმდეგობრივი პროცესების ფორმირება. ვლ. ჟვანიასათვის მიუღებელი ხდება ის გარემო, რომელიც მის მიმართ სრულ უყურადღებობას იჩენს. ის საკუთარ თავს ვერ აღიქვამს, ამ საზოგადოების სრულყოფილ წევრად. მის შეგნებაში უამრავი კითხვის ნიშანი ჩნდება. გამოსავალს მხოლოდ განკერძოებაში, გაქცევაში, პრობლემებისაგან თავის დაღწევის ამ ერთადერთ საშუალებაში ხედავს. ნელ-ნელა, თანმიმდევრულად ხდება მისი „ანტისაბჭოთა ხასიათის" ჩამოყალიბება. თუმცა ამის გარეგნული ნიშნები ჯერ არ შეიმჩნევა, ვინაიდან ჯერ-ჯერობით არსებულ წესწყობილებასთან დაკავშირებით მისი შეხედულებები საზოგადოებისათვის

საშში არ არის. აღნიშნულ პერიოდში, ვლ. ჟვანიას მსოფლმხედველობის ფორმირებაზე მისი ფიზიკური მდგომარეობის გარკვეულწილად დამთრგუნველ ფაქტორთან - დაქვეითებულ მხედველობასთან ერთად, სავარაუდოა საკმაო ზეგავლენა მოახდინა საქართველოში და სსრ კავშირში 50-60-იან წლებში შექმნილმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა ვითარებამ.

ნიშანდობლივია ერთი მომენტიც: ვლ. ჟვანიას ანტისაბჭოთა ხასიათის ჩამოყალიბებაზე, როგორც ერთ-ერთი მოწმე მიანიშნებს, ზეგავლენა მოუხდენია საბჭოთა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის ფაქტებს, რომლის სიმწვავეც ვლ. ჟვანიას საკუთარ თავზე გამოუცდია. საპატიმრო დაწესებულებებში მისთვის არაერთგზის მიუყენებიათ შეურაცხყოფა, როგორც პატიმრებს, ისე რუსი ეროვნების ზედამხედველებს.

მეორე ეტაპი მოიცავს ვლ. ჟვანიას ციმბირის ბანაკებიდან დაბრუნებიდან დახვრეტამდე პერიოდს. ეს ის დროა, როდესაც მან თავისი იდეების სისრულეში მოყვანა გადაწყვიტა და მისეული მეთოდებით დაიწყო ბრძოლა საქართველოს თავისუფლებისა და სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის. ამ გადაწყვეტილების მიღებაზე, ვფიქრობთ, რამდენიმე ფაქტორმა იმოქმედა. ესენია:

1. სამშობლო - საქართველოსადმი ფანატიზმამდე აყვანილი სიყვარულის გრძნობა;

2. უკვე მკაფიოდ ჩამოყალიბებული ანტისაბჭოთა ხასიათი, არსებული სისტემის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება;

3. ციმბირის ბანაკებში გატარებული წლები;

4. საბჭოთა კავშირსა და საბჭოთა საქართველოში 70-იანი წლების შუა პერიოდში შექმნილი საზოგადოებრივ - პოლიტიკური ვითარება;

5. მსოფლიოში მიმდინარე გლობალური პროცესები, რომლებიც უპირველეს ყოვლისა ორი დიამეტრულად საწინააღმდეგო სისტემის ურთიერთდაპირისპირების ფონზე ვითარდებოდა.

6. პირადი სოციალური და საზოგადოებრივი მდგომარეობა.

7. არსებული სისტემის მიუღებლობა, არსებულ რეჟიმთან კონფლიქტში ყოფნა.

ცხოვრების ამ ეტაპზე სამშობლოს ბედისადმი პირადი პასუხისმგებლობის მოჭარბებულ გრძნობასთან ერთად მოხდა პირადი შეხედულებების ჩამოყალიბება იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს სამშობლოს აწმყო და მომავალი.

ვლ. ჟვანიას მიაჩნდა, რომ საქართველოს განვითარების იმ ისტორიულ ეტაპზე ბევრად მნიშვნელოვანი იყო ეროვნული

თავისუფლება, ვიდრე სოციალური, ყოფითი პრობლემები. მას სწამდა, რომ თუკი საქართველოს ხელისუფლება დასძლევდა „ცენტრის“ მიმართ შიშს და მორჩილების კომპლექსს, რაც ძირითადად რუსული სამხედრო ბაზების საქართველოს ტერიტორიაზე არსებობით იყო განპირობებული, ამით ის დაამტკიცებდა საქართველოსადმი უსაზღვრო სიყვარულს და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისაკენ მისწრაფებას:

რატომ, საიდან და რა ვითარებაში ჩამოუყალიბდა ვლ. ჟვანიას საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის იდეა, კარგად ჩანს მისი ერთ-ერთი განცხადებიდან:

„მთელი ჩემი მოქმედება, მცდარი თუ არამცდარი, შესრულებული ტვინის, გულის და სულის კარნახით, გამოწვეულია მხოლოდ ერთი მიზეზით: ჩემი სამშობლოს, ზურმუხტოვანი საქართველოს განთავისუფლებისათვის რუსეთის ბატონობიდან და თავისუფალი, მთლიანად დამოუკიდებელი ქვეყნის შექმნისათვის.

განა მე შემეშინდა? დავკარგე ეაუკაცობა?

არა, ბატონებო! მე ჩემს ეაუკაცობას შევინარჩუნებ ბოლომდე.

საქართველოს განთავისუფლების იდეამ დაიპყრო მთელი ჩემი სხეული და ამ იდეამ მთლიანად დაჩრდილა მთელი პირადი ცხოვრება, დააყენა რა იგი უკანა პლანზე.

მთავარი ჩემი იდეა, საქართველოს განთავისუფლების, მისი დამოუკიდებლობის იდეა იყო ის მთავარი მამოძრავებელი ძალა, რომელმაც მე ჩემი მოქმედებები ჩამადენია.

ძალიან ძნელია იმის გაგება, თუ როდის ჩამენერგა მე აზრი საქართველოს დამოუკიდებლობაზე. ჯერ კიდევ ბავშვობაში გაკვირვებით შევყურებდი იმას, რომ რატომღაც ბევრ რუსულს გვასწავლიდნენ. მთელი ისტორია - რუსეთის ისტორიაა თითქმის. რუსულ გმირებს ალმერთებენ და საერთოდ რუსულ ლიტერატურას თუ სხვა რამეებს უფრო მეტად ასწავლიან, ვიდრე სხვა უცხო ერების ლიტერატურას, ენას თუ სხვა რამეს. შემდეგ ცხოვრების გზაზე ჩემში თანდათანობით მომწიფდა ის აზრი, რომ ჩვენ არამარტო ვიმყოფებით რუსეთის გავლენის ქვეშ, არამედ წარმოვადგენთ რუსეთის მიერ დაპყრობილ ტერიტორიას. ჩემთვის აქსიომა გახდა ის, რომ 1921 წელს რუსეთის ჯარებმა გადმოლახეს სუვერენული

სახელმწიფოს, დამოუკიდებელი საქართველოს საზღვრები და მთლიანი ოკუპაცია განახორციელეს. კომუნისტური იდეოლოგიის მტკიცება იმის შესახებ, რომ ბოლშევიკური რუსეთი დაგვეხმარა ჩვენ, ქართველ კომუნისტებს - ქართველი ხალხის წარმომადგენლებსო, უტყუარი სიყალბეა, ვინაიდან ქართველ კომუნისტებს, რომელთაც ქართველი ხალხი მხარს უჭერდა, თვითონ უნდა ჩამოეგდოთ საქართველოს მაშინდელი მთავრობა და არ მოეწვიათ უცხოეთის, ამ შემთხვევაში რუსეთის ჯარები.

ეს იყო მხოლოდ რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობა, რომელიც დღემდე გრძელდება. აი, ამ საფუძველს ეყრდნობა საქართველოს განთავისუფლების იდეა.

კომუნისტური იქნება საქართველო თუ არაკომუნისტური, ის უნდა იყოს მთლიანად თავისუფალი და რუსეთის ინტერვენციას ბოლო უნდა მოეღოს.

ძველ დროში, როდესაც საქართველოში არაბები ან მონღოლები ბატონობდნენ, ქართველი ხალხი გადაგვარების გზაზე იდგა. მდიდრები თუ ღარიბები, გლეხები თუ ეკლესიის მსახურნი ყველა კარგავდა ერის წეს-ჩვეულებებს, რელიგიურ რწმენას, ქართულ ნაციონალურ იერს, ლიტერატურას, სალაპარაკო ენას. მცირე ხანი და საქართველო, ქართველობა სრულიად გაქრებოდა დედამიწის ზურგიდან. მაგრამ გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც რწმენა აღუდგინეს ხალხს, გაახსენეს ქართველობა თავისი ბრძოლითა და ნამუსით. შემდეგ გონს მოსული ხალხი აღსდგა და გადაირჩინა თავი გადაგვარებისაგან.

აი, დადგა მეოცე საუკუნე და საქართველო იმავე გადაგვარების გზაზეა. გავიდა სულ რაღაც ნახევარი საუკუნე და ქართველებს უკვე ეტყობათ გარუსება. უბრალოდ ივიწყებს ბევრ სიტყვებს სალაპარაკო ენიდან და, საუბედუროდ, ბევრი ქართველი ერთმანეთში რუსულ ენაზე საუბრობს, ვინაიდან ქართული ავიწყდება. ასეთი ტემპით გარუსების შემთხვევაში გავა კიდევ რამდენიმე წელიწადი და დაიკარგება ენა. ენის დაკარგვის შემთხვევაში საქართველო დაკარგავს ათასი წლების მანძილზე დაგროვებულ კულტურას, დაკარგავს თავის თავს და გაქრება ვითარცა ქარი.

ეს არის ძალიან ძლიერი არგუმენტი ჩემი შეხედულებებისა

დღევანდელ სინამდვილეზე საქართველოში. ამ სინამდვილემ განამტკიცა ჩემში ჩასახული საქართველოს განთავისუფლების, მისი დამოუკიდებლობის იდეა.

საქართველოს რესპუბლიკას კონსტიტუციის თანახმად, უფლება აქვს გამოვიდეს საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან და ცალკე იარსებოს. მაგრამ, რადგანაც საქართველოს ახლანდელი ხელისუფლება სრულიად არ ფიქრობს საქართველოს დამოუკიდებლობაზე, საჭიროა ქართველმა ხალხმა გაიგოს, თუ რა განსაცდელი ელის საქართველოს მომავალში. ქართველი ხალხისადმი ამის გაგებინების ყველა ლეგალური გზები ჩაკეტილია სისხლის სამართლის კოდექსის მუხლებით. საჭირო იყო ბრძოლის არალეგალური ხერხების გამოყენება და მე გადავწყვიტე მემოქმედა.“

აქვე გთავაზობთ ვლ. ჟვანიას საკუთარ ხედვას საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მისეული მეთოდების ტაქტიკურ ხერხებთან დაკავშირებით:

„ჩემი ფიქრით, ჩემი ბრძოლა უნდა ყოფილიყო არალეგალური, მაგრამ მაინც მშვიდობიანი. მინდოდა მეყიდა საბეჭდი მანქანები, ასლების გამრავლებისათვის ხელსაწყოები, შემეძინა კონსპირატული ბინები, შემეკრიბა თანამოაზრეთა ჯგუფი და მთელ საქართველოში გამევრცელებინა პროპაგანდის მიზნით ფურცლები, სადაც აღნიშნული იქნებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის აუცილებლობის მიზეზები, სახალხო რეფერენდუმის მოთხოვნა გამოყოფის შესახებ და სხვა.

„მე გადავწყვიტე მეშოვა ასაფეთქებელი ნივთიერება და რამდენიმე აფეთქება მომეწყო დემონსტრაციული ხასიათების იმ ადგილებში, სადაც კომუნისტური პარტიის და მთავრობის შენობებია. საქართველოს ტერიტორიაზე უნდა ამომერჩია ადგილები, სადაც აფეთქებას ადამიანის მსხვერპლი არ მოჰყვებოდა. მინდოდა ამ აფეთქებებით მეჩვენებინა საქართველოს ხელისუფლებისათვის, რომ საქართველოში ვითომ მოქმედებს ჯგუფი, რომელიც იბრძვის საქართველოს განთავისუფლებისათვის. შემდეგ მე გავუგზავნიდი ვრცელ განცხადებას საქართველოს ხელისუფლებას, რომელშიც ავუხსნიდი ჩვენს პოზიციას (ჯგუფის, რომელიც არ არსებობდა).

მე აგრეთვე მინდოდა გამომეყენებინა აფეთქებები და

არარსებული ჯგუფის სახელით, რომელსაც მე დავარქვი სგფ - საქართველოს განთავისუფლების ფრონტი, ძალით თუ თხოვნით, ზოგიერთი პირისაგან მეთხოვა ფული, რათა ამ ფულით შემექმნა რეალური ჯგუფი, მექირავა ბინები, მეყიდა ასლების გამამრავლებელი აპარატურა, საბეჭდი მანქანები და დამეწყო პროკლამაციების გავრცელება.

სამივე აფეთქება სოხუმში, თბილისში და ქუთაისში ჩემი მოწყობილია, მხოლოდ ჩემი. ყველა ჩემს მოქმედებებში ამხანაგი არ მყოლია და არც ვეძებდი, ვინაიდან ვიცოდი აფეთქების საქმეში არავინ არ წამომყვებოდა შიშის გამო - არავინ არ იცოდა ჩემი მოქმედებების შესახებ, არც ერთმა პირმა, შინაურმა თუ გარეულმა და თუ ზოგიერთი მე მიმიკედლავდა, ეს იმის გამო, რომ მათ იცოდნენ, რომ მე ბინა არ გამაჩნდა და მეორე ჯგუფის ინვალიდი ვიყავი. მე მათ უბრალოდ ვეცოდებოდი და თუ უცხო პირების (არანათესავების) სახლებში ვცხოვრობდი, მე მათთან ემუშაობდი, უსაქმოდ არსად და არასოდეს არ ვყოფილვარ. ყველაფერი, რაც ზემოთ მოგახსენეთ, სიმართლეა, <u>გეფიცებით საქართველოს ლაჟვარდოვან ცას, საქართველოს მიწას, საქართველოს თავისუფლებისათვის დაღუპულ გმირთა სისხლს.“</u>

როგორი იყო ვლ. ჟვანიას პოლიტიკური შეხედულებები და როგორ ესახებოდა დამოუკიდებელი საქართველოს მომავალი? მას მიაჩნდა:

1) საქართველო 1921 წელს ბოლშევიკური რუსეთის მიერ იყო ანექსირებული და ოკუპირებული, რის შემდეგაც დაკარგა დამოუკიდებლობა და გახდა რუსეთის ახალი იმპერიული სახელმწიფოს ერთ-ერთი მხარე;

2) საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალები, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ, უფრო საოკუპაციო სტატუსს ატარებდნენ და ისინი იცავდნენ არა ქართველი ერის და საქართველოში მცხოვრები სხვა ერების, არამედ კომუნისტური რუსეთის ინტერესებს.

3) საქართველოს ჰყავს არა ხალხის არჩეული და ხალხის ნების გამომხატველი ხელისუფლება, არამედ „ცენტრის“ მიერ დანიშნული და კონტროლირებადი, კომუნისტური იდეოლოგიით შეიარაღებული მთავრობა;

4) რუსული ნეოიმპერიალისტური პოლიტიკის შედეგად საქართველოს სსრ-ში მეთოდურად მიმდინარეობდა მასობრივი გარუსების პროცესი, რაც განსაკუთრებით საგრძნობი იყო საქართველოს ზღვისპირა რეგიონებსა და დედაქალაქში, რისი ნათელი მაგალითიც იყო სასწავლო პროგრამების, განსაკუთრებით საშუალო სკოლების, რუსეთის ისტორიის, ენისა და კულტურის შესწავლაზე ორიენტირება, აგრეთვე ტოპონომიკის შეცვლის პროცესი და ბოლშევიკ ბელადთა ძეგლების მასობრივი მომრავლება;

5) საქართველო უნდა ყოფილიყო დამოუკიდებელი, დემილიტარიზებული და ნეიტრალური სახელმწიფო. ქვეყანაში უნდა დამკვიდრებულიყო ადამიანთა მრავალიდეური აზროვნების თავისუფლება;

6) საქართველოს ბედ-იღბალი, ქართველი ერის ყოფნა-არყოფნის საკითხი დამოკიდებული იყო რუსულ შოვინისტურ პოლიტიკაზე, რომლის შედეგადაც ქართველი ერი შესაძლებელია გასახლებული (დეპორტირებული) ყოფილიყო სსრკ სხვა რეგიონებში.

7) საქართველო კოლონიურ მდგომარეობაში იმყოფებოდა და შექმნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება ქართველებს უფრო მეტი დამონებისაკენ უბიძგებდა;

9) საქართველოს გააჩნდა თავისუფლებისაკენ სწრაფვის ტრადიციები, რასაც იმთავითვე საფუძველი ჩაუყარეს ქართველმა მეფეებმა, განმანათლებლებმა, საზოგადო მოღვაწეებმა, ხელოვნების და კულტურის სახელოვანმა წარმომადგენლებმა;

10) საქართველოს და ქართველი ერის ფიზიკური განადგურების და ზნეობრივი გადაგვარებისაგან გადარჩენის ერთადერთი ხსნა მის დამოუკიდებლობასა და სუვერენულ განვითარებაში იყო;

11) ქვეყნის განვითარებისათვის დამღუპველი იყო ერთპარტიული სისტემა. ერთპარტიული, მითუმეტეს კომუნისტური დიქტატურა, ადამიანების ცალმხრივად განვითარებას იწვევდა;

12) ერთპარტიული დიქტატურის პირობებში გარდაუვალი იყო კორუფციის მასობრივი აღზევება და ზნეობის დაცემა;

13) დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში საქართველოს კომპარტია დათმობდა ერთმმართველობის პრივილეგიებს და სხვა პოლიტიკურ პარტიებთან ერთად მონაწილეობას მიიღებდა მომავალი საქართველოს მშენებლობაში, დემოკრატიული პროცესების განვითარებაში;

14) საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას მხარს დაუჭერდა მსოფლიო საზოგადოებრიობა და პროგრესული ძალები;

8) სსრ კავშირში არასწორად წარიმართებოდა ნაციონალური პოლიტიკა. იგი ემყარებოდა მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებს და

ქმნიდა ეთნოკონფლიქტებისათვის ნოყიერ ნიადაგს.

საბოლოო მიზანი:

ვლ. ჟვანიას აზრით, საქართველოს დამოუკიდებლობით და სახელმწიფოებრიობის აღდგენით:

- გადარჩებოდა ქართული ენა და ქართული კულტურა;
- შესაძლო მესამე მსოფლიო ომის შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნებოდა საქართველოს უსაფრთხოება;
- საგრძნობლად შემცირდებოდა კორუფციის მასშტაბები;
- ბევრად გაუმჯობესდებოდა ქართველი ერის ეკონომიური მდგომარეობა;
- მიიღწეოდა პოლიტიკური თავისუფლება;
- განხორციელდებოდა დემოკრატიული გარდაქმნები.

• • •

აღსანიშნავია, რომ ვლ. ჟვანიას პოლიტიკურ აზროვნებაში შეიმჩნევა გარკვეულწილად პოლიტიკური შეხედულებების მერყეობა. მის წარმოსახვაში ერთმანეთს უპირისპირდება კონსტიტუციურ-მონარქისტული და რესპუბლიკური იდეები, ამავდროულად მომხრეა საპრეზიდენტო მმართველობის. ასევე გულწრფელად საუბრობს დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში ქართველ კომუნისტთა ადგილსა და როლზე, რითაც თავისდაუნებურად ეხმაურება გასული საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში ქართველ კომუნისტთა, უფრო სწორედ, ნაციონალ-უკლონისტთა ლიდერის ბუდუ მდივნის იდეებს.

საინტერესოა ისიც, რომ ვლ. ჟვანია რუსეთის ჯარების საქართველოში შემოჭრის „პროგრესულ" მხარესაც ხედავდა. მიაჩნდა, რომ საოკუპაციო სამხედრო კონტინგენტის არსებობამ დაამყარა წესრიგი, სტაბილურობა და ხელი შეუწყო სოციალური უთანაბრობის მოსპობის ტენდენციებს. თუმცა, თუკი ბოლშევიკური წითელი არმია მართლაც საქართველოს „დასახმარებლად" იყო შემოსული, უმოკლეს პერიოდში უნდა დაეტოვებინა ქვეყნის ტერიტორია და საქართველოს დამოუკიდებლად, უდიქტატოდ გაეგრძელებინა თავისი არსებობა.

ვლ. ჟვანიას პოლიტიკური შეხედულებების ანალიზიდან ერთი დასკვნაც შეიძლება გავაკეთოთ: მას მომავალი საქართველო ორპარტიული მმართველობის სისტემით ესახებოდა. ერთის მხრივ,

საქართველოს დამოუკიდებელი კომუნისტური პარტია და, მეორეს მხრივ, საქართველოს დემოკრატიული პარტია.

აქ გვინდა მცირედი გადახვევა გავაკეთოთ და აღვნიშნოთ, რომ საქართველოს ისტორიაში არის არაერთი შემთხვევა, როდესაც ამა თუ იმ ეროვნულ მოღვაწეს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ესა თუ ის გზა, უფრო სწორად ბრძოლის მეთოდი, სხვადასხვა მოსაზრებათა გამო უარუყვია, თუმცა იდეებისათვის არ უღალატია. გავიხსენოთ თუნდაც სოლომონ დოდაშვილი, XIX საუკუნის პირველი ნახევრის ცნობილი ქართველი ფილოსოფოსი და განმანათლებელი, 1832 წლის შეთქმულების აქტიური წევრი და იდეური სულისჩამდგმელი, რომელიც 1832 წელს გადასახლებულ იქნა შორეულ რუსეთში (გარდაიცვალა იქვე, 1836 წელს). მან გენიალურად ამოიცნო დროის პოლიტიკური მაჯისცემა და დარწმუნდა, რომ იმ ისტორიულ ვითარებაში შეთქმულებებით და ცალკეული ძალადური აქტებით რუსეთის იმპერიიდან საქართველოს დახსნა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. მისი აზრით, ამ მიზნის განხორციელებას საკმაო დრო სჭირდებოდა და იგი შესაძლებელია მიღწეულიყო თაობების ბეჯითი შრომით, სწავლით და მთელი ერის დარაზმული ბრძოლით. აქედან გამომდინარე, უდაოდ პროგრესული იყო ვლ. ჟვანიას მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის მიღწევა შესაძლებელი იყო მხოლოდ და მხოლოდ საყოველთაო-სახალხო მოძრაობის, ერის გამოფხიზლების გზით. ის წუხდა, რომ ქართველი ერი მოცემულ ისტორიულ ეპოქაში პოლიტიკური, ეკონომიკური, ზნეობრივი, სულიერი, სამართლებრივი და სოციალური თვალსაზრისით ამ დიდი საქმისათვის არც თუ ისე იყო მზად.

ვლ. ჟვანიას გააჩნდა საკუთარი შეხედულებების მკვეთრად ჩამოყალიბებული სისტემა, რომელმაც ასახვა პოვა საქართველოს განთავისუფლების ფრონტის სახელით შედგენილ, საქართველოს მთავრობისათვის გასაგზავნ მიმართვაში, რომელიც ნაწილობრივ მაინც გვიქმნის წარმოდგენას ვლ. ჟვანიას პოლიტიკური აზროვნების კულტურაზე. იგი გამსჭვალულია ქართველი ერის უმთავრესი მიზნისკენ, ეროვნულ-ისტორიული იდეისაკენ (რომელიც მდგომარეობს საკუთარი კულტურის, ენის, სახელმწიფოს, პოლიტიკური თვითმყოფადობისა და სამართლის დაცვაში) მუდმივი სწრაფვით.

საინტერესოა ის გარემოება, რომ ვლადიმერ ჟვანია საკუთარი პოლიტიკური 'შეხედულებების გადმოცემისას არაფერს ამბობს საქართველოს ისტორიაში ისეთ ტრაგიკულ ფურცელზე, როგორიცაა 1956 წლის ცხრა მარტის მოვლენები. ის ასევე არსად მიანიშნებს

საკუთარ დამოკიდებულებაზე 1956 წლის ბუდაპეშტის და 1968 წლის პრაღის მოვლენებისადმი.

ერთის მხრივ, შეიძლება ვიფიქროთ, რომ იმ პერიოდში ის იმყოფებოდა ციხე-კოლონიებში და იხდიდა სასჯელს და ამდენად არ მიუწვდებოდა ხელი ინფორმაციაზე, მაგრამ, მეორეს მხრივ, მისი განათლების დონის ადამიანს და პიროვნებას, რომელიც სისტემატიურად ეცნობოდა სხვადასხვა ლიტერატურას და უსმენდა უცხოეთის რადიოგადაცემებს, არ შეიძლებოდა მხედველობისა და სმენის არედან გამორჩენოდა ზემოაღნიშნული პროცესები და, აქედან გამომდინარე, არ ჰქონოდა საკუთარი შეხედულებები.

სავარაუდოა, რომ ბუდაპეშტის და პრაღის მოვლენები ვლ. ჟვანიას მიეჩნია უფრო ზოგად მოვლენად, რომელსაც საქართველოსთან, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან არანაირი კავშირი არ ჰქონდა. რაც შეეხება ცხრა მარტს, თბილისში ამ დღეს და შემდგომ პერიოდში განვითარებული მოვლენები, როგორც თვითმხილველები და ისტორიკოსები თვლიან - „1956 წლის 9 მარტის გამოსვლების ერთ-ერთი მიზეზი სწორედ სტალინის სიყვარული, მისდამი დიდი პატივისცემა იყო. ამის გარეშე მარტის ტრაგიკული მოვლენების სწორედ გაგება შეუძლებელი იქნება“. * საფიქრალია, რომ ვლ. ჟვანიაც ამ მოსაზრებას იზიარებდა. ამდენად, მისი დამოკიდებულება სტალინ-ბერიას მოღვაწეობის პერიოდსა და ისტორიაში მათ განსაკუთრებულ როლზე საკმაოდ უარყოფითი უნდა ყოფილიყო, თუნდაც მამის რეპრესიის და აქედან გამომდინარე შედეგების გამო.

როგორც ზევით იყო აღნიშნული (ეს მოსაზრება საბრალდებო დასკვნაშიც აისახა), იმის გამო, რომ ვლ. ჟვანიას ჰქონდა არასწორი შეხედულებები, „ნეგატიური აღქმა საბჭოთა ხელისუფლების ცალკეულ ასპექტებზე, საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს ეროვნულ პოლიტიკაზე“, მისი მოსაზრებები ეროვნულ-სახელმწიფოებრივ მშენებლობაზე აღქმული იყო, როგორც ნაციონალისტური იდეები. არადა ვლ. ჟვანიას არ შეიძლება ეწოდოს ნაციონალისტი იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მისი იდეები შორს იდგა ნაციონალიზმისაგან. მის არც ერთ გამონათქვამში პრიორიტეტულად არ არის აღიარებული საერთაშორისო ურთიერთობებთან შედარებით საქართველოს ძირითადი და მკვიდრი მოსახლის - ქართველის ინტერესები,

---

* შ. ნოზაძე - „1956 - ტრაგიკული ცხრა მარტი“.

მისი უსაფრთხოება და სხვა. ის არასოდეს არ ყოფილა მომხრე მომავალი დამოუკიდებელი საქართველოს ნაციონალური ერთგვაროვნებისა, მით უმეტეს სხვა ეროვნების ადამიანთა დეპორტაციის, მათი მკვლელობის, ან ირედინტიზმისა.

ვლ. ჟვანიამ საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლის ორი გზა აირჩია:

- ქართველი ერის გამოფხიზლების, ხელისუფლების ყურადღების მიქცევის და მასზე შესაძლო ზეწოლის მიზნით, თვითნაკეთი მოწყობილობების მეშვეობით საქართველოს სსრ მთავრობის ადმინისტრაციულ შენობებთან დემონსტრაციული, უმსხვერპლო აფეთქებების მოწყობა;

- იმ პერიოდისათვის მისთვის ხელმისაწვდომი საინფორმაციო საშუალებებით საქართველოს დამოუკიდებლობის იდეების ფარული პროპაგანდა, რაც, როგორც „ანტისაბჭოთა აგიტაცია და პროპაგანდა", მაშინდელი კანონმდებლობით სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლებოდა.

ჩვენს ხელთ არსებული მასალების ანალიზი მიგვანიშნებს, რომ ვლ. ჟვანიას მთლად ნათლად არ ჰქონდა წარმოდგენილი, თუ როგორ, რა გზით, რა მექანიზმების გამოყენებით უნდა მომხდარიყო საქართველოს მშვიდობიანი გამოყოფა საბჭოთა კავშირიდან და როგორ უნდა განვითარებულიყო შემდგომში დამოუკიდებელი საქართველო. თუმცა, მისი მოსაზრებები იმ პერიოდისათვის პროგრესული და საინტერესო იყო. ვლ. ჟვანიას პოლიტიკური შეხედულებების პროგრესულობა მის სწორ სტრატეგიულ ორიენტაციაშია. მას მიაჩნდა, რომ საქართველოს თავისი ისტორიული განვითარების იმ ეტაპზე, მიუხედავად მრავალი სირთულეებისა, უნარი შესწევდა დამოუკიდებლად არსებობისა და ის უნდა მიღწეულიყო მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი გზით. ასეთ ვითარებაში ვლ. ჟვანია უშვებდა მოვლენათა განვითარების ორგვარ ვარიანტს:

1) საქართველოს სსრ მაშინდელ ხელისუფლებას სურდა საქართველოს დამოუკიდებლობა და სსრ კავშირიდან გამოყოფა, მაგრამ იმის გამო, რომ ჰქონდათ დიდი შიში ჩვენს ტერიტორიაზე განლაგებულ სსრკ შეიარაღებული ძალებისა, ამას ვერ შეძლებდა. ასეთ ვითარებაში ხელისუფლება უნდა გადამდგარიყო და ქვეყანაში დროებითი მმართველობა გადასცემოდა საქართველოს განთავისუფლების ფრონტს.

2) საქართველოს სსრ იმდროინდელ ხელისუფლებას, საკუთარი სურვილით უნდა უზრუნველეყო საქართველოს განთავისუფლების

ჯგუფების (რომლებიც შესაძლოა არსებობდნენ დამოუკიდებლად) მიერ შექმნილი საქართველოს დემოკრატიული პარტიის ლეგალიზება და უმაღლეს საბჭოს არჩევნებში მათი მონაწილეობა.

ვლ. ჟვანიას აზრით, ორივე შემთხვევაში საქართველოს დამოუკიდებლობის მიღწევა შესაძლებელი იყო საქართველოს მთელი მოსახლეობის, ყველა ეროვნების ადამიანის საერთო ნების გათვალისწინებით. ამისათვის უპირველეს ყოვლისა საჭირო იყო საქართველოს სსრ კავშირიდან (რუსეთიდან) გამოყოფისა და სუვერენული სახელმწიფოს შექმნის მიზნით საქართველოს სსრ მთელ ტერიტორიაზე საყოველთაო-სახალხო რეფერენდუმის ჩატარება. რეფერენდუმში მონაწილეობას მიიღებდა რეფერენდუმის დღისათვის საქართველოში მცხოვრები ყველა ადამიანი 16 წლის ასაკის ზევით.

რეფერენდუმის დღე გამოცხადდებოდა რამდენიმე ხნით ადრე. რეფერენდუმის ჩატარების წინა პერიოდში მასობრივი ინფორმაციის საშუალებები დაეთმობოდა ყველა პოლიტიკური ძალების წარმომადგენლებს.

იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს სსრ მოსახლეობის 70 პროცენტი ხმას მიცემდა საქართველოს სსრ კავშირიდან გამოყოფას, მოწვეული იქნებოდა საქართველოს უმაღლესი საბჭოს კრება, რომელიც დაადგენდა:

ა) საქართველოს დამოუკიდებელ, ნეიტრალურ ქვეყნად აღიარებას;

ბ) სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სამხედრო ბაზების გაყვანას;

გ) ფაქტობრივად ოპოზიციური პარტიის - საქართველოს დემოკრატიული პარტიის არსებობას;

დ) საქართველოს საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების (რომელშიც მონაწილეობას მიიღებდნენ როგორც საქართველოს კომუნისტური პარტიის, ისე საქართველოს დემოკრატიული პარტიის კანდიდატები) თარიღს.



ყველა თავისი სიკეთილით ცოცხლობს,
ყველა თავისი სიცოცხლით კვდება.

ვლ. მაჩაიძე

. . .

ვლ. ჟვანიას საქმის მასალების ანალიზიდან, ახლო ნათესავებსა და თვითმხილველებთან საუბრებიდან გამომდინარე, გარკვეული წარმოდგენები გვიჩნდება მის პიროვნულ თვისებებზე, ხასიათის სუსტ და ძლიერ მხარეებზე და სხვა. თუმცა ის იმდენად თავისებური პიროვნება იყო, იმდენად უჩვეულო იყო იმ პერიოდში მისი ქცევები, მაგრამ ამავდროულად იმდენად გაბედული იყო საკუთარ აზროვნებაში და შესაბამისად მოქმედებაში, რომ მისი, როგორც პიროვნების, ქართველის, სამშობლოს პატრიოტის მარტივად აღქმა, თუნდაც დღევანდელი გადასახედიდან, საკმაოდ ძნელია.

ვლ. ჟვანია ბავშვობიდან გულჩათხრობილი იყო. მისი, როგორც პიროვნების ჩამოყალიბებაზე, როგორც არაერთგზის იქნა აღნიშნული, მრავალმა ფაქტორმა იმოქმედა. გარემოსთან შეუგუებლობამ და საზოგადოებასთან მისმა კონფლიქტურმა დამოკიდებულებამ გამოიწვია მისი სრული პოლიტიზაცია.

ყველა, ვინც კი იცნობდა ვლ. ჟვანიას, ერთხმად აღნიშნავს, რომ ის საკმაოდ ნიჭიერი და თვითგანათლებული პიროვნება იყო. საშუალო სკოლაში კარგად სწავლობდა, თუმცა მისი დასრულება არ ისურვა.

ვლ. ჟვანიას, როგორც ნებისმიერ მოკვდავს, ბევრი სურვილები და ოცნებები ჰქონდა. სურდა მიეღო უმაღლესი განათლება. როგორც აღინიშნა, დააპირა კიდევაც მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობების სახელმწიფო ინსტიტუტში მისაღები გამოცდების ჩაბარება, მაგრამ წარუმატებლად. მისი ოცნება იყო გამხდარიყო კარგი მეცნიერი და დიპლომატი, ყოფილიყო აქტიური პოლიტიკური მოღვაწე, რათა ქვეყნის და ერისათვის სიკეთე მოეტანა. ოცნებობდა საკუთარ სახლ-კარზე, ოჯახის შექმნაზე, ნორმალურ ადამიანურ ურთიერთობებზე:

„მეც მინდოდა მქონოდა სახლ-კარი, ბაღი, მყოლოდა

ცოლ-შვილი, როგორც ქართველ კაცს შეეფერება. მინდოდა ვყოფილიყავი მეცნიერი. გატაცებული ვარ ბიოლოგიით, ბიო-ქიმიით, მოლეკულური ბიოლოგიით, ინტერესით ვადევნებ თვალს მეცნიერების ბევრ დარგებს. მეც მინდოდა მყოლოდა მეგობრები, მეზობლები. გამეზიარა მათთან ჭირიც და ლხინიც, მეც ხომ კაცი ვარ. მაგრამ ყველაფერი ეს დაჩრდილა საქართველოს განთავისუფლების იდეამ და თითქმის ყველაფერი ეს გამორთო ჩემი ცხოვრებიდან".

ვლ. ჟვანიას უმთავრესი მიზანი და ოცნება მაინც საქართველოს დამოუკიდებლობა და თავისუფლება იყო. მთელი მისი შინაგანი ბუნება, ნიჭი და უნარი ამ იდეის ფოკუსში იყო კონცენტრირებული. სავარაუდოა, რომ ის შინაგანად დიდხანს ემზადებოდა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მისეული გზის არჩევისათვის.

ვლ. ჟვანია გატაცებული იყო სპორტით, ფეხბურთით, ცურვით. ძალიან უყვარდა ზღვა და წყალში ყვინთვა. ცურავდა მაღალპროფესიულ დონეზე. ცხოვრების დიდი ნაწილი ზღვისპირა ქალაქებში ჰქონდა გატარებული. იტაცებდა წყალქვეშა ბუნება, წყლის ფლორა და ფაუნა.

„მე მიცურია წყალქვეშ, სადაც ერთ შეცურვაზე დავრჩენილვარ ერთი წუთი და ცოტა მეტიც. უეჭველია წყალქვეშა გარემოში ვხედავ და ვგრძნობ უფრო ნაკლებს, ვიდრე ნორმალური მხედველობის ადამიანი, მაგრამ მე ვკმაყოფილდები იმით, რასაც ვხედავ ისევე, როგორც ყოველდღიურ ცხოვრებაში".

ვლ. ჟვანიას ჩხრეკისის სხვა ნივთებთან ერთად აღმოაჩნდა დაბალი სიმძლავრის ცალფაზა ძრავი და მცირე მოცულობის ბროშურა „Спортсмен-подводник". როგორც დაკითხვებისას აღნიშნა, ჩაფიქრებული ჰქონდა ისეთი კონსტრუქციის ელექტრომექანიკური მოწყობილობის შექმნა, რომელიც იმოძრავებდა როგორც ხმელეთზე, ისე წყლის ზედაპირზე.

ვლ. ჟვანია ეროვნული ადათ-წესების ერთგული დამცველი იყო. ის თვლიდა, რომ ქართული წეს-ჩვეულებების, ნაციონალური და კულტურული ფასეულობების დაცვა უცხოთა ხელყოფის და სავარაუდო დაღუპვისაგან უაღრესად დიდი პატრიოტული მიზანი უნდა ყოფილიყო თითოეული ქართველისათვის.

ვერ იტანდა ზოგადქართული კულტურული ღირებულებების გაუცხოებას, უცხოურით შეცვლის მცდელობას. ძალიან უყვარდა ქართული ფოლკლორი და ეთნოგრაფიული თავისებურებანი.

„ერთხელ მისი მოსვლისას ტელევიზორი მქონდა ჩართული, რომელშიც მიმდინარეობდა ქართული სიმღერების კონცერტი რუსულად. ამაზე ძალიან გაბრაზდა ვალიკო, საქართველოში ტელეგადაცემა ქართულ ენაზე უნდა გადმოიცემოდესო, მაგრამ იმის გამო, რომ მას ძალიან უყვარს ქართული სიმღერები, იგი ივჯდა და ბოლომდე უსმენდა გადაცემას“ - იგონებს ერთ-ერთი მისი ახლობელი.

ერთ-ერთი მოწმე მიანიშნებს, რომ ვლადიმერ ჟვანიას არაერთხელ გამოუთქვამს აღფრთოვანება ქართველი ერის მიმართ: „...იგი შეყვარებული იყო საქართველოზე და საერთოდ ქართველობაზე“.

ვლ. ჟვანია ქართული ენის თავდაუზოგავი დამცველი იყო. ერის ცხოვრებაში, ეროვნული ფასეულობების განმტკიცების საქმეში ის ქართველი ერის სიწმინდის დაცვას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა, თუმცა ამით არ აკნინებდა სხვა ერების ზნეობრივ და კულტურულ ფასეულობებსა და ტრადიციებს.

ვლ. ჟვანია ბუნებით რომანტიკოსი და მეოცნებე იყო, მაგრამ რეალობის აღქმის უნარი არასოდეს დაუკარგავს. საინტერესოა მისი ორი მოსწავლის მოგონებები, რომლებიც მის გარკვეულ სახასიათო თვისებებზე მიგვანიშნებს:

<u>*მაია თევდორაძე*</u> - „ერთხელ, მისთვის კარგად რომ მოგვესმინა, მოგვიყვა, რომ იგი თითქოს დედამიწაზე არ დაბადებულა, ჩამოფრინდა რომელიღაც სხვა პლანეტიდან და რომ იგი არასოდეს არ მოკვდება. ეს ნაამბობი ჩვენ უცნაურად მოგვეჩვენა და გვეგონა, რომ ხუმრობდა, ამიტომ მისი ნაამბობისათვის ყურადღება არ მიგვიქცევია“.

<u>*მამუკა ლატარია*</u> - „ერთხელ იყო შემთხვევა, როდესაც მე და ვალიკო მარტო დავრჩით და მან დაიწყო მოყოლა თავის შესახებ, თითქოს იგი გედის თანავარსკვლავედში ცხოვრობდა და იქიდან ჩამოფრინდა საკუთარ ფრთებზე, მე ის სულელად მომეჩვენა და ვიფიქრე მამასხარავებს მეთქი. რაზეც გამეცინა. ჟვანია ყოველივე ამას ყვებოდა სრულიად სერიოზულად და რომ დაინახა, რომ მე მეცინებოდა, თვითონაც გაეცინა და აღარ გაუგრძელებია.“

ვლ. ჟვანია ნადარეიშვილების ოჯახში ყოფნისას თავისუფალ

დროს, როგორც თვითმხილველები აღნიშნავენ, ზედმიწევნით კითხულობდა ჟურნალ-გაზეთებს: „იზვესტია“, „კომუნისტი“, „ავანგარდი“, „სოფლის ცხოვრება“, „საბჭოთა აფხაზეთი“ (რუსულ ენაზე), „ნიანგი“, "За рулем","Человек и закон". თვითონ ყიდულობდა „ლელოს“, "Советский спорт"-ს, „იუნნი ტეხნიკ“-ს და „ტეხნიკა მოლოდიოჟ“-ის, გვიანობამდე კითხულობდა ნადარეიშვილების მდიდარ ბიბლიოთეკაში დაცულ კლასიკურ ლიტერატურას - სტივენსონის, გორკის, მაიაკოვსკის და სხვათა ნაწარმოებებს.

ბავშვებთან ურთიერთობისას პოლიტიკაზე არ საუბრობდა. თვით საქართველოს ისტორიის შესწავლისასაც კი შემოიფარგლებოდა მხოლოდ სასკოლო პროგრამით. ძალიან ნერვიულობდა და განიცდიდა, როდესაც ბავშვი ახსნილ მასალას ვერ იგებდა და შესაბამისად ვერ პასუხობდა. ყველა ბავშვი ერთხმად აღნიშნავს, რომ ვლ. ჟვანიამ კარგად იცოდა საშუალო სკოლის სასწავლო პროგრამა. ის ყოველ დილით ადრე აღვიძებდა ბავშვებს, ამეორებინებდა გაკვეთილებს და ისე უშვებდა სკოლაში.

ვლ. ჟვანიას სწამდა, რომ თავისუფალი საქართველოს მომავალი თაობა სხვანაირად უნდა ყოფილიყო აღზრდილი. ის კატეგორიული წინააღმდეგი იყო საბჭოთა სკოლების სასწავლო პროცესის და სასწავლო პროგრამის. თვლიდა, რომ ქართველი ახალგაზრდების სწავლა-განათლება ცალმხრივია და მას რუსული, კომუნისტური იდეოლოგია გასდევს. დროთა განმავლობაში ქართველებს ავიწყდებათ ქართული ენა, საქართველოს ისტორია, წეს-ჩვეულებები, ისტორიული ძეგლების სიწმინდე და სხვა. ყოველივე ამაზე ესაუბრებოდა ხანდახან ვლ. ჟვანია თავის მოწაფეებს. სწორედ ერთ-ერთ მათგანზე თქვა ვლ. ჟვანიამ: *„მე, ეცდილობდი ხათუნასათვის ჩამენერგა ცხოვრების სინამდვილე, მინდოდა ცხოვრება გაეგო ისე, როგორც ის მე მესმის. ყოველნაირად ეცდილობდი, რაც კი შემეძლო გამეწია დახმარება, რომ იგი განათლებული და წესიერი ქალი გაზრდილიყო.“*

ვლ. ჟვანიას მეგობრები პრაქტიკულად არ ჰყავდა, ანდა როდის შეიძენდა? ყველა, ვინც იცნობდა ერთხმად აღნიშნავს, რომ ქალთა სქესის მიმართ იყო მორცხვი და ხათრიანი, საზოგადოებაში ყოფნას და უცხო ხალხთან კონტაქტს ერიდებოდა, სამაგიეროდ იყო დაუზარელი, ძალიან შრომისმოყვარე და ერთგული. ახლობლების აზრით, ვლ. ჟვანია იყო ნორმალურად განვითარებული, ჰქონდა კარგი მსჯელობის უნარი, გარემოს შეიცნობდა (აღიქვამდა) ადექვატურად, იყო ემოციური და ზოგჯერ მოჭარბებულად ნერვიული, არ სვამდა და არასოდეს ეწეოდა. მის ფსიქიურ მდგომარეობაში ეჭვი არავის

შეპპარვია.

იყო უპრეტენზიო პიროვნება. პირად პრობლემებსა და საკუთარ გაჭირვებაზე საუბარი არ უყვარდა.

კარგად ჰქონდა გაცნობიერებული ის გარემოება, რომ საკუთარი ქმედებებიდან და სსრ კავშირში იმ პერიოდში არსებული კანონმდებლობიდან გამომდინარე, ყოველ წუთს იყო მოსალოდნელი მისი დაპატიმრება. მიუხედავად ამისა, მთავარი მიზნის მიღწევისათვის ბრძოლაზე ხელი არ აუღია და იმ ეტაპზე არც საზღვარგარეთ რეალურად წასვლაზე უფიქრია. *„...მაშინ საზღვარგარეთ ჩემი წასვლა იქნებოდა ჩემს მიერ დასახული გეგმების უარყოფა, რაც მე არ შემეძლო“.*

ვლ. ჟვანია სოხუმსა და გაგრაში ყოფნისას თავისუფალ დროს უსმენდა საზღვარგარეთულ რადიოგადაცემებს. ერთ-ერთ თავის მოსწავლესთან საუბარში სინანულით უთქვამს, რომ ამერიკაში ცხოვრება ბევრად უკეთესი იყო, ვიდრე საბჭოთა კავშირში, ყვებოდა მათ მიღწევებსა და საბჭოთა ქვეყნის ჩამორჩენილობაზე.

ცრემლის გარეშე ვერ საუბრობს საკუთარ ძმაზე ქ-ნი ნინო ჟვანია:

„პატარა ძმა იყო და ძალიან მიყვარდა. მთელი ჩვენი ნათესაობაც კარგად იყო განწყობილი მის მიმართ, ყველას ძალიან უყვარდა. ჩემი დიდი ძმა უკვე სტუდენტი იყო, ვალიკო რომ პატარა იყო, სულ პატრონობდა, ეხმარებოდა, გვერდით ედგა. საზოგადოებასთან ურთიერთობაში ძალიან კარგი იყო, ვცდილობდი არ მეწყენინებინა. ჩვილი ბავშვის გული ჰქონდა, ემოციური იყო. ძალიან უყვარდა ბავშვები, განსაკუთრებით ჩემი შვილები. ჩემს მიშიკოს თან ჰყვებოდა, ინგლისურიც ასწავლა. თვითგანათლებული იყო, ბევრს კითხულობდა, ყველა თემაზე შეეძლო საუბარი. ინგლისური ენა კარგად იცოდა, თვითონ ისწავლა წიგნების და „პლასტინკების“ მეშვეობით.“

„ვალიკოს თავიდანვე რაღაც სხვანაირი აზრები ჰქონდა. ჩვენი ოჯახი, ასე ვთქვათ, კომუნისტურად ვცხოვრობდით. ვალიკო სულ საქართველოზე ლაპარაკობდა. ჩემს მეუღლესთან ხშირად კამათობდა. როგორ ცხოვრობო, იბრძოდი, ნაომარი კაცი ხარ, ასე ცხოვრება არ შეიძლებაო.

ვალიკო ბავშვობიდან ჩამოყალიბებული ანტიკომუნისტი იყო. საზღვარგარეთ იმიტომ გარბოდა, რომ აქ რეჟიმი იყო, თავისუფლება უნდოდა, სულ წასვლა უნდოდა. ეხლა მაინც ყოფილიყო საწყალი ცოცხალი, სადაც უნდოდა წასულიყო. უცნაური კაცი იყო. ერთხელ ჩვენთან სახლში სურათებს გადახედა. რა ამბავი გაქვსო. მოკიდა

ხელი და სულ წაიღო. დამრჩა ორად-ორი სურათი. აგერ მიყურე სანამ აქ ვარო".

ემოციური თვალსაზრისით თავშეკავებულია ბ-ნი გრიგოლი:

„ვალიკო პოლიტიკურად იყო ბავშვობიდან განწყობილი. შენ რა იციო, მეტყოდა ხოლმე, მარტო წიგნები იციო. აბა ნახე, რუსეთში გლეხობა შიმშილით კვდებაო. მე სად არ ვიყავიო. მოიარა, მართლაც, მთელი საბჭოთა კავშირი. შენ არ იცი რა ხდება ამ ქვეყანაზეო. მე სხვანაირად არც ვფიქრობდი და ჩემი განვლილი გზიდან გამომდინარე, ვერც ვიფიქრებდი. მე ასკეტურად ვიყავი აღზრდილი - წკეპლით.

ციმბირიდან რომ ჩამოვიდა ძალიან გამეხარდა. შევხვდით. იქაც კი კამათი მოგვივიდა ჩემი დის ოჯახში. ჩემი სიძე რუსი იყო, პოლკოვნიკი, უთხრა - ნეტაი გერმანელები შემოსულიყვნენო, სულ სხვანაირად ვიცხოვრებდითო. აი, მაშინ მივხვდი, რომ ყელამდე წინააღმდეგი იყო კომუნისტების.

ვალიკომ განათლება საკუთარი მონდომების და ნიჭის წყალობით მიიღო. სულ კითხულობდა წიგნებს და ჟურნალ-გაზეთებს. უფრო ხშირად გაგრაში ცხოვრობდა ბიძაჩემთან. იქ ძალიან უყვარდა ვენერას შვილიშვილები, საერთოდ ბავშვები საშინლად უყვარდა, ამეცადინებდა მათ. მკაცრი იყო სწავლის პროცესში მათ მიმართ. ვენერა ამბობდა, არ მოსცილდებოდა ბავშვებს, სანამ კარგად არ ასწავლიდაო.

ვალიკოსაც ჰქონდა სურვილები, ოცნებები, დაკავშირებული პირად ცხოვრებასთან, მაგრამ არ გაუმართლდა. იყო ასეთი მომენტი, როდესაც მე უკვე პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ვმუშაობდი, ვალიკოც თბილისში ცხოვრობდა. დედაჩემს ჰყავდა ერთი ამხანაგი ქალი. დედაჩემი დეზინფექტორად მუშაობდა. მძიმე სამუშაო ჰქონდა. მოიკიდებდა საწყალი 15-20 კილოგრამიან ბალონს... ძნელი დრო იყო ნამდვილად. ეს მეგობარი ქალიც დეზინფექტორი იყო. მას ჰყავდა სკოლის მოსწავლე შვილი - გოგო. ჩემი ძმა ერთი პერიოდი დაუახლოვდა მას. ვკითხე ერთხელ, რას ელაქუცნები - მეთქი. მე ვიცი რაც მინდაო. ეს თანამედროვე გოგოები სხვანაირად, საბჭოთა ყაიდაზე აღზრდილები არიანო. მე მინდა იგი ჩემს ყაიდაზე აღვზარდოო. თუმცა მათი შემდგომი ურთიერთობები აღარ გაგრძელებულა. ეს იყო და ეს.

საერთოდ, პოლიტიკაზე საუბრობდა მათთან, ვისთანაც უფრო ახლოს იყო.

და რა ბედ ბედნიერ ვიგრძნობდი მე
დავიბადები, მაგრამ მშობლიურ ამბავ
ვიცი და მინდ ყოფნაც დამიწყია,
მაგრამ, უკანასკნელ ღონეზე ვიცი
ამ მშობლიურ ბრძოლის ამბავ, ჩემ
სამშობლოს, თავადმი საყვარელ
ერთგულებისა და მის დამოუკიდებ-
ლობისათვის.

ვლადიმერ ჟვანია

ადამიანს ყოველთვის, ნებისმიერ საზოგადოებრივ ფორმაციაში, აქვს ზნეობრივი არჩევანის საშუალება. ტოტალიტარიზმის - კომუნისტური რეჟიმის პირობებში ვლადიმერ ჟვანიამ საკუთარი არჩევანი გააკეთა.

ის საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლი ზოგადეთნოსური ფენომენია, რომელმაც უმაღლესი საკაცობრიო იდეალისადმი - თავისუფლებისადმი ლტოლვა თვითშეწირვის გზით გამოხატა.

მართალია, ვლადიმერ ჟვანია ითვლება სისხლის სამართლის დამნაშავედ, მაგრამ იგი რეპრესიული ტერორის ტიპური მსხვერპლია.

შეუძლებელია მისი პოლიტიკური შეხედულებების კვლევა წინაისტორიული და იმ პერიოდის მსოფლიოსა და სსრ კავშირში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების გააზრების გარეშე. ბუნებრივია, რომ მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე იმოქმედა ობიექტურმა თუ სუბიექტურმა ფაქტორებმა. კონკრეტული სიტუაციების გაანალიზებამ კი, ვფიქრობთ, ჭეშმარიტებამდე მიგვიყვანა.

ვლ. ჟვანიას მთელი პოლიტიკური შეგნება გამსჭვალული იყო საქართველოს უკეთესი მომავლის რწმენით. იგი, მე-20 საუკუნის 60-70-იანი წლებიდან დაწყებული, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეებიდან გამომდინარეობს.

ვლ. ჟვანია თვითგანათლებული და მოწოდებით პატრიოტი, საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობაზე, ქართველი ხალხის პოლიტიკური თავისუფლების პრობლემებზე რეალურად და არა ილუზორულად მოფიქრალი პიროვნებაა.

მას საკუთარი ხედვა საქართველოში არსებულ ისტორიულ-პოლიტიკური პრობლემებისადმი ჩამოუყალიბდა არსებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე. ამან კი ასახვა პოვა ეროვნული თავისუფლებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

აღსანიშნავია, რომ იმ პერიოდში მყარად ჩამოყალიბდა სახელმწიფო მართვის პროცესისაგან მოქალაქეთა (იგულისხმება საქართველოს სსრ მოქალაქეები) სრული გაუცხოება, ტოტალიტარული რეჟიმის განმტკიცებისათვის აუცილებელი იდეოლოგიური და სოციალური ფონის გაძლიერება, ღირებულებათა მოძველება. საზოგადოებას მოეძალა ანტიკულტურა, რაც პიროვნებას კონფორმულობაში ამყოფებდა. ვლ. ჟვანია, რომელიც არ წარმოადგენდა თავისი თაობის ასლს, არ შეეგუა არსებულ ვითარებას. მის გონებაში იმძლავრა კულტურულმა რევოლუციამ, იგი, ასე ვთქვათ, გადასცდა „ზომიერ აგრესიულობას" და შეეცადა რაღაცის შეცვლას, სიახლის შემოტანას ერისა და სამშობლოს საკეთილდღეოდ.

1972 წელს, ციმბირის ბანაკებიდან დაბრუნების შემდეგ, ვლადიმერ ჟვანიას სამშობლო - საქართველო შეცვლილი დახვდა. სულ მცირე დრო გახდა საჭირო იმისათვის, რათა საბოლოოდ დარწმუნებულიყო, რომ ეროვნული თვითმყოფადობის და ზნეობრიობის თვალსაზრისით საქართველო აშკარად რეგრესის გზაზე იდგა.

დაკნინებული ენა, საზოგადოების უსულგულობა, ქართველთა შეგნებაში მონური მსოფლმხედველობის აღზევება, საყოველთაოდ აღიარებულ ფასეულობათა მიმართ ნიჰილისტური დამოკიდებულება, მთლიანად ეთნოსურ მანკიერებად ქცეული ამპარტავნობის და გულარხეინობის ზეობა. ამის შემხედვარე, ვლადიმერ ჟვანიაში, როგორც ქართველში, იმძლავრა ეთნოსისათვის დამახასიათებელმა მაღალფასეულობების მიმართ მუდმივმა ლტოლვამ, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლის თავისებურ ფორმაში აისახა.

მკითხველი კადნიერებაში ნუ ჩამოგვართმევს შედარებას, მაგრამ ეთნოსური განზომილების თვალსაზრისით, ვფიქრობთ, რაღაც საერთო უნდა იყოს 1861 წელს რუსეთიდან საქართველოში დაბრუნებული დიდი ილიას კითხვას - „აბა, სად არის ქართველი და საქართველო?" და 1972 წელს ციმბირის ბანაკებიდან დაბრუნებულ ვლადიმერ ჟვანიას გამონათქვამს შორის: „მე რომ ჩამოვედი საქართველოში, შევამჩნიე, რომ გაივლის კიდევ 50 ან 100 წელი და გაჰქრება ქართული ენა, დაიკარგება კულტურა, ერი".



და რადგან დიდი ილია ვახსენეთ, აქვე გვინდა მისი ეს სიტყვებიც გავიხსენოთ: „ბევრ ტანჯვასა და ვაივაგლახს გამოივლის ახალი აზრის მქადაგებელი, ვიდრე დაიყოლიებს საზოგადოებას და ჩააგონებს თავის საკუთარ რწმენას.“

„ტანჯვა და ვაივაგლახი“ მართლაც არ დაჰკლებია ვლადიმერ ჟვანიას, მაგრამ გულსატკენი უფრო ის არის, საკუთარი რწმენის გამარჯვება კი არა, ოცნების გამზიარებელიც რომ ვერ იპოვა თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე...

ის უფრო ქართული ზღაპრის იმ გმირს ჰგავდა, გზაჯვარედინზე გამაფრთხილებელი წარწერიდან ყველაზე რთულ გზას რომ ირჩევს: „პირდაპირ წახვალ, თავს დაკარგავ“. სიკვდილის გზით მიდიოდა თავისუფლებისაკენ... იქნებ სჯეროდა კიდეც, ზღაპარს კეთილი ბოლო აქვსო... მისი ცხოვრების ზღაპარი მკაცრი იყო და ჭირი იქა ჭირი აქათი მთავრდებოდა.

ვლადიმერ ჟვანიას მაგალითმა კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ სახელმწიფოს ერთმმართველობა, ძალაუფლების ერთი მიმართულებით კონცენტრაცია ადამიანებში იწვევს შიშს, ნიჰილიზმს, შეშფოთებას, მომავლისადმი უნდობლობას.

ისეთ პირობებში, როდესაც იდევნებოდა სხვაგვარად მოაზროვნეთა შეხედულებები, როდესაც სახელმწიფოს არ მიეწოდებოდა საზოგადოებაში არსებული სხვადასხვა ღირებულებები, ინტერესები და პრობლემები და როდესაც არ არსებობდა მათი განხილვისა და გადაწყვეტის გზები, გარდაუვალი იყო კონფლიქტი პიროვნებასთან, რომელმაც, უმრავლესობისაგან განსხვავებით, საკუთარი ზნეობრივი არჩევანი გააკეთა შინაგანი თავისუფლების და თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის და სახელმწიფოებრიობის მქონე სამშობლოს დამოუკიდებლობის სასარგებლოდ.

თითოეული მხარე ასეთ ვითარებაში ცდილობდა უპირატესობის მოპოვებას იმ მეთოდებით, რომლებმაც ძალადობის გამოყენება გამოიწვია, ანუ სახეზეა სადამსჯელო მოქმედებების შეგნებული ურთიერთგაცვლა. დაპირისპირება ამ ორ სუბიექტს შორის წარმოიქმნა სწორედ იმიტომ, რომ მათ შორის გაჩნდა ანტაგონიზმი. ამდენად ურთიერთზიანის მიყენება ჩვენს შემთხვევაში წინასწარგამიზნული აქტი აღმოჩნდა. ეს ასეც იყო მოსალოდნელი იმ საზოგადოებაში, სადაც არ არსებობდა ხელისუფლების ძალაუფლების შეზღუდვა, შემწყნარებლური დამოკიდებულება კონფლიქტების მიმართ, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. ამას ემატებოდა განხეთქილება საზოგადოებაში, ეთნოსური (სწრაფვა დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის)

მუდმივი კვლავწარმოების სურვილი და ქვეყნის ეკონომიკის განვითარების დაბალი დონე. თუკი, ძალაუფლება განიხილება როგორც შედარებითი და არა აბსოლუტური მოვლენა, ვლ. ჟვანიას მაგალითზე ტოტალიტარულმა სისტემამ ძალაუფლების შენარჩუნებისათვის გამოიყენა ამისათვის აუცილებელი რესურსები - სამართლებრივი (სახელმწიფო), საინფორმაციო, ფსიქოლოგიური, იდეოლოგიური და სხვა.

კიდევ ერთხელ ხელახლა გავიაზროთ ვლადიმერ ჟვანიას მიერ განვლილი ცხოვრების გზა, გავაანალიზოთ მისი შეხედულებები, ქმედებები, გავითვითცნობიეროთ მაშინდელ საზოგადოებაში შექმნილი რეალური ვითარება, საზოგადოებასა და პიროვნებას შორის წარმოქმნილი კონფლიქტების გადაწყვეტის მახინჯი და მანკიერი მეთოდები და განვსაზღვროთ რისი მიღწევა სურდა საბჭოთა სახელმწიფოს ვლადიმერ ჟვანიას სიცოცხლის ხელყოფით - დახვრეტით და რეალურად რა შედეგი მივიღეთ. დავიწყოთ ამ უკანასკნელით:

ვლადიმერ ჟვანიას სიკვდილით დასჯით არ იქნა მიღწეული უპირველესი მიზანი - „დამნაშავის“ გამოსწორება, რითაც მოხდა სასჯელის პრინციპის უარყოფა. ბუნებრივია, აქ გაგვახსენდება ი. სტალინის ფრთიანი ფრაზა: „არ არის ადამიანი, არ არის პრობლემა“.

სიცოცხლის უფლება ხელშეუვალია, მისი წართმევის უფლება აქვს მხოლოდ ღმერთს. ამდენად სახელმწიფოს არ ჰქონდა უფლება ვლ. ჟვანიასათვის მოესპო სიცოცხლე.

ვლ. ჟვანიას, როგორც „განსაკუთრებით საშიში ბოროტმოქმედის“, იზოლაცია სავსებით შესაძლებელი იყო სხვა არანაკლებ მძიმე სასჯ ელით, ვთქვათ, უვადო თავისუფლების აღკვეთით.

მაშინდელმა საზოგადოებამ ვლ. ჟვანიას სიკვდილით დასჯა რომ მოიწონა („სხდომის დარბაზში მყოფნი კმაყოფილებით შეხვდნენ განაჩენს“), მიუთითებს ქვეყნის მოქალაქეთა სამართლებრივი შეგნების საკმაოდ დაბალ დონეზე.

ვლადიმერ ჟვანიას სიკვდილით დასჯის სისრულეში მოყვანით, გასაგები მიზეზის გამო, შეუძლებელი აღმოჩნდა სასამართლოს მიერ „დაშვებული შეცდომის“ გამოსწორება.

ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფომ, რომლის მმართველობის სისტემა არ იყო შეზღუდული არანაირი შემაკავებელი (სამართლებრივი და საზოგადოებრივი) ფაქტორებით, სახელმწიფომ, რომელშიც ხელისუფლება ანგარიშვალდებული არ

იყო საკუთარი ქვეყნის მოქალაქეთა წინაშე, სახელმწიფომ, რომელიც თავის განუსაზღვრელ ძალაუფლებას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს კონტროლისათვის იყენებდა - ვლადიმერ ჟვანიას მიმართ იმოქმედა ზიზღის, შურისძიებისა და სამაგიეროს გადახდის პრინციპებით.

რაც შეეხება ადამიანებს, რომლებიც ტოტალიტარული სისტემის სააღმსრულებლო პროცესში იყვნენ ჩართულნი, ვფიქრობთ, მათ მიმართ ისეთი მიდგომა უნდა იყოს, როგორც აწ გარდაცვლილმა ვაჟა ივერიელმა დიდსულოვნად მიანიშნა: „<u>რაც მოხდა, ყველაფერი იმჟამინდელი რეჟიმის პირობებმა განაპირობა, თორემ პიროვნულად ვინ მოაწერა ხელი, ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს. ეს ტრაგედია უფრო ეპოქის ტრაგედია იყო.</u>“

უშიშროების ორგანოების მხრიდან ვლ. ჟვანიას საქმისადმი ინტერესი, როგორც არსებული მასალებიდან ირკვევა, წლების მანძილზე არ განელებულა. ის ყოველთვის „კვლევის“ საგანი იყო. ასე მაგალითად, ჟვანიას მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმე გადაეგზავნა:

1977 წლის 30 სექტემბერს სასწავლო მიზნისათვის სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის უმაღლეს წითელდროშოვან სკოლას;

1978 წლის 21 სექტემბერს, მათივე მოთხოვნით, სსრ კავშირის უშიშროების კომიტეტის სვერდლოვსკის ოლქის სამმართველოს (ქ. სვერდლოვსკში ფუნქციონირებდა სსრ კავშირის სუკ-ის ერთ-ერთი სასწავლო დაწესებულება);

1984 წლის 26 მარტს ნივთმტკიცებებთან ერთად, ასევე მათივე მოთხოვნით, სსრ კავშირის უშიშროების კომიტეტს „ჩეკისტთა დარბაზის“ ექსპოზიციაში დამატებების შესატანად;

1989 წლის 25 იანვარს ხელმეორედ სასწავლო მიზნისათვის, სსრ კავშირის უშიშროების კომიტეტის უმაღლეს სკოლას.

სამწუხაროდ, თავის დროზე ქართველ ხალხს და საქართველოს საზოგადოებრიობას არ მიეცა საშუალება ახლოს გაცნობოდა ვლ. ჟვანიას პიროვნებას, მის იდეებს, მსოფლმხედველობას, რის გამოც მისმა შეხედულებებმა ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში ვერ შეასრულა პროგრესული როლი და ის განაჩენის სისრულეში მოყვანის შემდეგ ადვილად იქნა მივიწყებული საზოგადოების მიერ.

ასეთი იყო, ალბათ, მისი ხვედრი.

<u>*„დაე, რაც მოხდა მოხდა, მოსახდენიც მოხდება“*</u> - ეს სიტყვები ვლ. ჟვანიას ეკუთვნის. მოსახდენი მართლაც ბევრი რამ

მოხდა. მისი ოცნება კი სულ რაღაც თხუთმეტიოდე წლის წემდეგ ასრულდა. საქართველო, 1991 წლის 31 მარტს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის აფხაზეთის ასსრ-ში და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ჩატარებული რეფერენდუმის და 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით, გახდა დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო.

1995 წლის 24 აგვისტოს მიღებული საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით საქართველომ პოლიტიკური წყობილების ფორმად აირჩია - დემოკრატიული რესპუბლიკა და საქართველოს სახელმწიფოს ეწოდა „საქართველო". ამით საქართველოს მოქალაქეებმა, განურჩევლად ერისა და სქესისა, გამოხატეს ურყევი ნება დაიმკვიდრონ დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება, ეკონომიკური თავისუფლება, უზრუნველყონ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებანი და თავისუფლებანი, განამტკიცონ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სხვა ხალხებთან მშვიდობიანი ურთიერთობა.

სირცხვილის, სინანულისა და უმწეობის გრძნობა გეუფლება, როცა ვლადიმერ ჟვანიას ისტორიას ეცნობი. არ გიცნობდა, არ იცნობდი - და მაინც, ისე უყვარდი, რომ მოკვდებოდა შენთვის. შენივე ხელით მოკვდა თურმე. „თქვენ მკლავთ იმისთვის, რომ მსურს ადამიანად გაქციოთ" - ასე მიმართავს შილერის კარლ მოორი თავის მოძმეებს... კაცის ერთადერთი, ყველაზე დიდი განძი და ბედნიერება მისივე სიცოცხლეა, მან კი ამაზეც უარი თქვა სხვათა საკეთილდღეოდ. იგი მართალი იყო და ერთხელაც არ უსარგებლია თავისი სიმართლით, საზოგადოებას კი ერთხელ მოეჩვენა, რომ მართალი იყო მასთან და მაშინვე გამოასალმა წუთისოფელს. „ბოროტი კაცი დანიაშიც ბოროტი არის" - ამბობს შექსპირის ჰამლეტი. ვლ. ჟვანიაც ჰამლეტური ბუნების კაცი იყო. მასაც არ ასვენებდა მუხანათობით დაღუპული მამის აჩრდილი და მარტო იბრძოდა ვერაგი ტირანის ხელში ჩაგდებული დედა სამშობლოს გადასარჩენად. ისიც შეშლილად ჩანდა თანამედროვეთა თვალში, რადგან აზროვნებით და მოქმედებით გაუსწრო თავის დროს. „მართალი კაცი, დამნაშავეც მართალი არი!" - გვეპატიოს შექსპირის ერთი

ფრაზის გადაკეთება, ერთი მართალი კაცის; სიცოცხლე ამად ნამდვილად ღირს.

და მაინც, ვინ იყო ვლადიმერ ჟვანია? სრულიად ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ ვლ. ჟვანია მე-20 საუკუნის 70-იან წლებში საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი, საბჭოთა ხელისუფლების, აბსოლუტური ძალაუფლების პოლიტიკური იდეოლოგიის - ტოტალიტარიზმის მსხვერპლია.



„ღმერთი არს სული დაუსაბამო
და მიზეზი ყო(ვ)ელთა დასაბამიერთა
და დამბადებელი ყო(ვ)ელთა;
ღმერთი გამოითარგმნების ხედვა და წვა“

სულხან-საბა

ქვეყანა დაღუპა შურმა
(ულმერთოდ იცინის ღმერთი)
რა გალაპარაკებს თურმე! -
გაჩერდი, იყავი შენთვის.

მუხრან მაჭავარიანი

ბოლოთქმა

ამ ქვეყანაზე რომ შემთხვევით არაფერი ხდება, კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, როდესაც ჩვენს მოკრძალებულ ჩანაფიქრს ხორცი შევასხათ.

დღეს, 2000 წლის 18 ნოემბერს, ვლადიმერ ჟვანიას დაბადების დღეა...

დღეს მას 65 წელი შეუსრულდებოდა.

ისევ გვახსენდება ვლ.ჟვანიას დის ქალბატონ ნინა ჟვანიას სიტყვები: „ეხლა მაინც ყოფილიყო საწყალი ცოცხალი, სადაც უნდოდა წასულიყო ...“

ვლ. ჟვანია არსად არ წავიდოდა, თავისი ერის სვე-ბედს და ჭირ-ვარამს მასთან ერთად გაიზიარებდა, თავისუფლების ტკბობით გაიხარებდა და სხვებთან ერთად ივლიდა თავისუფლების მძიმე უღლით, ამაყად და თავაწეული. და მაინც, რისი თქმა გვინდოდა და რა ვერ ვთქვით - ბევრი რამის თქმა გვინდოდა და ცოტა თუ მოვახერხეთ. ვგონებ, უმთავრესი მაინც ვთქვით: კიდევ ერთხელ ხმამაღლა გაცხადდა, რომ ძალადობა ძალადობას შობს, ძალადობა ყოველთვის, ყოველ ეპოქაში დასაგმობია, ძალადობა თვით ვლადიმერ ჟვანიამაც დაგმო.

თბილისი
2000 წლის 18 ნოემბერი

მხატვარი: გიორგი მაისურაძე
თემურ მალხაზიშვილი

კომპიუტერული
უზრუნველყოფა: სალომე კალანდაძე (ჯგუფის უფროსი)
ლალი ხურცია, მაია რობიტაშვილი,
მანანა ბუჟღულაშვილი, ლალი ბესტავაშვილი

ტექნიკური
და საარქივო
მხარდაჭერა: თამილა ლოსეურაშვილი,
თემურ ბურკაძე,
იგორ მირონოვი

• • •

ავტორი მადლობას უხდის საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს, სსუს სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრს მხარდაჭერისათვის, საარქივო და სამეცნიერო-ტექნიკური უზრუნველყოფისათვის.

თბილისი
2001 წ